ქეთევან ნადირაძე

ქართული ისტორიოგრაფია

სალექციო კურსი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

უაკ (UDC) 930(479.22)(042)
ნ-162

ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: **ზაზა აბაშიძე**

რეცენზენტი: **ნინო კიღურაძე**

კორექტურა: რ. ჩინჩალაძე

© ქ. ნადირაძე, 2012
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-724-8

დისციპლინის მიზნები და ამოცანები

ქართული ისტორიოგრაფიის კურსის მიზნები და ამოცანები თავად ისტორიოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების დისციპლინის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარეობს.

ტერმინი „ისტორიოგრაფია“ შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: „ისტორია“ და„გრაფე“ („ვწერ“) რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ისტორიული მოვლენების აღწერას“, მაგრამ თანამედროვეობა ისტორიოგრაფიაში გულისხმობს არა ისტორიული ფაქტების, არამედ ამა თუ იმ ეპოქის ისტორიული აზრის გადმოცემას. თუ ისტორიის, როგორც მეცნიერების ფუნქციაა „წარმოადგინოს“ სახელმწიფო, საზოგადოება და კულტურა ისე როგორადაც ისინი არსებობდნენ ისტორიულ სინამდვილეში, ისტორიოგრაფიის დანიშნულებაა გაანალიზოს თუ როგორ სწავლობდნენ წარსულში ქვეყნის ისტორიას, მისი ამოცანაა შეხედულებათა აღწერა და ანალიზი, ისტორიკოსთა იდეებისა და კონცეფციების, ისტორიის მეთოდოლოგიის შესწავლა. ისტორიის მეთოდოლოგია ამუშავებს პრინციპებსა და მეთოდებს, თუ როგორ უნდა იქნეს მოპოვებული ცოდნა წარსულის შესახებ.

მართალია, ისტორიოგრაფია, როგორც დისციპლინა ისტორიულ მეცნიერებას მიეკუთვნება, მაგრამ მას აქვს თავისი სპეციფიკა, გააჩნია კვლევის განსაკუთრებული ხერხები, ფლობს წყაროთა საკუთარ ბაზას. მოკლედ, ისტორიულ მეცნიერებაში მას ავტონომიური ადგილი უკავია. რა თქმა უნდა, ავტონომიურობა არ ნიშნავს მისი მჭიდრო კავშირის უარყოფას ისეთ დამხმარე ისტორიულ დისციპლინებთან როგორიცაა: ქრონოლოგია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ნუმიზმატიკა, გენეალოგია, ტოპონიმიკა, წყაროთმცოდნეობა და სხვ. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ეპოქაში ისტორიოგრაფიის განვითარების დონე, ისტორიული პროცესების განვითარებასთან კავშირის გარეშე. აგრეთვე, წყაროთმცოდნეობის ბაზის გაფართოება, არსებული წყაროების ღრმა შესწავლა და ახალი წყაროების აღმოჩენა, წყაროთმცოდნეობითი ანალიზის მეთოდების სრულყოფა, ნაწილობრივ ტექნიკური და საბუნებისმეტყველო [მაგალითად, ისტორიული აზრის განვითარებაზე XVII ს. გავლენას ახდენდა მათემატიკა და ფიზიკა, XIXს. II ნახ. ბიოლოგია და ფსიქოლოგია,

ხოლო XX ს. მათემატიკური მეთოდები (Историография новой и новейшей истории стран Европы и Америки, М. 1977)] მეცნიერებათა მეთოდების გამოყენება, კონკრეტული ეპოქის ისტორიული აზრის გამოვლინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც უშუალოდ ისტორიოგრაფიის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ისტორიოგრაფიას, როგორც განსაკუთრებულ დისციპლინას აქვს წყაროთა სპეციფიკური ნაკრები, ისტორიოგრაფიის შტუდიების საფუძველთა საფუძველია შრომები, რომლებიც აღწერენ ისტორიულ პროცესებს, იკვლევენ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურისა და რელიგიის ისტორიას, ძირითად წყაროებთან ერთად აუცილებელია იმ ფილოსოფოსთა შრომების გათვალისწინება, რომლებიც გავლენას ახდენენ ისტორიკოსთა შრომებზე, ცალკეულ სამეცნიერო სკოლებზე.

ისტორიოგრაფიული ანალიზის ორ ძირითად მიმართულებას, რადგან მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური ხასიათის კვლევა წარმოადგენს, ისტრიოგრაფია, როგორც დისციპლინა, მეტწილად დამოკიდებულია იმ დროისათვის გაბატონებულ ფილოსოფიურ კონცეფციაზე.

საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ფილოსოფია გავლენას ახდენს ისტორიულ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენების შესწავლასა და გადმოცემაზე. მაგალითად, ჰეგელის ფილოსოფიურმა იდეებმა განსაზღვრა XIX საუკუნის ბევრი ისტორიკოსის განსაკუთრებული მიდგომა მასალების ინტერპრეტაციისა და ისტორიული პროცესების ახსნის საქმეში. XX საუკუნის ისტორიოგრაფიის ხასიათზე განსაკუთრებით გავლენა იქონია ფილოსოფიამ. ამის მაგალითია საბჭოთა ისტორიოგრაფია, რომელიც ჩამოყალიბდა ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე, უფრო საინტერესოა ფოლოსოფიური პლურალიზმი, ანუ რამდენიმე თეორიის ერთდროული გავლენა (მაგ. ინტუიტივიზმი, ეგზისტენციალიზმი, ნეოპოზიტივიზმი, ტოინბის ისტორიოგრაფია), რომელთა მიმდევრებიც არიან ცალკეული მკვლევრები, ცალკეული სამეცნიერო სკოლები, ან ზოგჯერ მთელი ნაციონალიური ისტორიოგრაფია (მაგ. რასისტული ისტორიოგრაფია XX ს. 30-40-იანი წლების გერმანიაში).

ისტორიოგრაფიული ძიებების დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საარქივო მასალის გათვალისწინებით, ამა თუ იმ ისტორიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლა, რადგან ისტორიული მეცნიერების განვითარება, ისტორიული შემეცნების ხარისხი, ვერ იქნება პიროვნების გარეშე პროცესი; ამ პროცესში მონაწილეობენ გამოჩენილი მკვლევრები, რომლებიც, როგორც თავიანთი ეპოქის წარმომადგენლები, უფრო ადეკვატურად გადმოსცემენ ეპოქის იმ საზოგადოებრივ–კულტურულ სისტემას, რომელიც აყალიბებს კონკრეტული მკვლევრის შემოქმედებით პოტენციალს.

ისტორიკოსის სამეცნიერო ცხოვრებაში კონცეფცია წარმოადგენს თავისებური ხარისხის მაჩვენებელს ცალკეული ელემენტებით, შეფასების კრიტერიუმებით, სისტემებით. ისტორიკოსის ცხოვრების თითოეული ეპიზოდი ხსნის მის დამოკიდებულებას სამეცნიერი სამყაროსთან და მკითხველთან. მასალების მოწოდების სისტემა, ოსტატობა და ტალანტი განუყოფელი ნაწილია ისტორიკოსის ინდივიდუალურ კონცეფციასთან. ახალი წყაროების აღმოჩენა აფართოებს კორიფეთა კონცეპტუალურ ჰორიზონტს.

მარადიული კითხვებია: თუ რაში მდგომარეობს ისტორიკოსის ხელობა, როგორ ხედავს იგი მშობლიურ ისტორიას. ყოველი მომავალი თაობა აანალიზებს წინაპრების ადეკვატურობისა და ჭეშმარიტებასთან მიახლოების ხარისხს.

ისტორიისადმი ინტერესს ადამიანში იწვევს ფსიქოლოგიური კომპონენტი. ამბობენ, არ შეიძლება გაუგო მეცნიერებას, თუ ვერ გაუგე ადამიანს. ცოდნა და რწმენა იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომ შეუძლებელია გავლენა არ მოახდინოს ისტორიკოსის ხელწერასა და მის ღვაწლზე მეცნიერებაში.

ყოველი მნიშვნელოვანი ისტორიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა, ამავე დროს, წარმოადგენს და განმარტავს ისტორიული მეცნიერების მაგისტრალური საკითხების განვითარების პროცესებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, პიროვნების მემკვიდრეობისა და საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლა საშუალებას იძლევა კარგად წარმოჩინდეს აზრის განვითარება. აზრის განვითარების წარმოჩენა აუცილებელია, რადგან მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტიაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, გასაგებია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ისტორიოგრაფიას, როგორც დისციპლინას სტუდენტის პროფესიულად ჩამოიყალიბების პროცესში. ხოლო სალექციო კურსის „ქართული ისტორიოგრაფიის“ მიზანს, ამავე დროს წარმოადგენს სტუდენტს შეასწავლოს ქართული ისტორიული აზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ქართველ ისტორიკოსთა მოღვაწეობა, აჩვენოს მათი როლი ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. წინამდებარე კურსი უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივია, ითვალისწინებს დროის იმ ხანგრძლივობას, რომელიც მოცემული აქვს სტუდენტს ამ რთული და მრავლისმომცველი საგნის შესასწავლად.

ჩვენ სალექციო კურსში ისტორიოგრაფიული ძიებების განხილვა XX ს-მდე მოდის. XX საუკუნეში ისტორიული კვლევის პალიტრა მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა. გაფართოვდა თემატიკა, გაღრმავდა შემეცნების მეთოდები. ამ საუკუნის ისტორიული მეცნიერების განსაკუთრებულ მიღწევად ითვლება საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის ტენდენცია. შეიქმნა საინტერესო და მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ცალკეული კულტურების, ერების, მოვლენებისა და პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები. დასავლეთში უდიდესი ყურადღება მიექცა ისტორიული მეცნიერების ისტორიის, ანუ ისტორიოგრაფიის შესწავლას. აქვე გვინდა აღვნიშოთ, რომ სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე ისტრიოგრაფიას ხშირად ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვად აღიქვამენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ XX საუკუნიდან ისტორიული მეცნიერების ისტორიის განვითარების შესწავლა, დამოუკიდებელი სალექციო კურსის პრეროგატივას წარმოადგენს.

წინამდებარე სალექციო კურსი მთავრდება თემით: „ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი“, რადგან თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს მოვლენა მხოლოდ XX საუკუნის კუთვნილება არ გახლავთ, რასაც ვფიქრობთ, ჩვენ მიერ განვლილი მასალა კარგად დაგვიდასტურებს. თუმცა სწორედ ახალი კურსის განსაკუთრებული შესწავლის საგნად უნდა იქცეს ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილი.

კურსის ძირითადი თემები და სარეკომენდაციო ლიტ-ერატურა

თემა I.	**ისტორიის მეთოდოლოგიის პრობლემების გენეზისი და „ქართლის ცხოვრება“, როგორც შუასაუკუნოვანი მატიანეების ტიპური ნიმუში.**
ლიტერატურა:	ძირითადი: 1. ლორთქიფანიძე მ., რა არის ქართლის ცხოვრე-ბა, თბ. 1989. 2. ნადირაძე ქ., ისტორიოგრაფია-ისტორიული მეცნიერების ისტორია, თბ. 2007. 3. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ. VIII., თბ. 1977. დამატებითი: 1. აბაშიძე ე., „ქართლის ცხოვრების“ წარმოქმ-ნისა და განვითარების საკითხები, თბ. 1993. 2. ალასანია გ., „ქართლის ცხოვრება“ და ჰიმნო-გრაფია. კონკრეტული პარალელები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3. 1995. 3. ახვლედიანი გ., ფოლკლორი „ქართლის ცხოვრებაში“ (XII-XVII სს.), მაცნე, ენისა და ლიტ-ერატურის სერია, 3, 1975. 4. ბარამიძე რ., „ქართლის ცხოვრების“ შესწავ-ლის ისტორიიდან, მსკი, ნაკვ., 34,. თბ. 1962. 5. გამსახურდია ს., საზოგადოებრივ-ისტორი-ული აზროვნების განვითარება XI საუკუნის საქართველოში, საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1, 1961. 6. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ის-ტორიკოსი, თბ. 1991.

7. გრიგოლია კ., ისევ ლეონტი მროველის ავ-
ტორობის შესახებ, საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 5(14),
თბ. 1963.
8. დონდუა ვ., „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის
ისტორიკოსები, საისტორიო ძიებანი, II, თბ. 1973.
9. თოფურია პ., „ქართლის ცხოვრების“ გეო-
გრაფიული ნომენკლატურიდან (აზერბაიჯანი), კრ.
ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II, თბ. 1999.
10. ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორი-
ის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 10-11, 1939.
11. კაკაბაძე ს., ძველი ქართული მატიანეები, საის-
ტორიო ძიებანი, თბ. 1924.
12. კარბელაშვილი მ., „ისტორიანი და აზმანი
შარავანდედთანი“, XII საუკუნის საქართველოს
„ოქროს ხანის“ იდეოლოგია და მისი თეოლოგი-
ურ-ფილოსოფიური საფუძვლები, ლიტერატუ-
რული ძიებანი, XXI. თბ. 2000.
13. კიკნაძე რ., სიმონ ყაუხჩიშვილი - „ქართლის
ცხოვრების“ მკვლევარი, საქართველოს ისტორი-
ის წყაროთმცოდნეობითი საკითხები, I. თბ. 1982.
14. ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის
საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, 1.
1969.
15. მარსაგიშვილი მ., ისტორიული წყაროს მათემა-
ტიკურ-სტატისტიკური მეთოდებით კვლევის
ცდა, თსუ შრომები, 310, ისტორიის სერია, თბ.
1992.
16. ნაცვლიშვილი თ., ბიბლია — ჟამთააღმწერლის
ისტორიოგრაფიული აზროვნების საფუძველი,
კრ. მწიგნობარი – 97, თბ. 1997.
17. სანაძე მ., „ქართლის ცხოვრება“ და საქართვე-
ლოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართ-
ლოსიდან მირიანამდე), თბ. 2006.

18. ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში, მაცნე, ისტორიის სერია, 4, 1973; 3, 1974.
19. ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჟამთააღმწერელი, ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ. 1996.
20. ხახანაშვილი ა., კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“, ივერია, 1888, 135, 156, 214, 218, 242.
21. ხოშტარია-ბროსე ედ., ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, მეცნიერება, თბ. 1996.
22. ხოშტარია-ბროსე ედ., „ქართლის ცხოვრება“ და მისი ისტორიულ-გეოგრაფიული ღირებულება, საქართველოს რესპუბლიკა, 271, 1998.
23. Коллингвуд Р. Дж., Идея Истории, Автобиография, М. 1980.
24. Косминский Е. А., Историография средных веков, М. 1963.

თემა II. **ქართული კულტურისა და განათლების კერები შუასაუკუნეების საქართველოში**

ლიტერატურა: ძირითადი:

1. მენაბდე ლ., „ძველი ქართული მწერლობის კერები“, ტ. I. 1962; ტ. II. 1980.
2. პაპუაშვილი თ., კულტურა, თავი VII. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ. 1979. რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა.
3. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ. VIII. თბ. 1977.

დამატებითი:
1. გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ. 2002.
2. ვაჩნაძე ნ., ქართული სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. 1998.
3. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1956., ტ. II. 1958.
4. ლომინაძე ბ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიწათმფლობელობა, თბ. 1977.
5. ლორთქიფანიძე მ., ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1976.
6. მეტრეველი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ. 1996.
7. მესხია შ., ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XIII სს. ქართულ მონასტრებში, საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ, 1986.
8. ნადირაძე ე., ნადირაძე თ., უდაბნო საღვთო შემოკრებულთა (ქართული ბერ-მონაზვნობის ისტორიიდან), თბ. 2001.
9. საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, თბ. 1982.
10. ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გამოსცა გ. ჯაფარიძემ, თბ. 1995.
11. შანიძე ა., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზულებანი, ტ. IX. თბ. 1986.
12. ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის გათხრები იერუსალიმში, თბ. 1974.
13. Гарнак А., Монашество, его идеалы и его история, СПБ. 1908.
14. Казанский П., История православного монашества на востоке, М. 1854.
15. Натроев А., Иверский монастырь на Афоне, М. 1852.
16. Успенский П., История Афона, Восток христианский, ч. III, Киев 1877.

	17. Чубинашвили Г. Н., Пещерные Монастиры Давид Гареджи, 1948.
თემა III.	**ქართული ისტორიული აზრის განვითარება XVII-XVIII საუკუნეებში**
ლიტერატურა:	1.გაბაშვილი ვ., ვახუშტი ბატონიშვილი, თბ. 1969. 2. გრიგოლია კ., ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954. 3.ხანთაძე შ., ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ. 1985. 4.ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი,. ტ. VIII., თბ. 1977.
თემა IV.	**ისტორიული აზრის განვითარება XIX საუკუნეში და ქართველოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ**
ლიტერატურა:	ძირითადი: 1 კინწურაშვილი ვ., ალექსანდრე ცაგარელი, თბ. 1971. 2. მახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ. 1967. 3. მესხია შ., თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის 1939 , ტ. I. 4. ხანთაძე შ., მარი ბროსე, თბ. 1966. 5. ხანთაძე შ., ნარკვევები ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან, ქართული ისტორიოგრაფია, ტ. II. თბ. 1971. გვ., 106-150.

	დამატებითი: 1. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. 1.2. თბ. 1972-74. 2. Вайнштаин О. Л., Очерки развития буржуазной философии и методологии истории в XIX-XX вв. Л. 1979.
თემა V.	**საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოძრაობა საქართველოში (XIX ს-ის მე-2 ნახევარი – XX ს-ის დასაწყისი)**
ლიტერატურა:	ძირითადი: 1. გოდერიძე ლ., კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბ. 2005. (გვ. 82-189; 236, 254). 2. მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადება, თბ. 1982. დამატებითი: 1. გოგიაშვილი ო., ილია დღეს, თბ. 2008.
თემა VI.	**ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები — XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოში**
ლიტერატურა:	1. დუმბაძე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950. 2. ლომსაძე შ., მიხეილ თამარაშვილი, თბ. 1964. 3. ნადირაძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბ. 2001 (სულხან ბარათაშვილი, გვ. 7- 287).

	Барамидзе А., Ватеишвили Д., П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общестенной деятельности, Тб. 1978.
თემა VII.	**ისტორიკოსი თედო ჟორდანია (1853-1916)**
ლიტერატურა:	1. ნადირაძე ქ., თედო ჟორდანია — საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ. 2004. 2. ნადირაძე ქ., „თედო ჟორდანიას ერთი წერილის გამო“, ჟ. „ცისკარი“, 1991 წ. 8, გვ. 142-146. (აქ განხილულია თ. ჟორდანიას კვლევები სოციალურ ისტორიაში). ვ. ჟორდანია თ., თხზულებანი, თბ. 2012(შემ-დგენელი და რედაქტორი ქ. ნადირაძე).
თემა VIII .	**ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეო-ბა (1863-1953)**
ლიტერატურა:	1. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), სტატიების კრებული, თბ. 1966. 2. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, ელ. კელენჯერიძის გამოც. თბ. 1972. 3. მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1989 წ. 4. მეტრეველი რ., ბადრიძე შ., ექვთიმე თაყაიშ-ვილი, თბ. 1962. 5. სურგულაძე აკ. ექვთიმე თაყაიშვილი,. თბ. 1977.
თემა IX.	**ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი**
ლიტერატურა:	1. მეტრეველი რ., ივანე ჯავახიშვილი, ივ. ჯავახ-იშვილი ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2002. 2. ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ. 1984 (გვ. 184-400).

თემა I

ისტორიის მეთოდოლოგიის პრობლემების გენეზისი და „ქართლის ცხოვრება“, როგორც შუასაუკუნოვანი მატიანეების ტიპური ნიმუში

კითხვები – თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია, სადამდე მიდის თავისუფლების ზღვარი წარსულის გააზრებისა და გადმოცემის დროს, როგორ არის შესაძლებელი შეფასდეს გარდასულ დროთა შესახებ მონათხრობის ჭეშმარიტება – ყოველთვის აწუხებდათ ისტორიულ თხზულებათა ავტორებს და მათ მკითხველებს. ისტორიული ცოდნის ვერიფიკაციისა და მეთოდოლოგიის პრობლემებისადმი ინტერესი განსაკუთრებით „პოზიტივისტური სკოლის“ (XIX ს. II ნახ.) წარმოშობას უკავშირდება. მას შემდეგ ეს ინტერესი არ შესუსტებულა. ისტორიკოსები მუდმივად გრძნობენ კვლევის ხერხების თეორიული გააზრების აუცილებლობას.

ნებისმიერი მეცნიერების განვითარების დონე განისაზღვრება მისი მეთოდოლოგიის მდგომარეობით. პირველი წარმოდგენები ისტორიის მეთოდოლოგიის შესახებ ჩნდება ძველ ბერძნებში. ეს ბუნებრივია, რადგან მათი პრინციპი იყო – „ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ“ (Cogito ergo sum), (რ. დეკარტი). მითოლოგია თანდათან ადგილს უთმობს ისტორიულ თხრობას. აღმოსავლური კულტურის საფუძველზე ბერძნებმა დაიწყეს სინამდვილის მეცნიერულად ახსნა. თანამედროვე მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ანტიკურ სამყაროში ჰეროდოტედან (დაახლ. ძვ.წ. აღ-ით 485-42) მოყოლებული ისტორია განიხილება, როგორც წარსულის რაციონალური კონსტრუქცია.

რა არის ისტორიული კვლევის ობიექტი? როგორია კვლევის მეთოდები, ანუ როგორ პასუხობენ ისტორიკოსები კითხვებს – სად? როდის? რა? რატომ?

ჰეროდოტესთვის ისტორია იყო მსოფლიო კულტურის კვლევა. მისი დამსახურებაა ისტორიაში მიზეზშედეგობრიობის პრობლემის არა მხოლოდ პრაქტიკაში გამოყენება, არამედ მისი მეცნიერულად გადაწყვეტის ერთ-ერთი პირველი ცდა (მაგ., ბერძენ-სპარსელთა ომების რეალური მიზეზების ძიება). მან პირველმა შემოიტანა

გეოგრაფიულ-კლიმატური გარემოს მიმოხილვა, როგორც ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ახსნის აუცილებელი პირობა. მან პირველმა შექმნა თხრობითი ისტორიული ნაწარმოების ფორმა და სტილი. მან საფუძველი ჩაუყარა ისტორიული კვლევა-ძიების „კრიტიკულ მეთოდს“.

ჰეროდოტეს უმცროსმა თანამედროვემ, **თუკიდიდემ** (დაახლ. ძვ.წ.აღ-ით 465/60/55-400/395) ჰეროდოტეს შემდეგ კიდევ უფრო გააღრმავა ისტორიული კვლევის კრიტიკული ხერხები. იგი განსაკუთრებით შეეცადა ისტორიკოსის წინაშე მდგარი კითხვისთვის – რატომ? პასუხი გაეცა. აეხსნა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გამომწვევი მიზეზები და შედეგები, თუმცა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემამ იმდენად გაიტაცა, რომ ფაქტებისა და მოვლენების ზუსტად დადგენის აუცილებლობა შედარებით მიავიწყდა. თუკიდიდესთვის ისტორია პოლიტიკოსთა მოღვაწეობაა. ალბათ, ამიტომაც მასზე წერენ, „თუ ჰეროდოტე ისტორიის მამაა, თუკიდიდე უდავოდ ფსიქოლოგიური ისტორიის მამად უნდა მივიჩნიოთ.“

ქსენოფონტემ (დაახლ. ძვ.წ. 435 და 431 წ. შორის – 355/354) თავის კვლევებში დიდი ადგილი დაუთმო სოციალურ-ეკონომიკურ და სამეურნეო ცხოვრების საკითხებს, სახელმწიფო ფინანსებს, დიდაქტიკას. მისი თხზულებათა მნიშვნელობა დიდია. იგი წერდა მარტივად, ნათლად, ლამაზად.

პლუტარქემ (დაახ. 46/50-125/127) ბერძნულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა და განავითარა ბიოგრაფიული ჟანრი. მას ისტორია ზნე-ჩვეულებათა გამოსწორების საშუალებად მიაჩნდა. იგი არ არის დიდი ისტორიკოსი. პლუტარქე ყურადღებას აქცევდა არა ისტორიულ ფაქტებს, არამედ თავისი გმირის მორალურ სახეს. ისტორია მისთვის, უწინარეს ყოვლისა, მორალური სრულყოფისათვის წარსულის სახელოვან საქმეთა ჭვრეტაში ჩაღრმავებაა.

ძირითადად, ბერძენი ისტორიკოსისთვის ისტორიულ წყაროს თვითმხილველის ნაამბობი წარმოადგენს, ისტორიის მეთოდს – თვითმხილველთა გამოვლენა, ხოლო მკვლევრის ხელოვნება გულისხმობს მრავალფეროვანი კითხვების დასმით, თვითმხილველს დაეხმაროს ობიექტური სურათის აღდგენაში.

რომის იმპერიის შექმნამ შეცვალა ისტორიის შესწავლისადმი მოთხოვნილება. ისტორია უფრო მასშტაბური და სიღრმისეული გახდა. ამიერიდან იწერებოდა არა ცალკეული ქალაქ-სახელმწიფოების ან ხალხების ისტორიები, არამედ მთელი იმპერიისა და მასში შემავალი ხალხების საერთო ისტორია. თუ ბერძნებისთვის სახელმწიფო წარმოადგენდა მატერიალურ ფუნდამენტს მაღალი სულიერი კულტურის შესაქმნელად და სწორედ ეს კულტურა იყო მათთვის სიცოცხლის უმაღლესი მიზანი, რომაელთათვის რომის ისტორიის მთელი პროცესი იყო სახელმწიფოებრივი სიძლიერის მიღწევა, ხალხების დაპყრობა და საზღვრების გაფართოება. რომაელმა ისტორიკოსებმა თანამედროვეობის აღწერასთან ერთად დაიწყეს წარსულის გადმოცემაც. ბერძენი **პოლიბიოსი** (ძვ.წ. აღ-ით 200/201- დაახლ. 120) ისტორიკოსის მოვალეობად თვლიდა, მოვლენების არა მხოლოდ აღწერას, არამედ ახსნას. პირველად სწორედ მის შრომებში ჩაისახა მსოფლიო ისტორიის ცნება. იგი აქცენტს აკეთებდა სამხედრო და პოლიტიკურ ისტორიაზე, დიდ როლს ანიჭებდა ბედისწერას, თუმცა მასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად ცოდნა მიაჩნდა.

მსოფლიო სახელი მოიპოვა რომაელი ისტორიკოსის **კორნელიუს ტაციტუსის** (დაახლ. 58-117 წწ. შემდეგ) „ისტორიამ“ და „ანალებმა“. მისი, როგორც ისტორიკოსის ყველაზე ძლიერი მხარეა ფსიქოლოგიური ხედვა და საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა. ტაციტუსის შესწავლის ძირითადი საგანი იმპერატორთა და პოლიტიკოსთა მოღვაწეობა იყო. მან იმპერატორთა ბრწყინვალე დახასიათება მოგვცა.

ტაციტუსის შეფასებით იმპერატორთა მოღვაწეობა პროგრესულია, რადგან ისინი იმპერიის დიდებას განამტკიცებენ. მაგრამ, ამავე დროს, იგი მათ სისხლიან ტირანებსაც უწოდებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი ეყრდნობიან დაუნდობელ სამხედრო ძალას, დამბეზღებლებს, მოღალატე მოხელეებს და ღუპავენ ქვეყნის საუკეთესო შვილებს.

თავისი თხზულებების წერის დროს ტაციტუსი იყენებდა მრავალი სახეობის წყაროს: სხდომის ოქმებს, მემუარებს, მოგონებებს, წინამორბედ და თანამედროვე ისტორიკოსთა თხზულებებს. იგი დიდი მონდომებით კრებდა მასალას იმაზე, რაზეც წერას აპირებდა.

წყაროთა გამოყენების მრავალფეროვნებითა და მასალის შეკრებით იგი ნოვატორი იყო. ამასთანავე ტაციტუსი კრიტიკულად უდგებოდა მოპოვებულ წყაროებს; ერთი წყაროს ცნობას მეორესთან აჯერებდა, ადარებდა და კრიტიკის საფუძველზე არჩევდა უფრო მისაღებ მასალებს. ხშირად იგი მის ხელთ არსებულ წყაროებს ამოკლებდა. აღსანიშნავია, რომ ტაციტუსი მოთხრობილის მნიშვნელოვანი ნაწილის მომსწრეა.

ტაციტუსისთვის, როგორც მკვლევრისთვის დამახასიათებელია ისტორიული პროცესების დიალექტიკური გაგება. მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები „მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე“ (Sine ira et Studio). ამ სიტყვებით მან ისტორიული პროცესების მკვლევრებს შეახსენა – თქვენი უპირველესი მოვალეობა ჭეშმარიტების დადგენაა.

აღნიშნულმა ფორმულამ შემდგომი განვითარება **სპინოზას** გამონათქვამში პოვა – „მხოლოდ გაგებით და არა სიცილით, ტირილით, სიძულვილით“, რომელიც მთელი ისტორიული მეცნიერების დევიზი გახდა.

ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის ძირითადი პრინციპია ჰუმანიზმი. მისი თხრობის მთავარი საგანი ადამიანთა ისტორიაა, ადამიანის ქმედების, მიზნის, მარცხისა და წარმატების ისტორია. ისტორიის მსვლელობაში ღმერთები მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როდესაც ადამიანს საკუთარი სურვილისა და მიზნის მისაღწევად დახმარება სჭირდება. ღმერთებს არ გააჩნიათ კაცობრიობის ისტორიის განვითარების საკუთარი გეგმა, ისინი მხოლოდ ადამიანის გეგმების წარმატებასა თუ წარუმატებლობაში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ამიტომ ნებისმიერი ისტორიული მოვლენა ადამიანთა ნება-სურვილის პირდაპირ შედეგად განიხილება. ამ ეპოქის ისტორიკოსებისთვის მთავარია – ადამიანის არჩევანის თავისუფლების იდეა.

ადრე შუა საუკუნეებში დადგა საკითხი შეექმნათ ისტორიის ფილოსოფია, განმსჭვალული ღვთისმეტყველური სულით. ისტორიის შესწავლა მთლიანად დამოკიდებული გახდა ფილოსოფიის საკვანძო საკითხზე – შემეცნების თეორიაზე. შუა საუკუნეებში გაბატონდა სამყაროს შექმნისა და საზოგადოების ჩამოყალიბების თეოლოგიურ-

იდეალისტური გააზრება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ისტორიული პროცესების მისტიკური, სიმბოლური და ალეგორიული განმარტება. ისტორიის მთელ განვითარებას პროვიდენციალიზმის საფუძველზე ხსნიდნენ.

პროვიდენციალიზმი არის ობიექტურ-იდეალისტური ისტორიის ფილოსოფიის ფორმა, რომლის თანახმადაც ისტორიას განსაზღვრავს ღვთის ნება. ხოლო ღვთის ნების განხორციელება ადამიანის მეშვეობით ხდება. იგი ყველა თეისტური (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) რელიგიის არსებითი ნიშანია.

ქრისტიანული პროვიდენციალიზმი ეკლესიასთან ერთად წარმოიშვა. მისი ზეგავლენით, IV-V საუკუნეებიდან მოყოლებული, ისტორიის ახლებური გაგება ჩამოყალიბდა, რომლის მიხედვით ისტორიული პროცესი განიხილება, როგორც ღვთიური ნების და არა ადამიანური მიზნების შედეგი. თუმცა ღვთიური ნება ხორცშესხმას პოულობს ადამიანთა ქმედებებში. ღმერთი მხოლოდ ამ ქმედებების განსაზღვრითა და ადამიანთა სურვილების ცვალებადობით შემოიფარგლება.

რას ნიშნავს ეს? ყოველმა ადამიანმა იცის – თუ რა სურს და როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს, ოღონდ მის სურვილს განსაზღვრავს ღმერთი. ერთი მხრივ, ისტორიის შემოქმედი არის ადამიანი, რადგან ისტორიას ქმნის ადამიანთა ნება, მეორე მხრივ, ისტორის ერთადერთი შემოქმედი ღმერთია, რადგან ადამიანთა ქმედება, სურვილები, მიზნები, მისწრაფებანი და მიღებული შედეგები წინასწარაა ღმერთის მიერ ნაკარნახები. ერთი მხრივ, ღმერთი ზრუნავს ადამიანთა კეთილდღეობაზე და ღვთიური მიზანი სწორედ ამ კეთილდღეობის შექმნაა, მეორე მხრივ, ღმერთს საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის სჭირდება ადამიანი. საკითხისადმი ამ ახალი მიდგომით აღიარებულ იქნა ადამიანის როლი ისტორიის განვითარებაში. სწორედ ესაა თანამედროვე ისტორიის, როგორც მეცნიერების ქვაკუთხედი.

ქრისტიანისთვის ღვთის წინაშე ყველა ერთია; მისთვის არ არსებობს რჩეული ერი, სხვაზე უფრო მნიშვნელოვანი ბედის მქონე საზოგადოება. ქრისტიანს სჭირდება სამყაროს ისტორია მთლიანად, მსოფლიო ისტორია, რომლის ძირითადი თემა – ადამიანისთვის

ღვთის განგების აღსრულებაა. შუა საუკუნეების ისტორიკოსებს ამ ობიექტური, ანუ ღვთიური გეგმის ახსნა-განმარტება ევალებოდათ.

პროვიდენციალიზმის იდეები ყველაზე საფუძვლიანად **ნეტარი ავგუსტინეს** (354-430) შემოქმედებაში აისახა. ისტორიული პროცესების მისეულმა გააზრებამ საფუძველი დაუდო შუა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ-საეკლესიო ისტორიოგრაფიას. მისი შეხედულებების წარმოჩენა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შუა საუკუნეების ისტორიული მსოფლმხედველობის გასაგებად, არამედ მთლიანად მთელი ისტორიოგრაფიის განვითარების დახასიათებისთვის დღემდე, რადგან თვით XIX-XX საუკუნეების ისტორიოგრაფიაში, მრავალი ისტორიკოსის ნააზრევში, მუდმივად ვაწყდებით ავგუსტინეს იდეებისა და კონფესიური მსოფლმხედველობის სერიოზულ გავლენას.

ნეტარი ავგუსტინეს კვლევის საგანი იყო პიროვნების რაობა, სამყაროსა და ღმერთის მიმართება, დრო და თავისუფლება. მისთვის ისტორიის შინაარსია მოძრაობა და განვითარება დროში, რადგან სამყარო ღმერთმა დროსთან ერთად შექმნა. ამდენად, მისთვის დრო და მარადიულობა განსხვავებული ცნებებია. ავგუსტინესთვის გონება მაშინ იღებს ჭეშმარიტ მიმართულებას, თუ იგი რწმენის განმტკიცებას ემსახურება. მისთვის სამყარო ღმერთის მიერ არარაობისგან არის შექმნილი, ამიტომაც ცოდვებით არის დამძიმებული. შესაბამისად, კაცობრიობის ისტორია ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაა. მარადიული მხოლოდ განკითხვის შემდეგ დგება.

ნეტარი ავგუსტინე არის პირველი ისტორიკოსი, რომელმაც ბიბლიური ისტორიოგრაფიის მოდელით, ისტორიულ პროცესთა გლობალური თეორია შექმნა. მან ისტორიას დააკისრა მხსნელის, ცოდვათა მონანიების, დამრიგებლის მისია, ქაოსურ სამყაროში განგების საშუალებით წესრიგის, კანონისა და საბოლოო მიზნის გააზრება. მის ნააზრევში დიდი ადგილი უკავია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას, ისტორიაში მათი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას.

რადგან შუა საუკუნეების ისტორიკოსთა მიზანი იყო აეხსნათ და წარმოეჩინათ ღვთიური გეგმა, რომელიც დროში ვითარდებოდა და მისი განხორციელებისთვის საჭირო იყო გარკვეული ეტაპების გავ-

ლა, წარმოიშვა ისტორიის ეპოქებად დაყოფის კონცეფცია. ყოველი ეპოქა რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენით იწყებოდა. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ოთხი მონარქიის – ასურეთ-ბაბილონის, მიდია-სპარსეთის, ალექსანდრე მაკედონელისა და რომის იმპერიის ეპოქებად დაიყო. ისტორიის ეპოქებად დაყოფის მცდელობა მომწიფებული ისტორიული აზროვნების მაჩვენებელია. ამ აზროვნების მიზანია არა მხოლოდ ფაქტების დადგენა, არამედ განმარტებაც.

შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფია ფეოდალური საზოგადოების, მეფეთა და დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ისტორიას მოგვითხრობს. ამ პერიოდის ისტორიკოსები საერო და საეკლესიო ფეოდალურ წრეს ეკუთვნიან. შესაბამისად ისინი გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავენ. მათი შრომები საზოგადოების მაღალი წრის, მისი განათლებული და გაბატონებული ნაწილისთვის იყო გამიზნული. მათი თხრობის ძირითადი საგანი მეფეთა და გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაა. ამდენად, ისტორიკოსთა ინტერესის სფეროს მშრომელი ხალხი არ წარმოადგენს.

შუა საუკუნეების ქრონოგრაფებისთვის დამახასიათებელია გადაჭარბებული რიცხვების დასახელება (მაგ., ომში მონაწილეთა რაოდენობა), რადგან თხრობის დროს ავტორი ფაქტების სიზუსტეზე მეტად მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენისთვის ზრუნავს. სწორედ ამ თვისებაში კარგად ჩანს, როგორც ბიბლიური ჰიპერბოლიზებული სტილის, ასევე რომაული რიტორიკის გავლენა. მატიანეებში ხშირია ბიბლიური სიუჟეტების გამოყენება, წონისა და სიგრძის ერთეულების ბიბლიიდან ან ანტიკური მწერლობიდან გადმოღება. საერთოდ, შუასაუკუნოვან კულტურაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ანტიკურობა, ხოლო ქრონოგრაფთა ერთი ნაწილისათვის რომაელი ისტორიკოსი – ტიტუს ლივიუსი მიბაძვის საგანს წარმოადგენდა.

მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ქრონოგრაფები ხშირად ერთსა და იმავე შეცდომას უშვებენ. მაგალითად, კლასიკურ ავტორთა გადმოწერის დროს ტექსტში ურთავენ გამოთქმას: „წმინდა წერილი“, „ღმერთების“ მაგივრად წერენ „ღმერთს“ და სხვ. შუა საუკუნეების მემატიანეები უხვად იყენებენ ბიბლიურ ტერმინებს, სიტყვებს, ეპითეტებს და ა.შ., ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შუასაუკუნო-

ვან ისტორიოგრაფიაზე უდიდესი გავლენა აქვს „წმინდა წერილს“, რომელიც მის სააზროვნო სისტემაში დოგმად ითვლება. ქრონოგრაფებისთვის დამახასიათებელია ისტორიული ფანტაზიაც.

ისმის კითხვა – რამდენად ზუსტია მათ მიერ გადმოცემული ფაქტები? ქრონოგრაფთა მიზანი არ იყო ფაქტების სიზუსტე. მთავარია ისინი განემარტათ რელიგიურ ან პოლიტიკურ ჭრილში. კრიტიკა მათთან ძალიან მცირე ადგილს იკავებდა. ამ თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია საერთო ნიშანი, რომელსაც გერმანელი ისტორიკოსები „ერთი წყაროს პრინციპს“ ეძახიან. ისინი ერთი კონკრეტული მოვლენის შესახებ მათ ხელთ არსებული წყაროებიდან ძირითადს იღებენ, მასზე დაყრდნობით იწყებენ თხრობას. სხვა წყაროების ერთმანეთთან შეჯერება კრიტიკული მეთოდით არ ხდება. დანარჩენი წყაროებიდან მხოლოდ იმათ იყენებენ, რომლებიც ძირითად წყაროში მოცემული ფაქტების გასამყარებლად გამოადგებათ.

მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, ქრონოგრაფებს მაინც ჰქონდათ ისტორიული წყაროს კრიტიკის ელემენტები. ისინი ზოგჯერ მიუთითებდნენ ამა თუ იმ წყაროს ნაკლებ სანდოობას, მკითხველს აძლევდნენ საშუალებას, აერჩია მოვლენის აღწერის ესა თუ ის ვარიანტი. წყაროს კრიტიკის ამგვარი ელემენტების საჭიროება გაჩნდა შუა საუკუნეების ევროპაში მრავალრიცხოვანი ნატყუარი საბუთების არსებობის გამო. მართალია, მატიანეებში იყო ქრონოლოგიის აღნუსხვის ტრადიცია, მაგრამ XVI-XVII საუკუნეებშიც კი თარიღებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მრავალი მაგალითია, როდესაც შუა საუკუნეების მატიანეები თარიღების სიმწირით გამოირჩევა.

შუა საუკუნეების ეპოქაში ისტორია არ წარმოადგენდა მეცნიერებას. იგი, როგორც ფილოსოფია და სხვა საბუნებისმეტყველო დარგები, ღვთისმეტყველების სამსახურში იდგა. იმდროინდელი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ისტორია განიხილებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი მოვლენა. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი – შუა საუკუნეებმა კაცობრიობას აჩუქა ქრონიკები, ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური აღნუსხვის პირველი გამოცდილება და მატიანეს ტიპის კრებულები.

შუა საუკუნეების ქართულმა ისტორიულმა აზროვნებამ შექმნა უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა კრებული, სადაც საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე გადმოცემულია ერთიანი, მთლიანი, მწყობრად გამართული ისტორიის სახით.

„ქართლის ცხოვრების“ ეს ძველი ციკლი წარმოადგენს საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროს, შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში და არა მხოლოდ ქართულში, მის შესახებ კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც მუდმივი პროცესია და დღემდე გრძელდება. ამდენად, ისტორიოგრაფიაში მრავალი თვალსაზრისი არსებობს მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების მოცულობის, დასათაურებისა თუ ავტორების ვინაობის შესახებ. ყველაზე სრულყოფილ გამოცემად დღემდე ითვლება ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ (არსებობს სხვადასხვა გამოცემა), ხოლო ს. ყაუხჩიშვილს ძეგლი გამოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული სტრუქტურის მიხედვით. ამდენად, ქვემოთ თხზულებათა დასათაურებას და თითოეული თხზულების ქრონოლოგიურ ჩარჩოს წარმოვადგენთ ივ. ჯავახიშვილის ვერსიის თანახმად.

1. ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“.
2. ლეონტი მროველი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“.
3. ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.
4. ლეონტი მროველი, „მეფე ქართლისა არჩილი“.
5. „მატიანე ქართლისა“.
6. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“.
7. ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა).
8. სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.
9. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.
10. ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.
11. ჟამთააღმწერელი.

ლეონტი მროველი, რუისის მღვდელმთავარი, მიჩნეულია XI ს-ის II ნახ. მოღვაწედ, რომლის შესახებაც მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იგი თხზულებათა ავტორია, ნაწილს კი რედაქტორ-გადამწერად მიაჩნია. მისი პირველი ორი თხზულება გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან ვიდრე ახ. წ. V ს-მდე, ხოლო მესამე თხზულება ეხება VIII საუკუნეს. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორი მეცნიერთა გარკვეული აზრით, XI საუკუნის ისტორიკოსია, ნაწილი მას VIII საუკუნის ავტორად, ნაწილი კი ვახტანგ გორგასლის (V ს. II ნახ.) თანამედროვედ მიიჩნევს. „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს VIII-XI სს-ის ისტორიას, ხოლო თხზულება დაწერილი უნდა იყოს XI ს- II ნახევარში. ისტორიული ძეგლის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ უცნობი ავტორი დავით აღმაშენებლის თანამედროვეა, რომელიც 1072-1125 წლების ისტორიას მოგვითხრობს. სუმბატ დავითის ძე, ძირითადად, VI-XI სს-ის მოვლენებს გადმოგვცემს, თავად კი XI ს-ის I ნახ. ისტორიკოსად ითვლება. თამარ მეფის (1184-1207/10) ეპოქის შესახებ ორი თხზულებაა წარმოდგენილი: პირველი – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც მოიცავს გიორგი III-ის (1156-84), თამარის მამისა და თავად თამარის დროის ისტორიას. ავტორი XII-XIII სს. მიჯნის მოღვაწეა. ბასილი ეზოსმოღძღუარს კი ივ. ჯავახიშვილი თამარის დროინდელ სახელმწიფო მოღვაწედ მიიჩნევს. ჟამთააღმწერლის თხზულება მოიცავს ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1207/10) გიორგი V ბრწყინვალეს გამეფებამდე (1314/18) ისტორიას, თავად კი XIII ს, II ნახ. –XIV ს. I ნახ. მოღვაწედაა მიჩნეული.

„ქართლის ცხოვრებას“, როგორც ისტორიულ ნაშრომს, აქვს ყველა ის ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია, ზოგადად, შუა საუკუნეების მატიანეებისათვის. იგი თავისი მსოფლმხედველობით, იდეოლოგიით, ამოცანებით შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის ტიპური ნიმუშია:

პირველი – „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს ქართული ფეოდალური საზოგადოების ისტორიას. იგი მთლიანად გამოხატავს და იცავს გაბატონებული კლასის, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. მისი თხრობის უპირველესი საგანია მეფეთა ცხოვრება. კრებულში შემავალი მატიანეები მოგვითხრობენ ფარ-

ნავაზის, მირიანის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვა ქართველ მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

შუასაუკუნოვანი ისტორიკოსის ამოცანას არ წარმოადგენდა მწარმოებელი კლასის ისტორიის გადმოცემა. ამდენად, ქართველი მემატიანე „ვერ გამოეკიდებოდა მდაბიო ხალხის ცხოვრების აღწერას“. აქედან გამომდინარე, კრიტიკა (ილ. ჭავჭავაძე), თუ რატომ არ არის ჩვენს მატიანეებში ასახული მწარმოებელი საზოგადოების ცხოვრება და კლასობრივი ბრძოლა – უმართებულოა.

მეორე – „ქართლის ცხოვრებაში“ არის ტენდენცია საქართველოს ისტორია აღქმულ იქნეს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ამ კრებულში შესული თხზულებების ავტორები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს მსოფლიო ისტორიის ცნობილ ფაქტებთან აკავშირებენ. მაგალითად, ქართლის სამეფოს შექმნა, ფარნავაზიანთა დინასტიით სათავეში, იწყება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებით საქართველოში. საკითხის ამგვარი გააზრება არ არის შემთხვევითი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების ქრისტიანისთვის მისაღებია მსოფლიო ისტორიის მთლიანობაში აღქმა. ამიტომ ქართველი მემატიანე საქართველოს ისტორიას წარმოაჩენს, როგორც მსოფლიო ისტორიის ნაწილს, ხოლო მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია, რადგან ოთხი მონარქიის პრინციპით იყოფა და ერთ-ერთი ეპოქა ალექსანდრე მაკედონელით იწყება, ქართველი ისტორიკოსიც საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენას – ქართლის სამეფოს წარმოშობას, ამ მეფის სახელს უკავშირებს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიურ საყრდენად მსოფლიო ისტორიული მოვლენების აღება. ხოლო მემატიანის სანდოობის გარკვევისთვის ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის რეალურობის დადასტურება (ამგვარი დამოკიდებულება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირია).

მესამე – „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც, ზოგადად, შუასაუკუნოვან მატიანეებში, მრავალი პრობლემის გააზრება ბიბლიურ „თეორიაზე“ დაყრდნობით ხდება. ქართველი და კავკასიელი ხალხ-

ის ეთნოგენეზი, სამეფო ხელისუფლებისა და სამეფო დინასტიების წარმოშობა და სხვ. მაგალითად, ქართლოსიანნი (ქართველები) და კავკასიის მთელი ხალხი ბიბლიური თარგამოსის (თარგომა – ნოეს უმცროსი შვილის, იაფეტის მემკვიდრე) შთამომავლებად არიან გამოცხადებულნი, ხოლო კავკასიელ ხალხთა ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრებას „ბაბილონის გოდოლის“ ლეგენდას უკავშირებენ. სამეფო დინასტიის – ბაგრატიონთა წინაპრად ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი ითვლება.

მეოთხე – „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა და რედაქტორთა მსოფლმხედველობა შუასაუკუნოვანი პროვიდენციალიზმით ხასიათდება. კრებულში მეფეთა და გმირთა მოღვაწეობა აღწერილია, როგორც ბრძოლა ქრისტიანული რწმენის დასაცავად, ისტორიული პირის დადებითად დახასიათებისას წინ წამოწეულია მისი ღვთისმოსაობა, ხოლო სტიქიური უბედურებები და ომები მიჩნეულია ადამიანთა ურჩობის, ბიწიერი ცხოვრებისა და ურწმუნოების შედეგად გამოგზავნილ ღვთის რისხვად. მატიანეებში ხშირია ციტირება „წმინდა წერილიდან“, ხოლო ადამიანთა ქცევა შეფასებულია წმინდა მამათა დოგმების მიხედვით. მაგალითად, მეფე დავით აღმაშენებლის წარმატებები ახსნილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც ღვთიური ნების გამოვლინება – „თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას“; ხოლო საქართველოში არაბთა გამანადგურებელი ლაშქრობები სასჯელია „განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩუენთასა“. ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება XIV საუკუნის I ნახ. ისტორიის ავტორის თხზულებისა და ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომის – „წმინდა ქალაქის“ მსგავსების შესახებ. (გ. ჯოხაძე). „ქართლის ცხოვრების“ კრებულში მრავალი სასწაული, წინასწარმეტყველური სიზმარი თუ ლეგენდაა შეტანილი, რაც, აგრეთვე, შუასაუკუნოვანი მატიანეებისათვისაა დამახასიათებელი და გარკვეულ დატვირთვას ატარებს. ამგვარი პასაჟების არსებობა (ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის წინასწარმეტყველური სიზმრები, ვახტანგ გორგასლის ოსებთან ბრძოლის დეტალები და სხვ.) არ შეიძლება მემატიანის ნაკლად ჩაითვალოს, რადგან ისინი იმდროინდელი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მოთხოვნათა აუცილებელი ატრიბუტია. მაგალითად,

ვახტანგ გორგასლის შესახებ თხზულების შეფასება, მასში ასეთი პასაჟების ჭარბად არსებობის გამო, ამგვარად, „იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს“ (ივ. ჯავახიშვილი) – ზედმეტად მკაცრია.

მეხუთე – „ქართლის ცხოვრების“ ავტორები კარგად იცნობენ ანტიკურ სამყაროს, ბერძენ და რომაელ მწერლებს. პერსონაჟთა დახასიათებისა და მოვლენათა აღწერის დროს წარმატებით იყენებენ შედარებით მეთოდს.

მათთვის სამაგალითო სახეა ალექსანდრე მაკედონელი და ხშირად ქართველ მეფეებს მას ადარებენ. ამ ნიშნებით განსაკუთრებით გამოირჩევიან დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები.

ანტიკური ისტორიით, ფილოსოფიითა და ლიტერატურით დაინტერესება, ზოგადად, შუასაუკუნოვანი მემატიანეებისთვის არის დამახასიათებელი. თვით ნეტარი ავგუსტინეს თხზულებებში კარგად ჩანს ანტიკური კულტურის ბრწყინვალე ცოდნა და ნეოპლატონიზმით გატაცება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების მატიანეებს ახასიათებთ თარიღების სიმწირე, რაც ასევე „ქართლის ცხოვრების“ კრებულისათვისაა ნიშანდობლივი. ამ ხარვეზების შევსებას, თავდაპირველად, ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა კომისია“ (XVIII ს.) და ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ცდილობდნენ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ვფიქრობთ, ზემოთ გადმოცემულმა ფაქტებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ყველა იმ ნიშანს ატარებს, რომელიც ახასიათებს შუასაუკუნოვან მატიანეებს. იგი იმდროინდელ მოთხოვნებს ზედმიწევნით აკმაყოფილებს და თუ ეს მოთხოვნები მომდევნო ეპოქების ისტორიოგრაფიაში კრიტიკის საგნად იქცა, ამით „ქართლის ცხოვრების“, როგორც საისტორიო კრებულის მნიშვნელობა ვერ შესუსტდება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ქართული მატიანეები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით იწერებოდა და ისინი კომპოზიციურად კარგად აწყობილ თხზულებებს წარმოადგენენ, სადაც მკვეთრად არის

გამოყოფილი მნიშვნელოვანი; აგრეთვე, ავტორებმა კარგად იციან, როგორ და რა გზით უნდა იწერებოდეს სამაგალითო თხზულება; შეგნებული აქვთ, რომ ჟამთააღმწერლობა, უპირველეს ყოვლისა, „ჭეშმარიტების მეტყველება არს“ – შეიძლება თამამად ითქვას: „ქართლის ცხოვრების“ საისტორიო კრებული არა მხოლოდ ქართული, არამედ მთელი შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის საუკეთესოდ შესრულებული ძეგლია.

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა – „ქართლის ცხოვრება“ ქართველი ფეოდალური საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელო წიგნია, რომლითაც საქართველოს თავგადასავალი შეისწავლებოდა. საქართველოს ისტორიის ერთიანი წიგნის შექმნა ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნებისათვის თავის მობმას და ამდენადვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს... იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა – სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლი ცხოვრება“. გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნია“. სახარებას იმდენი წილი ედო ქართული ფეოდალური კულტურის განმტკიცების საქმეში, რომ „ქართველი“ ქრისტიანობის სინონიმად იქცა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ფეოდალური საქართველოს კულტურული ხანის გამოკვეთის საქმეში „ვეფხისტაყაოსანი“, ფეოდალური საქართველოს ეს ჰიმნი, ქართველი ფეოდალური ზნეობის ეს კოდექსი, „ქართლის ცხოვრება“ კი ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დაფუძნებას ემსახურებოდა (ქართლის წარმოშობა, ზრდა-განვითარება, საქართველოს ეროვნული დადგინება, აყვავება)“.

XIV საუკუნის მიწურულს ევროპული აზროვნების მიზანი გახდა ისტორიული კვლევების შეცვლა. დიდი თეოლოგიური და ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც იძლეოდნენ საფუძველს ისტორიული განვითარების წინასწარ განსაზღვრული ღვთიური გეგმის არსებობის შესახებ, თანდათანობით კარგავს ნდობას. სანაცვლოდ იზრდება ჰუმანისტური შეხედულებები ისტორიაზე, რომელიც ეყრდნობა ანტიკურ ჰუმანიზმს, ანტიკური კულტურის მემკვიდრეობას – მის ფილოსოფიას, მეცნიერებას, ხელოვნებას. ჰუმანისტები ანტიკურობაში ხედავდნენ მარადიულ ფასეულო-

ბებს და სურდათ ამ მემკვიდრეობის აღორძინება. ამიტომ ეწოდა მათ ეპოქას „რენესანსი“. ევროპული რენესანსის სამშობლოდ ითვლება იტალია. აქედან იწყება კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა, ბურჟუაზიული აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

თავისი შინაარსით ჰუმანიზმის მსოფლმხედველობა ფეოდალურ-ეკლესიური სისტემის შეხედულებათა გამოწვევას წარმოადგენს. იგი მტრულადაა განწყობილი სამყაროს თეოლოგიურად ახსნისადმი. თუმცა, ისტორიკოს-ჰუმანისტებმა ისე უარყვეს ისტორიის განვითარებაში ღვთიური ნების მნიშვნელობა, რომ აშკარა პოლემიკაში საეკლესიო მსოფლმხედველობის წარმომადგენლებთან არ შესულან[1]. ნაწილობრივ, ეს ხდებოდა იმის გამო, რომ მათი ისტორიული თხზულებები ჯერ კიდევ შორს იდგა ჭეშმარიტი მეცნიერებისაგან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ამ პერიოდში არ არსებობდა ბაზა, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა მკვეთრი დაპირისპირება მეცნიერებასა და რელიგიურ მსოფლმხედველობას შორის, ის ბაზა, რომელსაც ქმნიან ზუსტი მეცნიერებები.

შუასაუკუნოვან დოგმებს ჰუმანისტებმა დაუპირისპირეს ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების ახსნის საერო განმარტება. მათ წინ წამოსწიეს ადამიანი-შემოქმედი, რომელსაც გააჩნია სამყაროს შემეცნებისა და შეცვლის უნარი.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ძირითადი ღირსებაა ისტორიული აზრის სეკულარიზაცია, ანუ მისი გათავისუფლება თეოლოგიისაგან. ჰუმანისტები უარს ამბობენ რა პროვიდენციალიზმის პოზიციიდან ისტორიული მოვლენების განმარტებაზე, იწყებენ ამ მოვლენათა ბუნებრივი მიზეზების ძიებას. ცდილობენ ამოიცნონ ის-

[1]. ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში, ჰუმანისტური მიმდინარეობა დაუკავშირდა საეკლესიო რეფორმაციას (XVI ს.), რომელიც მოითხოვდა კათოლიკური ეკლესიის ძირეულ გარდაქმნას, რომის პაპის უფლებების შეზღუდვასა და ეროვნული ეკლესიების დაფუძნებას; კერძოდ, წირვა-ლოცვის ეროვნულ ენაზე შემოღებას (შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში წირვა-ლოცვა ლათინურად სრულდებოდა). ამდენად, ჰუმანისტების ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ყოველთვის, მით უფრო გვიან აღორძინების ხანაში, არც თუ ისე უმტკივნეულოდ მიდიოდა. თუმცა ამგვარი აგრესია უფრო მის ფორმასა და ფუნქციებს ეხებოდა, ვიდრე შინაარსს.

ტორიული განვითარების კანონები. საზოგადოების განვითარების ახსნა ხდება არა ზებუნებრივი ძალების მოქმედებით, არამედ გამოჩენილ ადამიანთა მოღვაწეობით, რომელთა საქმიანობაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ისტორიისადმი ამგვარმა მიდგომამ წარმოშვა ახალი შეხედულებები საზოგადოებასა და მის განვითარებაზე, სახელმწიფოსა და სამართალზე, რელიგიაზე. ამან განაპირობა ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის შექმნა. მისი გამოჩენილი წარმომადგენლები (ნ. მაკიაველი – იტალია, ჟ. ბოდენი – საფრანგეთი) ცდილობდნენ ისტორიის შინაგანი კანონზომიერებების გამომზეურებას. ისინი ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალას პოლიტიკურ და სოციალურ ბრძოლაში ხედავდნენ[2].

მართალია, ჰუმანისტები ებრძოდნენ შუასაუკუნოვან დოგმებს, მთლიანად უარყვეს შუასაუკუნოვანი სასწაულები, ხმარებიდან ამოიღეს ქრონოგრაფების მიერ შემოღებული ტერმინები, მაგრამ თავად ვერ ასცდნენ ანტიკურობისადმი მიმბაძველობას, რომელიც ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენდა მათზე. რადგან ჰუმანისტებისთვის ძველი დროის ისტორიკოსები შეუვალ ავტორიტეტებს

---

[2] გასათვალისწინებელია ისიც, რომ იტალიაში ჰუმანისტების მიერ ეკლესიასთან აშკარა დაპირისპირებისათვის თავის არიდება გამოწვეული იყო იმითაც, რომ ბურჟუაზია XV-XVI სს. ჯერ კიდევ ფეხს იკიდებდა და მას მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის დაწყების შესაძლებლობა ეკლესიის წინააღმდეგ არ ჰქონდა, როგორც ეს მოხდა XVII ს-ის ინგლისში და XVIII ს-ის საფრანგეთში, როდესაც ბურჟუაზია, როგორც რევოლუციური კლასი, ღიად გამოვიდა ფეოდალიზმისა და მისი დაწესებულებების ლიკვიდაციის მოთხოვნით.

ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოაზროვნე, სახელმწიფო მოღვაწე. იტალიაში „პოლიტიკური სკოლის“ ფუძემდებელი, რომელმაც ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. ამ სკოლამ ისტორიის შესწავლაში გამოიყენა განზოგადოების მეთოდი. შეეცადა ისტორიის შინაგანი კანონზომიერებების აღმოჩენას. ნ. მაკიაველი იყო მოაზროვნე, რომელმაც სახელმწიფოს განვითარების მიზეზები თავად სახელმწიფოშივე აღმოაჩინა.

ჟან-ბოდენი (1530-1596) – პოლიტიკური მოაზროვნე, იურისტი, ცნობილი თეორეტიკოსი ისტორიისა და პოლიტიკის დარგში, გვიანი ჰუმანიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც მიისწრაფოდა აღმოეჩინა „ადამიანის ქმედების ზოგადი პრინციპები“; მან წამოაყენა თავისი დროისთვის სრულიად ახალი იდეა, რომლის მიხედვით ისტორია არის განსაკუთრებული მეცნიერება. იგი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კანონზომიერებანი, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია განვმარტოთ წარსული და აწმყო, განვსჭვრიტოთ მომავალი.

წარმოადგენდნენ. ამიტომ მათ მიერ ყველაზე დაუჯერებელ მონათხრობსაც კი კრიტიკის გარეშე იღებდნენ.

ჰუმანისტებმა უარყვეს რა ისტორიის განვითარების თეოლოგიური კონცეფცია, მოგვცეს ისტორიის ახალი პერიოდიზაცია: „ძველი“, „შუა“ და „ახალი“ (კრიტერიუმებად აიღეს სულიერი კულტურის სხვაობა), რომელმაც მოგვიანებით ისტორიოგრაფიაში ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი.

ჰუმანისტ-ისტორიკოსებისთვის დამახასიათებელია ცალკეული სახელმწიფოებისა და ხალხების ისტორიისადმი ინტერესი. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად იცვლება ისტორიული თხზულებების ხასიათი. შუასაუკუნოვანი ქრონიკები, ჩვეულებრივ, აერთიანებენ რეგიონის, ქვეყნის, ქალაქის ისტორიას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ახლა უპირატესობა ენიჭება ცალკეული ქვეყნებისა და ქალაქ-რესპუბლიკების (იტალია) ისტორიას. ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება დაკავშირებულია იმპერატორთა ძალაუფლების დაცემასა და ეროვნული სახელმწიფოების ზრდასთან. ეს პროცესი XIV-XVI საუკუნეების ევროპაში მკვეთრად შეიმჩნევა. შედეგად ისტორია ადგილობრივ ხასიათს იღებს და შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი „მსოფლიო ისტორიისადმი“ ლტოლვა ნელდება.

ჰუმანისტი-ისტორიკოსების ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა პოლიტიკური და ომების ისტორია. მათ მხედველობის არედან გამორჩათ ხალხთა ისტორია, უპირატესობა გამოჩენილ ადამიანთა ნებისყოფასა და მისწრაფებებს მიანიჭეს.

ჰუმანისტებს სურდათ რა ისტორია გაეთავისუფლებინათ საღვთისმეტყველო ლეგენდებისაგან, დიდ ყურადღებას უთმობდნენ შუასაუკუნოვანი ქრონიკების კრიტიკას. აქედან გამომდინარე, მათთვის დამახასიათებელია ისტორიული კრიტიციზმის ელემენტები.

როგორი პრიმიტიული, უხეში და მიამიტურიც არ უნდა იყოს ეს კრიტიკა, იგი მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისტორიის მეცნიერულად კვლევის გზაზე.

ჰუმანისტი-ისტორიკოსები მნიშვნელოვნად აფართოებდნენ წყაროთა წრეს, დაუღალავად იძიებდნენ ანტიკურ და შუასაუკუნოვან ხელნაწერებსა და სხვა სიძველეებს. ბევრი მათგანი საკუთარ დანაზოგს ახალი ხელნაწერების მოპოვებაში ხარჯავდა. ისინი არა

მხოლოდ აგროვებდნენ მასალებს, არამედ ცდილობდნენ მათ სისტემატიზაციასა და დამუშავებას.

რენესანსის[3] ეპოქაში (XIV ს. ბოლო – XVI ს.) ისტორია, მართალია, განთავისუფლდა შუასაუკუნოვანი აზროვნების შეცდომებისაგან, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მოძებნილი ისტორიის შესწავლის კონკრეტული საგანი. ისტორიას ჰქონდა გარკვეული პროგრამა – წარსულის აღორძინება, მაგრამ არ ფლობდა მეთოდებს, პრინციპებს, რომლითაც იხელმძღვანელებდა და განახორციელებდა ამ პროგრამას.

XVII საუკუნეში მსოფლიოში ახალი ინტელექტუალური ტალღა დაიძრა. ამ პერიოდს ისტორიკოსთა ნაწილი „გენიოსების ეპოქას" უწოდებს. მეცნიერების ისტორიაში ეს საუკუნე გალილეითა და ბეკონით იწყება და მთავრდება ნიუტონით. XVII საუკუნე ზუსტი მეცნიერებების სწრაფი განვითარების ასწლეულად იქცა. მართალია, ზუსტი მეცნიერებები სათავეს უფრო ადრეული საუკუნეებიდან იღებენ, მაგრამ აღნიშნულ ეპოქაში მათი განვითარების მტკიცე საფუძველი ევროპის ეკონომიკურმა აღმავლობამ შექმნა.

XVII საუკუნეში ისტორიული მეცნიერების განვითარებაში ორი მიმართულება გამოიყოფა – პირველი, რომელიც ემსახურება ისტორიული მასალების შეგროვებას, სისტემატიზაციას, შესწავლას, გამოცემას. მეორე, რომელიც მიისწრაფვის დაადგინოს ისტორიის განვითარების საერთო კანონები, შექმნას სოციოლოგიის საფუძვლები, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისას გამოიყენოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდიკა.

პირველ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა სასულიერო საზოგადოებამ. როგორც ცნობილია, რენესანსის ეპოქამ ძლიერ შეარყია ფეოდალურ-ეკლესიური სისტემის შეხედულებათა საფუძ-

[3] დღეს, ჩვენს მეცნიერებაში, აკად. შ. ნუცუბიძის აღმოსავლეთის რენესანსის თეორიის საფუძველზე, ლაპარაკობენ არა მხოლოდ ქართულ **რენესანსზე**, რომელიც XII ს. დასასრულს დაიწყო, არამედ, ზოგადად, აღმოსავლურ რენესანსზე; მაგრამ **რენესანსის** კლასიკური ნიმუში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, კერძოდ, იტალიამ მოგვცა. აქ აღორძინების ეპოქის კულტურამ განვითარების ყველა საფეხური გაიარა. შედეგად მივიღეთ ბურჟუაზიული ეპოქის ფილოსოფია, რადგან XVI-XVII სს. მსოფლიო მეცნიერების რევოლუციის წყაროდ იქცა ევროპული და არა აღმოსავლური რენესანსი, ხოლო ჩვენ გვაინტერესებს რა, ზოგადად, ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპები, ამიტომ განვიხილეთ ევროპული ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

ვლები. ამდენად, მიიღეს გადაწყვეტილება ისტორიის დარგში ისევ განემტკიცებინათ თეოლოგიური, პროვიდენციალური მსოფლმხედველობა. ამ გადაწყვეტილების კერად იქცა საფრანგეთი, კათოლიკური ეკლესიით სათავეში. ხოლო ფართომასშტაბიანი სამუშაოები, ძირითადად, გაიშალა საეკლესიო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით მონასტრებში. ეს ბუნებრივია, რადგან თავად მონასტრები შუასაუკუნოვან წყაროთა ძვირფას საგანძურს ფლობდნენ. დიდი რაოდენობით სიგელ-გუჯრები, სხვადასხვა გარიგებათა ჩანაწერი, წყალობის წიგნები მათ არქივებსა და ბიბლიოთეკებში ინახებოდა. ამავე დროს, მონასტრები ტრადიციულად მეცნიერებისა და კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ. საფრანგეთის მონასტრებში ჩამოყალიბდა კონგრეგაცია (ერთგვარი წესდების მქონე მონასტრების გაერთიანება), რომელმაც მიზნად დაისახა სამეცნიერო მუშაობა. კონგრეგაციის წევრები წარმოადგენდნენ ერუდიტებს – ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ ფართო განათლება და ფლობდნენ უზარმაზარ ფაქტოლოგიურ მასალას.

ერუდიტები აწარმოებდნენ მიწერ-მოწერას ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით იტალიასთან. ითხოვდნენ მათ მონასტრებში არსებული არქივების შესწავლას, მასალების თავმოყრასა და ინფორმაციის მოწოდებას. ამგვარ სამეცნიერო მუშაობას დიდძალი თანხები სჭირდებოდა. კონგრეგაციის წევრებს ამისთვის განუსაზღვრელი რაოდენობის სახსრები გააჩნდათ. ისინი, ერთი მხრივ, დაკავებულები იყვნენ წყაროების შეგროვებით, კრიტიკითა და გამოცემით, მეორე მხრივ, მრავალტომიანი ისტორიული ნაშრომების შედგენით. რადგან ისტორიის მეცნიერულად შესწავლის უპირველეს პირობად წყაროების შეგროვება, გამოცემა და კრიტიკა ითვლება, საეკლესიო მოღვაწეები სწორედ ამ სამუშაოს ასრულებდნენ. თანდათანობით მათ საფუძველი ჩაუყარეს ისტორიის დამხმარე დისციპლინებს – **პალეოგრაფიას, ეპიგრაფიკას, დიპლომატიკას, ქრონოლოგიას, გენეალოგიას და სხვ.** ერუდიტებმა თავიანთ ნაშრომებში პირველად გამოიყენეს ორიგინალურ წყაროთა ციტირება, როგორც ჭეშმარიტების დასაბუთების უტყუარი საშუალება. მათ თავიანთ ნაშრომებში გამოყვეს ავტორის ტექსტი და სქოლიო, გამოყენებული წყარო და თხზულება.

ერუდიტ-ისტორიკოსებმა კოლოსალური შრომა გასწიეს წყაროების შეგროვების საქმეში. ერუდიტთა მცდელობით ეს წყაროები სისტემურად იქნა შესწავლილი და გამოცემული. მათ შექმნეს შუასაუკუნოვან წყაროთა უნიკალური ბაზა, რომელიც დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ერუდიტებს ჰქონდათ დიდი ნაკლი – მათ ვერ შეძლეს იმ ფაქტოლოგიური მასალის მეცნიერული განზოგადება, რომელსაც ფლობდნენ. მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები წყაროთა კრიტიკის საქმეში ზედაპირული დარჩა. მათი კრიტიკის ძირითადი მიზანი იყო გაერჩიათ ნატყუარი დედნისგან, გაერკვიათ ძეგლის წარმოშობის დრო და ადგილი. ისინი წყაროების შეფასებას მხოლოდ ფორმის და არა შინაარსის მიხედვით ახდენდნენ. ისტორიკოს-ერუდიტთა შრომებს იდეური თვალსაზრისით არაფერი მოუციათ, პირიქით, ისინი დაუბრუნდნენ შუასაუკუნოვან პროვიდენციალურ მსოფლმხედველობას, შესაბამისად, კატეგორიულად უარყვეს ჰუმანისტთა მიღწევა – ისტორიის სეკულარიზაციის შესახებ.

ევროპაში, ერუდიტთა გვერდით, რომელთა მოღვაწეობა ემსახურებოდა ფეოდალურ-კათოლიკური მსოფლმხედველობის რესტავრაციას, მიმდინარეობდა ახალი სამეცნიერო აზროვნების განვითარების შეუქცევადი პროცესი, რომელიც დაკავშირებული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობებთან. ჰოლანდიისა და ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა ძლიერი ბიძგი მისცა მეცნიერების განვითარებას. სწორედ ეს ქვეყნები გახდნენ ახალი კულტურის ცენტრები. მათი უდიდესი მიღწევაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება და რაციონალიზმის ფილოსოფია – შემეცნების თეორიის მიმართულება, რომელიც გონებას ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს.

ახალი ფილოსოფიის დასაწყისი კვლევის ახალი მეთოდის ძიებით აღინიშნა. ბურჟუაზია, რომელიც ძალაუფლებისთვის იბრძოდა, თვლიდა, რომ მისი ინტერესები მთელი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდა. იმ პერიოდში ეს მართლაც ასე იყო. ადამიანის იდეალად მიწაზე მყარად მდგარი პიროვნება იქცა, რომელიც მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, წარმატებებს აღწევს. ბურჟუაზია

ითხოვდა მეცნიერების უსაზღვრო განვითარებას, სანაცვლოდ მისგან სასარგებლო ცოდნას ელოდა, რომელიც ბუნებაზე გაბატონების შესაძლებლობას მისცემდა.

მათემატიკის, ფიზიკის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის, განსაკუთრებით მექანიკის განვითარება დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ მეცნიერებებზე. მოაზროვნეებს სურდათ საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებით. მიისწრაფოდნენ შეექმნათ ისეთი მეცნიერული აზროვნება, რომელიც მოიცავდა როგორც ფიზიკის, ასევე საზოგადოების საკითხებს. მათი მიზანი იყო, საზოგადოებრივ მეცნიერებათა საფუძველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგალითზე აეგოთ.

XVII საუკუნე თეორიულ სფეროში დიდი ძიებების საუკუნე იყო. სამწუხაროდ, ეს ძიებები მიმდინარეობდა ისტორიის გვერდის ავლით, რადგან იმდროინდელი თეორიული აზროვნება ნაკლებად იყო დაინტერესებული ისტორიით. ამ დარგში მოღვაწე ადამიანებს აინტერესებდათ საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების დადგენა; ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ ფაქტოლოგიურ მასალაზე დამყარებულ კონკრეტულ ისტორიას. მიუხედავად ამისა, ისტორიის მეთოდოლოგიის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფ. ბეკონის, რ. დეკარტისა და ბ. სპინოზას რაციონალიზმის ფილოსოფიამ. რაციონალისტებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს **თეოლოგიასა და სქოლასტიკას.**

ფ. ბეკონმა (1561-1626) პირველად მეცნიერებაში შეიმუშავა **ინდუქციის** მეთოდი. ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ შემეცნების პროცესში ამოსავალი უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირები, ცალკეულ ელემენტთა ანალიზი, მოვლენები, რადგან ნებისმიერი ჭეშმარიტება, რაც შეიძლება მეტ ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს. ფაქტების შეჯერება კი განზოგადების საშუალებას იძლევა.

მართალია, **რ. დეკარტი** (1596-1650) ისტორიულ შემეცნებას, როგორც მეცნიერებას, არ განიხილავდა, მაგრამ მისი მეთოდოლოგიური მითითებები – სიცხადე, სწრაფვა მარტივიდან რთულისკენ, კვლევის ობიექტის თანმიმდევრული დანაწევრება, სტიმულს აძლევდა ისტორიულ მეცნიერებას.

დეკარტი ითხოვდა ფაქტოლოგიური სურათის სრულყოფას. იგი თანამედროვე ისტორიკოსებს ადანაშაულებდა, რომ მათ არ შეეძლოთ ფაქტების გადარჩევა. იგი წერდა: ისტორიკოსებს აქვთ ძალიან დიდი ფანტაზია და მცირე კრიტიკული მიდგომა.

XVII საუკუნეში **რაციონალიზმი** სრულფასოვნად ვერ გახდა მეცნიერების სინონიმი. ისტორიული მეცნიერება ჯერ კიდევ აგრძელებდა ომების აღწერას, მონარქთა და მხედართმთავართა მოღვაწეობის, დიპლომატიის შესწავლას. თუმცაღა კვლევის კულტურა საგრძნობლად გაიზარდა.

განმანათლებლობის ეპოქად წოდებულმა XVIII საუკუნემ ნებისმიერი სამეცნიერო დარგის განვითარებისათვის ბევრი რამ გააკეთა. განმანათლებლობა წარმოადგენდა XVIII საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების უმთავრეს ნაწილს, რომელმაც გონება ყოველგვარი რწმენისა და მოქმედების საფუძვლად აღიარა. იგი განიხილავდა ღმერთის, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირს. ადამიანის გონებისადმი რწმენა გახდა დროის მედროშე.

განმანათლებლებს სურდათ თავისუფლების საშუალებით ადამიანური ბედნიერების მიღწევა.

ბურჟუაზია ახალი იდეების მატარებლად გამოდიოდა, რომელიც საკუთარ თავს ერის ჭეშმარიტ წარმომადგენლად თვლიდა. განმანათლებლობა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი ეპოქის იდეათა მთელ სისტემას წარმოადგენდა, რომლის ძირითადი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ფეოდალიზმის ეპოქა ბნელით მოცულია; ამ სიბნელის მთავარი მიზეზი რელიგიაა; კაცობრიობის სინათლეზე გამოყვანის აუცილებელი პირობა რელიგიის დაძლევაა; რელიგიის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული განათლების გავრცელებით; მეცნიერულ განათლებას შედეგად გონებისა და ჭეშმარიტების გაბატონება მოჰყვება, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია პოლიტიკური წყობილების გარდაქმნა, რომელიც შესაძლებელია „განათლებული მონარქის“ ხელმძღვანელობით მოხდეს; ახალი პოლიტიკური წყობა უნდა ემყარებოდეს დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის პრინციპებს. ყოველივე ეს ნიშნავს წინსვლას იმ იდეალური წყობისკენ, რომელიც ადამიანთა სრულ უფლებრივ თანასწორობას მოიტანს.

განმანათლებლობის მნიშვნელოვანი ნიშანია რწმენის გონებით ჩანაცვლება. ამ მოვლენას ევროპელი მეცნიერები შემდეგნაირად განმარტავენ: „განმანათლებლობის ეპოქა ხასიათდებოდა პროგრესისადმი რწმენით, რომელსაც ატარებდა ბურჟუაზია. მის რიგებში კვლავ გაიღვიძა ადამიანისა და გონებისადმი ნდობამ და წარმოიშვა სეკულარიზებული „მესიანური“ ტრადიცია, რომელშიც სახარების ადგილი გონებამ დაიკავა. ამ ტრადიციის თანახმად, ადამიანი გონების დახმარებით სინამდვილის არსს სწვდება და მატერიალური პროგრესისთვის აუცილებელ პირობებს ქმნის. ადამიანები თანდათან დამოუკიდებლები ხდებიან: ისინი იწყებენ ზრუნვას საკუთარ თავზე, უარყოფენ ცრუ ავტორიტეტებისა და თეოლოგიის მეურვეობას. ადამიანის აზროვნება თავისუფალია, რადგან ის რწმუნდება, რომ ბიბლიური გამოცხადებებისგან დამოუკიდებელი ხდება“.

მსოფლიოში გაბატონებულია აზრი, რომ **განმანათლებლობა** ეს არის: ევროპისა და ამერიკის მაღალგანვითარებული ქვეყნების გარკვეული ეპოქის (XVIII ს.) ფილოსოფია და საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულება. ამგვარ აზროვნებას საფუძველი მოუმზადა XVI საუკუნის **ჰუმანიზმმა** და XVII საუკუნის **რაციონალიზმმა.**

XVII საუკუნის მოაზროვნეებისგან განსხვავებით, განმანათლებლობამ დიდი ყურადღება დაუთმო ისტორიას. ისტორიული მეცნიერების საშუალებით მათ სურდათ დაემტკიცებინათ ფეოდალიზმის უგუნურება, ეკლესიის იდეოლოგიის სიყალბე. ისინი ისტორიაში ხედავდნენ საკუთარი პოლიტიკური და ფილოსოფიური პროპაგანდის საუკეთესო საშუალებას. მიაჩნდათ, რომ ისტორიული მეცნიერებით შესაძლებელია აჩვენონ ფეოდალური წყობის უსამართლობა: ტირანია, ადამიანთა ჩაგვრა; მათ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს ისტორიის დიდაქტიკურ დანიშნულებას – მის როლს სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ამ პერიოდში დაიწყო მანამდე უცნობი ისტორიული მასალების გამოვლენა, გაღვივდა ინტერესი ნაკლებად ცნობილი პერიოდებისა და ევროპელებისათვის უცხო გეოგრაფიული რეგიონების მიმართ.

ამ დროს მიდის მუშაობა წყაროების შეგროვებისა და სისტემატიზაციისათვის. მოწმდება ქრონოლოგია; მეცნიერულად ფას-

დება წარსულის ძეგლები; ღრმავდება ლიტერატურული წყაროების კრიტიკა, ინტერესდებიან ხალხური ყოფით; აღიარებენ ადამიანთა მოდგმის „ბედის ერთიანობას“, რის საფუძველზეც გაჩნდა კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის შექმნის იდეა.

განმანათლებლებისთვის ისტორია გახდა ფეოდალურ-ღვთისმეტყველური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი. ისტორიას იხილავდნენ, როგორც „მორალისა და პოლიტიკის სკოლას“. მათთვის მთავარი იყო ისტორიიდან საბოლოოდ განედევნათ ისტორიული მოვლენების თეოლოგიურად ახსნის მეთოდი. მათ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ შუა საუკუნეებისადმი და ქედს იხრიდნენ ანტიკურობის წინაშე. შუა საუკუნეების ისტორიისადმი დაუღალავმა კრიტიკამ წარმოშვა **მედიევისტიკა**, როგორც დისციპლინა.

საფრანგეთში **ენციკლოპედისტებმა**[4] დაიწყეს ბრძოლა, რათა საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში ისტორია დამოუკიდებელ დისციპლინად შეეტანათ.

განმანათლებლობის ეპოქამ მსოფლიო-ისტორიული პროცესების ახლებური გაგება შემოიტანა. ის, რომ ისტორიული მეცნიერება სწავლობს საზოგადოებას, ეჭვს აღარ იწვევდა. მაგრამ ღიად რჩებოდა კითხვა, ადამიანის მოღვაწეობის რომელი ასპექტი უნდა შეესწავლათ და როგორი პროფესიული ხერხებით. ისტორიის მეთოდოლოგიაში ახალი იდეები გაჩნდა.

ვოლტერმა (1694-1778) საფუძველი დაუდო კულტურის ისტორიის შესწავლას. მან თავის ისტორიულ თხზულებებში, ისტორიული მასალები ქრონოლოგიურად კი არა, როგორც ეს მიღებული იყო (მატიანური სტილი), არამედ სისტემურად დაალაგა, გამოყო ძირითადი თემები: საშინაო პოლიტიკა, ფინანსები, რელიგია, ხელოვნება... იგი თანმიმდევრულად ატარებდა იდეას, რომ ღვთიური ჩანაფიქრი არ წარმოადგენს ისტორიის ფუნდამენტს. იგი თვლიდა, რომ ისტორი-

[4] ენციკლოპედისტები – XVII ს. წინარევოლუციური საფრანგეთის ბურჟუაზიის იდეოლოგები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „ენციკლოპედიის ან მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის განმარტებითი ლექსიკონის“ – გამოცემის ირგვლივ, „ენციკლოპედისტების“ – სათავეში იდგა დიდი განმანათლებელი დ. დიდრო. ისინი მოითოხვდნენ ვაჭრობის, მანუფაქტურის, სოფლის მეურნეობის თავისუფალ განვითარებას; ეწეოდნენ კაპიტალ-ფერმერული სისტემის პროპაგანდას; ხელს უწყობდნენ ტექნიკის, ხელოსნობის, მეცნიერების განვითარებას. დიდ ყურადღებას უთმობდნენ განათლებასა და აღზრდის საკითხებს.

ული ფაქტის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია; ამიტომ ისტორიული მეცნიერების სრულყოფისათვის საჭიროა მისი შესასწავლი საგნის შეცვლა. ამ უკანასკნელში გულისხმობდა კულტურას, კერძოდ კი, ადამიანის მიღწევებს გონისა და მორალის სფეროში. ამიტომ, როდესაც მან მიიღო შეკვეთა, დაეწერა მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსი, ნაწარმოებს დაარქვა – „ცდები ხალხთა ზნე-ჩვეულებებისა და სულიერების შესახებ". ამ თხზულებაში ძირითადი აქცენტი კულტურის ისტორიაზე გააკეთა.

შ. ლ. მონტესკიეს, ჟ. ჟ. რუსოსა და სხვა განმანათლებლებს შეექმნათ შეხედულება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური რეჟიმისა და კულტურის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული და სოციალური გარემო.

შ. ლ. მონტესკიეს (1689-1755) კონცეპტუალური მიდგომა ისტორიის გააზრებისთვის მდგომარეობდა სამი ფაქტორის გამოყოფაში: 1. მმართველობის ფორმა; 2. ფიზიკური ფაქტორები (კლიმატი, გეოგრაფიული გარემო); 3. სოციალური ფაქტორები (ვაჭრობა, ფულადი სისტემა, მოსახლეობის რაოდენობა, რელიგია).

ჟ. ჟ. რუსო (1712-1778) ისტორიის მეთოდოლოგიის მრავალფეროვან გააზრებას გვთავაზობს. მაგალითად, მისი აზრით, ისტორიკოსთა მიერ გადმოცემული ფაქტები, სინამდვილეში მომხდარის რეალურ სურათს არ წარმოადგენენ. ისინი ფორმას იცვლიან ისტორიკოსთა გონებაში და ექვემდებარებიან მათ ინტერესებს. მისთვის ცუდი ისტორიკოსი არის ის, ვინც განსჯის ფაქტებს. რუსოს იდეების გავლენა ნათლად გასდევს კულტურის მთელ ისტორიას. მისმა შრომებმა ხელი შეუწყო ადამიანის თავისუფლების, თანასწორობის, პიროვნების, როგორც შეუცვლელი ღირებულების, იდეათა დაფუძნებასა და გავრცელებას.

ი. კანტისთვის (1724-1804) ისტორია ეთიკის ნაწილს წარმოადგენდა, ამიტომ იგი თვლიდა, რომ მას არ შეეძლო ობიექტურობაზე პრეტენზია ჰქონოდა. **შელინგს** კი მიაჩნდა, რომ ისტორიის შემეცნების მთავარი საშუალება ინტუიციაა. **გიბონი** ისტორიის მამოძრავებელ ძალას კაცობრიობის ირაციონალიზმში ხედავდა.

განმანათლებლები ქმნიდნენ რა ისტორიის საკუთარ სქემებს, ისინი, ძირითადად, მაინც ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ, საკმაოდ მოკლედ განვიხილეთ ისტორიოგრაფიის განვითარების ეტაპები, ზემოთქმულიდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ ხანგრძლივ და მტკივნეულ პროცესს წარმოადგენდა ისტორიული ცოდნის ისტორიულ მეცნიერებად გადაქცევა; როგორ იცვლებოდა ისტორიის შესწავლის მიზნები და მეთოდები მსოფლმხედველობის ცვალებადობასთან ერთად; როგორ რთულად,მაგრამ თანმიმდევრულად იკავებდა იგი საკუთარ ადგილს მეცნიერებაში და ყალიბდებოდა დამოუკიდებელ დისციპლინად.

თემა II

ქართული კულტურისა და განათლების კერები შუასაუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში სწავლა-განათლების, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების, და საერთოდ, კულტურის ცენტრებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ. აქ ქართველი ბერების მიერ იწერებოდა ორიგინალური თხზულებები, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური. მონასტრებთან არსებობდა სკოლები, სადაც მონასტრის ახლოს მცხოვრები ბავშვები სწავლობდნენ. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მონასტერში კარგად მომზადებული „მოძღუარნი“ ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. აქ ისწავლებოდა თეოლოგია, ჰიმნოგრაფია, გალობა, ლიტერატურა, ქართული მწიგნობრობა. სავარაუდოდ, ამ საგნებს საშუალო ასაკის (12-13 წლის) მოსწავლეები სწავლობდნენ. XI-XIII სს-ის საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში ქართველები სასწავლებლად ბიზანტიაში მიდიოდნენ და კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მაგ. **გიორგი მთაწმინდელმა** ბიზანტიაში სასწავლებლად წაიყვანა 80 ყმაწვილი, ხოლო სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით – დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მათგან გარკვეული ნაწილი მაინც დაბრუნდებოდა საქართველოში და აქ სკოლებს ისინი ბიზანტიის მიბაძვით მოაწყობდნენ. ადრეული ხანის დიდ მონასტრებს (ოშკს, ოპიზას, შატბერდს, ხანძთას) ხშირად ახლავს ფართო მოცულობის მქონე შენობები, რომლებიც ექ. თაყაიშვილის დაკვირვებით სემინარიებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მონასტრების ასეთი მნიშვნელობის გამო, მტრებისგან შევიწროებულ საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას ქართველების გადარჩენისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამის საუკეთესო მაგალითია

ტაო-კლარჯეთში ცნობილი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის წინამძღოლობით გაჩაღებული ფართომასშტაბიანი სამონასტრო მშენებლობა.

მონასტერი – ბერძნული სიტყვაა და „განდეგილის სენაკს“ ნიშნავს. პირველი ქრისტიანული მონასტრები III-IV საუკუნეებში სირიასა და პალესტინაში დაარსდა და მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოედო. სამონასტრო მოძრაობამ ქრისტიანთა ის ნაწილი მოიცვა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ღმერთთან მიახლოებისთვის საჭირო იყო საერო ცხოვრებაზე უარის თქმა და ცხოვრების მხოლოდ ღვთისათვის მიძღვნა. მონასტერში მორჩილები და მონაზვნები ცხოვრობდნენ. მორჩილი რამდენიმე წელი ემზადებოდა მონაზვნობისთვის, რათა დარწმუნებულიყო, რომ შეძლებდა იმ გზის გავლას, რომელსაც ირჩევდა. მონაზვნად აღკვეცის წინ საგანგებო რიტუალი სრულდებოდა. აღსაკვეცად მომზადებულ პირს სიმბოლურად თმას სჭრიდნენ, საერო სამოსს ხდიდნენ და სამონაზვნო, შავი ჩოხით მოსავდნენ, საერო სახელს უცვლიდნენ, რაც ადასტურებდა ძველი ცხოვრების უარყოფას და ახლის დაწყებას. მონაზვნები ცალ-ცალკე სენაკებში ცხოვრობდნენ. წირვა-ლოცვისათვის მათ საერთო ეკლესია ჰქონდათ, საერთო ჰქონდათ სატრაპეზოც. ისინი ასკეტურად ცხოვრობდნენ, ჰყავდათ წინამძღვარი, ყველა მონასტერს საკუთარი წესდება – „ტიპიკონი“ გააჩნდა.

საეკლესიო მიწათმფლობელობის სისტემა ძლიერ და დახვეწილ ერთეულს წარმოადგენდა. ეს იყო სახელმწიფოს დიდი ფეოდი, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით. ეკლესია ფლობდა დიდძალ მიწას, რომლის დამუშავებაში ჩართული იყო უამრავი ყმა-გლეხი. ჩამოყალიბებული ჰქონდათ სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების ორგანიზაციის ფორმები, მკაცრად განსაზღვრული თითოეული პირისა თუ კომლის მოვალეობებით, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების წარმართვისათვის. ამ პირობების რეგულირებას ახდენდა სახელმწიფო.

სამწუხაროდ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ამგვარი ურთიერთობა არ იყო მტკიცე, რადგან იგი ხშირად ირღვეოდა ქვეყანაში პერმანენტულად არასტაბილური ვითარების გამო; განუწყვეტე-

ლი ომიანობა, შინაფეოდალური ბრძოლა და მწარმოებელი მასის განადგურება, პირდაპირ უკავშირდებოდა მამულებში მართვა-გამგეობის მოშლას, იქიდან შემოსავლის მიღებას და საეკლესიო საქმიანობის ნორმალურ წარმართვას. ასეთ პირობებში მონასტრის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ლავრებსა თუ საზღვარგარეთ, აუცილებლობად მიიჩნევდა საკუთარი მეურნეობის განვითარებას, რომელიც ძირითად საარსებო წყაროდ იქცეოდა მანამდე მაინც, ვიდრე სისტემა კვლავ არ აღსდგებოდა. ამდენად, სამონასტრო კომპლექსს გააჩნდა საკუთარი ხოდაბუნები, ზღვრები, ხეხილის ბაღები. ბერები აწარმოებდნენ მეურნეობას, დაკავებულები იყვნენ ხელოსნობითაც.

ამრიგად, მიწათმოქმედება და მასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენდა ერთ-ერთ ხელისშემწყობ პირობას სამონასტრო კომპლექსის არსებობის გახანგრძლივებისათვის.

ასკეტური და წმინდა ცხოვრების გამო მონაზვნები ქრისტიანებში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ, დიდი გავლენა ჰქონდათ მეფე-მთავართა კარზე.

სამონასტრო მშენებლობა საქართველოში ადრე დაიწყო. უძველესი ქართული წყაროს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მეფე ვახტანგ გორგასლის (V ს. მე-2 ნახ.) ბრძანებით არტანუჯის მახლობლად, ოპიზაში მონასტერი დაუარსებიათ. მაგრამ საქართველოში დიდი სამონასტრო მშენებლობა სირიიდან, იმავე ასურეთიდან, VI საუკუნეში, იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით წმინდა მამების მოსვლას უკავშირდება.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ისინი ცამეტნი იყვნენ, სინამდვილეში კი ბევრად მეტი უნდა ყოფილიყვნენ. მათი სახელები ისტორიამ შემოგვინახა: შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, ზენონ იყალთოელი და სხვ. მღვიმელი, გარეჯელი , მარტყოფელი, მათ ეწოდათ იმ ადგილების მიხედვით, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. მიჩნეულია, რომ ასურელი მამები, სირიის მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერები იყვნენ, რომლებიც სამშობლოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად დაბრუნდნენ. მართლაც, ისინი დიდ რელიგიურ-კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ჩვენი გარჯის მთავარ მიზანს, ამჯერად, წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული კულტურის კერების იმ მცირე ნაწილის გაცნობა, რომლებიც უმთავრეს ცენტრებს წარმოადგენდნენ, როგორც საქართველოს, ასევე მის ფარგლებს გარეთ და, სადაც ხდებოდა ქართული ისტორიული აზრის განვითარება.

ხანძთა. ხანძთის მონასტერი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, დაარსდა კლარჯეთში VIII ს-ში, 782 წლის ახლო ხანებში, დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, წმ. გრიგოლ ხანძთელის (ხანცთელის) – (759-861) მიერ.

ხანძთის ისტორიის პირველწყაროა ადგილობრივი მოღვაწის, შესანიშნავი მწერლის, გიორგი მერჩულეს მიერ, ხანძთაშივე, 951 წელს დაწერილი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლი – „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“. გარდა გრიგოლ ხანძთელისა, რომლის ინიციატივითაც დაარსდა ორი უმნიშვნელოვანესი მონასტერი (ხანძთა და შატბერდი), სამონასტრო მშენებლობაში ჩაბმულნი იყვნენ მისი მოწაფეები – თეოდორე და ქრისტეფორე. მათ დააარსეს რამდენიმე მონასტერი ბორჯომის ხეობაში. გარდა სამონასტრო მშენებლობისა (ააშენეს მამათა ხუთი და დედათა ორი მონასტერი) გრიგოლ ხანძთელი ავტორია მიქაელ მოდრეკილის საგალობლების კრებულში ჩართული მთელი რიგი საგალობლებისა.

ხანძთაში შემდეგშიც არ შეწყვეტილა ლიტერატურული საქმიანობა – ხელნაწერთა გადაწერა. ცნობილია აქ მოღვაწე რამდენიმე პირი: მოსე ხანცთელი, სტეფანე; ხანძთელ მოღვაწედ მიიჩნევენ ვინმე გიორგისაც, რომელსაც გამოუსყიდია გატაცებული XI ს-ის ძვირფასი ხელნაწერი – ე. წ. ალავერდის სახარება და იგი ხანძთისთვის შეუწირავს.

შატბერდი. შატბერდი დააარსა გრიგოლ ხანძთელმა IX ს-ის I ნახევარში. აქ ჩამოყალიბდა მძლავრი ლიტერატურული სკოლა, მნიშვნელოვანი სკრიპტორიუმით, რომელიც მეტად ნაყოფიერი იყო. აქაურ მოღვაწეთა შემოქმედება მარტო ადგილობრივი მონასტრებით ან საქართველოთი არ შემოიფარგლებოდა და საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებსაც მრავლად აღწევდა. იშვიათია ქართული მონასტერი, რომლის სახელსაც ამდენი მწიგნობარი

უკავშირდებოდეს: სოფრონ შატბერდელი, იოვანე ბერაჲ, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი, გიორგი მთაწმინდელი და სხვ. ასევე იშვიათია მონასტერი, საიდანაც ამდენი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი იყოს ჩვენამდე მოღწეული.

ამ ხელნაწერებს შორის, როგორც თავისი სიძველით, ისე მნიშვნელობით გამორჩეულია ე. წ. ადიშის სახარება – ოთხთავი, გადაწერილი 897 წელს, რომელსაც ეს სახელი ეწოდა დაცულობის ბოლო ადგილის მიხედვით (ზემო სვანეთი). იგი დაწერილია სოფრონ შატბერდელის დაკვეთით, მიქაელის მიერ. ადიშის სახარება როგორც ცნობილია, მეტად ძვირფასია როგორც ქართული ენის, ქართული მწერლობის ძეგლი, რადგან აქ წარმოდგენილი ქართული სახარების რედაქცია განსხვავებულია ყველა სხვა რედაქციისაგან.

შატბერდშია გადაწერილი ე. წ. ჯრუჭის I ოთხთავი 936 წლისა და 973 წლის პარხლის ოთხთავი. აღსანიშნავია, რომ ორივე ხელნაწერში სახარების ტექსტი ერთი რედაქციისაა, რადგან ისინი ერთსა და იმავე სკრიპტორიუმშია გადაწერილი, თუმცა მათი ტექსტები განსხვავდება სხვა ქართული სახარების ტექსტის რედაქციებისაგან. ეს ფაქტები, თავის მხრივ, შატბერდში ცალკე, ადგილობრივი ლიტერატურული სკოლის არსებობის მაჩვენებელია, რომლის საქმიანობა მხოლოდ ხელნაწერთა გადაწერით არ შემოიფარგლებოდა და აქ განსხვავებული ლიტერატურული რედაქციის ტექსტებსაც ქმნიდნენ.

შატბერდის სკოლას განსაკუთრებულად სახელი გაუთქვა შატბერდის კრებულმა. ხელნაწერი გადაწერილია იოვანე ბერას მიერ, რომელსაც ეხმარებდონენ ბიძა - მიქაელი და ძმა დავითი, კრებული 973-76წ.წ. თარიღდება. შატბერდის კრებული პირველ რიგში ფასდაუდებელია თავისი შედგენილობისა და მასში შესული თხზულებების მიხედვით. ამ მხრივ იგი უნიკალურია და ენციკლოპედიური შინაარსისაა, აქ შესულია მრავალი ორიგინალური და თარგმნილი თხზულება – 14 ძეგლი.

შატბერდის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება ჩვენამდე მოღწეული სხვა ხელნაწერები: ბასილი კესარიელის „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათჳს კაცისა“ და ა. შ.

ოშკი. დავით III კურაპალატისა (გ. 1001 წ.) და მისი ძმის, ბაგრატ ერისთავთერისთავის მიერ სამხრეთ საქართველოში, ტაოში 970-იან წლებში აგებულ გრანდიოზულ საგვარეულო მონასტერთან არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც 977, 978 და 979 წლებში შეიქმნა შესანიშნავი ხელნაწერები – ოშკის ბიბლია, „სამოთხე“, „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“ და სხვ., რომლებიც ათონზე გაიგზავნა და დღესაც იქ ინახება.

ინტენსიური ლიტერატურული საქმიანობა მიმდინარეობდა, აგრეთვე, პარხალსა და ტბეთში.

შიომღვიმე. ქართულ მონასტრებს შორის ერთ-ერთი უძველესია, რომელიც VI საუკუნეში დააარსა ერთ-ერთმა სირიელმა მამამ – შიო მღვიმელმა.

შიომღვიმეში იმთავითვე ხდებოდა ხელნაწერების თავმოყრა, ადგილზე დამზადება და ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა.

საუკუნეთა განმავლობაში შიომღვიმეში იმდენი ხელნაწერი დაგროვდა, რომ 1804 წლისთვის აქ მათი საერთო რაოდენობა, გადმოცემით, ათ ურემზე ვერ დაეტეოდა. ეს მაშინ, როდესაც მონასტერმა არაერთგზის განიცადა მტრებისგან დარბევა-აწიოკება, ქონების დატაცება და ხელნაწერთა განადგურება.

შიომღვიმის მონასტერში თავისი ბოლო წლები გაატარა არსენ იყალთოელმა (XI ს-ის 60-იანი – XII ს-ის 30-იანი). იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო – თეოლოგი, მთარგმნელი, მწერალი, გრამატიკოსი, ფილოსოფოსი. მისი ფილოსოფიური ნაშრომი – „დოღმატიკოსი“ დაწერილია შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობის დროს. მანამდე იგი მოღვაწეობდა შავი მთის მონასტერში, დავით აღმაშენებლის მოწვევით – გელათში, რომლის შემდეგ – იყალთოს მონასტერთან, მეფე დავითის ხელშეწყობით აკადემია დააარსა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული ისტორიული საბუთების იურიდიული აქტების, შიომღვიმური კოლექციის შესახებ. დედნების სახით მოღწეული ამ საბუთების უმნიშვნელოვანეს ჯგუფზე მოთავსებულია გიორგი II-ის, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, ლაშა-გიორგის და სხვათა ავტოგრაფიული ხელრთვები, რაც, ცხადია, ქართული კულტურის ძვირფასი რელიკვიებია. ამავე საბუთებზე მოთავსებულია საქართველოს არაერთი გამოჩე-

ნილი პოლიტიკური მოღვაწის, უმაღლესი სასულიერო ხელისუფლის, სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეთა, ცალკეულ ფეოდალთა და სხვათა ხელნაწერები; ხოლო ერთ-ერთ საბუთზე გაკეთებული ერთი სამსტრიქონიანი ხელრთვა-დამტკიცება, არც თუ უსაფუძვლოდ, შოთა რუსთაველის ავტოგრაფად ითვლება. დაბოლოს, ამ საბუთებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, შიომღვიმის ლავრაშია შედგენილ-დაწერილი.

გელათი. XII ს-ის დასაწყისში, უკვე დამოუკიდებელი და ეკონომიკურად მომძლავრებული საქართველოს მეფემ – დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად აეშენებინა გამორჩეული ქრისტიანული ტაძარი. გელათში 1106 წელს დაიწყო ტაძრის მშენებლობა, რომელიც 1130 წელს მისი ვაჟის, დემეტრე I-ის (1125-56) ზეობის დროს დასრულდა.

არსებითი და უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა გელათის ტაძრის მშენებლობის დაწყების პარალელურად ამავე წწ-ში დააარსა უმაღლესი სკოლა, უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება, რომელიც პირობითად სამეცნიერო ლიტერატურაში„აკადემიად“ იწოდება. ეს არ წარმოადგენდა შემთხვევითობას, რადგან უკვე შექმნილი იყო რეალური წინაპირობა, მაღალი დონის უმაღლესი განათლების ცენტრის, უმაღლესი სკოლის დაარსებისთვის. ეს წინაპირობა ასეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა. ტაო-კლარჯეთში გაშლილი კულტურული საქმიანობა, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერები, განათლებული ქართველი მოღვაწეები და საქართველოში შექმნილი მტკიცე ეკონომიკური თუ პოლიტიკურად მდგრადი ვითარება რეალურ საფუძველს ქმნიდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ახალი ეტაპის დაწყებისათვის, რომელიც დავით IV-მ იტვირთა. მეფემ საგანგებოდ შეარჩია ადგილი სამონასტრო კომპლექსის ასაგებად – „სახელი მისი გელათი“.

დავითის მიერ ახლად დაარსებული საგანმანათლებლო ცენტრი უნდა გამხდარიყო „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა

წესთა“. გელათი უნდა ყოფილიყო მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. აკადემია დაარსდა, სავარაუდოდ, 1106-1110 წლებში.

აკადემიის წარმატებისთვის აუცილებელი პირობაა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა. დავითმა გელათში მოიწვია ქართული კულტურის წარმომადგენლები, რომელნიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ. XII ს-ის ათიან წლებში გელათის აკადემიაში მოღვაწეობას იწყებენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, (რომელიც 1114 წელს ჩამოვიდა ბიზანტიიდან), ეფრემ მცირე, თეოფილე ხუცესმონაზონი და სხვ.

აკადემიას მართავდა „მოძღუართ-მოძღუარი“ (რექტორი). იგი საზღვარგარეთ არსებული აკადემიების, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიის პრინციპზე იყო აგებული. გელათის აკადემიაში შვიდი საგანი ისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. პარალელურად ვითარდებოდა ლიტერატურა (ნიკოლოზ გულაბერისძე, გრიგოლ ჩახრუხაძე), ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხელნაწერი წიგნების გაფორმებას, მინიატურულ მხატვრობას, სახვით ხელოვნებას.

XVI ს-ის პირველი ნახევრის შემდეგ გელათის აკადემიამ ფუნქციონირება შეწყვიტა, ხოლო მისი სიცოცხლე განახლდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია II-ის თაოსნობით 1995 წელს.

ქართული მწიგნობრობისა და კულტურის განვითარებისთვის უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს გარეთ არსებულმა ქართულმა მონასტრებმა. ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა საუკეთესოდ განსაზღვრა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. იგი წერდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების

ყოველი წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულ ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლებისა და ხელოვანთა წყალობით, საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი, ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო“.

ქრისტიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმს, საერთოდ პალესტინას, ქვეყანას, სადაც იესო დაიბადა და ცხოვრობდა. ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის ოცნება იყო ამ წმინდა მიწაზე სტუმრობა, გამონაკლისს არც ქართველები წარმოადგენდნენ. საერთოდ, ქართველებს დიდი და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა.

საუკუნეების მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ქრისტიანული მწერლობის უმთავრესი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო. **იერუსალიმი, საბაწმინდა, პალავრა, სინა, ანტიოქია, შავი მთა** – ამ მწერლობის მნიშვნელოვანი კერებია. ქართველი მოღვაწეები – იჩენდნენ რა დიდ ინტერესს ქრისტიანული ლიტერატურისადმი ამ ცენტრებში მიდიოდნენ სამოღვაწეოდ. ჯერ უკვე არსებულ მონასტრებში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ თანდათანობით საკუთარი სავანეები დააარსეს. ამ საკითხის შესახებ მრავალი ცნობაა დაცული ძველ ქართულ წყაროებში, საისტორიო ნაწარმოებებში, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, აღაპებსა და სულთა მატიანეებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

თავდაპირველად ქართველებმა პალესტინის სამონასტრო კოლონიზაცია დაიწყეს, რომლის ფუძემდებელია V საუკუნის მოღვაწე – პეტრე იბერი. პეტრემ და მისმა მოძღვარმა – იოანე ლაზმა იერუსალიმში ორი ქართული მონასტერი „იბერთა მონასტერი“ და „ლაზთა მონასტერი“ დააარსეს. 1946 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯინიო კორბომ გათხარა ლაზთა მონასტერი, სადაც ქართული დამწერლობით შესრულებული ყველაზე ადრეული ნიმუშები აღმოჩნდა. ეს წარწერა მონასტრის ეკლესიის მოზაიკურ იატაკზე იყო. ამ ხუ-

როთმოძღვრულმა ძეგლმა წარმოაჩინა ქართლის სამეფოს ეკონომიკური ძლიერება, ნათლად გამოავლინა პეტრე იბერის წვლილი პალესტინის სამონასტრო კოლონიზაციაში.

ახლო აღმოსავლეთის ქართული კულტურის კერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია **საბაწმინდა, სინა, ჯვარი და შავი მთა.**

საბაწმინდა ბერძნების მიერ დაარსებული მონასტერი იყო, სადაც ქართველებიც მოღვაწეობდნენ. VI ს-ის 30-იან წლებში ამ მონასტერში ქართველებს საკუთარი ეკლესიაც ჰქონდათ, სადაც მღვდელმსახურებას ქართულად ასრულებდნენ. აქ მოღვაწეობდა ცნობილი ჰიმნოგრაფი ბასილი, სინას მრავალთავის შემდგენელი მაკარ ლეთელი, უცხოური ჰაგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი სეითი. საბაწმინდაში შეიქმნა ბიბლიის წიგნების VIII-IX საუკუნეების ქართული თარგმანი, რომელიც ჩვენში XI საუკუნემდე გამოიყენებოდა.

სინას მთა ქართველების ყველაზე შორეული სამოღვაწეო ადგილია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში.

სინას მთაზე ქართველთა მრავალრიცხოვანი კრებული ცხოვრობდა, რასაც ადასტურებს აქ რამდენიმე ქართული ეკლესიის არსებობაც. იქაურ ქართველებს უშურველად ეხმარებოდნენ საქართველოს მეფეები, დიდებულები და სასულიერო მოღვაწეები.

ქართველი მეფეები მუდმივ თანადგომას უცხადებდნენ ქართველ მწერლებს, სასულიერო მოღვაწეებს; მათ კარგად იცოდნენ, რომ საზღვარგარეთ არსებული მონასტრები, წარმოადგენდნენ არა მხოლოდ საკულტო, არამედ სამეცნიერო ცენტრებს, რომლებიც ქართული ფეოდალური ხელისუფლების ყურადღებასა და მფარველობას მოითხოვდნენ.

ქართული კულტურის ძლიერ კერად სინა გადაიქცა X საუკუნეში. ვარაუდობდნენ, რომ ამ პერიოდში თხზავდა ჰიმნებს გამოჩენილი მწერალი – იოანე მინჩხი; აქ გამოვლინდა იოანე-ზოსიმეს შემოქმედებითი ნიჭი. მან შეადგინა კრებულები, დაამზადა ხელნაწერები, აღადგინა და განაახლა ძველი ნუსხები, გადაწერა სახარებები, შემოსა ასკეტური კრებული, სახარების საკითხავები, „სვიმონ მესვეტის ცხოვრება“, „მამათა ცხოვრება“ და მრავალი სხვ.

სინაზე მოღვაწე ქართველ მწიგნობართა მრავალრიცხოვან ჯგუფებში შედიოდნენ მწერლები, კალიგრაფები, ხელნაწერთა დამამზადებლები, წიგნების მმოსველები. მათი თავდადებული შრომით აქ შეიქმნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელსაც ჰქონდა საკუთარი სამკითხველო დარბაზი, გულდასმით შედგენილი ხელნაწერი წიგნების კატალოგი. სწორედ აქ შენახულმა კოლექციამ გადაარჩინა ქართული ორიგინალური და სასულიერო-საეკლესიო ხასიათის მრავალი ძეგლი.

IX საუკუნის შუა წლებიდან პალესტინაში გაჩნდა საჭიროება შექმნილიყო მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში მრავლად გაფანტულ ქართველობას, ორგანიზებულად წარმართავდა მათ კულტურულ მოღვაწეობას. ასეთი ცენტრის არსებობა აუცილებელი იყო, თუნდაც წინაპართა ღვაწლის წარმოსაჩენად და ქართველთა უფლებების დასაცავად წმინდა ადგილებზე. სწორედ ამ მიზნით, დააარსა XI საუკუნის 50-იან წლებში, შავშელმა მოღვაწემ, გიორგი-პროხორემ **იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.**

ახლად დაარსებულ სავანეში თავი მოიყარა ქართველ მოწესეთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა, შეიქმნა მოზრდილი ქართული კოლონია, რომელიც იერუსალიმში მაჰმადიანთა ბატონობისა თუ XIII საუკუნიდან საქართველოს სამეფოს დასუსტების გამო, ეკონომიკური დახმარების შემცირებისა და ბერძენი სამღვდელოების მიერ ჩვენი კუთვნილი ადგილებისა და სიძველეთა მიტაცების მიუხედავად XIX საუკუნემდე აგრძელებდა არსებობას.

ქართველი მეცნიერების მიერ აქ აღმოჩენილი და შესწავლილი მასალა უფლებას იძლევა ითქვას: იერუსალიმის ჯვრის მონასტერი საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა ქართველთა სასულიერო კულტურის უმძლავრეს კერას. აქ დაიწერა ორიგინალური თხზულებანი: „პროხორეს ცხოვრება“, „ლუკას წამება“, შედგა კრებულები, გამრავლდა ხელნაწერები, შეიქმნა მდიდარი წიგნთსაცავები, რომელთა ძირითადი ნაწილი ახლა იერუსალიმის საპატრიარქოშია დაცული.

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია ფართოდ გაიშალა სირიაში – შავ მთაზე, როდესაც იქ დასახლდა სამხრეთ საქართველოდან წასული ბევრი მოღვაწე. **ქართველები თანდათან მომრავლდ-**

ნენ შავი მთის სავანეებში: სვიმეონის ლავრაში, კალიპსოში, კასტანაში, რომანწმინდაში, ბარლაამწმინდაში და სხვაგან.

შავი მთის სავანეებში მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობარნი: გიორგი შეყენებული – გიორგი ათონელის აღმზრდელი, რომელმაც პირველმა შენიშნა მისი ნიჭი და სასწავლებლად ათონს გააგზავნა, გაბრიელი და იოანე საფარელი, არსენ იყალთოელი, ანტონ ტბელი და სხვ. მაგრამ შავი მთის ლიტერატურული სკოლის ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი – ეფრემ მცირე, 1091 წლიდან კასტანის წინამძღვარი, რომელმაც ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი ეპოქა და წარმატებით დააგვირგვინა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სამწერლობო ღვაწლი. ეფრემმა დაამკვიდრა მთარგმნელობითი საკუთარი სტილი, რომელიც სამ ძირითად პრინციპს ემყარება: 1. თხზულების უშუალოდ დედნიდან თარგმანი; 2. თარგმანის ზედმიწევნით თანმიმდევრობა დედანთან; 3. თარგმანისთვის, დედნის ტექსტის გაგებისათვის კომენტარების დართვა.

თუ ადრე ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ აქ არსებულ სამეცნიერო ცენტრებში, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი. IX-X საუკუნეებში აღმავლობის გზას ადგა ბიზანტიური კულტურა. შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები, რომელთაც ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნეს. ბიზანტია ქრისტიანული მწერლობის ცენტრად იქცა. ბიზანტიაში ამაღლდა განათლების დონე, განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა ფილოლოგიური სკოლა, თანდათანობით მომზადდა ის ნიადაგი, რომელიც ევროპული რენესანსის საფუძვლად იქცა.

ყოველივე ამას ხედავდნენ და აფასებდნენ ქართველები. ქართველმა მოღვაწეებმა აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, შესწავლა და ქართულ სინამდვილეში დანერგვა. აქედან გამომდინარე მათ გადაწყვიტეს ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში დასახლება, რათა აქტიურად ჩაბმულიყვნენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესში და მოეხერხებინათ ყოველგვარი სიახლის დროულად გაცნობა. შედე-

გად IX-XI საუკუნეებში ბიზანტიის სხვადასხვა კულტურის კერაში – **ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში, რომანაში, კონსტანტინოპ-ოლში ს**აფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები.

დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა ღირ-სეულად გაართვეს თავი რთულ ამოცანას; მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნ-ელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის განვითარებისათვის. ამავე დროს მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაში.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერათა შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს, „რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი“.

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახ-ევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე – ათონის ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის პირას.

870 წელს იოანე კოლოგუმ აქ დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომავალში ისე გამრავლდნენ მონასტრები, რომ მალე ათონის მთას „მთაწმინდა“ ეწოდა. ქართველებმა ათონზე დასახლება დაიწყეს. ჯერ ბერძენთა სავანეს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სავანეც დააარსეს.

ათონის ქართული მონასტრის დაარსება უკავშირდება ორი ტაოელი წარჩინებულის – იოანესა და თორნიკეს სახელებს. ერის-კაცობაში ორივე ტაოს მეფის, დავით კურაპალატის დაახლოებული პირი და მხედართმთავარი იყო. ჯერ იოანე აღიკვეცა ბერად და საბოლოოდ დამკვიდრდა ათონზე, სადაც თავისი შვილი – ექვთიმეც წაიყვანა. მოგვიანებით მათთან ჩავიდა თორნიკე. მალე იოანესა და თორნიკეს მოღვაწეობამ ათონზე ფართოდ გაითქვა სახელი და მათ-თან ბევრმა ქართველმა მიაშურა. საჭირო შეიქნა დამოუკიდებელი მონასტრის დაარსება. ქართველმა ბერებმა იოანე მახარებლის სახ-ელზე ააგეს ეკლესია სენაკებით და აქ დასახლდნენ. ეს 969 წლის წინარე ხანებში მოხდა. ასე გაჩნდა ათონზე პირველი ქართული

სავანე, ხოლო ათონზე დიდი, ყოველმხრივ გამართული ქართული მონასტრის აღმოცენება დაკავშირებულია ერთ პოლიტიკურ მოვლენასთან.

976 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს აუჯანყდა სარდალი – ბარდა სკლიაროსი. მათ ხელისუფლებას დიდი საშიშროება შეექმნა. დახმარებისთვის ტაოს მეფეს – დავით კურაპალატს მიმართეს. დავითმა 12 000 კაციანი არმია გაუგზავნა, რომელსაც თორნიკე ერისთავი სარდლობდა. მას, დროებით, ბერის სამოსელის გახდა მოუწია. აჯანყება ჩაახშვეს და მადლიერმა დედოფალმა თეოფანემ, ბარდა სკლიაროსის მთელი ნადავლი თორნიკეს გადასცა. ეს სიმდიდრე ქართველებმა სწორედ ლავრის დასაარსებლად გამოიყენეს. შეარჩიეს მთაწმინდაზე ადგილი, შეიძინეს მიწა, ააგეს ეკლესიები, სამონასტრო შენობები, შეისყიდეს მამულები. მონასტრის მშენებლობა 985 წელს დაასრულეს, ხოლო წინამძღვრად იოანე ქართველი აირჩიეს.

იოანემ, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო ზრუნვა საეკლესიო წიგნების თარგმნა-გამრავლების ორგანიზაციაზე. იოანესა და თორნიკეს შეწევნით იწყება ბერძნული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ქართულად თარგმნა და გამრავლება.

იოანეს შემდეგ ლავრის წინამძღოლი ხდება მისი ვაჟი – ექვთიმე ათონელი, რომელიც მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი სასულიერო მწერლობის ყველა დარგში მუშაობდა, ქართულად თარგმნიდა და ამკვიდრებდა ამ დარგებს ქართულ ლიტერატურაში. ეს დარგებია: ბიბლიოგრაფია, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა-პოლემიკა, ასკეტიკა-მისტიკა, ჰომილეტიკა, აგიოგრაფია, ლიტურგიკა და საეკლესიო სამართალი. ექვთიმე არა მხოლოდ თარგმნიდა ბერძნულიდან, არამედ ახდენდა მათ გადამუშავება-რედაქტირებას, შექონდა განმარტებები, უხამებდა ქართველი მკითხველის მომზადების დონეს. მნიშვნელოვანია, რომ ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ბალავარიანი“, რომელიც ბუდას ცხოვრებას შეიცავს. ეს თხზულება ბერძნულ სამყაროში, სწორედ ქართულიდან გავრცელდა.

ექვთიმეს შემდეგ, XI ს. 50-იან წლებში ათონის წინამძღვარი იყო გიორგი მთაწმინდელი (1009-1065), რომელმაც განაგრძო, გააფართოვა და გააღრმავა ექვთიმეს დაწყებული საქმე. გიორგი ორიგი-

ნალურ თხზულებებსაც ქმნიდა. მისი თხზულებაა **„ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“**. იგი აქტიურად ეხმაურებოდა მაშინდელი ქართველობის წინაშე წამოჭრილ ყველა აქტუალურ პრობლემას. გიორგი მთაწმინდელი ჩაება ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსთან პოლემიკაში ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხზე და, თავისი ფართო ერუდიციისა და განათლების წყალობით, წარმატებით დაიცვა ქართული ეკლესიის უფლებები.

გიორგის ჰყავდა წარმატებული მოწაფეები და მიმდევრები, მათ შორის აღსანიშნავია გიორგის ცხოვრების აღმწერი გიორგი მცირე, ანუ ხუცესმონაზონი.

ჟამთა სიავემ ათონის მონასტერზე ქართველებს თანდათან დააკარგვინა უფლებები, ხოლო XIX ს. იგი ბერძნებმა დაისაკუთრეს. ივერთა ამ დიდებიდან დარჩა სახელი და უმდიდრესი წიგნთსაცავი, შემცველი მრავალი უნიკალური ხელნაწერისა, რომელიც შექმნეს და შეაგროვეს იოანემ, თორნიკემ, ექვთიმემ, გიორგი მთაწმინდელმა და მრავალმა თავდადებულმა მამულიშვილმა.

საზღვარგარეთ ქართული კულტურის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენს პეტრიწონის, ანუ ბაჩკოვოს მონასტერი, რომელიც მთელ ბულგარეთში სიდიდით მეორე სავანეა.

პეტრიწონის სავანეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში. მან უსაზღვრო გავლენა მოახდინა ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის განვითარებაზე. პეტრიწონმა დიდი როლი შეასრულა ბულგარეთის ისტორიაშიც. პეტრიწონის მონასტერი 1083 წელს დააარსა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, რომელიც ბაგრატოვანთა გვარს ეკუთვნოდა. იგი მსახურობდა ბიზანტიაში და ეკავა აღმოსავლეთის დიდი დომესტიკოსის ადგილი. უმდიდრესი ადამიანი იყო და მრავალ მამულს ფლობდა. სწორედ თავის მამულში ამოარჩია საუკეთესო ადგილი და დააარსა მონასტერი. შესწირა მრავალი მამული, ციხე-ქალაქი, უბოძა წისქვილები, საავადმყოფოები, სასტუმროები, საეკლესიო ძვირფასეულობა. მონასტერი თავისუფალი იყო გადასახადებისაგან, ნებისმიერი თანამდებობის პირს – საეროს თუ საეკლესიოს ეკრძალებოდა მის საქმეებში ჩარევა და მონასტრის ქონებიდან რაიმე წილის მოთხოვნა. თვითონვე შეადგინა მონასტრის წესდება – ტიპიკონი. ტიპიკონის მიხედვით მხ-

ოლოდ ქართველებს ჰქონდათ აქ ცხოვრების უფლება. მონასტერში ყოფნა ეკრძალებოდათ ბერძნებს; ეს ის პერიოდია, როდესაც ათონის ივერთა მონასტერს ბერძნები ავიწროებენ, ამიტომ გრიგოლმა ეს გაითვალისწინა.

პეტრიწონის სავანე აერთიანებს სამ ტაძარს; განცალკევებით დგას ორსართულიანი საძვალე აკლდამა, სადაც დაკრძალულნი არიან გრიგოლი და მისი ძმა – აბასი.

პეტრიწონის სავანეში არსებობდა სემინარია, სადაც ქართველებს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის ზრდიდნენ. ამ სემინარიას თითქმის ოცი წელი ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე იოანე პეტრიწი.

იოანე პეტრიწმა დატოვა მრავალი მეცნიერულ-ლიტერატურული თხზულება. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ნეოპლატონურ ფილოსოფიურ სკოლას; მან და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს ქართული სამეცნიერო ენა, ტერმინოლოგია და დიდად შეუწყვეს ხელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას. იოანე პეტრიწი, მოგვიანებით დავით აღმაშენებელმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გელათის აკადემიის რექტორად მოიწვია.

საზღვარგარეთის ქართულ ლავრებში XI საუკუნის ცნობილმა მოღვაწეებმა – **გიორგი ათონელმა, გიორგი მცირემ, ანუ ხუცესმონაზონმა, ეფრემ მცირემ** განავითარეს ბიოგრაფიულ-ისტორიული ჟანრის მწერლობა, გააფართოვეს ისტორიული წყაროების წრე და გარკვეული დოზით გამოიყენეს ისტორიული კრიტიკა. მაგ. გიორგი ათონელის თხზულებაში („ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“) დამოწმებულია სამივე რიგის წყაროს გამოყენების ფაქტი: წერილობითის, ნივთიერისა და ზეპირის. იგი უხვად სარგებლობს წერილობითი საბუთებითა და „სარწმუნო კაცთა“ ზეპირი ცნობებით. მას „ჭეშმარიტ“ და „უტყუარ“ მასალად საბუთის დედანი მიაჩნია. გიორგი მცირეს თხზულება („ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ“) განმსჭვალულია სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით, გამოირჩევა ისტორიულ-ლიტერატურული მასალის სიუხვით. ეფრემ მცირე („უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“) კი ოს-

ტატურად ფლობს ანალოგიის მეთოდს, ახდენს ტექსტების რთულ ფილოლოგიურ ინტერპრეტაციას. მის გამოკვლევებშიც გვხვდება ისტორიული კრიტიკის ელემენტები და მრავალი სხვა.

განუსაზღვრელია ის წვლილი, რომელიც საზღვარგარეთის ქართულმა სავანეებმა ქართული კულტურის ისტორიაში შეიტანეს. ისინი გარკვეულ როლს თამაშობდნენ იმ ქვეყნის კულტურის ისტორიაშიც, რომელ ქვეყანაშიც არსებობდა ეს სავანეები; მაგრამ მაინც მათი უპირველესი მიზანი იყო საქართველოში ხელი შეეწყოთ ხელოვნების, მეცნიერების, განათლების განვითარების იმ დონისათვის, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს ინტელექტუალური ცხოვრების თანასწორი იქნებოდა.

თემა III

ქართული ისტორიული აზრის განვითარება XVII-XVIII საუკუნეებში

XIV საუკუნისა და შემდგომი პერიოდის საქართველოში, ისტორიული აზრის განვითარების თვალსაზრისით, საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა, რომელიც დამპყრობელთა ხანგრძლივი შემოსევების შედეგად მივიღეთ.

ევროპაში, როდესაც, ძირითადად, მიმდინარეობს შიდაპოლიტიკური უთანხმოებანი, ბრძოლა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების, ახალი იდეოლოგიისა და აზროვნების დამკვიდრებისათვის და ეს ყველაფერი საბოლოოდ ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას, გაძლიერებასა და კულტურის აღმავლობას, საქართველო ამ დროს იბრძვის ფიზიკური გადარჩენისთვის. მრავალრიცხოვანი მტრის (მონღოლები, სპარსელები, ოსმალები...) დაუნდობელმა შემოსევებმა გამოიწვია ეკონომიკის დაცემა, სახელმწიფო მმართველობის დასუსტება, პოლიტიკური აშლილობა და ქვეყნის მთლიანობის დარღვევა, რომელიც მის ტერიტორიაზე სამი სამეფოს – ქართლის, კახეთის, იმერეთის ჩამოყალიბებით დამთავრდა. თავის მხრივ, ყველაფერმა ამან მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შეფერხება გამოიწვია. მხოლოდ XVII საუკუნის 30-იანი წლების ქართლის სამეფოდან იწყება ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. „90 წლის მანძილზე (1632-1722) ქართლი უცხოელთა მსხვილ შემოსევას არ შეუწუხებია. ქვეყანა მოშენდა, ეკონომიკურად მოღონიერდა, შორეულსა თუ ახლო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა გაცხოველდა. თანდათან გაიშალა კულტურული მუშაობა. ამავე დროს დაწინაურებულმა და უცხო ბაზრების მაძიებელმა ევროპამ შემოიხედა დიდი ხნის წინ „დავიწყებულ“ ქვეყანაში და ქართველი საზოგადოება ხარბად დაეწაფა „ფრანგულ სწავლას“, – წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი.

XVII საუკუნე ქართული კულტურის ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისია, რომელიც ქართულ ლიტერატურაში „აღორძინების“ სახ-

ელით არის ცნობილი. თავისი შინაარსით ქართული კულტურის ეს ახალი პერიოდი არ წარმოადგენდა ევროპული ჰუმანიზმისა და, მით უფრო, რაციონალიზმის ხანას და შეუძლებელიც იყო წარმოედგინა, რადგან, სოციალური განვითარების თვალსაზრისით, საქართველო ტიპური ფეოდალური ქვეყანა იყო. ჯერ კიდევ მყარად არსებობდა შუასაუკუნეობრივი იერარქია (თავადაზნაურთა კლასის მრავალ-ფენიანობა) და მწარმოებელი საზოგადოება მთლიანად ბატონყმურ სისტემას ეკუთვნოდა. შესაბამისად, არ არსებობდა ის ბურჟუაზი-ულ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც ევროპაში ახალი აზ-როვნების ჩამოყალიბების საყრდენად იქცა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო ირანისა და თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გავლენას განიცდიდა. ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან „შეერიათ ქართველთა“ ყიზილბაშური „უგვანო“ წეს-ჩვეულებანი. ქართული საზოგადოება კარგად ხედავდა ამ საშიშროებას. მათ ესმოდათ, რომ ეროვნული სახის შენარჩუნებისთვის აუცილებელი იყო არა მხოლოდ ფიზიკურ არსებობაზე, არამედ კულტურასა და იდეოლოგიაზე ზრუნვაც. ქა-რთული კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ვახტანგ VI-მ. მის ირგვლივ შემოიკრიბა მთელი დასი ქართველი მოწინავე საზოგადოებისა, რომელმაც შეს-აძლებლობათა მაქსიმუმი გააკეთა ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და მეცნიერების ასაღორძინებლად. ბუნებრივია, ამ მიმართულებით განვითარდა ქართული ისტორიოგრაფიაც. „იმ-დროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმარ-თული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისთვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ“, – წერს ივ. ჯავახიშვილი. ხაზგასმით უნდა ითქვას, XVIII ს-ის საქართველოს ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიყოფა: პირველი მეოთხედი ვახტანგ VI-ის (1703-14; 1716-24) ხანა და საუკუნის მეორე ნახევარი – ერეკლე II-ის (1744-62; 1762-98) ხანა.

ვახტანგ VI-მ თანამოაზრეებთან (სულხან-საბა ორბელიანი, ვახ-უშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი და სხვ.) ერთად სახელმ-

წიფო ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა დარგს სასიკეთო კვალი დაამჩნია. აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს“.

ვახტანგმა შექმნა „მცველთა ჯარი“, დიდი ყურადღება მიაქცია მეურნეობის აღდგენას. ხელახლა დაასახლა ქართლის გაუკაცრიელებული ადგილები; გაიყვანეს და გაანახლეს დიდი ხნის წინათ მოშლილი სარწყავი არხები, მოაწესრიგეს სავაჭრო-სამიმოსვლო გზები, ააგეს ხიდები და ქარვასლები, გააუმჯობესეს ფულის მოჭრის საქმე. დანგრევას გადაარჩინეს თბილისის სიონი, ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ეკლესია, სვეტიცხოველი, ურბნისის, სადგერის ტაძრები და სხვ. 1709 წელს თბილისში პირველი ქართული სტამბა დაარსდა. ამ მამულიშვილურ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწე გამოჩენილ ქართველ სასულიერო პირს, ვლახეთის მიტროპოლიტს – ანთიმოზ ივერიელს (1650-1716 წწ.), რომელმაც სტამბის გასამართავად ქართლში თავისი მოწაფე – მიხაი იშტვანოვიჩი გამოგზავნა. ამ სტამბაში იმავე 1709 წელს, დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“. აქ გამოცემული წიგნების ბეჭდვის ხარისხი არ ჩამოუვარდებოდა ევროპულ სტამბებში დასტამბულ წიგნებს. 1712 წ. აქ ვახტანგ VI-ის რედაქციით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული განათლებულ მეცნიერთა დასის – „სწავლულ კაცთა“ კომისის დიდი კულტურული საქმიანობაც.

მეტად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, სახელმწიფო მოხელეების უფლებებისა და ფუნქციების განსაზღვრა, რაც ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“ აისახა. იგი აწესრიგებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის, სამეფო კარის ეტიკეტისა თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა პრაქტიკულ მხარეებს. 1705-1708 წწ-ში ვახტანგის ბრძანებით დაარსებულმა საკოდიფიკაციო კომისიამ შექმნა სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც მის მიერვე იყო რედაქტირებული. განსაკუთრებით საყურადღებოა კრებულის ძირითადი ნაწილი – „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. რის გამოც მას „სჯულმდებელი“ უწოდეს.

ვახტანგ VI-მ სულხან-საბასთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიო დიდაქტიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები: „ქილილა და დამანა“, „ამირ-ნასარიანი“ და სხვ. რაც შეეხება თავად სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) მოღვაწეობას, მის მემკვიდრეობაში უმნიშვნელოვანესია 31 წლის განმავლობაში (1685-1716) შედგენილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“. ქართულ ენაში იჭრებოდა ოსმალურ-სპარსული სიტყვები. აუცილებელი გახდა ქართული ენის გაწმენდა, მისი ლექსიკური ნორმების დადგენა და პრაქტიკაში დამკვიდრება, რასაც სულხან-საბამ წარმარტებით გაართვა თავი. სულხან-საბას თხზულებიდან, აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც დღიურების ფორმითაა დაწერილი.

ვახტანგ VI-მ თარგმნა „ზიჯის“, ანუ „ვარსკვლავთა კატალოგი“, რასაც დაურთო მის მიერვე შედგენილი სპარსულ-ქართული ასტრონომიულ-ასტროლოგიური ლექსიკონი. იგი ამით ცდილობდა მეცნიერული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე შექმნას. მან, აგრეთვე, ქართულ ენაზე შეადგინა ქიმიის სახელმძღვანელო. მისივე რედაქტორობით გამოიცა ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“.

დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ასე ნაყოფიერად მიმდინარეობდა საქართველოში, მთლიანად ჩაკვდა 1724 წელს ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის გამო. მას თან გაჰყვა კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი დასი, რომელმაც მოსკოვში განაგრძო ნაყოფიერი საქმიანობა: მოსკოვის ქართულ კოლონიაში იქმნებოდა სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომები, უცხო ენებიდან ითარგმნებოდა სამეცნიერო და სასწავლო წიგნები და სხვ. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, რომ საქართველოშივე აღდგენილიყო შეწყვეტილი კულტურული მოღვაწეობა.

აღნიშნულ საქმეს დიდი ყურადღება დაუთმო მეფე ერეკლე II-მ, რომელსაც მხარში ედგა მისი მამიდაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მთარგმნელი და დიპლომატი ანტონ I (1720-88 წწ. ერისკაცობაში – თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი). აკად. ნ. ბერძენიშვილის

სიტყვით, „განათლების საქმის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს დროს ანტონ კათალიკოსი იყო“.

ანტონ I-მა მოამზადა „ქართული ღრამატიკა“ - ქართული ენის პირველი სასკოლო სახელმძღვანელო, შეადგინა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, „ღვთისმეტყველების“ 4 ტომი, დაწერა „წყობილსიტყვაობა“ – ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის შექმნის პირველ ცდას; თარგმნა XVIII ს-ის გამოჩენილი გერმანელი განმანათლებელი ფილოსოფოსის, ქრისტიან ვოლფის „ფიზიკა“, ბაუმაისტერის „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“ და „ეთიკა“. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „სპეკალი“, რომელიც წარმოადგენს XVIII ს-ის სამეცნიერო ცოდნის სისტემური გადმოცემის ერთ-ერთ პირველ ცდას. ნაშრომში აღწერილია არისტოტელეს, პლატონისა და ანტიკური ხანის სხვა მოაზროვნეთა ფილოსოფიური სისტემები, განხილულია იოანე პეტრიწის ნააზრევი. ანტონმა შეადგინა ქართველი წმინდანების ცხოვრებათა კრებული „მარტირიკა“. იგი წარმოადგენს „საკითხავებს“ წმინდანთა დღესასწაულებზე.

1749 წელს თბილისში აღსდგა XVIII ს-ის 20-იან წლებში გაუქმებული ქართული სტამბა. წიგნები ამჯერადაც იბეჭდებოდა საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. 1782-94 წწ. სტამბა ხელმეორედ განახლდა. შეიცვალა მოძველებული იარაღები და შრიფტი. კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულმა ოსტატმა ქართული სტამბისათვის ნუსხური და მხედრული შრიფტი ჩამოასხა.

1755 წელს თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელიც ანჩისხატის ტაძრის ეზოში მდებარეობდა. მისი პირველი რექტორი იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი, თავის დროზე უაღრესად განათლებული პიროვნება. სასულიერო სემინარიაში ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ქართული ენა, გრამატიკა, ფილოსოფია, ლოგიკა, ფიზიკა, მათემატიკა, გალობა.

1758 წელს სასულიერო სასწავლებელი შეიქმნა თელავშიც, რომელიც 1782 წელს ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. მისი პირველი რექტორი იყო გაიოზ არქიმანდრიტი (1782-1783). 1790-1802 წწ-ში თელავის სემინარიას დავით მესხიშვილი ხელმძღვან-

ელობდა. სემინარია სახელმწიფოს ხარჯზე არსებობდა, სადაც ყველა წოდების წარმომადგენელი სწავლობდა. სწავლება ლექციურ ხასიათს ატარებდა და პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნას გამოცდების გზით ამოწმებდნენ. ერეკლე II ცდილობდა ნიჭიერი ახალგაზრდები სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთში გაეგზავნა.

ფრანგი მისიონრები საქართველოში ეწეოდნენ ევროპული ლიტერატურის პოპულარიზაციასა და სწავლების დასავლური სისტემის დანერგვას. ქართველი მეცნიერები დაინტერესდნენ ფრანგი განმანათლებლების ნაშრომებით. „სასწავლოს“ სახელს ატარებს 1774 წ. შედგენილი კრებული, რომელიც, სხვათა შორის შეიცავს ფრანგი განმანათლებლის, ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე. ამ კუთხით, აგრეთვე, საინტერესოა ალექსანდრე ამილახვრის (1750-1802) ნააზრევი („ბრძენი აღმოსავლეთისა“, „გეორგიანული ისტორია“).

ყველაფერმა ზემოთქმულმა, ბუნებრივია, ქართული ისტორიული აზრის განვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონია. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მსოფლმხედველობა ისევ ფეოდალურ-ეკლესიური დარჩა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, გარდა იმისა, რომ ეკლესია თავისთავად წარმოადგენდა ფეოდალური სისტემის ნაწილს, როგორც ეს დასავლეთში იყო, დასავლეთისგან განსხვავებით, ეკლესია და საერო ხელისუფლება, საქართველოში, ერთად იბრძოდა ქართული სახელმწიფოს გადასარჩენად. ქართველი ერისთვის ეროვნული იდენტობა მის რწმენასთან იყო დაკავშირებული. ქრისტიანობა ქართველობას ნიშნავდა და, პირიქით, „ქრისტიანი ქართველი“ აგრესიული მუსლიმური სამყაროთი იყო გარემოცული და მას საკუთარი ეროვნების შესანარჩუნებლად ბრძოლა სჭირდებოდა. ამაში კი განსაკუთრებულ თანადგომას ეკლესია უწევდა.

ამდენად, XVII-XVIII საუკუნეების ქართული ისტორიული აზრის შეფასება იმდროინდელი ეპოქის მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უფრო მეტად წარმოაჩენს ამ პერიოდის ისტორიკოსთა დამსახურებას ქართული ისტორიული აზრის განვითარებაში.

ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1696 წწ. ახლო ხანა) XVII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენე-

ლია. იგი აღიზარდა ქართლის მეფის – როსტომის[1] კარზე, სადაც, საფიქრებელია, მიიღო უფრო მეტად აღმოსავლური განათლება. კარგად შეისწავლა სპარსული ენა, ხოლო შემდეგ ირანში ხანგრძლივი ცხოვრების პერიოდში (40 წლის განმავლობაში ირანის შაჰების – აბას II-ისა და სულეიმანის სამსახურში იდგა), საფუძვლიანად გაეცნო აღმოსავლურ, კერძოდ, სპარსულ საისტორიო მწერლობას, რომლის ტრადიციები ფართოდ გამოიყენა სამეცნიერო მუშაობაში. იგი აღმოსავლურ ყაიდაზე განსწავლული პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომელმაც დაწერა მნიშვნელოვანი ისტორიული თხზულება – „საქართველოს ისტორია“, სადაც გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორია გაქრისტიანებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულება ოთხ ნაწილად არის დაყოფილი; პირველი ნაწილი მოიცავს გაქრისტიანებიდან თამარის გამეფებამდე დროს, მეორე ნაწილი – თამარის გამეფებიდან XIV საუკუნის დამდეგამდე, მესამე – თემურლენგის შემოსევებიდან XVII საუკუნის 60-იან წლებამდე, მეოთხე – 60-იანი წლებიდან 1696 წლამდე. პირველი სამი ნაწილი კომპილაციური ხასიათისაა. მათ დასაწერად ზეპირ გადმოცემებთან ერთად, ავტორმა გამოიყენა ქართული, სომხური და სპარსული თხზულებები, საიდანაც მისთვის საჭირო ცნობები ამოკრიფა.

ამდენად, გორგიჯანიძის თხზულების პირველი სამი ნაწილი ისტორიოგრაფიული ძეგლია და არა საისტორიო წყარო. რაც შეეხება მეოთხე ნაწილს, აქ აღწერილი ისტორია თვითმხილველის მიერ არის გადმოცემული, ბევრი საინტერესო სპარსული წყაროა გამოყენებული და მას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

კომპილაციური თხზულებების შედგენა ფართოდ იყო გავრცელებული შუასაუკუნოვან მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ხშირად ამ წესს სპარსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებიც მიმართავდნენ. ზოგჯერ ავტორს თავის თხზულებაში წინამორბედ ისტორიკოსთა შრომები თითქმის სიტყვასიტყვით შეჰქონდა, ნა-

[1] როსტომ მეფე (1632-1658) – იგივე ხოსრო-მირზა, სიმონ I-ის უმცროსი ძმის, დავითის (დაუდ-ხანი) უკანონო შვილი, რომელიც ირანში დაიბადა და იქ სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა. სამოცდახუთი წლის ასაკში ჩამოვიდა საქართველოში, ამიტომ „იყო წესსა ზედა ყიზილბაშისასა და გაარიგა რიგი სახლისა თვისისა ყიზილბაშურად და განაწესა მოხელენი და გამრიგენი თათარნი.“ ბერი ეგნატაშვილი.

კლულ ადგილებს ავსებდა; „გადასაბმელ“ ნაკვეთებს ჩართავდა, თვითონ კი მხოლოდ თავისი დროის ისტორიას წერდა; ამ მეთოდის წყალობით კომპილატორთა შრომებში შემოინახა წინარე ხანის მნიშვნელოვანი ცნობების მქონე თხზულებები, რომელთა ხელნაწერები ამჟამადაც დაკარგულია ან ჯერ არ არის მიკვლეული.

ამ მხრივ, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება, საკმაოდ საინტერესოა და მის ოთხივე ნაწილს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიოგრაფიისთვის. პირველი ორი ნაწილი აზუსტებს და ავსებს ქართულ წყაროებს. ისინი შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული თამარის პირველი ისტორიკოსისა და XIV საუკუნის ისტორიის ავტორის კრიტიკული ტექსტების დასადგენად. ფ. გორგიჯანიძემ, მესამე ნაწილში, ვახტანგ VI-ს „სწავლულ კაცთა“ კომისიაზე ბევრად ადრე, სცადა სპარსული წყაროების საფუძველზე აღედგინა XV-XVI საუკუნეებისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია. ამ თვალსაზრისით, იგი ვახტანგის კომისიის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება მისი ნაშრომის მეოთხე ნაწილს, ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, „თხზულების ამ უკანასკნელ ნაწილს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ძვირფას ცნობებს გვაძლევს“.

ამრიგად, ფარსადან გორგიჯანიძე აღმოსავლური ისტორიოგრაფიის ტრადიციების პირველი მიმდევარია საქართველოში. იგი XVI-XVII საუკუნეების სპარსული საისტორიო მწერლობის ტიპური წარმომადგენელია, ხოლო თავისი პირუთვნელობის[2] , პირდაპირობისა და ობიექტურობის გამო მათ შორის საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს.

XVIII საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მიმართულება აღინიშნება: 1. „ქართლის ცხოვრების“ შევსება-რედაქტირება; 2. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება (XIV საუკუნიდან).

---

[2] მაგალითად, იგი ბატონის შესახებ წერს: „ყოველი მეპატრონენი წართმეულის საქონლით გაზრდილან“; „განკითხვაში პატრონყმობა რა იქნების, გარდუწევათ სამართალს იქ იქმენ, სიკეთისთვის სამოთხეს მისცემენ და დიდის ქებით აქებენ და სიავის მაგიერ ჯოჯოხეთს მისცემენ“, იგი არც მეფეებს ინდობს. მისი შეფასებით ირანის შაჰი და ქართველი მეფე „ამაყნი და მოძალადენი არიან“ და სხვ. (ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 297, 298).

ქართულ საზოგადოებას მიაჩნდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეთა მანძილზე „გარყვნილი იყო რომელიმე მწერალთა მიერ“. ეს შუასაუკუნოვანი უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამართვასა და შევსებას მოითხოვდა. ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეულმა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ ამ საქმეს საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი. ვახტანგ VI-ის წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ჩატარდა ძეგლის სარედაქციო ცვლილებანი როგორც გარეგნული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ტექსტი დაიყო ნაკვეთებად, თავებად, ქვეთავებად. გაკეთდა საძიებლები, ტექსტის მაჩვენებლები და სხვ. აღნიშნულმა ცვლილებებმა გააუმჯობესა „ქართლის ცხოვრების“ გარეგანი სახე, გააადვილა ძეგლის გაცნობა და შესწავლა, სრულყოფილი გახდა მისი კომპოზიციური სტრუქტურა და მთლიანობა. ყველაფერი ეს პასუხობდა იმ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომელსაც ამ ეპოქის ისტორიულ თხზულებებს უყენებდნენ. ისტორიული თხზულების დაყოფა ნაწილებად, წიგნებად, თავებად – სიახლედ ითვლება, რომელიც ისტორიოგრაფიული შემოქმედების პრაქტიკაში ახალი დროის ისტორიკოსებმა შეიტანეს.

ტექსტი შინაარსობრივად გამდიდრებულ იქნა სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრებებით, რაც ნიშნავს საქართველოს ისტორიის წყაროთა წრის გაფართოებას. ტექსტის შევსება სხვა ხასიათის მასალებითაც მოხერხდა: კერძოდ, ამ ძეგლის სხვადასხვა ნუსხაში შემონახული ნაწარმოებების შერწყმის საფუძველზე. ამავე დროს, ტექსტის ბუნდოვანი ადგილები გაიმართა, გამოტოვებული სიტყვები აღდგა, მცდარი ადგილები გასწორდა, ზოგიერთი ცნობა შეივსო.

„სწავლულ კაცთა“ კომისიის შრომა წარმატებული აღმოჩნდა. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ რედაქციას ნაკლი არ გააჩნდა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა. უნდა ითქვას, რომ კომისია გვევლინება „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკის პირველი, რედაქციული ეტაპის დამწყებად და შემსრულებლად. ამ მიმართულებით მუშაობა დღესაც გრძელდება.

ისტორიოგრაფიული მუშაობის მეორე მიმართულებას, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების დაწერა, რომლის მიზანი იყო გამოეკვლიათ საქართველოს XIV-XVII საუკუნეების ისტორია და პასუხი გაეცათ ეპოქის აქტუალ-

ური საკითხებისათვის: როგორ და რატომ დაიშალა საქართველოს სამეფო, ვის რა ღვაწლი მიუძღოდა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ საუკუნოვან ბრძოლაში, რაში მდგომარეობდა მარცხისა და წარმატების მიზეზები. ამის საფუძველზე ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის გზებს სახავდა.

დღეს, სახეზე გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ სამი გაგრძელება: 1. ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ შედგენილი XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორია, რომლის გამოცემაც კომისიის ერთ-ერთი წევრის, ბერი ეგნატაშვილის სახელით არის ცნობილი; 2. უცნობი ავტორის – გიორგი ბრწყინვალეს წინარე ხანის ისტორიით დაწყებული, ვიდრე 1605 წლამდე, რომელიც მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერში: დადიანისეული, ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული, სხვიტორული; 3. ე. წ. „პარიზის ქრონიკა“, რომელიც დაცულია პარიზის ყოფილი სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იგი მოიცავს XIV საუკუნის II ნახევრიდან – 1703 წლამდე ისტორიას.

ამ პერიოდისათვის ქართულ საისტორიო შემოქმედებაში გამოვლინდა ევროპული ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ნიშნები, განსაკუთრებით მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კერძოდ, წყაროებისადმი დამოკიდებულებაში.

წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, წყაროთა წრის გაფართოება, მათი ავკარგიანობის გამორკვევა, კარგად ჩანს „სწავლულ კაცთა“ ისტორიულ თხზულებაში. ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად არის შესწავლილი მათ მიერ გამოყენებული ქართული და უცხოური წყაროები, ნარატიული თუ დოკუმენტური მასალა, ნაჩვენებია ამ წესთა მრავალფეროვნება და სიმრავლე.

„სწავლულ კაცთა“ კომისია წყაროების კრიტიკულ მიდგომას მათი ურთიერთშეჯერებით ახდენს. თუ წყაროთა შორის თანხმობა არ არის, საგანგებოდ აღნიშნავენ, თუ ერთსა და იმავე მოვლენაზე განსხვავებული ცნობები არსებობს, შეძლებისდაგვარად მიუთითებენ; წყაროების უქონლობის შემთხვევაში საკითხს ღიად ტოვებენ. როგორც ჩანს, პირველწყაროს გამოყენება მათთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. „სწავლულ კაცთა“ ძირითადი წყაროები წერილობითი ძეგლებია. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „გუ-

ჯრების საშუალებით (როცა სხვა არაფერი გააჩნდათ) ზოგიერთი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის აღდგენა, მაშინ სრულებით უცნობი და ახალი მეთოდი და საშუალება იყო და „სწავლულ კაცთა“ ღვაწლად ამ მეთოდის შემოღება უნდა ჩაითვალოს“.

გაგრძელების ავტორები წერილობითი წყაროების გარდა, იმოწმებენ ნივთიერ ნაშთებს, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხალხურ წეს-ჩვეულებებს.

„ქართლის ცხოვრების“ ანონიმ გამგრძელებელსა და „პარიზის ქრონიკის“ ავტორს საგანგებო მსჯელობა, გამოყენებული წყაროების შესახებ არა აქვთ; ისინი წყაროების ზოგადი მითითებით კმაყოფილდებიან. თუმცა დამოწმებულ წყაროთა წრე მათთანაც იგივეა.

„ქართლის ცხოვრების“ სამივე გაგრძელება ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიული ძეგლია. მათი თხრობის ობიექტი ისევ გაბატონებული კლასია. მათი ინტერესის სფეროს, როგორც ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში – ომების, პოლიტიკისა და გმირების ისტორიები წარმოადგენს.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ავტორების შეხედულება ისტორიული პროცესების შესახებ, ისევ პროვიდენციალურია, როგორც ეს XVI საუკუნის ერუდიტი-ისტორიკოსებისათვისაა მიღებული. გვხვდება შემთხვევები, როდესაც ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებას ხედავენ; ღვთის განგების ნაცვლად, ამა თუ იმ მოვლენის ახსნისას, ობიექტურ პირობებს იშველიებენ, რაც ჰუმანისტებისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ავტორები მოვლენებს შორის უმეტესად მექანიკურ კავშირს ხედავენ.

სამივე გაგრძელებაში კარგად ჩანს განსაკუთრებული მოწიწება ეკლესიისა და სასულიერო სამყაროსადმი. გაგრძელებების ძირითადი პოლიტიკური ტენდენცია სამეფო ხელისუფლების განდიდებასა და მათი პოზიციების დაცვაში მდგომარეობს.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების სახით XVIII საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში საქმე გვაქვს ახალი ეტაპის დასაწყისთან... ფეოდალური ისტორიული აზროვნებისა და მეთოდოლოგიის წიაღში ისახება ახალი, ბურჟუაზიული ისტორიული აზროვნების და მეთოდოლოგიის ცალკეული ელემენტები“.

„ბატონიშვილი ვახუშტი ერთ უდიდებულეს ქართველ მეცნიერ ისტორიკოსთაგანი, სწორუპოვარი მკვლევარი და აღმწერი საქართველოს მიწა-წყლისა. სახელოვან ვახტანგ VI-ის შვილი... განთქმული და დაუჭკნობელ ღვაწლთა მომხვეჭელი სახელმწიფო ასპარეზზე კი არა, არამედ მეცნიერების მაღალ სფეროში, განსაკუთრებით ვითარცა ისტორიკოსი და სამშობლო ქვეყნის აღმწერი“, – ასე იწყებს თავის ნარკვევს ვახუშტი ბაგრატიონის შესახებ თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილი (1696 თბილისი – 1757 მოსკოვი) – ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ტექსტოლოგი, კომენტატორი, რედაქტორ-კორექტორი. მის შემოქმედებაში მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს. თავის მონუმენტურ ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „მან ერთგვარად შეაჯამა წინარე ხანის განვითარების შედეგები, ისტორიული ცოდნა მეცნიერულ დონეზე აიყვანა და თითქმის გაუთანასწორა იგი თანადროული ევროპული და რუსული ისტორიული მეცნიერების სიმაღლეებს“ (შ. ხანთაძე).

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ და ზოგადად არის აღნიშნული ნაშრომის მიზანი და დანიშნულება;
2. შესავალი, „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსა“;
3. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“;
4. „საქართველოს ცხოვრება“;

წიგნი მთავრდება საძიებლებით, რომელსაც ეწოდება: „ანბანსა ზედა ქმნული ამა წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვეყანათა და მეფეთა“. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს ბიბლიოგრაფია („სახელნი წიგნისანი“, სადაც შეტანილია ავტორის მიერ გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა).

მთელი ნაშრომის დამოუკიდებელ, მაგრამ მასთან ორგანულად დაკავშირებულ ნაწილს წარმოადგენს ატლასები, სადაც შესულია

ერთიანი საქართველოს, ცალკეული სამეფო-სამთავროებისა და მეზობელი ქვეყნების რუკები.

ნაშრომი თავისი სტრუქტურული აგებულებით საუკეთესო ნიმუშია, არა მხოლოდ XVIII საუკუნის სამეცნიერო ნაშრომებისა, არამედ დღევანდელი თვალსაზრისითაც.

ვახუშტის შემოქმედება აღმოცენდა ძველი ქართული ისტორიოგრაფიისა და ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციებზე, ხოლო ამ ტრადიციების გაშლა და გამდიდრება მოუხდა ევროპულ გარემოცვაში, რომელშიც აღმოჩნდა იგი რუსეთში გადასახლების (1724) შემდეგ. რუსეთში ამ დროს ევროპელ მეცნიერთა მოზღვავება იყო. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა (1689-1725), რომელიც აქტიურად ზრუნავდა მეცნიერების განვითარებაზე, 1725 წელს დააარსა მეცნიერებათა აკადემია. აკადემიის დასაარსებლად საჭირო იყო სამეცნიერო კადრები. გერმანიაში გაიგზავნა დიპლომატიური მისია, რომელსაც დაევალა გერმანელი მეცნიერების მოზიდვა. უცხოელ აკადემიკოსთა დახმარებაში რუსეთის სახელმწიფო დიდ ფულს იხდიდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ევალებოდა „ერთი-ორი“ სლავური წარმოშობის სტუდენტის ჩამოყვანა, რომლებიც შეისწავლიდნენ რუსულ ენას და რუსული მეცნიერების სამსახურში ჩადგებოდნენ. აკადემიის პროექტის დებულების მიხედვით, მის „მესამე კლასში“ უნდა ყოფილიყო „ძველი და თანამედროვე ისტორიის“ ერთი აკადემიკოსი. ეს თანამდებობა პირველ ხანებში უცხოელებს ეკავათ. ამ პოლიტიკის შედეგად რუსეთში მოღვაწეობა დაიწყეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ი. კოლი, გ. ბაიერი, გ. მილერი, ა. შლეცერი და სხვ. რუსეთში მათ საფუძველი ჩაუყარეს ევროპული მეცნიერების მეთოდოლოგიურ მიღწევებს, უცხოური ლიტერატურის თარგმანსა და პოპულარიზაციას. საერთოდ, სამეცნიერო სისტემა აგებულ იქნა ევროპულ ყაიდაზე. სწორედ ასეთ გარემოში აღმოჩნდა ვახუშტი ბატონიშვილი. იგი სამეცნიერო საზოგადოების იმდენად აქტიური წევრი გახდა, რომ მან მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაშიც მიიღო მონაწილეობა (1755 წ.). XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი შენობის საქტო დარბაზში დაცული იყო ვახუშტის ბიუსტი და მემორიალური დაფა.

ვახუშტი ბატონიშვილის შემოქმედება მრავალფეროვანია, მრავალმნიშვნელოვანი და მას ისტორიოგრაფიაში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ჩვენს მიზანს მხოლოდ მისი მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი ასპექტის მოკლედ განხილვა წარმოადგენს.

ვახუშტი ბატონიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაუყარა მნიშვნელოვან დამხმარე ისტორიულ დისციპლინებს: ქრონოლოგიას, გენეალოგიას, ისტორიულ გეოგრაფიას, ნაწილობრივ დიპლომატიკას, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისტორიული კვლევის მეთოდების გაუმჯობესებასა და ისტორიული მეცნიერების წარმატებას. სწორედ ამ დისციპლინების შექმნით იწყება ისტორიული ცოდნის ისტორიულ მეცნიერებად გადაქცევა.

ვახუშტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური ცნობებით შევსება. მან საქართველოს ისტორია თარიღებით გაამდიდრა, შექმნა თავისებური ქრონოლოგიური სისტემა, რომელიც არსებული წელთაღრიცხვების სისტემებს დააფუძნა. ამით ქართული წელთაღრიცხვის წესი (532-იანი ციკლით) დაუკავშირა შემდეგ წელთაღრიცხვებს: რომაულს, რომელიც ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 3949 წელს ანგარიშობს, ბერძნულს – დასაბამიდან ქრისტეშობამდე 5 508 წელს ითვლის და ქრისტიანულ წელთაღრიცხვას. შეადგინა სპეციალური ნარკვევი ქართული 532- წლიანი წელთაღრიცხვის სისტემის შესახებ, რითაც საფუძველი ჩაეყარა ამ სისტემის თეორიულად შესწავლის საქმეს. ვახუშტის გვიანი ხანის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიურ სქემას თანამედროვე ისტორიოგრაფიაც იზიარებს. ვახუშტის დამსახურებაა, აგრეთვე: „კინკლოსის“, წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემაში თარიღების გადაყვანის ცხრილის შედგენა და კალენდრის ახსნა.

გენეალოგიის დარგში ვახუშტიმ შექმნა სამეფო დინასტიების გენეალოგიური ტაბულები, რომელიც შესულია მის გეოგრაფიულ ატლასში. ამ დარგში მას აქვს ნარკვევები ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ, სხვა მნიშვნელოვან საგვარეულოთა გენეალოგიური მონაცემები. მათი ისტორიის გადმოცემისას იგი იშველიებს დოკუმენტურ მასალას, ზეპირ გადმოცემებს.

ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა, ვახუშტის თვალსაზრისით წარმოადგენს ისტორიის (ისტორიული თხზულების) აუცილებელ და განუყოფელ ნაწილს. სწორედ ამიტომ მან თავისი თხზულების მეორე ნაწილში ჩართო ყველა იმ ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა, რომელთა ისტორიის გადმოცემასაც იწყებდა. ამ აღწერაში გეოგრაფიული ცნობები შერწყმულია ისტორიულ ცნობებთან ამა თუ იმ ძეგლის შესახებ. ვახუშტის „აღწერას“ სწორედ ამიტომ ეწოდება ისტორიულ-გეოგრაფიული.

ვახუშტისათვის ცნობილი იყო მეცნიერული დიპლომატიკის მთავარი კანონები: დოკუმენტების სახეობათა და შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა. იგი ასახელებს ბრძანებას, გუჯარს, სიგელს... ბრძანებას ასხვავებს სიგელისა და გუჯრისაგან; ერთმანეთისგან გამოყოფს ერთიანი და პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს სამდივანმწიგნობროთა დოკუმენტებს, იძლევა მათ კლასიფიკაციას და გვესაუბრება მათი შემადგენელი ნაწილების შესახებ და სხვ. მისი მოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი დაკვირვებანი ფაქტობრივად წარმოადგენს ქართული სიგელთმცოდნეობის, ანუ დიპლომატიკის პირველ ზოგად მიმოხილვას.

ევროპულ ისტორიოგრაფიაში ზემოთ ჩამოთვლილი დისციპლინების ფუძემდებლები, რაზეც უკვე პირველ ლექციაზე ვისაუბრეთ, არიან ერუდიტი-ისტორიკოსები (XVII ს.). სწორედ ერუდიტთა სკოლის გავლენას განიცდის ვახუტში თავისი მეთოდოლოგიური კვლევების დროს, საიდანაც კარგად ჩანს მისი განსწავლულობა ევროპულ მეცნიერებაში და მიზანი, სწორედ ამ მეცნიერულ მეთოდებზე ააგოს თავისი კვლევები, რასაც წარმატებით აღწევს. განსაკუთრებით ეს ეხება წყაროებისადმი დამოკიდებულებას, წყაროთა გამოყენების წესსა და მათ მრავალფეროვნებას.

ვახუშტის ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკა მოიცავს – წყაროთა უბრალო შეჯერებიდან დაწყებული, საგნობრივი კრიტიკით დამთავრებული, რა თქმა უნდა, როგორც ეს იმ დროისათვის მიღებული იყო (ერუდიტთა მეთოდიკა); მეცნიერი შემოიფარგლება მხოლოდ წყაროს გარეგანი კრიტიკით, რომლისთვისაც დამახასიათებელია წყაროს სინამდვილის თუ ნატყუარობის დადგენა, ავტორის, თარიღის გარკვევა და სხვ.

წყაროთა კრიტიკა თავისთავად ითხოვს წყაროთა წრის გაფართოებას., მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამის ტრადიცია არსებობდა (მაგ., „სწავლული კაცები“), მაგრამ მას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. ვახუშტიმ წყაროს მოხმობისა და გამოყენების წესი სავალდებულოდ აქცია და ფართო ხასიათი შესძინა. იგი იყენებს, როგორც ნარატიულ წყაროებს, ასევე დოკუმენტებს, საბუთებს, გუჯრებს, ეპიგრაფიკულ მასალას („ხატთა, ქუათა და ჯუართა ზედწერილებით“). მან კრიტიკული მეთოდი ყველა სახის წყაროზე გაავრცელა. იგი მოითხოვდა ნათქვამისა თუ აღნიშნულის დასაბუთებას, დამტკიცებას, რისთვისაც აუცილებელი იყო „მოწმობის მოხსენება“, ე.ი. გამოყენებული წყაროს დამოწმება-ციტირება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა გამოყო ავტორის ტექსტი („ავტორის სიტყვა“) და სქოლიო („სხოლიო“). იგი ხაზს უსვამს თვალსაჩინო („საჩინო“) თხრობას, აღნიშნავს ავტორისეულ რემარკებს („ავტორის სიტყვა“), სხვის ნათქვამს („ვისიმე თქმული“), ხოლო კომენტარები და შესაბამისი დამოწმებები გაადაქვს სქოლიოში.

ვახუშტიმ ქართული სამეცნიერო მეტყველება გაამდიდრა ევროპული მეცნიერული ტერმინოლოგიით, მაგალითად: ქრონოლოგია (ხრონოლოგია), გენეალოგია, ისტორიოგრაფია (ისტორიოღრაფია), ეტიმოლოგია, აკადემია (აკადიმია), პოლიტიკა (პოლეტიკა), ბიბლიოთეკა, კატალოგი, ტომი („თომი“ – ნაწილი წიგნისა), ტრაქტატი, ფიზიკა, ქიმია (ხიმია), მეტაფიზიკა, მათემატიკა და სხვ.

ვახუშტის მეთოდოლოგიური არსენალი მრავალფეროვანია. იგი იყენებს ანალოგიის, შედარების, განზოგადებისა და სხვა მეთოდებს.

ვახუშტიმ საგანგებო კვლევის ობიექტად ისეთი საკითხები აირჩია, რომელთაც მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ან საერთოდ უგულებელყოფილი იყო. ამ საკითხებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სოციალური წყობის, სახელმწიფო, სასამართლო, ადმინისტრაციული ინსტიტუტები, რელიგიის, ხალხის ყოფის, წეს-ჩვეულებებისა და სხვა საკითხები. პრობლემისადმი ასეთი მიდგომით მან გააფართოვა ისტორიული მეცნიერების პრობლემატიკა და მეცნიერული ხასიათი შესძინა ამ დარგს.

ვახუშტის მსოფლმხედველობაში ყველაზე დიდ ფასეულობას სწავლა, ცოდნა და მეცნიერება წარმოადგენს. სწავლასა და ცოდნას იგი ისეთი კატეგორიების საფუძვლად თვლის, როგორიცაა: სიბრძნე, თავისუფლება, სამყაროს შეცნობა, შემოქმედება, ჰუმანურობა. მისი აზრით, ცოდნა სძენს ადამიანს ყველაზე მნიშვნელოვანს – აზროვნების თავისუფლებას. მაგრამ ცოდნა წარმავალია, საჭიროა მისი „დაუნჯება“. ამის საუკეთესო საშუალებაა „წერილი“ (წიგნი...), რომელიც „არა წარწყმდების, არამედ ჰდიეს უკუნისამდე“. ეს არის მუდმივი კატეგორია, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნისა და სიბრძნის შენახვა-გადმოცემას. წიგნი კი თავისთავად შედეგია მეცნიერული კვლევისა. შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტი, ამ თვალსაზრისით, რაციონალიზმის ფილოსოფიის მიმდევარია. ვახუშტისთვის, როგორც ისტორიოგრაფიაში აღნიშნავენ, დამახასიათებელია ღრმა ისტორიზმი, ანუ მოვლენების განხილვა და შეფასება ცვალებადობაში, განვითარებაში, სხვა მოვლენებთან და გარემო პირობებთან კავშირში. მისთვის მოვლენათა ახსნის ერთადერთ პრინციპად მიზეზშედეგობრივი კავშირი და მოვლენათა ურთიერთობა რჩება. ვახუშტის აზრით, სამყაროს ცვალებადობა, მისი განახლება დროში, ობიექტური (ჩვენგან დამოუკიდებელი) და შეუქცევადი პროცესია. ამასთან, ეს პროცესი არ წარმოადგენს ღმერთის მოქმედების შედეგს. სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა მოახდინა ისტორიის სეკულარიზაცია. ისტორიის სეკულარიზაცია კი ისტორიული ცოდნის ისტორიულ მეცნიერებად გადაქცევის გზაზე აუცილებელი საფეხურია.

ზემოთ განხილული მასალიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტი ბატონიშვილი კარგად იცნობს ჰუმანისტების, ერუდიტი-ისტორიკოსებისა და რაციონალისტების იდეებს, მათი კვლევის მეთოდებსა და მიზნებს. იგი თავისი სამეცნიერო მუშაობის დროს ერუდიტთა სკოლის მიღწევებს ეყრდნობა, ხოლო მსოფლმხედველობით ჰუმანისტებისა და ნაწილობრივ რაციონალისტების იდეებს იზიარებს. მას ისტორიული მოვლენების ახსნისადმი ჰუმანისტური დამოკიდებულება გააჩნია.

XVIII საუკუნის მნიშვნელოვანი ისტორიკოსები არიან ,აგრეთვე: **სეხნია ჩხეიძე** (დახ. 1670-1745), **პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე.**

სეხნია ჩხეიძის ისტორიული თხზულება – „ცხოვრება მეფეთა“, მოიცავს 1653-1739 წლების ისტორიას, სადაც გადმოცემულია ქართლ-კახეთის მეფეთა თავგადასავალი და ირანის სახელმწიფოში მიმდინარე ამბები. **პაპუნა ორბელიანის** ნაშრომი – „ამბავი ქართლისანი“ – მოგვითხრობს 1739-1758 წლების საქართველოს ისტორიას და წარმოადგენს სეხნია ჩხეიძის თხზულების გაგრძელებას, მაგრამ, თუ ს. ჩხეიძესთან მხოლოდ მეფეთა ცხოვრებაა აღწერილი, აქ მთელი ქართლის ისტორიაა გადმოცემული; XVIII საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსის **ომან ხერხეულიძის** ნაშრომში – „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა“ აღწერილია საქართველოს ისტორია 1722 წლიდან 1782 წლამდე. მართალია, ეს ნაშრომი უფრო ადრეულ ხანასაც ეხება, მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს პაპუნა ორბელიანის თხზულების გაგრძელებას და, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამ თხზულებაში სწორედ ის ნაწილია ფასეული, საიდანაც იწყება მისი წინამორბედი ისტორიკოსის თხრობის გაგრძელება.

სამივე ისტორიკოსი თავიანთ თხზულებებს მატიანურ სტილში (თარიღები, მოვლენები...) აღწერენ, ამიტომ ისინი ისტორიოგრაფიაში მემატიანე-ისტორიკოსებად მოიხსენიებიან. მათი „ამბავთა გადმოცემა ქრონოლოგიურ რიგზეა დალაგებული და არა ლოგიკურზე“. მიუხედავად თხრობის მატიანური სტილისა, ავტორები ხშირ შემთხვევაში მოვლენების მნიშვნელობაზე მსჯელობენ და ამ მოვლენათა თავისებურ შეჯამებებს იძლევიან.

მემატიანე-ისტორიკოსები თავადაზნაურული იდეოლოგიის მატარებლები არიან, მათი პოლიტიკური მიმართულება მეფეთა გადაჭარბებულ ქებასა და ქვეშევრდომთა ერთგულების ქადაგებაში გამოიხატება. მათ თხზულებებში არის ცნობები გლეხთა სოციალური ფენის (პაპუნა ორბელიანი), ირანის მოხელეთა დანიშვნის, ლეკიანობისა და სხვათა შესახებ, რაც საკითხთა ინტერესის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

მემატიანე-ისტორიკოსთა თხზულებები კომპოზიციურად კარგად არის გამართული, თხრობა ლაკონურია და სიუჟეტის ძირითად ხაზს მისდევს. ისინი, გარდა იმისა, რომ აღსაწერი ამბების თვითმხილველნი არიან, წარმატებით იყენებენ ზეპირ გადმოცემებსაც.

ზემოთ წარმოდგენილ ისტორიკოსთა შორის საუკეთესოდ პაპუნა ორბელიანი ითვლება. იგი იძლევა მოვლენათა რაციონალურ ახსნას, უთითებს მათ შორის მიზეზშედეგობრივ კავშირს, მიმართავს შედარებებს და იყენებს ანალოგიებს.

საკითხები, რომელთაც ეხებიან ისტორიკოსები თავიანთი საუკუნის ისტორიული თავგადასავლების გადმოცემის დროს, მეტად მრავალმხრივია და მრავალფეროვანი, პრობლემატიკა ფართო, ეს უპირველეს ყოვლისა პაპუნა ორბელიანის დამსახურებაა, სწორედ მისი თხზულება განსაზღვრავს ქართული ისტორიოგრაფიის ხასიათსა და შინაარსს XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის.

პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ეს ისტორიკოსები არ იფარგლებიან საკუთრივ საქართველოს ისტორიული მოვლენების აღწერით, მათი თხრობა ეხება ირანის, თურქეთისა და საქართველოს სხვა მეზობელი ქვეყნების ამბების აღწერას.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ისტორიკოსის თხზულებებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეში, ისინი ვერ აღმოჩნდნენ ვახუშტი ბატონიშვილის ტრადიციების მიმდევარნი. სამწუხაროდ, სამშობლოდან მოწყვეტილ ვახუშტის არ შეეძლო აქტიურად შეეწყო ხელი საქართველოში ახალი ისტორიოგრაფიული ტენდენციების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. ეს ფუნქცია XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ იტვირთა.

თემა IV

ისტორიული აზრის განვითარება XIX საუკუნეში და ქართველოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისტორიული მეცნიერების სრულყოფისათვის XIX საუკუნე, რომელსაც „ისტორიული რევოლუციის ეპოქასაც“ უწოდებენ.

XIX საუკუნეში განმანათლებელთა ისტორიოგრაფიისა და მისი იდეების წინააღმდეგ გაილაშქრეს თავადაზნაურული რომანტიზმის წარმომადგენლებმა, რომლებიც უარყოფდნენ ისტორიაში გადატრიალებათა არსებობას (აქტიურად შეუტიეს საფრანგეთის რევოლუციას), აიდიალებდნენ შუა საუკუნეებს, მიუღებლად მიაჩნდათ რაციონალიზმის პოზიციებიდან ისტორიის ახსნა, ცდილობდნენ აღედგინათ პროვიდენციალური კონცეფციები. მიუხედავად ამისა, რომანტიკოსებმა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში პროგრესული იდეები შემოიტანეს. აღიარებდნენ რა ეპოქათა შინაგან კავშირს, ამა თუ იმ ერის თანამედროვე მდგომარეობა მისი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად მიაჩნდათ. სწორედ ამ კონცეფციიდან გამომდინარე, დაძლეულ იქნა განმანათლებლობისთვის დამახასიათებელი კატეგორიულობა, რომელიც გამოიხატებოდა მხოლოდ აწმყოსა და უახლესი წარსულის მნიშვნელობის აღიარებაში. თანდათანობით მკვიდრდებოდა აზრი, **რომ წარსული იმსახურებს ღირსეულ შესწავლას და აწმყო აუცილებლად გააზრებულ უნდა იქნეს წარსულთან მიმართებაში.** აქედან გამომდინარე, ისტორიული აზროვნების დიაპაზონი განუზომლად გაფართოვდა; ისტორიკოსებმა კაცობრიობის ისტორიის წარმოდგენა დაიწყეს, როგორც მთლიანი, ერთიანი განვითარების პროცესი, დაწყებული – ველური, დამთავრებული – რაციონალური, ცივილიზებული საზოგადოებით.

XIX საუკუნის I ნახევარში ისტორიული აზროვნების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უტოპიური სოციალიზმის, კერძოდ, დიდი ფრანგი ფილოსოფისის, **ა. სენ-სიმონის,** (1760-1825) ფილოსოფიურ-ისტორიულმა კონცეფციებმა. სენ-სიმონს მიაჩნდა,

რომ კაცობრიობის პროგრესი მუდმივია; მან პირველმა წამოაყენა კლასთა ბრძოლის იდეა, როგორც ევროპის ისტორიის საყრდენი. თუმცა კლასთა ჩამოყალიბების პროცესს იგი „რასებს“ შორის ბრძოლაში ხედავდა (მაგ., ფრანკები და გალები).

ა. სენ-სიმონის იდეა, ისტორიის განვითარებაში კლასთა ბრძოლის როლის შესახებ, გაიზიარეს რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა – **ფ. გიზომ** და **ო. ტერომ**. მათ დაიწყეს წერა კლასებისა და კლასთან ბრძოლის შესახებ. მათ მიაჩნდათ, რომ ბრძოლა მიმდინარეობს ორ კლასს – პრივილეგირებულ თავადაზნაურობასა და „მესამე წოდებას“ (ფართო გაგებით) შორის. აღნიშნული მიმდინარეობის ძირითად იდეას წარმოადგენდა ის, რომ ისტორიის შინაარსი არის სოციალური და არა პოლიტიკური პრობლემები. თუმცა საზოგადოების „სოციალური მდგომარეობის“ მნიშვნელობა ნათლად არ ესმოდათ.

გერმანელი ფილოსოფოსის **გ. ჰეგელის** (1770-1831) იდეალისტურმა ფილოსოფიამ განსაზღვრა XIX საუკუნის მრავალი ისტორიკოსის განსაკუთრებული მიდგომა მასალების ინტერპრეტაციისა და ისტორიული პროცესების ახსნის საქმეში. უფრო მეტიც, მაგალითად, რუსი ისტორიკოსი **ს. პლატონოვი** ამტკიცებდა, რომ „ისტორია მეცნიერებად მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში გადაიქცა, როდესაც გერმანიიდან ფრანგული რაციონალიზმის წინააღმდეგ განვითარდა იდეალიზმი; როდესაც ფრანგულ კოსმოპოლიტიზმს დაუპირისპირდა ნაციონალიზმის იდეა და დაიწყეს ნაციონალური სიძველეების შესწავლა“.

ჰეგელისთვის ისტორია – ეს არის კანონზომიერი პროცესი; მან პირველმა წარმოადგინა ისტორიული, სულიერი და ბუნების სამყარო, როგორც პროცესი, შეუწყვეტელი მოძრაობა, ცვალებადობა, გარდაქმნა. იგი შეეცადა ამოეხსნა ამ მოძრაობისა და განვითარების კავშირები. ჰეგელი განვითარებაში მხოლოდ სულიერ და ლოგიკურ მიზეზებს ხედავდა და არა ობიექტურს. ამიტომ იგი, ხან პოლიტიკური ლიბერალიზმის, ხან კი კონსერვატიზმის პოზიციებზე იდგა.

ჰეგელმა ისტორია სამ კატეგორიად დაყო: თვითმხილველთა მიერ დაწერილი „პირვანდელი ისტორია“, „რეფლექსური ისტორია“,

როდესაც მთავარ ამოცანას ისტორიული მასალის დამუშავება წარმოადგენს და „ისტორიის ფილოსოფია“.

ცნობილმა ინგლისელმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა **ჰ. სპენსერმა** (1820-1903) ისტორიის სოციალური პრობლემებით დაინტერესების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. ის წერდა: „ადრეულ ისტორიებში მეფის მოღვაწეობა ავსებდა მთელ სურათს, ხოლო ხალხის ცხოვრება წარმოადგენდა სურათის მუქ ფონს. მეფე იყო ყველაფერი, ხალხი არაფერი. მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყეს ისტორიკოსებმა ფასეული ცნობების მოწოდება, როდესაც ხალხთა კეთილდღეობამ დაიკავა მათი აზროვნება და დაინტერესდნენ სოციალური პროგრესის კონცეფციით“.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან საფუძველი ეყრება მარქსისტულ ფილოსოფიას. როგორც აღნიშნავენ, **კ. მარქსის** (1818-1883) მთელი მოძღვრება განმსჭვალულია ისტორიის ღრმა ცოდნით. მისი მეცნიერული კვლევის მეთოდისთვის დამახასიათებელია ისტორიული ექსკურსების გამოყენება. მისთვის კვლევის უნივერსალურ მეთოდს ისტორიული მეთოდი წარმოადგენს. მას მიაჩნია, რომ ისტორიული ცოდნის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკურ, სამართლებრივ, ფილოსოფიურ და სხვა თეორიულ ცნებათა გააზრება.

ისტორიის მატერიალისტური ინტერპრეტაციის საფუძველზე მარქსმა მეცნიერებაში შექმნა წარმოდგენა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ. მან ისტორიული მეცნიერება სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მეთოდით გაამდიდრა. მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კლასთა ბრძოლას, სუბიექტური ფაქტორების აქტიურ როლს; მასების, კლასების, საზოგადოებრივი ჯგუფების, პარტიების, ორგანიზაციებისა და პიროვნებების ისტორიის შესწავლას.

მარქსიზმის პარალელურად, ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიაზე დიდი გავლენა იქონია პ. სენ-სიმონის მოწაფის **ო. კონტის** (1798-1857) პოზიტივიზმის ფილოსოფიამ. მისი მოძღვრება განმსჭვალულია „გონებისა და პოზიტიური მეცნიერების“ ძლევამოსილების რწმენით: მისი აზრით, მეცნიერებათა დარგები უნდა ეყრდნობოდეს რეალურ ფაქტებსა და გამოცდილებას. ისტორიული პროცესი, კონტის მიერ შექმნილ სისტემაში, განიხილება, როგორც

მოძრაობა, მშვიდობიანი ევოლუცია. იგი უარყოფს კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის დადებით როლს საზოგადოების განვითარებაში, მნიშვნელობას ანიჭებს მასებს და არა პიროვნებებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოყოფს სამ ელემენტს: მატერიალ-ისტურს, სულიერსა და ზნეობრივს, რომელსაც წარმოადგენს სამი „დაწესებულებით“: სახელმწიფო, ეკლესია, ოჯახი.

ო. კონტის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი მოძღვრება გათავისუფლდა რეაქციულ-კლერიკალური ტენდენციებისაგან, პოზიტივიზმი ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამომხატველი გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის II ნახევარში პოზიტივიზმი ბატონობდა როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე საზოგადოებათმცოდნეობით მეცნიერებებში.

ისტორიკოს-პოზიტივისტების წვლილი ისტორიის მეთოდოლოგიის განვითარებაში შემდეგში მდგომარეობს: მათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ფაქტოგრაფიას, მყარ საფუძველზე დააყენეს წყაროების კრიტიკა, განამტკიცეს ზუსტი კვლევის მეთოდები (სტატისტიკური, შედარებით-ისტორიული).

მკვლევრებს თავიანთ ამოცანად მიაჩნდათ ფაქტების გულმოდგინე შეგროვება. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ წყაროთა სანდოობის დამტკიცებით ამ წყაროში აღნუსხული მოვლენების უტყუარობაც დასტურდებოდა. მათთვის ისტორიული მეთოდი წყაროთა ანალიზის სინონიმს წარმოადგენდა. ამავე დროს, სჯეროდათ პროფესიონალი ისტორიკოსის მიუკერძოებლობა.

პოზიტივისტები ისწრაფოდნენ ისტორიის მეთოდოლოგია აეგოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგალითზე (ეს მისწრაფება, საბოლოოდ, კრახით დამთავრდა); ამდენად, გაზარდეს ისტორიული ფაქტების ძიების მნიშვნელობა, როგორც ცოდნის მტკიცე გარანტი; სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანეს ფაქტების დიდი სერია: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური.

ისტორიის სტატუსის ამაღლებას ძალიან უწყობდა ხელს წყაროთა სისტემური კრიტიკა, რომელიც გამოწვეული იყო ისეთი დამხმარე დისციპლინის გაჩენით, როგორიც არის წყაროთმცოდნეობა. გერმანელი მეცნიერების **ბ. ნიბურის**,

ლ. რანკესა და **თ. მომზენის** ნაშრომები წარმოადგენდა ცალკეული წყაროთმცოდნეობითი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების მაგალითს. თავდაპირველად ამგვარი კრიტიკა აღმოცენდა ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის ბაზაზე. ამ დროიდან ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხები აქტიურად მუშავდება მრავალ ქვეყანაში.

ი. დროიზენმა და **ე. ბრენჰაიმმა** მოგვცეს ისტორიული კვლევის მეთოდების კლასიკური დაყოფა: 1. **ევრისტიკა** (წყაროების კვლევა); 2. **კრიტიკა და განმარტება** (ფაქტების მნიშვნელობის განსაზღვრა და მათ შორის კავშირი); 3. **გადმოცემა, ანუ ისტორიული რეკონსტრუქცია.**

პოზიტივისტური სკოლის გავლენით ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა წერილობითი დოკუმენტის კულტი, როგორც ისტორიული ბაზის ერთადერთი სანდო წყარო. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი **ე. კარის** სიტყვებით: „XIX საუკუნის ასწლეული იყო ფაქტების დიდი ეპოქა“.

მართალია, ისტორიულ-პოზიტივისტურმა სკოლამ წარმატებული ნახტომი გააკეთა წყაროს შემოწმებასა და მასში შემავალი ფაქტების დაზუსტებაში, მაგრამ იგი სკეპტიკურად უყურებდა თეორიულ განზოგადებებს და ზღუდავდა კვლევებში თეორიულ დასკვნებს. სწორედ ამის გამო, იგივე კარი, პოზიტივისტების კრიტიკის დროს წერდა: ისტორია მაინც წარმოადგენს ინტერპრეტაციას. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი **ვ. სოლოვიოვი** (1853-1900) ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოზიტივიზმს სურს გაანადგუროს განსხვავება მიზეზსა და მოვლენას შორის და უპირატესობა მოვლენას მიანიჭოს.

„პოზიტივისტური თეორიის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ ცნობილი გერმანელი მეცნიერებიც **ლ. რანკე, ი. დროიზენი** და **ე. მაიერი.** მაიერი წერდა: „პოზიტივიზმი ისტორიიდან დევნის სამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს – შემთხვევითობას, ნების თავისუფლებას, იდეასა და ადამიანთა წარმოდგენებს. უარყოფს პიროვნებათა როლს ისტორიის განვითარებაში“. **ი. დროიზენი** მთელი კატეგორიულობით გამოდიოდა ინგლისელი პოზიტივისტის ჰ. ბოკლის წინააღმდეგ, რომელსაც მიაჩნდა, რომ

ისტორია უნდა აყვანილ იქნეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რანგში.

საერთოდ, გერმანელი ისტორიკოსები იდეალისტური იდეების მატარებლები იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ისტორიკოსისთვის მთავარი ადამიანის ქმედების შეფასებაა. მათთვის ისტორია „ადამიანის ზნეობრივ სამყაროს“ წარმოადგენს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, პოზიტივისტური მეთოდოლოგიის შედეგად XIX საუკუნის II ნახევრის ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებას დიდი წარმატებები ჰქონდა ფაქტების დაგროვებისა და დამუშავების, საკვლევი სამუშაოების დონის ამაღლების, დამხმარე ისტორიული დისციპლინების განვითარების, ისტორიული წყაროების პუბლიკაციის დარგში.

ზოგადად განხილული პერიოდის ისტორიის მეთოდოლოგიაში, როგორც აკადემიკოსი **ე. ტარლე** აღნიშნავდა, შეიმჩნევა ორი ძირითადი მიმართულება: „სუბიექტური“ და „ობიექტური“. პირველი ამტკიცებს, რომ ისტორიულ კოლიზიებში მნიშვნელოვანი როლი პიროვნებას ეკისრება, მეორე კი თვლის, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალას ხალხთა მასები წარმოადგენს.

XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ორი მხარე შეიძლება გამოვყოთ: ქართველოლოგიური კერის ჩამოყალიბება საქართველოს ფარგლებს გარეთ და საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა თავმოყრა „თერგდალეულთა“ იდეების ირგვლივ. ქართველი სამოციანელები თავგამოდებით ილაშქრებდნენ ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი მართებული აზრით, ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საისტორიო მეცნიერების განვითარებას, რამდენადაც ხალხის გათვითცნობიერებას დიდად უწყობდა ხელს საკუთარი ისტორიის შესწავლა-შეფასება. ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ერის ისტორიის შესწავლით შესაძლებელია არა მარტო მოცემული ერის წარსულის ან აწმყოს შემეცნება, არამედ მომავლის გათვალისწინება. ამდენად, საქართველოს ისტორიას, როგორც დარგის განვითარებას XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეროვნული ღირსების შენარჩუნებისათვის ბრძოლის ფუნქცია მიენიჭა. ქართვე-

ლი ისტორიკოსები დაუღალავად შრომობდნენ, ხშირ შემთხვევაში ენთუზიაზმზე, ამ დარგის განვითარებისათვის.

1801 წელს, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით დაიწყო საქართველოს სახელმწიფოს სრული გაუქმება. შეუდგა ქვეყნის კოლონიზაციის კარგად გააზრებული გეგმის განხორციელებას. ქართველი ერის ასიმილაცია წარმოადგენდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმთავრეს მიზანს, რომლის მისაღწევად აუცილებელი იყო ეროვნული ცნობიერების მოსპობა.

ბუნებრივია, რუსეთის იმპერია კარგად ხედავდა, რომ ამ მიზნისაკენ მიმართულ ქმედებებს ქართველი ერის მხრიდან დიდი წინააღმდეგობები მოჰყვებოდა, ხოლო ამ წინააღმდეგობათა უპირველესი მოთავე ბაგრატიონთა სამეფო სახლი იქნებოდა. ამიტომ რუსეთმა მათი საქართველოდან მთლიანად გადასახლება გადაწყვიტა. ასე აღმოჩნდნენ რუსეთში მეფე გიორგი XII-ს (1798-1800) ვაჟები: **დავითი** (1767-1819), **იოანე** (1772-1830), **ბაგრატი** (1776-1841) და **თეიმურაზი** (1782-1846). პოლიტიკურ ასპარეზს მოკლებულმა ბატონიშვილებმა აქტიურად დაიწყეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რამაც ხელი შეუწყო ქართველოლოგიური კვლევა-ძიების გაშლას პეტერბურგში, 1805 წელს დავითმა რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოაქვეყნა საქართველოს მოკლე ისტორია. იგი ქართველ ვოლტერიანელთა პირველი წარმომადგენელია, რომელმაც თავის ნაწარმოებებში ფრანგ განმანათლებელთა იდეები ახსნა. საყურადღებოა დავითის სპეცილური ნაშრომი „Обозрение Грузии по части права и законоведения“, რომელშიც მოცემულია ერეკლეს II-ისა და გიორგი XII-ის დროინდელი ქართლ-კახეთის სახელმწიფო წყობის და კანონმდებლობის შესახებ ძვირფასი მასალა. გასაგებია, რომ დავითი მეფის რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიაში აბსოლუტურ ბოროტებას ხედავდა. აქ დანერგილ რუსულ მართველობასთან შედარებით მას ქართული სახელმწიფოებრივი უპირატესობის სწამდა.

როგორც ეპოქის თანამედროვემ, დავით ბატონიშვილმა დაგვიტოვა მეტად საინტერესო ისტორიული ხასიათის სხვა მასალებიც, რომელთაც საქართველოს XIX ს. ისტორიის შესწავლაში სერიუზული მნიშვნელობა ენიჭებათ.

ბაგრატ ბატონიშვილმა, თავისი „ახალი მოთხრობა“ მიუძღვნა, ძირითადად ერეკლე -თეიმურაზის მეფობის პერიოდს და XIX ს-ის დამდეგის ამბებს. თხზულება დაისტამბა პეტერბურგში 1819 წელს. ბაგრატი თავისი მოთხრობის შესავალში ასახელებს მის მიერ გამოყენებულ წყაროებს. იგი თავისი მსოფლმხეველობით რომანტიკოსია, ხოლო მისი თხზულება ქრონიკალურ სტილშია დაწერილი.

პეტერბურგში დიდ ლექსიკოლოგიურ და ისტორიულ-ფილოლოგიურ მუშაობას ეწეოდა იოანე ბატონიშვილი. მან თხუთმეტწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა პირველი ქართული მეცნიერული ენციკლოპედია – „კალმასობა“.

ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს (1837) თეიმურაზ ბატონიშვილს. მას ეკუთვნის ნაშრომი „ივერიის ისტორია“ (აქ ისტორია განხილულია ახლო აღმოსავლეთის ისტორიის გათვალისწინებით, გამოყენებულია ბერძნულ-რომაული და სომხური ისტორიოგრაფია) და გამოკვლევები რუსთველოლოგიის დარგში. იგი, აგრეთვე, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნა ტაციტუსის, ვოლტერის, პუშკინის და სხვ. ნაწარმოებები. იყო პარიზის და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოების წევრი. თეიმურაზ ბატონიშვილს „მთელი არსებით შეგნებული ჰქონდა ამა თუ იმ ერის ისტორიის აღწერის სიძნელე, წყაროების გამოყენების და წესიერად მოთხრობის პასუხისმგებლობაც“ – წერდა შ. მესხია. თეიმურაზის ძირითადი წყარო „ქართლის ცხოვრებაა“. ამავე დროს იგი იყენებს ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიას, „უძველეს წერილობით ძეგლებს“, თქმულებებს, ზეპირგადმოცემებს, ხალხში დარჩენილ ზნე-ჩვეულებებს. საყურადღებოა, რომ მისთვის პირველწყაროს ცნობა ყოველთვის მისაღები არ არის. ზოგჯერ იგი სხვადასხვა წყაროის მოშველიებით ასწორებს ცნობას, იძლევა წყაროს კრიტიკას და სხვ.

თეიმურაზმა პირველმა სცადა ბერძნულ-რომაული წყაროების გამოყენება საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, იგი პირველი შეეცადა იბერ-კოლხთა წარსულის გასაშუქებალდ გამოეყენებინა მითები. და ა. შ. მან საქართველოს ისტორიის ბევრი ახალი საკითხის შესწავლა დააყენა დღის წესრიგში. მისმა შრომებმა ხელი

შეუწყო საქართველოს ისტორიისადმი ინტერესის გაღვივებას, იგი თავისი მსოფლმხედველობით რომანტიკოსი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 1983 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის (საქართველოს ისტორიის წყაროები) ეგიდით, ალ. მიქიაშვილის რედაქციით, დაისტამბა წიგნი თეიმურაზ ბაგრატიონი, „ახალი ისტორია“. ეს ნაწარმოები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო, როგორ დავით ბაგრატიონის თხზულება. შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744 წ-დან 1819 წ-მდე.

თეიმურაზ ბატონიშვილს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ ორიენტალისტთან **მარი ბროსესთან,** რომელსაც საქართველოს ისტორიის შესახებ უხვ მასალას აწვდიდა და, რომელიც მის მოსწავლედ თვლიდა თავს. მარი ბროსეს სახელთან არის დაკავშირებული ქართველოლოგიის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება ევროპაში.

მართალია, ევროპაში ქართველოლოგიას რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ როგორც მეცნიერულ დარგს, XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ეს არ იყო შემთხვევითი. ამ დროისათვის ევროპის ბურჟუაზიას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ზედაპირული, მკრთალი აღწერილობითი ცნობები აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, იგი მოითხოვდა ამ ქვეყნების ღრმა და საფუძვლიან შესწავლას, მეცნიერულ გამოკვლევებს მათი ისტორიისა და კულტურის შესახებ.

1795 წელს პარიზში გაიხსნა სპეციალური სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ აღმოსავლურ ენებსა და ლიტერატურას, განსაკუთრებით დაწინაურდა ინდოევროპული ენების შესწავლა აღმოსავლურ ენებთან მიმართებაში, ორიენტალისტიკის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთსაც. მის მთელ რიგ უნივერსიტეტებში გაიხსნა აღმოსავლური ენების კათედრები (ხარკოვი, ყაზანი, მოსკოვი).

1818 წელს პეტერბურგში დაარსდა აზიური მუზეუმი, რომელმაც დაიწყო აღმოსავლური, მათ შორის ქართული ხელნაწერების შეგროვება. დიდი ინტერესი გაჩნდა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ისტორიის შესწავლისადმი, საქართველოს სიძველეებს აქტიურად სწავლობდნენ ცნობილი ორიენტალისტები: ბუტკოვი, ფრენი, შეგრენი და სხვ. ამ პროცესს ბატონიშვილებმა საკმაოდ სერიოზუ-

ლი საფუძველი მოუმზადეს, როგორც სამეცნიერო, ისე ნივთიერი თვალსაზრისით.

XIX საუკუნის დამდეგს ქართველ ბატონიშვილთა რუსეთში გადასახლებას შედეგად მოჰყვა ქართულ ხელნაწერთა ახალი დიდი „ემიგრაცია“, რომელიც დაიწყო XVIII ს-ში და დაკავშირებულია ჯერ არჩილ II-ის, ხოლო შემდეგ ვახტანგს VI-ის რუსეთში გამგზავრებასთან. მდიდარი, პირადი ბიბლიოთეკები წაიღეს პეტერბურგსა და მოსკოვში დავით, იოანე, ბაგრატ და თეიმურაზ ბატონიშვილებმა. ქართული ხელნაწერები ჰქონდათ რუსეთში გადასახლებულ სხვა ქართველბსაც (გ. ავალიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი და სხვ.).

გარდა ხელნაწერებისა, ქართველებმა რუსეთში გაიტანეს სხვა ქართული სიძველეები: ხატები, ძველი ჭურჭელი, საეკლესიო ნივთები და სხვა. ქართული წიგნებით, ხელნაწერებითა და სხვა სიძველეებით განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთი ევროპაში ამ მხრივ ყველაზე მდიდარი ქვეყანა შეიქნა. ქართველოლოგიური მუშაობისათვის იქ გაცილებით უკეთესი პირობები იყო, ვიდრე დასავლეთში.

საქართველოს შესახებ მრავალი წერილი იბეჭდებოდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებშიც. „Вестник Европы“, „Северная почта“, „Северный архив“ და სხვა. ჟურნალები აქვეყნებენ საქართველოში მოგზაურობათა ნაწყვეტებს, აქ მოღვაწე სამხედრო პირთა მოგონებებს, ჩანაწერებსა და სხვა მასალებს.

ევროპაში ორიენტალისტიკის და, კერძოდ, ქართველოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზიური საზოგადოების დაარსებას. პარიზში ასეთი საზოგადოება დაარსდა 1822 წ., ლონდონში – 1823 წ., გერმანიაში – 1844 წ.

პარიზის აზიურმა საზოგადოებამ სამუშაო პროგრამაში საგანგებოდ შეიტანა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა. საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი ჟურნალი: „Jour hal asistique“, რომლის ფურცლებზე ჩვენთვის საყურადღებო მრავალი ნარკვევი გამოქვეყნდა. ამ ნარკვევთა ავტორები იყვნენ ცნობილი ორიენტალისტები ჟ. სენ-მარტენი და ჰ. ი. კლაპროტი. განსაკუთრებული წვლილი ქართველოლოგიის განვითარებაში მიუძღვის ჰაინრიხ კლაპროტს. შეიძლება ითქვას, რომ 20-იანი წლებისათვის ევრო-

პულ ქართველოლოგიაში უკვე მოიპოვებოდა დიდძალი აღწერილობითი ცნობები საქართველოს შესახებ, [გოტიეს (XI ს.), ანსელუსის, რაინდ დებუას (XIII ს.), ორდერიკი ვიტალის (XII ს.) ვილჰელმ ტვირელის (XIII ს.), ჟაკ დე ვიტრის (XIII ს.), იაკობ როგსანელის (XIII ს.) , ივანე ფლორენციელის (XIV ს.), იოანე შილტბერგერის (XV ს.), ამბროზიო კონტარინის (XV ს.), მარკო პოლოს (XV ს.), პლანო კარპინის (XIII ს.), არქანჯელო ლამბერტის, პიეტრო დელა ვალეს, კასტელის, ჟან შარდენის (XVII ს.), რაინეგსის, გიულდენშტედტის (XVIII ს.) და სხვათა ცნობები თუ აღწერილობები]. ევროპის სხვადასხვა დაწესებულებაში თავმოყრილი იყო ქართული სიძველეები, [ვატიკანის, პარიზისა და ვენის სამეფო ბიბლიოთეკები, ბრიტანეთის მუზეუმი], ხოლო ცალკეულ საკითხებზე არსებობდა მეცნიერული გამოკვლევები, „სპეციალისტი – ქართველოლოგის გამოჩენისათვის ნიადაგი ყოველმრივ შემზადებული იყო“.

ეს ადგილი მარი ბროსემ დაიკავა. მარი ბროსეს დაწყებული საქმე გააგრძელეს და-ძმა უორდროპებმა, ხოლო პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის მემკვიდრეებად გვევლინებიან დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი და სხვები.

მარი ფელისიტე ბროსე (1802-1888) 1826 წლიდან თავისი უფროსი კოლეგისა და მეგობრის, ჟ. სენ-მარტენის რჩევით იწყებს ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიან შესწავლას, მან გადაწვეტილება მიიღო, გამხდარიყო ქართველოლოგი.

ქართველოლოგიური მოღვაწეობა მარი ბროსემ წინამორბედ მკვლევართა ნაშრომების კრიტიკული განხილვითა და შეფასებით დაიწყო. უმთავრესი ყურადღება მან ქართული ენის არსებულ ლექსიკონებს (პაოლინის, ფირალოვის, კლაპროტის) და გრამატიკულ ნაშრომებს (მაჯიოსის, გაიოზის, ფირალოვის, ფატერის) მიაქცია. მისი აზრით, ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და მათ სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდათ. განსაკუთრებით ბროსემ გააკრიტიკა კლაპროტის ქართული გრამატიკა. მან თავისი აზრი, რომ კლაპროტი ქართული ენის სრულფასოვან გრამატიკას ვერ შექმნიდა, მოახსენა „აზიურ საზოგადოებას“. ამას მოჰყვა ცხარე კამათი ბროსესა და კლაპროტს შორის, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც მ. ბროსეს შემოქმედების

მკვლევარი შ. ხანთაძე აღნიშნავს: „აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა მუშაობის ორი სხვადასხვა სტილი, ორი სხვადასხვა მეთოდი. კლაპროტის მუშაობა ქართულის დარგში არ სცილდებოდა დილეტანტიზმის ფარგლებს, მას შესაძლებლად და დასაშვებად მიაჩნდა მეორე და მესამე პირთა ხელიდან გამოსულ მასალებზე დაყრდნობა, უშუალოდ პირველწყაროების შესწავლას და მათზე დამყარებას იგი აუცილებლობად არ თვლიდა... ბროსე უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა პირველწყაროების შესწავლას, ენის საფუძვლიან ცოდნას, მთელი მსჯელობის დამყარებას შემოწმებულ და კრიტიკულად განხილულ მასალებზე... მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ქართველოლოგია გასცილებოდა დილეტანტიზმის ბჭეებსა და ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დამდგარიყო“

მარი ბროსეს არქივი ნათელ წარმოდგენას ქმნის თუ რა კოლოსალურო შრომა გასწია მან ქართულის შესწავლისათვის. ბროსეს საკუთარი ხელით გადმოუწერია პარიზის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი (ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული, ვეფხისტყაოსანი, ქართული ისტორიული ქრონიკა, ნაწყვეტები ახალი აღთქმის წიგნებიდან და სვინაქსარიდან), შეუდგენია ქართული ენის ვრცელი ლექსიკონი სიტყვათა ძირების მიხედვით, ფრანგულად უთარგმნია ამ მასალების უდიდესი ნაწილი და ა. შ. ამ დიდი მუშაობის შედეგად იგი ქართულს კარგად დაეუფლა და გაერკვა ქართველოლოგიის სხვადასხვა საკითხში.

ევროპული ქართველოლოგიის წინაშე ბროსეს ხანაში მწვავედ იდგა ქართული მასალების გამოყენების საკითხი, ამის გარეშე წინსვლა ქართველოლოგიაში წარმოუდგენელი იყო. იმ დროს ყველაზე მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენდა ქართული ისტორიული ქრონიკის გამოქვეყნება, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „პარიზის ქრონიკის“ სახელითაა ცნობილი. იგი შეიცავს ქართლის ცხოვრების გაგრძელების ერთ-ერთ გადაკეთებულ ვარიანტს და გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას 1373 წლიდან 1703 წლამდე. ამ ძეგლის ხელნაწერი საქართველოდან პარიზში ჩაიტანა 1826 წელს ვიქტორ ლეტელიემ. 1829 წელს ბროსემ ეს ქრონიკა ლითოგრაფიულად გამოსცა, ხოლო მომდევნო წელს სტამბურად გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი. ეს იყო, ქართული ისტორიული თხ-

ზულების პირველი პუბლიკაცია ევროპაში. „პარიზის ქრონიკას“ ბროსემ დაურთო საყურადღებო შესავალი, ნარკვევი და კომენტარები. მას მრავალრიცხოვან შენიშვნებსა და კომენტარებში მოჰყავს ქრონიკის ცნობების საკონტროლო მასალა სხვადასხვა წყაროდან (შარდენი, პესიონელი, გიულდენშტედტი და სხვ.) წიგნს ბოლოში ერთვის ქართველ მეფე-მთავართა რამდენიმე ნუსხა, შედგენილი გამომცემლის მიერ.

მ. ბროსემ პირველმა გახადა ცნობილი ევროპელ მკვლევართათვის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული და გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ელჩობის შესახებ არსებული ფრანგული მასალები.

მ. ბროსე ქართველოლოგიაში შემდგომი მუშაობის გაგრძელებისათვის 1830 წელს, ხოლო შემდეგ 1834 წელს ითხოვს მივლინებებს საქართველოსა და რუსეთში, თუმცა უშედეგოდ. გაჭირვებაში ჩავარდნილი ბროსე თავის მეგობარს ფ. შარმუას მეშვეობით უკავშირდება ქართველ სწავლულ ბატონიშვილს – თეიმურაზ ბაგრატიონს. სწორედ ამ დროიდან იწყება მის სამეცნიერო მუშაობაში ახალი ეტაპი.

თეიმურაზ ბატონიშვილი ბროსეს უგზავნის ქართულ მასალებს. ბროსემ 1833 წელს გამოსცა ქართული მასალების ახალი კრებული, რომელშიც შევიდა თეიმურაზის სამი თხზულება, ნაწყეტი ქართული ხელნაწერებიდან და სხვ.

თეიმურაზი სისტემატურად უსწორებდა ბროსეს ქართულ ენაში დაშვებულ შეცდომებს, უხსნიდა ქართული ზმნის ფორმებს, სხვა გრამატიკულ კატეგორიებს. თეიმურაზი ამხნევებდა მას, აქეზებდა შემდგომი მუშაობისათვის, დაუღალავად უხსნიდა ქართველოლოგიის ამა თუ იმ საკითხს.

ამ ორი პირის მიწერ-მოწერიდან კარგად ჩანს, რომ ბროსეს თეიმურაზისაგან მიუღია პასუხი თითქმის ყველა საკითხზე, რომელიც კი მას იმხანად აინტერესებდა და სჭირდებოდა მუშაობის წარსამართავად. თეიმურაზი მისგან მოითხოვდა მეცნიერულ სიფრთხილეს. „ტყუილები არ ჩავწეროთ – წერდა თეიმურაზი – თორემ სირცხვილი იქნება, მერე ქართველები მე დამცინებენ: აი, ამისთანა შეგირდი გყავსო“. ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდა,

როდესაც ბროსე ჩავიდა პეტერბურგში და პირადად გაიცნო სწავლული ბატონიშვილი.

1836 წელს სრულიად მოულოდნელად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ბროსეს შესთავაზა დაეკავებინა სწორედ იმ ხანებში რუსეთიდან დ. შარმუას წასვლით განთავისუფლებული ადგილი და ემუშავა ქართული და სომხური ფილოლოგიის ხაზით. ამ საქმის მოთავე იყო აკადემიის პრეზიდენტი ს. უვაროვი, რომელიც დაინტერესებული იყო რუსეთში აღმოსავლურ ენათა შესწავლის განვითარებით. 1836 წ. 14 დეკემბერს ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად. 1837 წლის 4 აპრილს იმპერატორმა დაამტკიცა და 18 ივნისს იგი ოჯახით ჩავიდა პეტერბურგში.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევისა და პეტერბურგში გადასვლის შემდეგ მარი ბროსეს პირობები გაუმჯობესდა. გარდა იმისა, რომ იგი მატერიალურად უზრუნველყოფილი გახდა, მის განკარგულებაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობა ქართული ისტორიული მასალებისა – ხელნაწერები, მონეტები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ. გაფართოვდა სამუშაო ასპარეზი, განმტკიცდა დოკუმენტური ბაზა. რეალური გახდა საქართველოში სამეცნიერო მივლინებით ჩამოსვლის შესაძლებლობა.

ბროსეს მუშაობა წარმატებული აღმოჩნდა რუსული ორიენტალისტიკის განვითარებისათვის. მისი გარჯით პეტერბურგი გადაიქცა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის ერთ-ერთ უმძლავრეს ცენტრად. ბროსემ რუსეთის ქართველოგიას მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

ბროსეს რუსეთში შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ძეგლს „ქართლის ცხოვრებას“, მნიშვნელოვან მიღწევას – ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს და ბრწყინვალე სწავლულს თეიმურაზ ბაგრატიონს. ბროსე ამით გაეცნო ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად ამოცანებს და მიმართულებას.

ბროსე თავისი მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანად თვლიდა ქართული ისტორიული მატიანეების კრებულის კრიტიკულ, მეცნიერულ გამოცემას. მისი თქმით – ასეთ შემთხვევაში განათლებული ევროპა მიიღებდა უმდიდრეს ისტორიულ კრებულს, რომელიც თამა-

მად გაუსწორებდა თვალს აზიის სხვა ხალხთა ისტორიულ ქრონიკებს, ამისთვის კი საჭირო იყო შესამოწმებელი მასალის როგორც ეროვნული (ქართული სიგელ-გუჯრები, წარწერები, ლიტერატურული ძეგლები), ასევე უცხოურის (სომხური, არაბული, თურქული, სპარსული, ბიზანტიური, რუსული) მოძიება, შესწავლა და პუბლიკაცია. ამ მიმართულებით გაწეული შრომის შედეგად 1844 წლისთვის რუსეთის აკადემიის აზიურ მუზეუმს ოთხმოცდაათამდე ხელნაწერი ჰქონდა, ხოლო 1846 წლისთვის, თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის აკადემიისათვის გადაცემის შედეგად ქართულ ხელნაწერთა რიცხვმა რამდენიმე ასეულს მიაღწია. 1844 წლისათვის დავით ჩუბინაშვილმა შეადგინა აზიური მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა პირველი კატალოგი, რომელიც ბროსემ ფრანგულად თარგმნა და დორნის მიერ გამოცემულ კრებულში გამოაქვეყნა.

დოკუმენტური მასალების ძიებამ ბროსე მიიყვანა რუსეთის არქივსაცავებში, სადაც იგი გაეცნო დიდძალ მასალას რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი მოსკოვში. შედეგად, მას შესაძლებლობა მიეცა გადმოეცა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია XV საუკუნიდან XVIII საუკუნის დამდეგამდე.

1842 წელს ბროსემ გამოსცა ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომი, ხოლო 1847 წელს მოიპოვა მინისტრთა კომიტეტის ნებართვა ერთწლიანი სამეცნიერო მივლინებისა.

მარი ბროსეს საქართველოში სამეცნიერო მოგზაურობას ფართო ხასიათი ჰქონდა. პირველი, მან მნიშვნელოვნად შეავსო და გააფართოვა მის განკარგულებაში არსებული ქართული ისტორიული მასალები, სიგელ-გუჯრები; მეორე, იგი გაეცნო ქვეყანას, მის გეოგრაფიულ სახეს, მთებსა და მდინარეებს, სოფლებსა და ქალაქებს, რასაც უნდა გაეადვილებინა მისთვის რიგი ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხის გამოკვლევა; მესამე, გაფართოვდა ბროსეს ქართველ ნაცნობთა წრე, მას გაუჩნდნენ ახალი ხელშემწყობი პირები, კორესპოდენტები, რაფიელ ერისთავი, იაკობ ცისკარიშვილი და სხვ. ბროსეს არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში თავისი მასშ-

ტაბებითა და შედეგებით ბევრად აღემატებოდა რუსეთის აკადემიის მიერ ადრე განხორციელებულ ანალოგიურ ექსპედიციებს.

საქართველოში მოგზაურობის შედეგები ბროსემ გამოაქვეყნა 1849-1851 წლებში სამ წიგნად, 12 მოხსენების სახით.

მარი ბროსემ რთული და ხანგრძლივი შრომის შედეგად 1849-1858 წლებში შვიდ წიგნად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“. ეს არ იყო მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ პუბლიკაცია. არსებითად მან ამ სახელწოდების ქვეშ გააერთიანა რიგი ქართული მატიანეებისა, მასში შევიდა: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიული თხზულების მეორე ნაწილი, მისივე „ქრონიკონები“, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის თხზულებები და ფარსადან გორგიჯანიძის საქართველოს ისტორიის ნაწილი. გარდა ამისა, „სომხური ქრონიკის“ („ქართლის ცხოვრების“ მოკლე სომხური თარგმანი) ფრანგული თარგმანი და ძმების – დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილების ისტორიული მასალები (XVIII-XIX ს-ს. შესახებ). ბუნებრივია ამ გამოცემას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „ქართლის ცხოვრება“, ხოლო საკუთრივ „ქართლის ცხოვრება“, ანუ ძველი ქართული მატიანეების კრებული შედგება სამი ნაწილისაგან: დედნის ენაზე დაბეჭდილი ძეგლებისაგან, მათი ფრაგმენტული თარგმანისა და გამომცემლის მიერ დართული დამატებებისა და განმარტებებისაგან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბროსეს ხანგრძლივი ორიგინალური კვლევა-ძიებითი მუშაობის ნაყოფს, სადაც ავტორმა თავი მოუყარა უამრავ საკონტროლო და დამატებით მასალას, დააჯგუფა ისინი ცალკეული საკითხების მიხედვით, კრიტიკულად განიხილა და განმარტა.

მ. ბროსემ ასევე დიდი შრომა გასწია ქართული ეპიგრაფიკული მასალისა და ხელნაწერების შესწავლის საქმეში.

უდავოდ შეუფასებელია მარი ბროსეს ღვაწლი ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებისა და ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბების საქმეში.

გამოჩენილმა ბრიტანელმა დიპლომატმა, მწერალმა, მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ, **ოლივერ უორდროპმა (1864-1948)** და მისმა დამ, ცნობილმა მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ, **მარჯორი უორდროპმა (1869-1909)**, თავიანთი მოღვაწეობა საქა-

რთველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლას მიუძღვნეს და სამეცნიერო მიმოქცევაში შეიყვანეს უმნიშვნელოვანესი ქართული მწერლობის ძეგლები.

ოლივერ უორდროპი პირველად 1887 წელს ესტუმრა საქართველოს. მომეწონა რომი, მაგრამ აღფრთოვანებული ვარ საქართველოთი – წერს იგი თავის მშობლებს. ოლივერს სიცოცხლის ბოლომდე საქართველოსადმი ინტერესი არ განელებია. იგი აგროვებდა მასალას საქართველოს შესახებ, იწერდა ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, ქართული ლეგენდების უცნობ ვარიანტებს, ხვდებოდა ქართველებს, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს. დაუმეგობრდა ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. მაჩაბელს, გაბრიელ ეპისკოპოსს, რუსეთში ყოფნის დროს – ა. ცაგარელსა და ა. ხახანაშვილს. მან გამოსცა წიგნი „საქართველოს სამეფო“. იგი აღნიშნავდა, რომ „საქართველო, პრაქტიკულად უცნობია ბრიტანული საზოგადოებისთვის. საქართველოს წარსული კი ისეთია, რომ შეუძლია დაამშვენოს დიდება თვით რომისა და საბერძნეთის“.

1892 წელს ოლივერ უორდროპი დაინიშნა ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად და კონსულად სანქტ-პეტერბურგში. მას თან ახლდა მარჯორი, რომელიც ოლივერს ეხმარებოდა დიპლომატიური მისიის შესრულებაში.

უორდროპებმა ერთობლივად დაიწყეს მუშაობა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლაზე, ისინი თარგმნიდნენ ქართულ ლიტერატურას. მათ მიერ იქნა თარგმნილი და გამოცემული: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ ცნობილი ინგლისელი არმენოლოგისა და თეოლოგის ფ. კ. კონიბრის კომენტარებით, ა. ცაგარელის მიერ მომზადებული ქართული ხელნაწერების კატალოგი ჯვრის მონასტრიდან და მრავალი სხვა.

უორდროპების დიდი ძალისხმევით შეიქმნა ყველაზე მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ევროპაში. მათვე ეკუთვნით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე პეტიციის შედგენის ინიციატივა, საპროტესტო კომიტეტის შექმნა ქართველი გლეხობის დასაცავად კაზაკთა რეპრესიებისაგან და სხვ.

მარჯორის გარდაცვალების შემდეგ (1909 წელს, ბუქარესტში) ოლივერმა დატოვა დიპლომატიური სამსახური, დაბრუნდა ლონდონში, გააგრძელა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შეძენა და შევსება, რომელიც გადასცა ბოდლის ბიბლიოთეკას, ოქსფორდში.

ოლივერმა 1909 წელს ოქსფორდის უნივერსტეტში დააარსა მარჯორის სახელობის საქველმოქმედო ფონდი. ამ ფონდის შექმნის მიზანი იყო ოქსფორდში ქართული ენის კათედრის დაფუძნება და ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ხელშეწყობა. ფონდმა გამოსცა ე. ჩერქეზიშვილის მიერ მომზადებული „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, ოლივერის „სვანური ენის ლექსიკონი“, სამეფო აზიურ საზოგადოებასთან ერთად 1912 წელს გამოსცა მარჯორისეული „ვეფხისტყაოსნის“ არასრული ინგლისური თარგმანი. მასზე მუშაობაში მარჯორის ეხმარებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ცაგარელი.

ცნობილ ინგლისელ ისტორიკოს უ. ალენთან ერთად ოლივერმა ინგლისში დააარსა „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ (1930 წ.), გამოსცა ჟურნალი „Georgian“. იგი მატერიალურად ეხმარებოდა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს თბილისში.

ფონდი ხელს უწყობდა ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას კემბრიჯის უნივერსიტეტში, აფინანსებდა ცნობილი მეცნიერის რ. სტივენსონის ქართველოლოგიურ კვლევას და მრავალი სხვ.

ო. უორდროპის გარდაცვალების შემდეგ (1948 წ.) ფონდმა გამოსცა გ. ბარეტის მიერ მომზადებული ინგლისში დაცული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი.

ფონდი დღესაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

XIX საუკუნის ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში როგორც აღინიშნა, უდიდესი როლი შეასრულა პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ. სწორედ ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია **ალექსანდრე ცაგარელი**.

ალ. ცაგარელმა დავით ჩუბინაშვილთან ერთად (1814-1891 წ.წ.) საფუძველი ჩაუყარა პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართული სიტყვიერების კათედრას, ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის შემოღებას.

ალ. ცაგარელის უპირველესი მიზანი იყო, ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა, საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლით, ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნით, ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებების პუბლიკაციებით, საერთაშორისო კონგრესებსა და არქეოლოგიურ ყრილობებზე მონაწილეობით საზოგადოებისათვის გაეცნო ქართველი ერის მდიდარი ისტორიული წარსული. ყველაფერი ეს კი, მისი ღრმა რწმენით ხელს შეუწყობდა საინტერესო, თვითმყოფადი, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასა და ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ევროპულ დონეზე განვითარებას.

ამ მიზნების განხორციელებაში ალ. ცაგარელს დაეხმარა მისი სამეცნიერო ავტორიტეტი და იმ პერიოდში შექმნილი ვითარება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპის ბურჟუაზია, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სერიოზულად დაინტერესდა აღმოსავლეთის ქვეყნებით. გაჩნდა მოთხოვნილება ამ პერიოდში ისტორიისა და კულტურის მეცნიერული გამოკვლევებისადმი, გასაგები მიზეზების გამო აღნიშნულ ტენდენციას აქტიურად გამოეხმაურა რუსეთი, რამაც ხელი შეუწყო აქ ორიენტალისტიკის მნიშვნელოვან განვითარებას.

ალ. ცაგარელი, თავდაპირველად, XVIII ს-ის რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობებით დაინტერესდა. იგი თვლიდა, რომ საკითხის დოკუმენტურად შესწავლა ხელს შეუწყობდა ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიის სწორად გააზრებას. მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მან მრავალი დოკუმენტი მოიძია, რის შედეგადაც მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ნაშრომი – „XVIII საუკუნეში ქართველი მეფეებისა და მთავრების მიმოწერა რუსეთის ხელმწიფესთან“. დიპლომატიური აქტების შემდგომი გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1891 წელს დაბეჭდილი კრებული – XVIII ს-ის სიგელები და სხვა ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ, რომელშიც სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შინაარსის შემცველი დოკუმენტის გარდა შევიდა მეფეთა ხელშეკრულებები. მათ შორის, 1783 წლის ტრაქტატის ტექსტი ქართულ ენაზე.

1876-1878 წწ-ში ა. ცაგარელმა აღწერა და მეცნიერულად შეისწავლა სოფ. გორდში დავით დადიანის ქართულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია, სადაც აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხა, 1880 წელს – ივანე გრუზინსკის ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ცნობილი კოლექცია. 1882 წელს გაეცნო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებს. 1890 წელს, ოთხი თვის მანძილზე, რომში, ვენეციასა და კრაკოვში ჩაატარა კვლევითი სამუშაოები, რომლის დროსაც XII ს-ის ქართული სიძველეები შეისწავლა. 1892-1894 წწ-ში ორჯერ გაემგზავრა იტალიაში წიგნთსაცავებში სამუშაოდ. ვატიკანის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ქართული ოთხთავი. მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი მოგზაურობა 1883 წელს, როცა მან პირველმა მიაკვლია და იმ დროის კვალობაზე მეცნიერულად დაამუშავა სინას მთაზე, ათონის ივერთა და იესუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული ქართული მწერლობის ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი. შეადგინა 332 ქართული ხელნაწერის კატალოგი, შეკრიბა ცნობები ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, გადმოიღო ორმოცზე მეტი წარწერა და ორმოცდაათზე მეტი წმინდანისა თუ ისტორიულ პირთა პორტრეტი (მათ შორის, შოთა რუსთაველის პორტრეტი), რაშიც ძალიან დაეხმარა ხატვის ნიჭი. ამ უნიკალური კოლექციის მეშვეობით საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა X ს-ის ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე-ზოსიმეს ნაწარმოები – „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და უძველესი ქართული ხელნაწერი (864 წ.), ე. წ. სინური მრავალთავი. მეცნიერის შრომას გაზეთმა „ივერიამ“ ვრცელი წერილი მიუძღვნა, სადაც შეფასდა მისი დიდი მამულიშვილური საქმე.

მკვლევარმა მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მოახერხა გამოეცა ამ დიდი შრომის შედეგი. 1886-1894 წწ-ში სამ წიგნად დაიბეჭდა „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლთა შესახებ“ („Сведения о памятниках грузинской письменности“), ხოლო 1888 წელს „ქართული სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე“ („Памятники грузинской старины в святой земле и на Сине“). აქ შესულია მეცნიერის ისტორიული ნარკვევი წმინდა მიწისა და სინასთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ, ქართული კოლონიის ცხოვრება პალესტინაში და სხვ. შეგროვილი მასალის ანალიზის საფუძველზე,

მან გამოთქვა მოსაზრება ქართული მწერლობის პერიოდებად დაყოფის თაობაზე.

ალ. ცაგარელის მრავალმხრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილია კვლევები ქართულ და ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ურთიერთობის შესახებ. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: ქართველთმცოდნეობის წმინდა საენათმეცნიერო დარგის თაოსნობა პროფ. ალ. ცაგარელის ღვაწლს შეადგენს. XX ს-ის 50-იან წწ.-ში კი მის შრომებს ასე აფასებდნენ: ალ. ცაგარელმა პირველმა მოიმარჯვა ქართველურ ენათა მიმართ ისტორიული და შედარებითი მეთოდი; პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა მეცნიერულ შესწავლას, პირველმა მისცა დასაბამი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიას. ეს სწორად აღებული გეზი შემდეგ არ შეცვლილა: მომდევნო მკვლევრებს მოუხდათ ცაგარელის წამოწყებული საქმის ძიების შევსება, გაგრძელება, გაღრმავება და არა თავიდან დაწყება.

1872 წელს გამოცემულ ნაშრომში, – „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლიგიის შედარებითი მიმოხილვა“ – მეცნიერი წერს: მეგრულ-ჭანურ-სვანურის ბუნების ანალიზი გასაღებია საკუთრივ ქართული ენის შედგენილობის გამოსარკვევად, ხოლო 1873 წელს გამოცემულ სადისერტაციო ნაშრომში – „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“ (კრიტიკული ნარკვევი)“, რომელშიც განხილული აქვს ქართული ენის ფონეტიკა და მორფოლოგია, აკეთებს დასკვნას – ქართულ ენას ენათა შორის განკერძოებული ადგილი უკავია. მის მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს 1880 წელს ორ წიგნად დაბეჭდილი „მეგრული ეტიუდები“, რომელზეც ნიკო მარი (1864-1934 წწ.) ამბობდა: შეგროვილი მასალით მან თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ მეგრული ენა თუმცა მონათესავეა ქართულის, მის კილოს არ შეადგენს. თუმცა მოკლებულია მწერლობით განვითარებას, მისი, ქართულის ფარდი, ლინგვისტურად თანასწორი ძმა ენაა და არა გარყვნილი ქართული.

„მეგრული ეტიუდები“, სამწუხაროდ, ენათმეცნიერებაში ალ. ცაგარელის ბოლო ნაშრომი აღმოჩნდა. საქართველოში რუსეთის იმპერიული მანქანა ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს: მეგრელებსა და სვანებს არაქართველებად აცხადებდა, რისი საბოლოო მიზანი

მათი დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოშორება იყო. შექმნილი ვითარების ფონზე, ქართულმა საზოგადოებამ მეცნიერის შრომები უდროოდ მიიჩნია და მისი მისამართით მკაცრი შეფასებები გაკეთდა, ალ. ცაგარელმა ამ მიმართულებით კვლევების შეწყვეტა გადაწვიტა.

ალ. ცაგარელი აქტიურად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო კონგრესებზე, არქეოლოგიურ ყრილობებზე, თანამშრომლობდა სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებასთან. მისი შრომები ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე. ცნობილი მეცნიერი, საფრანგეთის პრეისტორიული საზოგადოების დამაარსებელი, ემილ რივიერი მას ევროპის საუკეთესო მკვლევართა შორის მოიაზრებდა. მეცნიერს ეკითხებოდნენ რჩევებს აღმოსავლეთმცოდნეთა კონგრესის ჩატარების ადგილისა და პირობების შესახებ. მისი გადაწვეტილებით, 1885 წელს აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესს ლონდონმა უმასპინძლა.

ალ. ცაგარელთან თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქარაძე, მოსე ჯანაშვილი და სხვანი. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მისამართით გაგზავნილ მის პირად წერილებში დასმულია „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნის, ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების აუცილებლობის, თბილისში ქართული მუზეუმის მშენებლობის, ისტორიულ ძეგლთა მოვლა-პატრონობის, მომავალი თაობის აღზრდისა და სხვა აქტუალური საკითხები. ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ მისი მეცადინეობით შემოიღეს სამრევლო სკოლებში. იგი აქტიურ დახმარებას უწევდა საეკლესიო მუზეუმს, მონაწილეობდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების მუშაობაში. მისი თაოსნობით თბილისში ჩატარდა არქეოლოგთა V ყრილობა (1881 წ.).

ალ. ცაგარელი დიდი მონდომებით ჩაება ბრძოლაში, რომელიც 1905-1906 წწ-ში ქართულმა საზოგადოებამ, სამღვდელოებასთან ერთად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად დაიწყო. იგი რუსეთის უმაღლეს სამღვდელოებასთან მოლაპარაკებების დროს მეცნიერულად, წყაროებზე დაყრდნობით იცავდა ქართული

ეკლესიის უფლებებს, ეს ბრძოლა მაშინ უშედეგოდ დამთავრდა. ალ. ცაგარელმა 1912 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ნარკვევები ქართული ეკლესიის ისტორიიდან“ (Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу). 1919 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ალ. ცაგარელმა გამოსცა ბროშურა – „საქართველოს უცილობელი უფლებები მისი დამოუკიდებლობის ცნობაზე და სახელმწიფო საზღვრების აღდგენაზე“, რომელშიც 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აქტს უკანონო და ძალისმიერი უწოდა.

ალ. ცაგარელი დაიბადა 1844 წელს 27 ნოემბერს სოფ. კასპში, მღვდლის ოჯახში, დაამთავრა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარია (1805 წ.) შემდეგ ვაჟთა კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“. ქართულ პრესასთან ურთიერთობას იგი საზღვარგარეთ სწავლის პერიოდშიც აგრძელებდა. აქვეყნებდა წერილებს ქართული ლიტერატურის, თეატრის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ. მან ნ. ბართაშვილი ბაირონს შეადარა, ხოლო ალ. ჭავჭავაძეს XVIII ს-ის ქართული პოეზიის ელჩი უწოდა. ქართული ლიტერატურის განვითარების აუცილებელ პირობად ალ. ცაგარელს ხალხური პოეზიის შესწავლა მიაჩნდა. გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესებს იგი „ქართული ცხოვრების სარკეს“ უწოდებს.

ალ. ცაგარელი 1867 წელს სწავლას განაგრძობს პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ ორ კვირაში გადადის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქ იგი ესწრება პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორის, დავით ჩუბინაშვილის ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ეუფლება ევროპულ ენებს. 1868 წლიდან სწავლობს მიუნხენის, ტიუბინგენის, ლაიფციგის, ვენის უნივერსიტეტებში. იღრმავებს ცოდნას ენათმეცნიერებაში. ეუფლება არაბულს, სპარსულს, თურქულს, სომხურს. ტიუბინგენში სწავლის დროს ადგენს სომხურ-ინგლისურ, ინგლისურ-არაბულ, თურქულ-რუსულ მოკლე ლექსიკონებს. 1871 წელს ბრუნდება პეტერბურგში. ამავე წელს პროფ. დ. ჩუბინაშვილი გადის პენსიაში და მის ადგილს, ქართული

ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგის თანამდებობას, მისი რეკომენდაციით ალ. ცაგერელი იკავებს. აქედან იწყება მეცნიერის მოღვაწეობა პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის, მწერლობის, საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

1884 წელს ახალი წესდების მიხედვით სომხური და ქართული ენების კათედრები გაერთიანდა. ამ გაერთიანებამ ქართული ენის სწავლების პირობები შეზღუდა. ალ. ცაგარელმა დიდი ბრძოლის შედეგად 1902 წელს კათედრის აღდგენას მიაღწია, მოიპოვა სტუდენტური სტიპენდიები, განაახლა სასწავლო პროგრამები.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი 1920 წელს აირჩიეს თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად მიიწვიეს. იგი დიდი სიხარულით ჩამოვიდა საქართველოში. ცოტა ხნით კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში. მას მუდამ ხალხმრავალი აუდიტორია ჰყავდა. პროფესორმა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა. თბილისის უნივერსიტეტმა 1922 წელს ალ. ცაგარელს ა. შანიძის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის თაოსნობით სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადა. კონსტანტინე გამსახურდია იუბილესადმი მიღძვნილ წერილში წერდა: „ალ. ცაგარელს ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ იგი მუდამ ფიქრობდა თავის პატარა საქართველოზე. 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს დღეს სწორედ ამ დიდი სიყვარულისათვის აკოცებს საქართველო თავისი შვილის ნაოჭებიან შუბლს“. აკად. ივ. ჯავახიშვილმა საიუბილეო სიტყვაში თქვა: „ალ. ცაგარელის დამსახურება ეპოქალურია და მის შრომებზე თაობები ისწავლიან“.

საიუბილეო საღამოზე პროფ. ალ. ცაგარელმა დაფასებისთვის მადლობა გადაიხადა და მოკრძალებით განაცხადა: „მე კარგად ვიცი, რომ ეს პატივსიცემა არ შეეხება მარტო ჩემს პიროვნებას, არამედ – იმ საგანსაც, რომელსაც მე დიდხანს ვემსახურებოდი უცხოეთში: როგორც სამშობლო ენას, ისე ქართულ ლიტერატურას, ისტორიას

და ქართულ სიძველეთ... რა გავაკეთე, რა მოვაგვარე, ამ ხნის განმავლობაში? – ის, რაც ჩვენს მეცნიერებას და საქართველოს... შეეფერებოდა!“ ეს გახლდათ მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა.

1929 წლის 15 ნოემბერს ქართულმა საზოგადოებამ ალექსანდრე ცაგარელის ნეშტი მთაწმინდის მიწას მიაბარა. ეს მისი ღვაწლის უდავოდ დიდი დაფასებაა.

თემა V

საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოძრაობა საქართველოში (XIX ს-ის მე-2 ნახევარი – XX ს-ის დასაწყისი)

რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. ქართულმა სამეფომ არსებობა შეწყვიტა და იგი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. ამ აქტმა საფუძველი დაუდო არა მხოლოდ მთელი საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დასასრულს.

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება დიდი ეროვნული ტრაგედია იყო. შედეგად, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანაში ანტირუსულმა განწყობილებამ მწვავედ იჩინა თავი. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე, სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაება მთელი ერი.

დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი საქართველოში გამოსვლებმა და აჯანყებებმა მოიცვა. საუკუნის პირველ ნახევარში ხუთი ფართო მასშტაბიანი აჯანყება მოეწყო. ყველა აჯანყება მარცხით დასრულდა. საბოლოოდ, რუსეთის იმპერიამ ეროვნული მოძრაობა სისხლში ჩაახშო. რუსეთმა ხელთ იგდო ეკონომიკა. უცხოტომელთა ჩამოსახლების შედეგად შეიქმნა ძლიერი სოციალური დასაყრდენი, ქართველთა საზიანოდ შეიცვალა დემოგრაფიული ვითარება. კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთის ექსპანსიის საწინააღმდეგო ძალა აღარ ჩანდა.

საქართველოში მკვეთრად ფეხმოკიდებული რუსეთი XIX საუკუნის II ნახევრიდან შეუდგა თავისი ყველაზე მზაკვრული გეგმის განხორციელებას. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ქართველი ერის ასიმილაცია წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო ქართული ეროვნული ცნობიერების მოსპობა. ამისათვის კი საჭირო შეიქნა იმ გარემოს მოშლა, რომელშიც ყალიბდება ამგვარი ცნობიერება. უმთავრესი დასაყრდენი – ქართული ეკლესია უკვე გაუქმებული იყო და იგი რუსეთის საეგზარ-

ქოსოს ემორჩილებოდა. წირვა-ლოცვა მიდიოდა რუსულ ენაზე, განათლების სისტემაში დაიწყეს კოლონიური პოლიტიკის გატარება. სახალხო განათლებას, მთელ ამიერკავკასიაში (1878-1899 წ.წ.) სათავეში ედგა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას საქართველოში. იანოვსკის გეგმა შემდეგი იყო: აქტიურად დაენერგა თვითმპყრობელობის პოლიტიკა სწავლა-განათლების დარგში, რაშიც უპირველესად იგულისხმებოდა სკოლის გადაქცევა ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და გარუსების მძლავრ იარაღად. მისი სურვილი იყო ახალი თაობის სახით ხელისუფლებისათვის მიეცა „გონებით დაკნინებული და სულით დამონებული“ მოხელე ჩინოვნიკი. იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ სკოლა უნდა იქნეს რუსული ყოფის დამნერგავი იმპერიის განაპირა ქვეყნებში. ბუნებრივია, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო საბოლოოდ განედევნათ სკოლებიდან ქართული ენა. სწორედ ამიტომ 1881 წელს მიიღეს სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სკოლებიდან ქართული განიდევნა და დაწყებით სკოლებშიც კი სწავლა რუსულ ენაზე შემოიღეს. რუსეთის ხელისუფლება უფრო შორს წავიდა. მან მიზნად დაისახა ეროვნული თვითშეგნების დაძაბუნება ქართველი ხალხის გათიშვითა და მათ შორის შუღლის ჩამოგდებით. მეგრელები და სვანები არაქართველებად გამოაცხადეს. იანოვსკის აქტიურობით, 1885 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. რუსული ენის სწავლება „მეგრული ენის“ საშუალებით დაიწყეს, თითქოსდა მეგრული ენის ინტერესების დასაცავად. 1889 წელს ვათა აშორდიამ რუსული ალფაბეტის საფუძველზე შექმნა „მეგრული ანბანი“, ხოლო 1892 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა, ლევიცკიმ, პეტერბურგელ „მეცნიერ“ გრენთან ერთად, მეგრული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელო შეადგინა, ეგზარქოსმა სცადა სამეგრელოს ეკლესიაში წირვა-ლოცვის მეგრულ ენაზე შემოღება. სამეგრელოს სკოლებში დაიწყეს ლოცვებისა და ბიბლიის ცალკეული ადგილების მეგრულად თარგმნა, აიკრძალა ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. ხელისუფლება დიდ წინააღმდეგობას უწევდა ისტორიული ცოდნის გავრცელებას საზოგადოებაში, გან-

საკუთრებით აფრთხობდა ისტორიის ეროვნულ-აღმზდელობითი მნიშვნელობა. საქართველოს ისტორია პანიკურ შიშს იწვევდა მასში.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში დაიწყო მეორე ეტაპი, ქართულმა საზოგადოებამ რუსეთის იმპერიას იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბრძოლა გამოუცხადა. სწორედ ამ საზოგადოების სახეს წარმოადგენდნენ ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თერგდალეულები; ამ დიდ ეროვნულ საქმეში ილიას მხარში ედგა მოღვაწეთა მთელი დასი: აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, სერგეი მესხი და სხვები.

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დიდი ანტიიმპერიული მოძრაობის დაწყება ისე, რომ მას არ მიეღო ექსტრემისტული ხასიათი და არ გადაზრდილიყო რუსეთთან დამღუპველ ომში, დიდ დიპლომატიურ მოქნილობას საჭიროებდა. თერგდალეულებმა ეს მოახერხეს. საინტერესოა, რას წერს ამგვარი ბრძოლის შესახებ ისტორიკოსი თედო ჟორდანია: „ჩვენ ქართველებს ორიათასი წლის ბრძოლა გაგვივლია, უწინ ხმლით ვიგერიებდით გაკადნიერებულ მოძალადეებს, დღეს სხვაგვარი ბრძოლა გვმართებს – ბრძოლა კულტურული, ჩვენთვის უჩვეულო, ძნელი, მაგრამ ჩვენი სიმართლე გვარგუნებს გამარჯვებას, ამ უჩვეულო ბრძოლაში“. შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა საზოგადოებამ ბრძოლა ეროვნულობის შესანარჩუნებლად წარმატებით დააგვირგვინა.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა მოიპოვეს ნებართვა, დაეარსებინათ ქართული პერიოდული გამოცემები: „საქართველოს გაზეთი“, „ტფილისის უწყებანი“, ჟურნალი „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“ (1877-78 წწ-ში გამოდიოდა პერიოდული გაზეთის სახით, 1879-86 წწ-ში ყოველთვიურ ჟურნალად, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა). ამ პერიოდის პრესის დანიშნულება და მიზანი ზუსტად განსაზღვრა ილიამ: „ჟურნალ-გაზეთობა აზრისა და ცოდნის გამავრცელებელია. ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გე-

მოვნება... ჟურნალ-გაზეთობა საზომია ცხოვრების მოთხოვნილებისა და საჭიროებისა“. ამ ამონარიდიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა პრესას ქართული საზოგადოების მიერ დაწყებულ დიდ ეროვნულ მოძრაობაში. ქართულმა საზოგადოებამ მოიპოვა უფლება, გაეხსნა თბილისსა და ქუთაისში სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები, რომელმაც იხსნა საქართველო და ქართული მიწა გასხვისებისაგან. ბატონყმობის გაუქმებისა და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე უსახსროდ დარჩენილ ქართველ არისტოკრატიას შეეძლო მიწის გირაოს სანაცვლოდ ფული საადგილმამულო ბანკისაგან მიეღო სესხად და არა სომეხი ბურჟუაზიისაგან. თუ ფულის მსესხებელი ვალს ვერ დააბრუნებდა, მისი მამული ბანკის და არა უცხოტომელთა საკუთრება ხდებოდა. ამასთან ერთად, ბანკის მფლობელობაში გადასული მამული შეიძლებოდა ძველ მეპატრონეს უკან დაებრუნებინა, თუკი მიწის ღირებულებას გადაიხდიდა. ქართულმა საზოგადოებამ შეძლო დაეფუძნებინა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მთავრობის მიერ დაარსებული საქართველოს საეგზარქოსოს მუზეუმის თანამშრომლებმა დაიწყეს საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული სიძველეების მოძიება, შეკრება, შენახვა და შესწავლა. XX ს-ის 10-იან წლებში დაარსდა სააკადემიო საქმიანობის ფუძისჩამყრელი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ და მრავალი სხვა.

ქართველი ინტელიგენციის ლტოლვას კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანებისაკენ ბიძგს აძლევდა, აგრეთვე, XIX ს-ნის 60-70 წლებში ევროპასა და რუსეთში კერძო თაოსნობით გაჩაღებული ფართომასშტაბიანი მოძრაობა სახალხო განათლების დარგში. ამ პერიოდში კერძო ინიციატივის საფუძველზე შეიქმნა მრავალი თვითმოქმედი, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ინგლისში, საფრანგეთში, ჩეხეთში, სლოვაკიაში, მორავიაში, რუსეთში და სხვაგან.

1811 წელს ინგლისსა და უელსში ანდრიუ ბელის ინიციატივით ჩამოყალიბდა „ღარიბ მოწაფეთა აღზრდის ნაციონალური საზოგადოება“, რომელმაც ფართო პროპაგანდა დაიწყო პროვინციებში უფასო სწავლის შემოღებისათვის. 1832 წელს პარლამენტის ქვედა

პალატამ ყოველწლიურად 20 ათასი გირვანქა სტერლინგი დააწესა სახალხო სკოლების გასავრცელებლად და 10 ათასი – პედაგოგთა მოსამზადებლად. ამ დროიდან კერძო პირები და კომიტეტები მოედვნენ მთელ ინგლისს, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ განათლების აუცილებლობის შესახებ. აგროვებდნენ შემოწირულობებს, ხსნიდნენ უფასო სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. კერძო ინიციატივით დაწყებულმა საქმემ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ 1879 წელს ინგლისში შემოიღეს სავალდებულო სწავლება, ხოლო 90-იან წლებში სახალხო უნივერსიტეტები გაიხსნა. 1870 წელს პარიზში შეიქმნა „საფრანგეთის განათლების ლიგა". ლიგის მიზანს წარმოადგენდა სწავლა-განათლების გავრცელება საფრანგეთის მოსახლეობის ფართო წრეებში. „ლიგა" ხსნიდა უფასო სკოლებს და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, მუზეუმებს, აწყობდა საჯარო ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. 1876 წლისთვის „ლიგის" წევრთა რიცხვი 300 ათასს აღემატებოდა, აერთიანებდა 210 კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებას, გახსნილი ჰქონდა 200-ზე მეტი ფილიალი, ექვემდებარებოდა 600-ზე მეტი ბიბლიოთეკა და სხვ. რუსეთში სახალხო განათლების დარგში კერძო ინიციატივის გაფართოებას ხელი შეუწყო 60-70-იანი წლების ლიბერალურმა რეფორმებმა (ერობების ჩამოყალიბება..) პროგრესულად მოაზროვნე რუსული საზოგადოება თვლიდა, რომ ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად მხოლოდ ბატონყმობის გაუქმება არ იყო საკმარისი, აუცილებლობას წარმოადგენდა ხალხის „გონებრივი სიბნელიდან განთავისუფლება". ამ მიზნით დაარსდა: „სასარგებლო წიგნების გამავრცელებელი საზოგადოება" (1861 წ.), „წერა-კითხვის გამავრცელებელი პეტერბურგის კომიტეტი" (1861 წ.), „მოსკოვის კომერციული განათლების გამავრცელებელი საზოგადოება" (1878 წ.) და სხვა. მათ გარდა არსებობდა სპეციალური სამეცნიერო საზოგადოებებიც, რომლებიც თანამშრომლობდნენ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან. მაგ. „მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება" (დაარსდა 1863 წელს). ამ საზოგადოებებთან თანამშრომლობდნენ ცნობილი პედაგოგები, მეცნიერები, მწერლები და ინტელიგენციის სხვა დარგის წარმომადგენლები. კულტურულ-საგანმანათლებლო

საზოგადოებები „მატიცას“ სახელწოდებით მოქმედებდნენ გალიციაში, მორავიაში, სერბეთში, სლოვენიაში, ხორვატიასა და ჩეხეთში. „მატიცა“ მატერიალურად ეხმარებოდა მწერლებს, სტუდენტებს, ავრცელებდა წიგნებს, ხსნიდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. აღსანიშნავია ერთი, „მატიცას“ საზოგადოებების მიზანს, მაგ. საფრანგეთისა და ინგლისის თვითმოქმედი საგანმანათლებლო საზოგადოებებისაგან განსხვავებით, გასაგები ვითარების გამო, წარმოადგენდა ეროვნული მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, დედაენის განვითარება, რაც ხელს უწყობდა ნაციონალურად ჩაგრულ ხალხებში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას, ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრებას. სწორედ ეს იყო ის უმნიშვნელოვანესი მიზანი, იმ საგანმანათლებლო-კულტურული ფართომასშტაბიანი მოძრაობისა, რომელიც XIX საუკუნის მე-2 ნახევარში, ქართველმა სამოციანელებმა დაიწყეს დიდი ილიას ხელმძღვანელობით.

ილიას, შეიძლება ითქვას – არც ერთ პრობლემაზე იმდენი არ უფიქრია, უმსჯელია, უკამათია, უწერია, რამდენიც განათლებაზე, ცოდნაზე, მეცნიერებაზე. განათლებისა და მეცნიერების სფეროში, როგორც ნამდვილ ლიბერალს, ილიას სჯეროდა, რომ ცოდნის თანდათანობითი გაფართოების შედეგად ყოველი თაობა, განვითარებით, წინამორბედს უსწრებს. ცოდნის მიღებით ადამიანს საკუთარი თავის სრულყოფა და ცხოვრების გაუმჯობესება შეუძლია. განათლება ლიბერალთა შეხედულებებით პიროვნების თვითგანვითარებისა და ზოგადად, ისტორიული პროგრესის მიღწევის აუცილებელი პირობაა. ილიას საგანმანათლებლო კონცეფციაში მშობლიური ენის როლისა და ფუნქციების შესახებ, ილიას არგუმენტაცია მთლიანად ევროპელი პედაგოგებისა და მეცნიერების შრომებს და გამოცდილებას ეყრდნობოდა: „ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითისა და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“. ილიას უმთავრეს წუხილს წარმოადგენდა ის, რომ ყოველდღიური დუხჭირი ყოფით, მძიმე პრობლემებით დატვირთული უმეცარი ადამიანი, ვერ გააცნობიერებდა საზოგადოებრივი ინტერესების ქონის აუცილებლობას და, რაც მთავარია, ვერ მიხდვებოდა ზოგადსაკა-

ცობრიო და ეროვნული იდეალებისაკენ ლტოლვის მნიშვნელობას: „უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელი ხალხისას, ისე კერძო კაცისას". მხოლოდ ინტერესთა ერთიანობის გაცნობიერების საფუძველზე მიაჩნდა ილიას შესაძლებლად ე. წ. „საერთო ნიადაგზე" დაფუძნებული იდეოლოგიის განხორციელება. მისი აზრით კი, ინტერესთა ერთიანობა (სოციალურ, ეროვნულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროში) შიმშილსა და უმეცრებას ვერ დაეფუძნებოდა, უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა – წერდა იგი – „,მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია", რომელიც ყოველ მხრივ უნდა განვითარდეს, რადგან საქართველოს სჭირდება „მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკი და სხვა". უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა, ილიას ერის „ფეხზე დადგომის", „წელში გამართვის" ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიაჩდა. იმ პერიოდისათვის შეძლებისადაგვარად ფართომასშტაბიანი სწავლება ყველა სოციალური ფენის ახალგაზრდობისათვის იყო ის, რაზეც უნდა დაფუძნებულიყო სულიერება. ბუნებრივია, კოლონიური უღლის პირობებში მყოფი ქვეყნის სახელმწიფო სკოლები ამგვარი მიზნისთვის არ გამოდგებოდა. ეს ფუნქცია კერძო ინიციატივით დაარსებულ სკოლებს უნდა აეღოთ საკუთარ თავზე.

როგორც ცნობილია, ენა და ერი, ილიას მოძღვრებაში განუყოფელია. „ქართველობის" იდენტობა ენაზე გადიოდა და მის დაცვას ემყარებოდა. ილიასა და მისი თანამებრძოლის – იაკობ გოგებაშვილის შეხედულებით – ენას თუ განათლების ფუნქცია არა აქვს, ის ვერ იქნება სრულყოფილად მშობლიური ენა. მშობლიურია ის ენა, რომლის გამოყენებით ხდება მოზარდის ადაპტირება გარე სამყაროსთან, მისი ცნობიერების განვითარება. ერის გადაგვარებაც მაშინ იწყება, როცა მშობლიური ენა კარგავს ფუქნციას. ილია და ი. გოგებაშვილი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც ქართულ ენაზე ზრუნვა ეროვნული ცნობიერების, და ზოგადად, ქართველობის გადარჩენას დაუკავშირეს; რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ეროვნული ენის საკუთარ უფლებებში

აღდგენა ნებისმიერი მამულიშვილის უმთავრესი ზრუნვის საგანი გახდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ: „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა იყო დიდი საზოგადებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა, ხოლო მისი „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865) და „დედა ენა“ (1876) ქართული ეროვნული ცნობიერების აღზრდის სახელმძღვანელო გახდა“.

ილიას აზრით, ცოდნა, მეცნიერება ის საფუძველია, რომელიც განაპირობებს ქვეყნის პროგრესს. მეცნიერები, მისი თქმით, მოსახლეობის ის „ნაღებია“, რომლებიც პირველნი იგებენ ცხოვრების მაჯისცემას, გაიაზრებენ ცვლილებების საჭიროებას და შეუძლიათ ამ ცვლილებების სასიკეთო მიმართულების განსაზღვრა. მეცნიერები, „ხალხის დაწინაურებული თაობა, მაშინვე მიხვდება, რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა,.. რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა და ახლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოიკრიბოს ახალი თესლი ახალი ცხოვრების გამოსაკვანძად“. **სწორედ ამ იდეების ცხოვრებაში გატარების საშუალებად იქცა ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება: იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, 1864 წლის პირველ ნახევარში ქართველი ინტელიგენციის ერთ კერძო წრეში, რომელიც იკრიბებოდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, დაიბადა აზრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ წრეში შედიოდნენ: ი. მამაცაშვილი, ი, გოგებაშვილი, ა. ფურცელაძე, დ. ბაქრაძე, დ. მუსხელიშვილი, ვ. თულაშვილი, კ. მამაცაშვილი და სხვები.

ქართველ ხალხში სწავლა-განათლების სურვილი დიდი იყო. იმდროინდელი პრესის მიხედვით, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ქართველ საზოგადოებაში „არც ერთ საგანს არ მიუქცევია ისეთი დიდი ყურადღება, როგორც სწავლა-განათლების საკითხმა მიიქცია“. პრესაში ხშირად შეხვდებოდით ინტელიგენციის ჩივილს იმის შესახებ, რომ არც ერთ განათლებულ ერში წერა-კითხვა ისე ნაკლებად არსად არ იყო გავრცელებული, როგორც საქართველოში.

სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსება, იაფფასიანი წიგნების გავრცელება და, საერთოდ, სახალხო განათლებასთან დაკავშირებული მთელი სიმძიმე ქართველი ინტელიგენციის პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოში XIX ს-ნის მე-2 ნახევარში სხვა ძალა არ არსებობდა, რომელიც იზრუნებდა სახალხო განათლებაზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დებულების პროექტი შეიმუშავეს დიმიტრი ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ვახტანგ თულაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ. დებულების პროექტი მზად იყო 1878 წლის ივნისისთვის, რომელსაც ხელს აწერდა 126 კაცი. პროექტი დამტკიცდა 1879 წლის 31 მარტს.

საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა: „წიგნისა და ცოდნის თავდაპირველი გავრცელება“ კავკასიის სამეფისნაცვლოში მოსახლე ქართველებს შორის. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც დებულებაში წერია, საზოგადოება: „სადაც სკოლები არის გახსნილი, იმათ ხელს უმართავს, სადაც საჭირო იქნება ახალი სკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითონა ხსნის თავისი ხარჯით; სახალხო წიგნების კითხვას მართავს და საკითხავსა (ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს) ხსნის; ბეჭდავს სასწავლებლისათვის სახელმძღვანელოებს და სხვა წიგნებს სახალხო საკითხავად; შეადგენს თავის სამწიგნობროს (წიგნსაცავს), როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად, გაიჩენს წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების საწყობს, რაც მუქთად თუ ფასით იქნება დასარიგებელი; ყოველგვარი საშუალებით მოამზადებს სახალხო მასწავლებელს ან იმ სასწავლებელში, რაც აქამდე არის გამართული, ან არა და თვითონ თავისი ხარჯით გამართავს ამისათვის ცალკე სასწავლებელს“. დებულების მე-3 პარაგრაფში ნათქვამია, რომ დაწყებით სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე წარიმართება, ხოლო რუსული ენა ისწავლება, როგორც საგანი.

1879 წლის 15 მაისს შედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება. კრების მიზანი იყო არჩევნები. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ დაასახელა გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო უარი თქვა. საზოგადოების

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი. საზოგადოების გამგეობის წევრებად აირჩიეს: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, რაფიელ ერისთავი, ხოლო კანდიდატებად; ნ. ქანანოვი, დ. ავალიშვილი, გ. უთურგაული. საზოგადოების გამგეობამ თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია ილია ჭავჭავაძე, ხოლო მდივნად ალექსანდრე სარაჯიშვილი. 1880 წლის 20 იანვარს საზოგადოების საერთო კრებამ შეავსო გამგეობის შემადგენლობა, წევრებად აირჩიეს: გიორგი წერეთელი, თედო ჟორდანია, ივანე გამყრელიძე, იონა მეუნარგია, გიორგი თუმანიშვილი, გიორგი უთურგაული, ხოლო 1885 წელს საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ მოვალეობას გარდაცვალებამდე (1907 წ.) ასრულებდა. მოგვიანო ხანაში საზოგადოებას ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს: ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, გიორგი ყაზბეგმა (1907 წლიდან საზოგადოების თავმჯდომარე), ლუარსაბ ბოცვაძემ და სხვებმა. 1896 წლისთვის საზოგადოების გამგეობას წარმომადგენელები ჰყავდა თელავში, ქუთაისში, ახალსენაკში, საჩხერეში, ფოთში, ლეჩხუმში, ზუგდიდში, სიღნაღში, ახალგორში, ბორჯომში, შორაპანში, გორში, ყარსში, საინგილოში, ბაქოში და სხვაგან.

1907 წელს შემუშავდა საზოგადოების ახალი დებულება, რომლითაც მას უძრავი ქონების შეძენის უფლება მიეცა. გამგეობასთან დაარსდა ადმინისტრაციული, სასკოლო, საგამომცემლო, ბიბლიოთეკისა და სახალხო კითხვის, სამუზეუმო სექციები. სექციებს ხელმძღვანელობდნენ გამგეობის წევრები.

1909 წლიდან ჩამოყალიბდა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები ფართო ავტონომიური უფლებებით. მათ საკუთარი გამგეობები ჰყავდათ. 1913 წელს საზოგადოების ასეთი განყოფილებები მოქმედებდა: ქუთაისში, ზესტაფონში, ახალციხეში, ბათუმში, ბორჯომში, გორში, გუდაუთაში, დუშეთში, ვანში, ზუგდიდში, თელავში, ლიხაურში, ონში, ოჩამჩირეში, სამტრედიაში, სიღნაღში, სენაკში, სოხუმში, ფოთში, სოჭში, ცხინვალში, ჭიათურაში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ტუაფსეში, ალაგირში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, კავკავში, ზოგიერთი განყოფილება დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ქუთაისში გამ-

გეობამ სტამბა შეიძინა და წიგნებს ბეჭდავდა. ბათუმში, სოხუმში, კავკავსა და ბაქოში გახსნეს ქართული სკოლები, რომელთაც ადგილობრივი განყოფილებები ხელმძღვანელობდნენ და ინახავდნენ. მათ სასკოლო შენობებიც ააგეს საკუთარი სახსრებით.

საზოგადოების მუდმივი და საიმედო შემოსავალი, დებულების მიხედვით, საწევრო გადასახადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ თანხით რაიმე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება არ ხერხდებოდა. 1879 წელს 11 000 მანეთი საზოგადოებას გადასცა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკმა, საიდანაც 8 000 მანეთი უნდა მოხმარებოდა ქუთაისის ახლადდაარსებულ სათავადაზნაურო სკოლას. 1885 წელს საზოგადოებას გამგეობამ შეუქმნა კომისია ილიას, გიორგი ქართველიშვილისა და ალექსნადრე ჩოლოყაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ფულის შეგროვება და საზოგადოების ნივთიერად გაძლიერება. 1888 წელს გამგეობამ გახსნა წიგნის მაღაზია, რომელიც ვაჭრობდა საზოგადოების მიერ გამოცემული და საკომისიოს წიგნებით. ძმებმა ზუბალაშვილებმა 1904 წელს საზოგადოებას შესწირეს 10 000 მანეთი, ხელუხლებელი თანხა, რომელსაც ის წერა-კითხვის გავრცელების საქმეზე ხარჯავდა. ზუბალაშვილებმა 3000 მანეთით დააფინანსეს ლექსიკონის შედგენა. 1908 წლიდან ისინი ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოებას ყოველწლიურად ურიცხავდნენ 6 000 მანეთს სტიპენდიების დასაწესებლად და სხვა. 1911 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ ღოღობერიძე, რომელმაც საზოგადოებას უანდერძა 45 000 მანეთი სხვადასხვა საჭიროებისათვის: სტიპენდიებისათვის, წიგნების გამოსაცემად, დაწყებითი განათლებისათვის; 1912 წელს ქ. სამარაში გარდაიცვალა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელმაც საზოგადოებას 45 000 მანეთი უანდერძა. დავით სარაჯიშვილმა, 1910 წელს შედგენილი ანდერძით, საზოგადოებას დიდძალი თანხა დაუტოვა მუზეუმის ასაგებად და სტიპენდიებისათვის. იაკობ გოგებაშვილის ანდერძით, საზოგადოებამ მიიღო მის წიგნებზე გამოცემის უფლება. ილია და ოლღა ჭავჭავაძეების ქონება საგურამოში (სახლი, ვენახი, ტყე და საყანე), სახლი თბილისში, ილიას მიერ 1905 წელს შედგენილი ანდერძით საზოგადოებას გადაეცა. გარდა ამისა საზოგადოების საკუთრებაში იყო სასკოლო შენობები. კავკავის, სოხუმის, ყალმაშიის,

ბაქოს, ბათუმის, წინარეხის, გომარეთის, გერგეტის; ქუთაისის განყოფილების სტამბა; სკოლების ავეჯი, წიგნები, სამკითხველოების ქონება და სხვა.

საზოგადოება განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იმ რეგიონებს და იქ ხსნიდა სკოლებს, სადაც ქართულ ენას გაქრობა ემუქრებოდა. აჭარაში, ოსმალეთის გავლენის შესამსუბუქებლად, სამეგრელოში, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, კავკავში, რომლის შენახვაც იკისრა მიხეილ ყიფიანმა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, საზოგადოების მცდელობა გაეხსნათ ფერეიდანში ქართული სკოლა. ირანიდან ჩამოიყვანეს ორი ახალგაზრდა – ჰოსეინ ონიკაშვილი და რეზა ხუციშვილი. შეასწავლეს ქართული ენა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა საზოგადოებამ საკმაო თანხა შეაგროვა, სკოლის გახსნა ირანში არ მოხერხდა, თუმცა ჰოსეინ ონიკაშვილი ინდივიდუალურად ასწავლიდა ფერეიდნელ ქართველებს ქართულ წერა-კითხვას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის უმნიშვნელოვანეს დანიშნულებად მიიჩნევდა ბიბლიოთეკების გახსნას. 1914 წლისთვის საზოგადოების სახელზე ირიცხებოდა 66 ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

დიდ მამულიშვილურ საქმედ ითვლებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის დაარსება. ამ მუზეუმის დაარსების იდეა ეკუთვნის ცნობილ მოღვაწეს იონა მეუნარგიას. რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ერის კულტურული მემკვიდროების მოვლა-პატრონობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მისი მეცნიერული ღირებულების, ისე ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. უპატრონობით ნადგურდებოდა ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები, იკარგებოდა ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები, უნიკალური მანუსკრიპტები, იკონოგრაფიული ძეგლები; ნადგურდებოდა ძველი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციები საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრებშიც. საჭირო იყო მათი მოძიება, შეგროვება და შენახვა. სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმი. 1915 წლისთვის ამ მუზეუმში ინახებოდა: 1965

ხელნაწერი, 4058 ნაბეჭდი წიგნი, 1341 სიგელ-გუჯარი, 975 ცალი სამუზეუმო ნივთი, 5340 ნუმიზმატური კოლექცია და სხვ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წ.) საზოგადოება იწოდებოდა „წიგნების გამომცემელ და გამავრცელებელ ქართულ საზოგადოებად“, რომლის ლიკვიდაციის თაობაზე 1927 წლის 21-23 ივნისს შედგა აქტი. ასე დასრულდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოების არსებობა.

საეკლესიო მუზეუმი: ისტორიული მეცნიერების განვითარებას, გარდა რუსიფიკატორული პოლიტიკის არსებობისა საქართველოში, ხელს უშლიდა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არ არსებობა. „ისტორიის კვლევასა და ძიებას მუყაითი, დამჯდარი და გამუდმებული მშვიდი კაბინეტური შრომა უნდა, ასეთი შრომისათვის კი ჩვენი ცხოვრება როდია მოწყობილი, ამისათვის არც შეძლება, არც გარემოება და არც ნივთიერი მდგომარეობა ხელს არ გვიწყობს, ჩვენ გვმართებს მხოლოდ იმ იმედით ვისულდგმულოთ, იმიტომ ვიშრომოთ და ვიჯაფოთ, რომ პირუთვნელი ისტორიის შემდგენელს ნიადაგი მოვუმზადოთ“ – წერდა ი. ფანცხავა. მიუხედავად ამ გარემოებისა, XIX ს-ის მე-2 ნახევრის მოღვაწე ისტორიკოსებმა სერიოზული შრომა გასწიეს ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. ბუნებრივია, ამ საქმის წარმატებისთვის აუცილებელი იყო პრაქტიკული ნაბიჯები. სამეცნიერო პერიოდული გამოცემების დაარსება და დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ისტორიული მეცნიერების კვლევისათვის საჭირო მასალების თავმოყრა.

მოსე ჯანაშვილი წერდა რა სამეცნიერო ჟურნალების საჭიროების შესახებ, მას მიაჩნდა, რომ ჟურნალებში უნდა დაბეჭდილიყო ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა შრომები, მოხსენებები, ახალი წყაროები, სხვადასხვა საისტორიო ცნობა. ისტორიკოსის აზრით, ასეთი გამოცემების ნაკლებობით ფერხდებოდა საზოგადოებაში ისტორიული ცოდნის გავრცელება.

XIX საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში გამოდიოდა რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალი: „ისტორიული“ – დ. ბაქრაძის რედაქტორობით, „საიმპერიო გეოგრაფიული“ – ლ. პ. ზაგურსკის რედაქტორობით, კავკასიის კალენდარი და სხვ.

1888 წლის 15 ივლისს სიონის ტაძართან დაარსდა საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი. მუზეუმის უშუალო დანიშნულება იყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების მოძიება, შეკრება, შენახვა და შესწავლა. ილია ჭავჭავაძე მუზეუმის დაარსების შესახებ გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღებაც მიიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა“. მართლაც, ეს დაწესებულება ძველი ქართული მწერლობის მდიდარ საგანძურად იქცა. როგორც ექ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომელიც დ. ბაქრაძესთან ერთად მუზეუმის დაარსების ინიციატორი იყო, „საეკლესიო მუზეუმი წარმოადგენდა ერთადერთ დაწესებულებას, სადაც ლეგალურად შეგვეძლო შეკრება, მსჯელობა, ხელნაწერთა მოწესრიგება, კვლევა, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა და სხვა ამისთანები“. მუზეუმისათვის სიონის ტაძრის ეზოში მიიღეს ოთახი, მოაწყვეს ბიბლიოთეკა და გამგედ დაინიშნა თედო ჟორდანია, რომელსაც დაევალა, აგრეთვე, ფონდის აღწერილობის შედგენა. მუზეუმის გამგეობა შემდგომში თ. ჟორდანიამ მოსე ჯანაშვილს გადაულოცა.

საეკლესიო მუზეუმის ოფიციალურ პროგრამას (1889 წ.) საფუძვლად დაედო დ. ბაქრაძის მიერ შედგენილი წესდების დებულებები, რომლის მიზანიც იყო ისტორიულ სიძველეთა შეკრება, რაშიც იგულისხმებოდა: „ა) ძველი ხელნაწერები, ძველად დაბეჭდილი წიგნები და გუჯარები, ანუ მონასტრებისა. ბ) საეკლესიო ავეჯეულობა და სხვ. გ) ყველა ძველი საეკლესიო ნაშთები, რომელნიც აღმოიპოვებიან საქართველოს საეგზარქოსოს მონასტერ-ეკლესიათა ნანგრევებში“.

სამუზეუმო ექსპონატთა გამრავლება ინტენსიურ საძიებო სამუშაოებს მოითხოვდა. დ. ბაქრაძემ მცხეთისა და მარტყოფის ტაძრებში ასამდე მანუსკრიპტი მოიძია. ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები აღმოჩნდა ყარსის ოლქის მონასტრებში და სხვ.

მუზეუმის ხელმძღვანელობა პერიოდულად აწყობდა რეგიონების სიძველეთა კომპლექსურ შესწავლას. მაგ. 1898 წელს ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების შესწავლისთვის შეიქმნა სამი კომისია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუზეუმში თავმოყრილი ექსპონატების აღწერილობასა და სისტემატიზაციას, რომელიც კატალოგების სახით გამოიცემოდა და თან ერთვოდა მეცნიერთა კომენტარები. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით დ. ბაქრაძეს, თ. ჟორდანიას (1902 წ, გამოსცა 2 ტომად 800 ხელნაწერის აღწერილობა), მ. ჯანაშვილს (1908 წ. გამოსცა 240 ხელნაწერის აღწერილობა). მუზეუმში 1908 წლის შემდეგ შემოსული ხელნაწერები კვლავ აღიწერა 1921-28 წლებში. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი 1921 წელს თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა, 1830 წელს კი სხვა სიძველეთსაცავების ფონდებთან ერთად – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება: 1907 წლის 20 სექტემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სადეპუტაციო საკრებულოს დარბაზში გაიმართა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი კრება. არჩეული იქნა საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოს თავმჯდომარედ დაადგინეს ექვთიმე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად – დავით კარიჭაშვილი, ხაზინადარად – ალექსანდრე სარაჯიშვილი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველად – ილია ფერაძე, მდივნად – სერგი გორგაძე; წევრები: ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე; წევრობის კანდიდატები: კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მდივანი, კორნელი კეკელიძე; სარევიზიო კომისია: ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი. შეიძლება ითქვას, საზოგადოების, ირგვლივ შემოიკრიბა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა შორის უპირველესად იყვნენ ისტორიის მკვლევრები, ცალკეული შეძლებული ადამიანები, სასულიერო და სამხედრო პირები.

კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელშიც იყო დასახული მიზნები და ამოცანები. საზოგადოება მიზნად ისახავდა შეეგროვებინა, შეესწავლა და შეენახა ისტორიული, არქეოლოგიური,

ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები. როგორც, კერძოდ, საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების. საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელშიც თავს მოიყრიდა და დაცული იქნებოდა ნივთიერი მასალა და ხელნაწერები, კავკასიათმცოდნეობაში დასტამბული წიგნები. დაგეგმილი იყო ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნახატების, ნოტების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვ. საზოგადოებას უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, დახმარებოდა მეცნიერებას და სამეცნიერო საზოგადოებებს კავკასიისა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესწავლაში. საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა სიძველეთა დაცვა – შეძლებისდაგვარად დაეცვა, განეახლებინა და აღედგინა ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები. პერიოდულად უნდა გაემართათ ეთნოგრაფიული და სიძველეთა კოლექციების გამოფენები, ჩაეტარებინათ საეთნოგრაფიო და სამუსიკო საღამოები.

საზოგადოებას ჰყავდა სხვადასხვა კატეგორიის წევრი: მზრუნავნი – წესდების მიხედვით ის პირები იყვნენ, ვინც საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლიურად გადაიხდიდნენ არანაკლებ 600 მანეთს ან ერთდროულად შეიტანდნენ 6000 მანეთს; საპატიონი – საპატიო წევრებად იმ პირებს ირჩევდნენ, ვინც მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევებით ან სხვა განსაკუთრებული სამსახურით გამოიჩენდა თავს; ნამდვილნი – ნამდვილი წევრები კავკასიის ისტორიის კვლევა-ძიებას ეწეოდნენ და სხვა სამსახურს უწევდნენ საზოგადოებას; კორესპოდენტნი – კორესპოდენტები, ძირითადად, დედაქალაქის გარეთ ცხოვრობდნენ და აწოდებდნენ სხვადასხვა მასალას.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას განაგებდა საზოგადოების კრება და საბჭო. საზოგადოების კრება იყო ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი და წლიური. ჩვეულებრივ კრებას იწვევდა თავმჯდომარე საჭიროებისამებრ, არანაკლებ თვეში ერთხელ. კრების შესახებ ინფორმაციას ბეჭდავდნენ გაზეთებში. ამ კრებას ყველა მსურველი ესწრებოდა. არაჩვეულებრივ, ანუ დახურულ კრებას ნიშნავდნენ აუცილებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის

ან საზოგადოების ხუთი წევრის მოთხოვნით. კრებას ესწრებოდნენ მზრუნველნი, საპატიონი და ნამდვილი წევრები. წლიური კრება წელიწადში ერთხელ იმართებოდა საჯაროდ და ისმენდა საზოგადოების საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

საზოგადოების შექმნას დიდი რეზონანსი მოჰყვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1907 წლის 20 სექტემბერს საზოგადოებას ჰყავდა 238 წევრი. ამავე წლის 8 ნოემბერს იგი 207 კაცით გაიზარდა. ახალ წევრთა შორის იყვნენ მეცნიერები: ნიკო მარი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე თარხნიშვილი და სხვანი. მწერლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია; ხელოვნების წარმომადგენლები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, სასულიერო პირები: ეპისკოპოსები – ალექსანდრე, ლეონიდე, კირიონი და სხვ.

საზოგადოებას მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა, ამიტომაც იგი ოფიციალურ დოკუმენტებში იხსენიება, როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“. საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა სახის ექპედიციის მოწყობას. დღიდან დაარსებისა, იგი საშუალებას აძლევდა თავის წევრებს მრავლად მოეწყოთ ექსპედიცია-ექსკურსიები, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა, ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება.

საზოგადოების უპირველესი მიზანი გახდა ქართული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც თავი მოეყრებოდა „ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწინდელის საქართველოს და ახლანდელი ქართველი ტომების, ისე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ“.

სამუზეუმოდ საზოგადეობამ ჯერ ერთი ოთახი მიიღო სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე, უფრო გვიან, ამ შენობის მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე დაიკავა. საზოგადოება კარგად ხედავდა მუზეუმ-წიგნთსაცავის მნიშვნელობას. ფართო პერსპექტივისათვის კი საჭირო იყო საგანგებო შენობის აგება, რომელსაც დიდძალი თანხა სჭირდებოდა. დაიწყო მუშაობა თანხების მოსაზიდად. ამ მიზნით 1909 წელს შეიქმნა სამუზეუმო კომისია, რომლის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი აირჩიეს. სახსრების გარდა მუზეუმ-წიგნსაცავის დაარსებას მთავრობის ნებართვა სჭირდებოდა. ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად, საზოგადოებამ ბიბლიოთეკის დაარსების ოფიციალური ნებართვა 1911 წელს მიიღო, ხოლო მუზეუმისა – 1912 წლის 24 იანვარს.

მუზეუმ-წიგნთსაცავის დაარსების საკითხის გადაწყვეტამდე სამუზეუმო ექსპონატები თანდათან გროვდებოდა: 1917 წლისთვის საზოგადოებას გააჩნდა 9875 წიგნი, 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. უძველესი ხელნაწერი X ს-ს განეკუთნებოდა. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი XII ს-ის იყო, ხოლო უახლესი – XIX ს-ის დასაწყისისა. საზოგადოებას, აგრეთვე, გააჩნდა 2432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები.

1912 წლიდან საზოგადოებამ დაიწყო ეკლესია-მონასტრების კედლებიდან ფრესკების გადმოღების ორგანიზება. 1917 წლისთვის 73 ძველი ფრესკის პირი მოეპოვებოდა საზოგადოებას და მუზეუმის ცალკე განყოფილებას შეადგენდა. აქ იყო: ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, გარეჯის, ბერთუბნის, ხახულის, ოშკის, იშხნის და სხვა ტაძართა ფრესკები.

შეგროვდა საისტორიო ნუმიზმატიკური კოლექცია. ქართული მონეტების კოლექცია შედგა იაკობ მედვედევისაგან შესყიდული მონეტების, ექ. თაყაიშვილისა და კირიონ II-ის კოლექციებისგან.

საზოგადოებამ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამოყო აგენტები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში. კრებდნენ საწევრო გადასახადს და აგროვებდნენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალას. ასეთი აგენტები იყვნენ: ქუთაისში – იოსებ

ოცხელი, ბათუმში – ილია ფერაძე, ართვინში – ნიკოლოზ ერისთავ-შარვაშიძე, კავკავში – იოსებ ლორთქიფანიძე, მოსკოვში – ალექსანდრე ჯავახიშვილი, ბაქოში – ივანე ელიაშვილი და სხვა.

საზოგადოებაში დავით კარიჭაშვილის მეცადინეობით დაარსდა ლინგვისტური განყოფილება, დაიწყო ენათმეცნიერების საკითხების კვლევა. საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლექსიკოლოგიის საკითხებს, 1917-24 წლებში ინტენსიურად იკითხებოდა სამეცნეირო მოხსენებები, იმართებოდა ექსკურსიები,

საზოგადოებას დიდი მატერიალური დამხარება გაუწიეს: დავით სარაჯიშვილმა, ნიკოლოზ ღოღობერიძემ, პავლე თუმანიშვილმა, აკაკი ხოშტარიამ და სხვებმა.

1921 წლის 25 თებერვლიდან საზოგადოება საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც აგრძელებდა საქმიანობას.

როგორც ცნობილია, მენშევიკური მთავრობის განკარგულებით მთელი სამუზეუმო ქონების საფრანგეთში წაღება გადაწყდა. სამუზეუმო ძვირფასეულობის მცველად დამფუძნებელი კრების მიერ ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმემ მეუღლესთან, ნინო პოლტორაცკაიასთან ერთად დატოვა საქართველო.

1922 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. საზოგადოებას თანდათან ახალი, მძლავრი მეცნიერული ძალები ემატებოდა.

1924 წლის თებერვალში შეიქმნა საზოგადოების არქეოლოგიური სექცია, რომლის მიზანი იყო, ზედამხევდლობის გარეშე დატოვებული სიძველეების აღნუსხვა. საარქეოლოგიო სექციის თვალსაწიერში მოექცა საქართველოში არსებული თითქმის ყველა მნიშვენელოვანი ძეგლი.

საზოგადოების დაფუძნებისთანავე დაარსდა პერიოდულ გამოცემათა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველის სიძველენი“. პირველში იბეჭდებოდა რეფერატები, გამოკვლევები, სხვადასხვა საისტორიო, საარქეოლოგიო და საერთნოგრაფიო მასალა, მეორეში – სიგელ-გუჯრები, ისტორიული ასლები და სხვა ძეგლები.

განუზომელია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი მძლავრ საუნივერსიტეტო ბაზას წარმოადგენდა საქართველოში. კორნელი კეკელიძე საზოგადოების შესახებ წერდა: „ერთადერთი აკადემიური დაწესებულება, ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც“. 1932 წლისთვის საზოგადოებამ საქმიანობა შეწყვიტა, რადგან მისი ფუნქციები უნივერსიტეტმა და ახლად დაარსებულმა ინსტიტუტებმა გადაინაწილეს.

თემა VI

ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები – XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოში

XIX საუკუნის ისტორიოგრაფიის განვითარებაში ძირითადად, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ორი მხარე შეიძლება გამოვყოთ: ქართველოლოგიური კერის ჩამოყალიბება საქართველოს ფარგლებს გარეთ, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა თავმოყრა „თერგდალეულთა“ იდეების ირგვლივ. ქართველი სამოციანელები თავგამოდებით ილაშქრებდნენ ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი მართებული აზრით, ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საისტორიო მეცნიერების განვითარებას, რამდენადაც ხალხის გათვითცნობიერებას დიდად უწყობდა ხელს საკუთარი ისტორიის შესწავლა-შეფასება. ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ერის ისტორიის შესწავლით შესაძლებელია არა მარტო მოცემული ერის წარსულის ან აწმყოს შემეცნება, არამედ მომავლის გათვალისწინება. ამდენად, საქართველოს ისტორიას, როგორც დარგის განვითარებას, XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეროვნული ღირსების შენარჩუნებისათვის ბრძოლის ფუნქცია მიენიჭა. ქართველი ისტორიკოსები დაუღალავად შრომობდნენ, ხშირ შემთხვევაში ენთუზიაზმზე, ამ დარგის განვითარებისათვის.

XIX საუკუნის ქართული სამეცნიერო აზრი კარგად იცნობდა დასავლური მეთოდოლოგიის ყველა მიმართულებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ ეპოქაში მოღვაწე მკვლევრები განათლებას იღებდნენ უმეტესწილად რუსეთისა და, აგრეთვე, ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ისინი ეცნობოდნენ თანამედროვე მსოფლიო ისტორიულ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ მოძღვრებებს, ისტორიოგრაფიის მიზნებსა და კვლევის მეთოდებს, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებას. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართული ისტორიული

აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, საზრდოობდა ეროვნული ისტორიოგრაფიის მდიდარი ტრადიციებით.

იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრი ილაშქრებდა პროვიდენციალური პოზიციებიდან ისტორიის გააზრების წინააღმდეგ. „ფატალისტურ“ თეორიებს ისინი ისტორიის ლოგიკურ გაგებას უპირისპირებდნენ — თვლიდნენ, რომ საზოგადოების განვითარება და წინსვლა მისსავე ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ქართველი მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ ისტორიკოსი არ ფლობს მოვლენის მიზეზების ამომწურავ ცოდნას, ამიტომ მისეული ახსნა არ შეიძლება იყოს სრულყოფილი, ხოლო სრულყოფისათვის აუცილებელია მუდმივი კვლევა. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „შედარებითი მეთოდის“ გამოყენებას კვლევებში. ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ისტორიკოსმა, მოვლენათა შესწავლისას უპირველესად უნდა გაითვალისწინოს თავისი საკვლევი საგნის უშუალო სპეციფიკა, ხოლო საგნის შესახებ საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად აუცილებელია „იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს“. ქართველ ისტორიკოსებს მიაჩნდათ, რომ წერილობითი მასალების შესწავლა უნდა მომხდარიყო „კრიტიკულ-ისტორიული“ მეთოდის გამოყენებით.

იმ დროინდელი ქართული საისტორიო აზრი კარგად იცნობდა არქეოლოგიური, ლინგვისტური, ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, ზეპირსიტყვიერი და სხვა სახის მასალების დამუშავების მეცნიერულ მეთოდებს, თუმცა საქართველოში არ არსებობდა სრულყოფილად კვლევების ამგვარი სახით წარმოების შესაძლებლობა, მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის უქონლობის გამო, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღსანიშნავია ერთიც, ქართველ მკვლევრებს ისტორიული მოვლენების ხასიათის გარკვევისათვის, აუცილებელ პირობად მიაჩნდათ შესაბამისი ეპოქის მახასიათებლების გათვალისწინება. ილია კარგად გამოხატავდა კვლევისადმი ასეთი მიდგომის მნიშვნელობას: „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ასე რომ არ იყოს კაცი ვერც საბუთს უპოვის, ვერც აზრს, თუნდაც

მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა“.

ვფიქრობთ, ზემოთქმულიდან გამომდინარეც კარგად ჩანს, რომ XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების სრულყოფილი შესწავლა, ისტორიოგრაფიის საგანგებო კვლევას მოითხოვს [XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ ორი განმაზოგადებული ნაშრომია შექმნილი: ერთი — არჩილ ბარამიძის „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან“ (1979), მეორე — დავით მალაზონიას „ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX ს. მე-2 ნახევარში“ (2001). ორივე თავისთავად საინტერესოა, მაგრამ დ. მალაზონიას თავის ნაშრომში ამ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა ფართო სპექტრი აქვს წარმოდგენილი, ამიტომ მონოგრაფია, ვფიქრობთ, სქემატურობით ხასიათდება, რაც შეეხება ა. ბარამიძის ნაშრომს, გასაგები მიზეზების გამო (დაისტამბა 1979 წელს) გარკვეულ იდეოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული]. XIX საუკუნე, როგორც ცნობილია, „ისტორიული მეცნიერების რევოლუციის ეპოქადაა“ მიჩნეული. შესაბამისად, საინტერესოა, XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის დონის განსაზღვრა. განსაკუთრებით აღნიშნული ეპოქის მე-2 ნახევრის ისტორიკოსთა ნააზრევის ანალიზი, რადგან მიგვაჩნია, რომ მათ მიერ დატოვებული სამეცნიერო მემკვიდრეობა უფრო მეტად დაფასებული და გამოყენებული რომ ყოფილიყო, XX საუკუნის თვისობრივად ახალ საისტორიო სამეცნიერო კვლევებში, ჩვენი საისტორიო მეცნიერება უფრო სწრაფად მიაღწევდა სასურველ შედეგს. რატომ მოხდა ასე? ვფიქრობთ, XX საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტმა გადაფარა, ფაქტობრივად დაჩრდილა მთელი მისი წინამორბედი ახალი დროის ისტორიკოსები (რა თქმა უნდა, ეს პროცესი ივ. ჯავახიშვილისგან დამოუკიდებლად განვითარდა). ამ მიზეზით, თვით სპეციალისტებსაც კი ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ივ. ჯავახიშვილის წინარე პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე და არც კი ცდილობენ გაითვალისწინონ ის მონაპოვრები, რომლებიც უხვად ფიქსირდება აღნიშნული ხანის ისტორიკოსთა ნაშრომებში. მართალია, ამ პერიოდის ისტორიკოსთა ერთი ნაწილის ცხოვრებასა და სამეცნიერო

მემკვიდრობას მონოგრაფიები მიეძღვნა, რომლებშიც მათი ღვაწლის შეფასებაა წარმოდგენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკულ კვლევებში ამ პერიოდის მეცნიერთა მიღწევების გათვალისწინება ნაკლებად ხდება. არა და, შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულ დასკვნებს უფრო მეტად ეხმიანება, ვიდრე მათი შემდგომი პერიოდის ისტორიკოსთა ნააზრევს, რაც XIX ს. მე-2 ნახევრის ისტორიკოსთა კვლევების აქტუალობაზე მიუთითებს. ახლა კი გვინდა განვმარტოთ, თუ რა შეიძლება ვიგულისხმოთ „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში“. გასაგებია, რომ ეპოქის სამეცნიერო დონის განსაზღვრა, ძირითადად, ისტორიკოსთა სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე ხდება, რადგან ისტორიული მეცნიერების განვითარება, ისტორიული შემეცნების ხარისხი, ვერ იქნება პიროვნების გარეშე პროცესი; ამ პროცესში მონაწილეობენ გამოჩენილი მკვლევრები, რომლებიც როგორც თავიანთი ეპოქის წარმომადგენლები, უფრო ადეკვატურად გადმოსცემენ ეპოქის იმ საზოგადოებრივ-კულტურულ სისტემას, რომელიც აყალიბებს კონკრეტული მკვლევრის შემოქმედებით პოტენციალს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ეპოქის ისტორიოგრაფიას არ მიეკუთვნებიან მხოლოდ ის ისტორიკოსები, რომელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები ქრონოლოგიურად ამ ეპოქის ჩარჩოებში თავსდება. ამიტომ ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ზემოთ აღნიშნული ფრაზა სამეცნიერო ტერმინის ფუნქციას შეიძენს, რომლის ეგიდით გავაერთიანებთ ისტორკოსთა ყველა იმ პლეადას, რომელთა მიზანს წარმოადგენდა იმ ახალი ისტორიოგრაფიული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება, რომელიც XIX საუკუნემ ისტორიულ მეცნიერებას მოუტანა. შესაძლებელია ამ ახალი ტენდენციების დამკვიდრებისათვის მოღვაწე ისტორიკოსებს „XIX საუკუნის ახალი თაობის ისტორიკოსებიც“ ვუწოდოთ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ექ. თაყაიშვილი 1953 წელს გარდაიცვალა, ხოლო ივ. ჯავახიშვილი 1940 წელს, პირველი — თავისი კვლევის მეთოდებით, ამოცანებითა და შედეგებით „XIX საუკუნის ახალი თაობის ისტორიკოსთა“ პლეადას მიეკუთვნება და არა მეო-

რის სამეცნიერო მემკვიდრეობის თანამოაზრედ წარმოგვიდგება. უფრო მეტიც, ამ პლეადის ისტორიკოსთა სია შესაძლებელია ს. ბარათაშვილით დავიწყოთ, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა 1821-1866 წლებს მოიცავს.

ამიტომ საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის გარკვევა ქართველ ისტორიკოსთა კვლევებში, რა მასშტაბურობით აისახა XIX საუკუნეში არსებული შემდეგი მიმდინარეობები: ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფია, რომანტიზმი, მარქსიზმი, პოზიტივიზმი, რომელთაც საკუთარი ხედვები და მოთხოვნები დაამკვიდრეს, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სამეცნიერო სამყაროს სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბებაზე, მრავალფეროვანი გახადეს ისტორიკოსთა ამოცანები და კვლევის მეთოდები. ამის გაანალიზება ვფიქრობთ, საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ამ ისტორიკოსთა მიზნები, ამცოანები და კვლევის მეთოდები; რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის XIX ს. მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების ობიექტურ შეფასებას. შევძლებთ გარკვევას, რამდენად სამართლიანია ივ. ჯავახიშვილის (1938 წ.) ამგვარი დამოკიდებულება: წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა ან ამ პერიოდის ისტორიოგრაფიის „ადვოკატურ — გამოსარჩლებითი“ ხასიათით განსაზღვრა. ეს აზრი თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც მკვიდრად არის ფეხმოკიდებული. ბუნებრივია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ XIX ს. მე-2 ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სისტემურ გამოკვლევას, რომლის ჩამოყალიბების საავტორო უფლება უდავოდ ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, ასევე მისი დამსახურებაა დამხმარე დისციპლინების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება; მაგრამ, როდესაც მეცნიერთა მემკვიდრეობის შესწავლასა და შეფასებას ვიწყებთ, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თუ რა დახვდათ მათ ამა თუ იმ საკითხის კვლევის თვალსაზრისით; რა გააკეთეს თავად და რამდენად მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვის მათი მონაპოვარი.

ამ მხრივ კი შეიძლება ითქვას, XIX ს. ახალი თაობის ისტორიკოსებს — დ. ჩუბინაშვილს, დ. ბაქრაძეს, ალ. ცაგარელს, მ. ჯანაშვილს, თ. ჟორდანიას, ექ. თაყაიშვილს და სხვ. საკმაოდ არასახარ-

ბიელო ვითარება ჰქონდათ. ელემენტარულად არ არსებობდა მყარი, წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის წარსულის მეცნიერულად დასაბუთებული გააზრებისთვის. მათ მიზნად დაისახეს ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნით, ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლით, ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებების პუბ-ლიკაციებითა და უცხო ენაზე თარგმნით (ძირითადად რუსულად), საერთაშორისო კონგრესებსა და არქეოლოგიურ ყრილობებზე მონაწილეობით, პოპულარიზაცია გაეწიათ და საერთაშორისო სა-მეცნიერო საზოგადოებისათვის გაეცნოთ ქართველი ერის მდიდარი ისტორიული წარსული. ყველაფერი ეს კი, მათი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობდა სახელმწიფოებრიობადაკარგული ერის საინტერესო, თვითმყოფადი, მდიდარი კულტურული მემკვირეობის საერთაშორ-ისო ასპარეზზე გატანასა და ქართველოლოგიური მეცნიერების ევ-როპულ დონეზე განვითარებას. მიზნები კეთილშობილურია და შეს-რულების შემთხვევაში სერიოზული შედეგების მომტანი. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, გაირკვეს — თუ რამდენად გეგმაზომიერად შრომობდნენ ისინი ამისთვის, რას მიაღწიეს, სად დაუშვეს შეცდომა, რისი კეთება შეეძლოთ და არ გამოუვიდათ. ვფიქრობთ, მომავალში ამ მხრივ საკმაოდ ვრცელი და რთული სამუშაოა ჩასატარებელი. ახლა კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: XIX ს-ის მე-2 ნახევრის ისტორიკოსებმა ახლებურად გაიაზრეს საქართველოს ისტორიის მთელი რიგი პრობლემები, ქართველოლოგიის წინაშე დააყენეს საქართველოს ისტორიის სისტემურად შესწავლის აუცილებლობა; შეეცადნენ ეპოქის შესაბამისად განესაზღვრათ საქართველოს ის-ტორიის შესწავლის ნაკლოვანებები, ეჩვენებინათ მისი სრულყოფის გზები და ამით საფუძველი ჩაეყარათ საქართველოს ისტორიის ახ-ალი სკოლისათვის; შექმნეს მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რისთვისაც კოლოსალური შრომა გასწიეს.

საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა დაკვირვებისა და შესწავ-ლის საგანი იყო დამწერლობის, ნუმიზმატიკის, პალეოგრაფიის, ქა-რთული ენისა და მწერლობის საკითხები. საქართველოს პოლიტი-კური, სოციალური, საეკლესიო ისტორიის პრობლემები.

მართალია, ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსები მრავალმხრივი ინტერესით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათ ძირითად მიზანს მაინც საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა წარმოადგენდა. მათ მიერ ამ დარგში გამოქვეყნებული შრომები დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს თანამედროვე ისტორიოგრაფიას (მაგ. თ. ჟორდანიას „ქრონიკები“). ისინი დიდი მონდომებით ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების მოძებნას, მათ დამუშავებასა და პუბლიკაციას. თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ საქართველოს ისტორიის წყაროების დაუღალავი ძიება და გამომზეურება, რადგან კარგად იცოდნენ, რომ საისტორიო მეცნიერების ძირითად დასაყრდენს წყაროდან ამოკრეფილი ფაქტები წარმოადგენს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ევროპაში, ასევე ჩვენთანაც, ძირითადად, იმდროინდელი მეცნიერები დაკავებულები იყვნენ კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობით, ე. ი. წყაროს მოძიებითა და მისი კრიტიკული შესწავლით. ბუნებრივია, კრიტიკული შესწავლის მეთოდში იგულისხმება გარეგანი კრიტიკა – ძეგლის სანდოობის, ცნობების სიუხვისა და მნიშვნელობის, გამოყენებული წყაროებისა და თარიღის დადგენა. ასევე არქეოგრაფიული აღწერა — ხელნაწერების დასახელება, ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების რაოდენობის აღწერა და სხვ. და არა ანალიზური მეთოდიკა, რადგან ეს უკანასკნელი XX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავეს ევროპელმა მეცნიერებმა შ. ლანგლუამ, შ. სენიობოსმა და პ. ლაპო-დანილევსკიმ.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, ის, რომ XIX ს-ის 40-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნას. პირველი მკვლევრები იყვნენ XIX საუკუნის ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, რომლებმაც დაიწყეს საეკლესიო ცხოვრების შესახებ არსებული წყაროების თავმოყრა და მათზე დაყრდნობით საქართველოს ეკლესიის ისტორიის თანმიმდევრული გადმოცემა.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა გამოაქვეყნა 1843 წელს, პეტერბურგში, რუსულ ენაზე, სახელწოდებით „Краткая история

Грузинской церквы“, რომელშიც ქართული და უცხოური წყაროების გამოყენებით გადმოცემულია ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია. გრძელდებოდა ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის (1703-1724) მიერ დაწყებული საქმე, საქართველოს ისტორიას ამდიდრებდნენ საეკლესიო ისტორიით. ამის დამადასტურებელია იოანე (1772-1836), დავით (1768-1819) და თეიმურაზ (1782-1846) ბატონიშვილების თხზულებები. სერიოზული წვლილი შეიტანა ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში მიქაელ საბინმა (1845-1900), რომელმაც 1877 წელს, ასევე რუსულ ენაზე გამოსცა მონოგრაფია — „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1877), რომელშიც თხრობა VI ს. ბოლომდე მოდის, ხოლო მის წიგნს — „საქართველოს სამოთხე“ (1882 წ.), სადაც შეტანილია ქართველ წმინდანთა ცხოვრებები, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. დიდი ყურადღება დაუთმო ამ საკითხის შესწავლას მოსე ჯანაშვილმა, რომელმაც პირველად ქართულ ენაზე, 1886 წელს, თბილისში გამოსცა „საქართველოს საეკლესიო ისტორია“, რომელშიც, აგრეთვე, მოკლედ არის გადმოცემული ეკლესიის მთელი ისტორია დაარსებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე. დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ თამარაშვილს (1858-1911) ეკლესიის ისტორიის შესწავლაში. მან თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი უცხოეთში გაატარა (კონსტანტინოპოლი, პარიზი, ვატიკანი), სადაც მიიღო ბრწყინვალე კათოლიკური განათლება. იგი ინტენსიურად მუშაობდა ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში. თამარაშვილმა გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი დოკუმენტური მასალა. აქედან მან მოასწრო საქართველო-ევროპის ურთიერთობის და, კერძოდ, საქართველოში კათოლიკური სასწავლებლების გავრცელებასთან დაკავშირებული მასალების დამუშავება და გამოცემა („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902. „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას“, 1904). მისმა წიგნმა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (რომი, 1910, ფრანგულ ენაზე) დიდი გამოხმაურება პოვა ევროპის სამეცნიერო წრეებში. ამ გამოცემას ვატიკანის სპეციალური პრემია მიენიჭა. მან აღმოაჩინა სიცილიაში კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი, მას დიდი წვლილი მიუძღვის ს. ს. ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის

შესახებ მასალების მოძიებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

საეკლესიო ისტორიის ზემოთ აღნიშნული ყველა მონოგრაფია, მართალია, სქემატურობით ხასიათდება და მეცნიერების თანამედროვე დონის მოთხოვნებს აღარ შეესაბამება, მაგრამ ისინი შექმნის დროისათვის მიზანს ამართლებდნენ. ჯერ ერთი, ამ წიგნებით პოპულარიზაცია გაეწია ქართული ეკლესიის ისტორიას, მეორე – დაიწყო ისტორიოგრაფიული ბაზის შექმნა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1904-1905 წლებში, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარისა და წმინდა სინოდის წინაშე დასვა საკითხი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ამ დროს შეიქმნა კ. ცინცაძის, ნ. დურნოვოს, მ. კელენჯერიძის, ნ მარის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის გამოკვლევები, რომელთა მიზანი იყო მეცნიერულად, ყველა არსებული წყაროს გამოყენებით, მოეთხროთ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების ისტორია და დაესაბუთებინათ მისი აღდგენის კანონიერება, რადგან ამ მოთხოვნას რუსეთი კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევდა. მართალია, ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობა იმ ხანად მარცხით დამთავრდა, მაგრამ ისტორიოგრაფიას შემორჩა ამ საკითხისადმი მიძღვნილი არაჩვეულებრივად საინტერესო და საჭირო ნაშრომები.

XIX ს-ნის I ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს ჩვენ უკვე გავეცანით თემით: „ისტორიული აზრის განვითარება XIX საუკუნეში და ქართველოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ“. ვფიქრობთ, დავით, იოანე, ბაგრატ და თეიმურაზ ბატონიშვილებით მთავრდება ერთი ეტაპი XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზრის განვითარებაში და მომდევნო პერიოდზე გარდამავალ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ პლატონ იოსელიანის (1809-1876) მოღვაწეობა. სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული პ. იოსელიანი რელიგიურ-მონარქისტული აღზრდის ტიპური წარმომადგენელია. ნიჭიერი თეოლოგი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, მეფის მთავრობის ერთგული მოხელე, რუსოფილური ორი-

ენტაციის, უმთავრესად ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებს სწავლობდა. 1845-56 წლებში რედაქტორობდა „ზაკავკასკი ვესტნიკს“, რომელიც თბილისში გამოდიოდა. აქ იგი აქვეყნებდა თავის გამოკვლევებს ისტორიასა და არქეოლოგიაში, წერდა ეთნოგრაფიულ წერილებს. 1849 წელს იმოგზაურა საბერძნეთში, მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი, შეისწავლა ქართული კულტურის ძეგლები. იგი იყო ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. მის პირად არქივში ინახება წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერებისაგან. ძირითადად, წერილებში მოთხრობილია, თუ როგორ ხდება ქართველების შევიწროება ბერძნების მიერ მონასტერში და დახმარებას ითხოვენ პლატონისაგან. როგორც მატერიალურს, ასევ სიტყვიერს, რაშიც იგულისხმება რუსეთის მაღალი თანამდებობის პირთა თანადგომის მოპოვება ბერებისათვის. მან 1860-1875 წლებში გამოსცა ქართული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მრავალი ათეული ნაშრომი. მსოფლმხედველობით იგი იდეალისტი იყო. მისი აზრით, ისტორიის პროცესს წარმართავდა უზენაესი განგება. კაცობრიობის ისტორიას სამ პერიოდად ყოფდა: გვაროვნული, ფეოდალური და კაპიტალისტური. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემაში: ჩახრუხაძის „თამარიანი“ (1838), იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ (1838), იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ (1853) და სხვ.

საინტერესოა პ. იოსელიანის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობათა შედეგად შეკრებილი ცნობები. ამ მხრივ, იგი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა, საქართველოს ისტორიისათვის ახალი მასალების ძიების საქმეს.

პ. იოსელიანი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველია, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ქართულ სიძველეთა ძეგლების შესწავლას. მის ნაშრომს – „описание древностей Тифлиса“ — თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

მნიშვნელოვან მონოგრაფიას წარმოადგენს პ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. აკ. გაწერელია ნაშრომის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი საუკეთესოდ გამოხატავს ავტორის მსოფლმხედველობას. პ. იოსელიანი ნაშრომს რუსეთის ოფიციალური

ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს უხამებს. მას მიაჩნია, რომ საქართველოს ხსნა რუსეთთან შეერთებაში იყო, თუმცა „ნაციონალისტური“ გრძნობებითაც არის გამსჭვალული. ამგვარი დამოკიდებულება გააჩნდა იმდროინდელი არისტოკრატიის გარკვეულ ნაწილსაც, ისინი „ათავსებდნენ ერთმანეთთან პატრიოტიზმსა და პოლიტიკურ რენეგატობას“. პლატონი ძალიან სუბუექტურია გიორგი XII-ს მოღვაწეობის შეფასებისას, რაც მკვლევარს არცთუ საუკეთესოდ ახასიათებს.

XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა გალერეაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სულხან ბარათაშვილს (1821-1866). ს. ბარათაშვილმა 1848 წლიდან 1857 წლამდე მოქმედ არმიასა და ბრძოლის ველზე გაატარა, მაგრამ თავისი საყვარელი საქმისათვის არასოდეს უღალატია. საქართველოს ისტორიის კვლევა მისთვის იყო დიდი მოვალეობა თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ს. ბარათაშვილის ყველა ნაშრომი ისტორიის საკითხების შესახებ შესრულებულია მხოლოდ რუსულ ენაზე, ალბათ, იმ დასაბუთებული მოტივით, რომ რუსულად დაწერილ საქართველოს ისტორიას უფრო მასშტაბური ხასიათი ექნებოდა. თორემ მან, მიუხედავად რუსული განათლებისა, შესანიშნავად იცოდა ქართული ენა. ისტორიის საკითხების შესახებ ს. ბარათაშვილის შრომები გაბნეულია იმდროინდელი პერიოდული ლიტერატურის სხვადასხვა გამოცემაში. მისი მთავარი ნაშრომია „საქართველოს ისტორია“ („История Грузий“), რომელიც ხელნაწერიდან ითარგმნა (არის ვარაუდი, რომ თარგმნა ილია ჭავჭავაძემ) 1863 წელს და დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. საქართველოს ისტორია მას დაწერილი აქვს ხუთ რვეულად (წიგნად), რომელიც მოიცავს ისტორიას უძველესი დრიდან რუსუდანის (1223-1245) მეფობამდე. ავტორის სიცოცხლეში, 1863 წელს დაისტამბა მხოლოდ ერთი რვეული, ხოლო დანარჩენი ოთხი — მისი გარდაცვალების შემდეგ. ეს ნაშრომი ქართულად თარგმნეს ქუთაისში და სამ რვეულად (1895, 1896, 1913 წწ.) გამოსცეს.

ამ ნაშრომის შესახებ დიმიტრი ბაქრაძე სულხან ბარათაშვილს წერდა: „იმედი მაქვს პირმოთნეობად არ ჩამომართმევთ, რომ გითხრათ ჩემი აზრი თქვენს ვრცელს საქართველოზე ისტორიულის განხილვაზე: როდესაც ის ვნახე პირველად რუსულ ენაზე, ჩემი გაკ-

ვირვება დიდი იყო. იმედი არ მქონდა, თუ ჩვენთაგანი საქართველოს შვილთაგანი, აწინდელ დროში ასეთს შრომას დაუდებდა თავსა და ან თუ ვინმე ასე მომზადებული იქნებოდა“.

ს. ბარათაშვილმა კარგად იცოდა ევროპული ენები, რაც მას საშუალებას აძლევდა დედანში გასცნობოდა დასავლეთის ისტორიკოსთა შრომებს, საფუძვლიანად შეესწავლა ისტორიული ლიტერატურა; მას ჰქონდა მეცნიერული ანალიზის უნარი, იცნობდა ევროპული კვლევის მეთოდებს. მისი შემოქმედების მკვლევარს გ. ნადირაძეს მიაჩნია, რომ „ს. ბარათაშვილის საქართველოს ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში არის პირველი ნაშრომი, რომელიც აგებულია მსოფლიო ისტორიის პრინციპზე“. ს. ბარათაშვილი კარგად იცნობდა ძველ ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებს, ახალი დროის ევროპელ მკვლევართა ნაშრომებს. ბუნებრივია, ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც მოაზროვნის ჩამოყალიბებაში.

ს. ბარათაშვილი ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ფორმირებაში გადაჭარბებულ როლს ანიჭებდა გეოგრაფიულ გარემოს. მან, როგორც ისტორიკოსმა გამოამჟღავნა ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარი. იგი საგანგებოდ შეეხო ვახტანგ VI-ის (1703-1724) „სწავლულ კაცთა“ საქმიანობას, „ქართლის ცხოვრების“ გამდიდრების სასარგებლოდ ან პირიქით. იგი ჯერ კიდევ 1865 წელს წერდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ უკვე XIII საუკუნეში იყო ცნობილი ამავე სახელწოდებით, ხოლო XVIII საუკუნეში ის შესწორებულ იქნა ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ. ეს აზრი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მკვლევარი ვერ მოესწრო ვახტანგის წინადროინდელი ნუსხის აღმოჩენას. მაგრამ ასეთ დასკვნამდე სხვადასხვა წერილობითი წყაროთი და თვით ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ანალიზის საფუძველზე მივიდა.

როგორც ცნობილია, ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც თავდაპირველად ტრიალებდა მკვლევართა აზრი, „ქართლის ცხოვრების“ შექმნის თარიღი იყო, რადგან კრებულის ძველი ხელნაწერები დაკარგული იყო და მათ განკარგულებაში მხოლოდ XVIII საუკუნის ვახტანგ VI-ისა და მის „სწავლულ კაცთა“ ხელში რედაქტირებული შემდეგდროინდელი ნუსხები აღმოჩნდა. ამიტომ „ქართლის ცხოვრება“ მკვლევართა ნაწილის მიერ მიჩნეულ იქნა XVIII

საუკუნის ძეგლად [ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ: რუსული ორიენტალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი იოსიპ ივანეს ძე სენკოვსკი, რომელიც უარყოფდა „ქართლის ცხოვრების“, როგორც სამეცნიერო წყაროს მნიშვნელობას, შეუპოვრად იცავდა ქართული მწერლობის დაბალი ღირსების „ფაქტს“, უარყოფდა ქართველებისა და იბერიელების იგივეობას და სხვ. მსგავს თვალსაზრისს მოგვიანებით დიდი „მეცნიერული“ აზარტით იცავდა ასევე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქერობე პეტროსის ძე პატკანოვი]. ასე გვიან ხანაში შეთხზული ძეგლი კი ვერ იქნებოდა სანდო წყარო ქვეყნის ძველი ისტორიისათვის. ამასთანავე იქმნებოდა საფუძველი თვალსაზრისისათვის, რომ ჩვენში XVIII ს-მდე საერთოდ არ არსებობდა საისტორიო მწერლობა.

მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პირველად მ. ბროსე მივიდა დასკვნამდე, რომ ვახტანგამდე არსებობდა ქართული მატიანეები და ცალკე მატიანე, რომელსაც ეწოდებოდა „ქართლის ცხოვრება“. ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განმტკიცდა ე. წ. „სომხური ქრონიკის“ („ქართლის ცხოვრების“ თარგმანი მოკლე რედაქციით) სამი ნუსხის აღმოჩენის შემდეგ. ერთ-ერთი მათგანი ბროსემ 1279-1311 წლებით დაათარიღა, ხოლო საბოლოოდ დადასტურდა, როდესაც დიმიტრი ბაქრაძემ 1884 წელს მიაკვლია „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ (ქართლის მეფის, როსტომის მეუღლე) ნუსხას, რომელიც დათარიღდა 1633-1645 წლებით.

ს. ბარათაშვილმა, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, აღნიშნა, რომ დავით აღმაშენებლის (1084-1125) ზოგიერთი რეფორმა, გიორგი მთაწმინდელის იდეების მატარებელი იყო, რომელიც დაადასტურა ივ. ჯავახიშვილმა. იგი პირველი ქართველი ისტორიკოსი იყო, რომელმაც XI საუკუნის საქართველოში მიმდინარე სოციალურ პროცესებს ანალოგი ევროპაში მოუძებნა. მან პირველმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჯვაროსნული მოძრაობის მომზადების ისტორიას და ამ მხრივ დიდი როლი მიანიჭა კლერმონის საეკლესიო კრების გადაწვეტილებებს. იგი იყო მკვლევარი, რომელმაც აღნიშნა, რომ აღმაშენებლის ზოგიერთ მცდელობას

მომავალი არ ექნებოდა, რადგან მან „ფეოდალური უფლებები კვლავ ძველი ფორმით დატოვა“. იგი ზოგჯერ დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს უარყოფითად აფასებს. მაგალითად, მას მიაჩნდა, რომ აღმაშენებლის მიერ საქართველოში სომხების ჩამოსახლებამ და მათთვის ფართო უფლებების მინიჭებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. „შედეგებმა დაამტკიცა, რომ მან ისეთივე შეცდომა დაუშვა, როგორც... დიდმა კაზიმირმა პოლონეთში ებრაელების დამკვიდრებით“ — წერს იგი. ს. ბარათაშვილი იყო პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც შეეცადა თამარისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი თავისებურება სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე დაყრდნობით აეხსნა და მრავალი სხვა, რომლითაც მოცულია მისი „საქართველოს ისტორია“.

ს. ბარაშათვილი საგანგებოდ წარმოაჩენს ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და XII საუკუნის საქართველოს ურთიერთობას, რასაც დღესაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი და კავკასიელი ხალხების მომავალი ურთიერთობისათვის.

ს. ბარათაშვილი არის პირველი მკვლევარი, რომელმაც აუცილებელი ყურადღების საგნად აქცია მითრიდატე პონტოელის ეთნიკური ვინაობის შესწავლა. სათანადო მეცნიერული ლოგიკის საფუძველზე მან წამოაყენა ვერსია მითრიდატეს ქართული ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ეს ვერსია დღესაც ინარჩუნებს არსებობის უფლებას. 1847 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ს. ბარათაშვილის შრომა „ქართულ-მეგრული ტომის ხალხთა რელიგიური ყოფის მოკლე მიმოხილვა მსოფლიო წარმართობის ეპოქაში“. მან დიდი ყურადღება გამოიჩინა დამწერლობის უქონელი კავკასიური ენების მიმართ. შეისწავლა ყაბარდოული ენა და შეადგინა ამ ენის ლექსიკონები, რომელთაც დიდი შეფასება მისცა პეტრე უსლარმა. იგი მეცნიერული არგუმენტების მოშველიებით ცდილობდა განემტკიცებინა აზრი იმის თაობაზე, რომ კავკასიის უმწერლო ხალხების ანბანის შედგენისას გამოყენებული ყოფილიყო ქართული ასომთავრული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ს. ბარათაშვილის ცდა საქართველოს ისტორიის ახლებური პერიოდიზაციის შესაქმნელად, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგნაირად შეფასდა: „საქართველოს ისტორიის უმთავრესი ეპოქების გამოყოფა

და მისი დანაწილება ძველ, შუა საუკუნეებისა და ახალი ხანის ისტორიად, ასევე შუა საუკუნეებში ცალკეული პერიოდების აღნიშვნა, ე. ი. ს. ბართაშვილის მიერ მოცემული პერიოდიზაცია, მნიშვნელოვანი და სავსებით ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში“.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: სულხან ბარათაშვილმა, ქართველ ისტორიკოსთაგან პირველმა მოგვცა მსოფლიო ისტორიის ცნობების გამოყენებით საქართველოს ისტორიის მეცნიერული გაშუქების, ზოგიერთი ისტორიული მოვლენის, კერძოდ, ქრისტიანობის გავრცელების მსოფლიო-ისტორიულ ფონზე წარმოდგენის ცდები. მის მიერ გამოყენებული წყაროთა სპექტრი ფართოა, რაც ისტორიოგრაფიის წინსვლის მაჩვენებელია.

გ. ანჩაბაძე დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შესახებ შესავალ წერილს იწყებს შემდეგნაირად: „XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ბაქრაძეს, რომელმაც მისი დროის ქართული ისტორიოგრაფია ახალ საფეხურზე აიყვანა და თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის არაერთ მეტად მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს“.

დიმიტრი ბაქრაძე იყო პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1879), დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემია (1850 წ.). 1851 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1852-57 წლებში მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში, 1858-61 წლებში მსახურობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, თანამშრომლობდა კავკასიის არქეოლოგიურ კომისიასთან. იყო ქართული გამოცემების ცენზორი, თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს. მისი ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგთა მოყვარული საზოგადოება (1873 წ.), რომლის ბაზაზე მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (1881-1860 წ.) — ასეთია დ. ბაქრაძის ბიოგრაფიის ენციკლოპედიური მონაცემები, რომლის უკან დგას პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი დრო, ნიჭი და ძალისხმევა საქართველოს წარსულის ძიებასა და შესწავლას მოახმარა.

1858 წელს დიმიტრი ბაქრაძემ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით სვანეთში იმოგზაურა. ამ მოგზაურობის დროს მან მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა შეაგროვა. ეკლესიის კედლებიდან, ხატებიდან, ჯვრებიდან, ზარებიდან და წიგნებიდან 120-ზე მეტი წარწერა შეკრიბა, სვანეთის ყოფის, სოფლის მეურნეობისა და სხვათა შესახებ. შეკრებილი წარწერები ეკუთვნის XI-XVIII ს.ს. წარწერებში იხსენიებიან: ბაგრატ IV, რუსუდანი, დავით ნარინი, იმერეთის მეფე გიორგი, კახთა მეფე ალექსანდრე და სხვ.

დ. ბაქრაძეს აინტერესებდა სვანეთის ცხოვრების თავისუბურებათა შესწავლა. მას სწამდა ისტორიული პროცესის პროგრესი და მიაჩნდა, რომ საჭირო იყო თანამედროვე სვანეთის ყოფის აღწერა. იგი დაინტერესებული იყო სვანთა ტომების ქართველური წარმოშობის მეცნიერულად დასაბუთების საკითხით. „წიგნში სვანეთის შესახებ — წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი — ბაქრაძე იძლევა საერთო მიმოხილვას ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესახებ... შესრულების სიზუსტის წყალობით ბაქრაძის ნაშრომი ვიდრე დღემდის რჩება სვანეთის ეპიგრაფიკისა და სიძველთა გარშემო ძირითად ნაშრომად“.

დ. ბაქრაძის თაოსნობით 1861 წელს გამოიცა იოანე ბაგრატიონის ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა“. 1873 წელს იგი ისევ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით მეცნიერული მივლინებით მიდის აჭარა-გურიაში. ამ მოგზაურობის შესახებ აღწერილია მის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. ამ ნაშრომით მან დაგვიტოვა აჭარა-გურიისა და ჭანეთის აღწერილობა, მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების აღწერილობა და სხვ. წიგნში მოცემულია ძვირფასი ცნობები ქობულეთის უბნისა და ბათუმის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბათუმის მიდამოებში მყოფ ძველ ძეგლებს. აქვეა ცნობები ლაზებ-ჭანების შესახებ.

მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჭოროხის აუზის, როგორც ძველი ქართული რაიონის შესწავლას. იგი არგუმენტირებულად ეკამათებოდა სომეხი მეცნიერების უსაფუძვლო

მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელის უბნები სომხეთს ეკუთვნოდა.

სიძველეთა შესწავლის გვერდით, ნაშრომში მოცემულია აჭარის საერთო მდგომარეობის დახასიათებაც (მოსახლეობის რაოდენობა, სოფლები, გზები და სხვ), აჭარის ზოგადი ისტორიულ-ტოპოგრაფიული მიმოხილვა, რომელიც შედგენილია ქართულ-რუსული და უცხოური წყაროების საფუძველზე.

დ. ბაქრაძემ თითქმის მთლიანად შეისწავლა გურიის ქრისტიანული ძეგლები. მის მიერ შეგროვილი მასალა დალაგებულია სოფლების მიხედვით. როგორც ყოველთვის, იგი არა მხოლოდ აგროვებს მასალებს, არამედ იძლევა მათ თავისებურ მეცნიერულ ანალიზს. საბუთებს ახლავს ანოტაციები, შენიშვნები და დალაგებულია ქრონოლოგიურად.

ნაშრომში დიდი სიზუსტითაა მოტანილი მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა. თითქმის ყველა წარწერა გამოქვეყნებულია ორიგინალური ფორმით-ასომთავრული, ნუსხური თუ მხედრული ასოებით. ამავე დროს მოცემულია ყველა წარწერის ზუსტი რუსული თარგმანი და მრავალი სხვა. ამ ნაშრომის შესახებ მ. ბროსემ რუსეთის მეცნიერაბათა აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა, რომ დ. ბაქრაძემ დაამტკიცა მასზე დაკისრებული „საქმის ღრმა ცოდნა“, გაუწია მეცნიერებას დიდი სამსახური“. 1873-75 წლებში დ. ბაქრაძემ კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიაში თანამშრომლობის დროს მონაწილეობა მიიღო „აქტების“ ხუთი ტომის გამოცემაში. ამ პერიოდში დაასრულა მან თავისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი — „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, რუსულ ენაზე, რომელშიც შეკრებილია ცნობები კავკასიის ქართული და სომხური ეკლესიების შესახებ, ნაჩვენებია მათი მდებარეობა, მოცემულია იქ დაცული ნივთებისა და წარწერების აღწერა, ამ ძეგლების შესახებ არსებული ლიტერატურა და სხვა. ეკლესია-მონასტრები აქ ანბანურ რიგზეა დალაგებული. აღწერილობაში შესულია თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული რაიონების ძეგლებიც. ყოველი ძეგლის აღწერილობას ახლავს სამეცნიერო აპარატი, მითითებულია ნაშრომში გამოყენებული წყაროები. როგორც თავად ავტორი წერს, აღნიშნული ძეგლების შესახებ ცნობები მან ამოიღო „ადგილობრივი ქრონი-

კებიდან“, ძველი საეკლესიო და „საერო ქარტიებიდან“, საარქეოგრაფიო კომისიის „აქტებიდან“, ევროპელ მოგზაურთა ნაშრომებიდან და სხვ. ძირითადი მასალა კი თავად შეაგროვა „ქვეყანაში მის განუწყვეტელ მოგზაურობათა შედეგად“.

1881 წელს ბაქრაძის ინიციატივით თბილისში ჩატარდა რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის ცნობილმა მეცნიერებმაც, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ქართულ სამეცნიერო სივრცეში. თავად ბაქრაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „ქართული პალეოგრაფია“.

1887 წელს დიმიტრი ბაქრაძე მივლინებით იმყოფებოდა სტამბულში. მას იქ უნდა გაესინჯა 1878 წელს შემოერთებული ბათუმისა და ყარსის ოლქების სამიწათმფლობელო დავთრები. ამ დროისათვის იგი უკვე ცნობილი მეცნიერი იყო და დახვედრა მას თურქეთში სამთავროპო დონეზე მოუწყვეს. სტამბულში ყოფნისას მან გადმოიღო ასლები ყარსის, ართვინის, შავშეთის სანჯაყების სამიწათმფლობელო აქტებიდან. მანვე შეადგინა აქტებისა და დავთრების ზუსტი სია ოლქების, სოფლებისა და საბუთების გაცემის წლების მითითებით. მან ამ მივლინების პერიოდში მოახერხა ათონის მთაზე მოგზაურობა და იქ ქართული მონასტრის დათვალიერება, საიდანაც რამდენიმე წარწერა გადმოიღო. ჩანაწერები ამ მოგზაურობის შესახებ დაცულია ბაქრაძის უბის წიგნაკებში, რომელიც მის საარქივო ფონდში ინახება. სტამბულში ყოფნის შედეგად მან დაწერა ნაშრომი მიწათმფლობელობის თურქული სისტემის შესახებ („Исторический очерк – турецкой системы землевладения“, 1889). როგორც დ. ბაქრაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის მკვლევარი — მ. დუმბაძე აღნიშნავს, ნაშრომი „საყურადღებოა არამარტო იმით, რომ ავტორი სიზუსტით განიხილავს თურქული მიწისმფლობელობის კატეგორიებს, არამედ იმით, რომ მასში მოცემულია ცდა ამ კატეგორიების დაკავშირებისა ქართული სამამულო მფლობელობის ფორმებთან. ნაშრომს ორიგინალურს ხდის ისიც, რომ ავტორმა დაასაბუთა ძველი ქართული ურთიერთობის გამძლეობასთან ერთად შეუსაბამობა ოსმალეთის მთავრობის კანონმდებლობასა და ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დ. ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომი თურქეთის მფლობელობის ქვეშ ნამყოფი და აწ მყოფი ქართული პროვინციების სამამულო მფლობელობის ისტორიის გარშემო დღეისთვისაც ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში ერთი სერიოზული ნაშრომია“.

დიმიტრი ბაქრაძეს, როგორც წყაროთმცოდნეს, უხდებოდა არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი ქართული წყაროების მოძიება, შეგროვება, შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, არამედ ბრძოლა მათ დასაცავად. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული წყაროებისადმი სკეპტიკური განწყობა სუფევდა პეტერბურგელ პროფესორებს შორის. დიმიტრი ბაქრაძემ ქეროპე პატკანოვს (1833-1889) დაუწერა საგანგებო ნაშრომი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“ (1884 წ.), რომელშიც წერდა: „ჩვენის ფიქრით, ბ. პატკანოვი არ არის გულწრფელი მაძიებელი ისტორიულის სიმართლისა. ის ვერ ითვისებს ვერც ერთს ცხოველს და უეჭველ ფაქტებზე დამყარებულს აზრს ქართული ისტორიისას, თუ ეს აზრი ეწინააღმდეგება იმის აზრს სომხურს ისტორიაზე. ჩვენთვის ერთგვარ ძვირფასია როგორათაც სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები: ჩვენის ფიქრით, ერთმა მეორე უნდა შეასწოროს და შეავსოს. ასეც ფიქრობდნენ სენ-მარტენი და ბროსე. ამ პროგრამას არ ადგას ბ. პატკანოვი. ის დასკვნილს ქართულ აზრს ან უჩუმდება, ან თუ მოჰყავს, იმგვარად, რომ ბინდი დასდოს მის წინააღმდეგ აზრს, ქართულს ისტორიულს წყაროს, თვით ჩვენ წინაპართა ხასიათს“.

პროფესორმა პატკანოვმა ქართულ საისტორიო მწერლობას განსაკუთრებით შეუტია წერილში „ძველი ქართული ქრონიკის შესახებ“. მისი აზრით, ქართულ ენაზე პირველი საისტორიო თხზულება დაიწერა XI-XII სს-ის მიჯნაზე, როდესაც ქართველებმა საკუთარი ისტორიის საჭიროება იცნეს და ეს ისტორია დაწერა მათთვის ერთმა უმეცარმა და უსწავლელმა სომეხმა ბერმა. დ. ბაქრაძე ამის შესახებ აღშფოთებული წერს: „რამ აფიქრებინა პატკანოვს, რომ ქართველმა ერმა ვერ შეძლო საკუთარი ისტორია თვითონვე შეედგინა. ის ერი, რომელსაც სტრაბონი პირველის საუკუნის დამდეგს აყვავებულ მდგომარეობაში გვიჩვენებს, რომელმაც გასაოცარი ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის დროიდანვე თავის

მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერ-ძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით და რომელმაც ისეთი ცნობისმოყვარეობა აღმოიჩინა, რომ ძველადვე ამ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ითარგმნა ქართუ-ლად ფაჰლაურს ენაზე შედგენილი სანსკრიტული ზღაპართ-კრებ-ული „ქილილა და დამანა...“ „ვისრამიანი“ და თვით ქართულ ენაზე დაიწერა დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თავის თა-ვად უჩვენებს არა მარტო ენოვნობის განვითარებულ წარმატებას, არამედ პოეტური ხელოვნების აყვავებულ მდგომარეობასაც“.

დ. ბაქრაძემ სერიოზული შრომა გასწია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მისი დამსახურებაა მარი-ამისეული ნუსხის აღმოჩენა. „ქართლის ცხოვრების“ უძველეს, „მა-ტიანე ქართლისაჲსამდელ“ ნაწილს იგი სანდო წყაროდ მიიჩნევდა. მან საინტერესო თვალსაზრისი გამოთქვა კრებულის სტრუქტურის შესახებ: „მომეტებული ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“ მირიანის მეფის დროიდამ თითქმის თავ-თავის დროს იწერებოდა. ამას ადგ-ილ-ადგილ „ქართლის ცხოვრებავე“ გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შეჰქონდათ და შეაქვთ კიდეც „ქართლის ცხოვრებაზე“ იმ გარემოე-ბათა გამოცა, რომ „ქართლის ცხოვრება“ არ იხსენიებსო, რომელი მოთხრობა როდის და ვისგან არისო შედგენილი (აქ იგულისხმება პატკანოვი — ქ. ნ.). ეს მართალია, მაგრამ უმთავრესი ამის მიზეზი, რომლის განხილვაში არავინ შესულა, იმით აიხსნება, რომ „ქართლის ცხოვრება“ შეადგენდა სხვადასხვა ვრცელთა კერძო ხრონიკათაგან შემოკლებით გამონაწერს საზოგადო საკითხავ წიგნს... მხოლოდ ორი სამი შემთხვევა ვიცით, როდესაც „ქართლის ცხოვრება“ მოიხ-სენიებს ავტორებს“. აქ დ. ბაქრაძე ჩამოთვლის ჯუანშერს, ლეონტი მროველს, იოანე დეკანოზს, სუმბატ დავითის ძეს და აღნიშნავს: „რა ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში“ ანუ მროველს, ანუ ჯუანშ-ერს, ანუ იოანე დეკანოზს – არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქა-მომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგან იმაზე მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველის აკადემიის ვარიანტში, მაგრამ, როდესაც მარიამ დედოფლისეული ვარიანტი გამოვჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბა-ტის ქრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ ტე-ქსტში... და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული“.

„ქართლის ცხოვრებისადმი“ როგორც ისტორიული მატიანისადმი ნდობის მიუხედავად დ. ბაქრაძე საკმაოდ კრიტიკულად უდგება საკითხს. მაგალითად, მან უარყო მოთხრობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ; თუმცა დასაშვებად მიიჩნია, რომ ქართლი დაელაშქრა მაკედონელთა არმიის რომელიმე ნაწილს. კრიტიკულად უყურებს იგი ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების ამბავსაც. მას მატიანის ერთ-ერთ სუსტ მხარედ ქრონოლოგია მიაჩნია და სხვ.

დ. ბაქრაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგიოგრაფიას, როგორც საისტორიო წყაროს, ასევე ქართულ დოკუმენტურ მასალას (სიგელ-გუჯრები, პოლიტიკური აქტები...), რომელიც, მისი თქმით ავსებს ან ადასტურებს ნარატიული ძეგლების მონაცემებს. მისთვის მნიშვნელოვანია ეპიგრაფიკული ხასიათის წყაროები. მას მიაჩნდა, რომ ისინი შეიცავენ ცნობებს ბევრ ისეთ მოღვაწეზე, რომელთა შესახებ მასალები ნარატიულ წყაროებში ან ძალიან ცოტაა, ან სულ არ არის შემორჩენილი. იგი ფართოდ იყენებდა მათ თავის კონკრეტულ კვლევებში. უკვე აღვნიშნეთ, რომ დ. ბაქრაძემ რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება – „ქართული პალეოგრაფია“, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა და რომლის შესახებაც მოსე ჯანაშვილი წერდა: „დღევანდლამდე ქართული პალეოგრაფია არ არსებობდა... ბ-ნ დ. ბაქრაძის საპალეოგრაფიო შრომის გამოქვეყნების შემდეგ კი ქართული პალეოგრაფია მკვიდრს საძირკველზე დამყარებული უნდა ჩავთვალოდ“.

დიმიტრი ბაქრაძის მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს „ისტორია საქართველოსი“. მეცნიერული მოღვაწეობის მთელ მანძილზე იგი დაუღალავად შრომობდა, რათა ნიადაგი მოემზადებინა, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მეცნიერმა თავისი „ისტორიის“ პირველი ნაწილი სიცოცხლის ბოლო წელს გამოაქვეყნა (1889), შეიძლება მთელი მისი მოღვაწეობა განვიხილოთ, როგორც საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვებისათვის ზრუნვა.

დ. ბაქრაძეს, ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის, რომელიც გარკვეულწილად დააკმაყოფილებდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოთხოვნებს, სათანადო მომზადება ჰქონდა.

იგი ფლობდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. სარგებლობდა ბერძნული, ლათინური, გერმანული წყაროებით. იცნობდა ბროსეს, დიუბუას, გატერიასის, ლანგლუას, ლებოს, ლენორმანის, მასპეროს, მილერის შრომებს. მაგრამ ბაქრაძის „ისტორია“ განსაკუთრებით საინტერესოა ყველა იმ მასალის გამოყენების გამო, რომელსაც იგი თავად აგროვებდა. მან თითქმის მთლიანად ისარგებლა ისტორიისათვის არსებული წერილობითი მასალით, შეისწავლა და ნაშრომებში დაიმოწმა მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, მრავალი სიგელ-გუჯარი, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, არქეოლოგიური ძეგლები და სხვ. ამა თუ იმ საკითხის განხილვისას მოშველიებული აქვს მსოფლიო-ისტორიული ცნობები, საქართველო-ამიერკავკასიის შესახებ იმ დროს გამოქვეყნებული ლიტერატურა და ა. შ. იგი მიჩნეულია პირველ ისტორიკოსად, რომელიც გამოვიდა „ქართლის ცხოვრებისეული“ სქემიდან და ახალ თანამედროვე სისტემაზე ააგო თავისი „ისტორია“.

დიმიტრი ბაქრაძის შემოქმედების მკვლევარი მ. დუმბაძე ასკვნის: „დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენს. ავტორმა უპირველეს ყოვლისა წყაროთმცოდნეობის პრობლემა დასვა და მის გადასაწყვეტად გარკვეული ნაბიჯი გადადგა. ქართული წერილობითი ძეგლები მან სპეციალურად განიხილა, და, როგორც მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების სერიოზულმა წარმომადგენელმა, სათანადოდ დააფასა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული ღირებულება. მან შეისწავლა და სათანადოდ გამოიყენა ისტორიისათვის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებშიც ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახები ცნობები დაინახა.

დ. ბაქრაძემ ისტორიის გასაშუქებლად გარკვეული სისრულით გამოიყენა ისტორიისავე დამხმარე და მომიჯნავე დისციპლინები: არქეოლოგია, ეთნოგრაფია, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, გეოგრაფია, ლინგვისტიკა, გეოლოგია და სხვ. იგი პირველი შეეცადა გაევლო პარალელები არქეოლოგიურ მონაცემებსა და სტრაბონის ცნობებს შორის. ამასთანავე ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ისტორიის დამხმარე დისციპლინებს: ქართულ პალეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას“.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ მოსე ჯანაშვილი, რომელზედაც არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას, რადგან მას დ. ბაქრაძის შემდგომდროინდელ ისტორიკოსთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სამწუხაროდ, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში სქემატურდაა წარმოდგენილი.

სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ძველი ქართული მწერლობა, გრამატიკა, დიალექტოლოგია და ლექსიკოლოგია არის ის დარგები, რომლებშიც მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი (1855-1934). იგი იყო საინგილოდან, 1865 წლიდან სწავლობდა კახის სამრევლო სკოლაში, 1868-72 წლებში ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში. 1878 წელს ქუთაისის გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდები და მასწავლებლის მოწმობა მიიღო. 1875-1920 წლებში პედაგოგად მუშაობდა ქუთაისსა და თბილისში, ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველს ისტორიას. 1897-1926 წლებში იყო საეკლესიო მუზეუმის გამგე. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების, საეკლესიო მუზეუმის შექმნაში.

მ. ჯანაშვილი, როგორც არქეოგრაფი, 1898 წელს ბეჭდავს წიგნს, რომელიც შეიცავს საეკლესიო მუზეუმის ისტორიას, მის წესდებას და ხელნაწერთა და ნივთთა კატალოგს (Тифлисское церковное древнехранилище). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „Описание рукописей церковного музея духовенства Грузинской Епархии“-ის მესამე წიგნი (1908). პირველი - ორი წიგნი თ. ჟორდანიამ გამოსცა. მ. ჯანაშვილმა, აგრეთვე, აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის 5 263 ხელნაწერი (1928-29 წწ) მან აღმოაჩინა და გამოსცა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა ბასილი ზარზმელის ცხოვრება, აღმოაჩინა და დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ის ფრიად საყურადღებო ვარიანტი, რომელიც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიას ეკუთვნის,. მნიშვნელოვანია მის მიერ მოპოვებული ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებანი („ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“ ტფ. 1896).

ზემოთ აღნიშნულ ყველა გამოცემას დართული აქვს წინასიტყვაობა და კომენტარი, სადაც ტექსტთან, ავტორის ვინაობასა

და ნაწარმოების წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხებია გარკვეული. თვით ძეგლები გამოქვეყნებულია იმ პრინციპული მოსაზრების თანახმად, რომ ძველი ქართული ტექსტები უნდა იბეჭდებოდეს უცვლელად, დედანთან მაქსიმალური სიახლოვის დაცვით.

1884 წელს გამოვიდა მისი „საქართველოს მოკლე ისტორია“, რომელშიც „ქართლის ცხოვრების“ სქემის მიხედვით არის მოთხრობილი საქართველოს ისტორია. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში. შემდეგ გამოცემებში (1894 წ; 1906 წ.) ავტორი ეყრდნობა ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას და მეტ ყურადღებას უთმობს საქართველოს შინა ცხოვრებას, ისტორიული ფაქტების ახსნას და სხვ. როგორც აღნიშნავენ, ნაშრომში თავს იჩენს გარკვეული ტენდენცია ამა თუ იმ მოვლენისადმი მიზეზშედეგობრივი ურთიერთმიმართების დასადგენად. ეს შეეხება, კერძოდ, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა საქართველოში სახელმწიფოს დაარსების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს საკმაოდ ლაკონურად და სქემატურად აქვს აღნიშნული სახელმწიფოს დაარსების შინაგანი და საგარეო ფაქტორები, მისი ხედვა ამ მოვლენაზე ახლებურია. მისი აზრით, სახელმწიფოს გაჩენისათვის„ საჭიროა ორი ძირითადი ფაქტორის არსებობა: საგარეო, რომელიც გამოწვეული იყო ცალკეული თემების გაერთიანებით საერთო მტრის წინააღმდეგ ომში; შინაგანი ტენდენციით, რომელიც ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიკური კონსოლიდაციით. პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მ. ჯანაშვილის აზრით, ფეოდალურია და ეს პოლიტიკური ინსტიტუტი ფარნავაზის დროს ოთხი სოციალური კატეგორიისაგან შედგება: „თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა“. აქედან კარგად ჩანს ავტორის თვალსაზრისი ქართული სახელმწიფოს შინაგან ბუნებაზე.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია მოსე ჯანაშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში წერდა: „დღევანდელი დღის დანიშნულებაა საჯარო განცხადება, რომ მოსე ჯანაშვილის დამსახურება შეგნებულია და დაფასებული მოქმედ ქართული კულტურული დაწესებულებათა მიერ, ხოლო მისი ნაღვაწი შესულია, როგორც მიუცილებელი ნაწილი, იმ საქმეში, რომლის ამოცანა არის ქართული მეცნიერების სისტემის შექმნა“.

თემა VII

ისტორიკოსი თედო ჟორდანია (1853-1916)

XIX ს-ნის მე-2 ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შორის ღირსეული ადგილი უკავია თევდორე დავითის ძე ჟორდანიას. იგი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა მის თავდადებულ შრომას. თ. ჟორდანია ნაყოფიერად თანამშრომლობდა ილიას რედაქტორობით გამომავალ „ივერიაში“. მისი ყველაზე მაღალი იდეალი სამშობლოს ინტერესებია, რომლის დასაცავადაც საკუთარი პროგრამა გააჩნია, სადაც წერდა: „ჩვენ ქართველებს ორიათასი წლის ბრძოლა გაგვივლია... უწინ ხმლით ვიგერიებდით გაკადნიერებულ მოძალადეებს, დღეს სხვაგვარი ბრძოლა გვმართებს – ბრძოლა კულტურული, ჩვენთვის უჩვეულო, ძნელი, მაგრამ ჩვენი სიმართლე გვარგუნებს გამარჯვებას ამ უჩვეულო ბრძოლაში“.

თედო ჟორდანიას მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ძველი ქართული მემკვიდრეობის ღრმა, საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლით პოპულარიზაცია გაეწია ქართველი ერის მდიდარი ისტორიული წარსულისათვის და დაეცვა იგი, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და შენარჩუნებაში. სამწუხაროდ, იმ დროისათვის არ არსებობდა მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის წარსულის მეცნიერულად დასაბუთებული გააზრებისათვის. ამიტომ მან უაღრესად დიდი შრომა გასწია ქართული საბუთების, სიგელ-გუჯრების, სხვადასხვა ხელნაწერისა და თხზულების შეგროვება-გამოცემის საქმეში.

თ. ჟორდანიას დაკვირვებისა და შესწავლის საგანი იყო დამწერლობის, ნუმიზმატიკის, პალეოგრაფიის, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები; საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, საეკლესიო ისტორიის პრობლემები.

თევდორე (თედო) დავითის ძე ჟორდანია დაიბადა 1853 წლის 20 ივლისს მღვდლის ოჯახში. დაბადების ადგილად, მართალია,

ხშირ შემთხვევაში ასახელებენ სოფ. მოქვს (აფხაზეთი), მაგრამ რიგ წერილებში, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაბეჭდილ სტატიებში, განსაკუთრებით რუსულ გაზეთებში, მითითებულია სოფ. მარტვილი, სენაკის მაზრა (ქუთაისის გუბერნია). თედოს მამა, დავითი, სოფ. მარტვილის მკვიდრი, აფხაზეთში მღვდლად მსახურობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ათანასეს სახელით ბერად აღიკვეცა (თედო მაშინ ორი წლის იყო). იგი ქრისტიანობის სასარგებლოდ მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა აფხაზ მოსახლეობაში. ამის გამო მაჰმადიანი სამღვდელოება გადაემტერა და მოწამლეს. თედოს პაპა – ოქროპირიც, სასულიერო წრეს ეკუთვნოდა და სოფ. მარტვილში დეკანოზად იყო.

თ. ჟორდანიამ დაწყებითი განათლება სოფ. მოქვის სამრევლო სკოლაში მიიღო. შემდეგ ძმასთან, იოსებთან ერთად სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, გვიან კი ორივემ თბილისის სასულერო სემინარიში ჩააბარა. თ. ჟორდანია სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა. აი, რას წერს ამის თაობაზე ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი: „მე რომ სემინარიის პირველ კლასში შევედი (1873 წ.), თ. ჟორდანია მეოთხე კლასში იყო. მაშინ სემინარიის უფროსკლასელებს შორის იმართებოდა პაექრობა სხვადასხვა თემაზე. კამათის საგნად გახდებოდა ხოლმე რომელიმე ფილოსოფოსის ან გამოჩენილი კაცის ნაწარმოები. გაცხოველდებოდა რა ბაასი და პაექრობა, ერთისა და მეორის მხრიდან გადმოდიოდა კანტი, ფიხტე, დარვინი, სპენსერი, არისტოტელე, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი... ილია, აკაკი,, შოთა და სხვა. მოზარდთა შეყოლა სწეწავდა და პენტავდა ამისთანა დიდ-დიდ სახელებს, ავტორიტეტებს. ამ პაექრობის დროს შორიდან გავიცანი თედო. იგი იშვიათად პაექრობდა, მაგრამ ყოველთვის სიმხნით, გაბედულად, ყველანი აქებდნენ მას, როგორც არაჩვეულებრივად განვითარებულს ახალგაზრდას, და კარგ მოპაექრეს“.

1875 წელს, თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ იოსები მღვდლად ეკურთხა, ხოლო თედო სახელმწიფო ხარჯით, როგორც წარჩინებული მოსწავლე მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაემგზავრა სასწავლებლად. მან აკადემია 1879 წელს დაამთავრა – ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით – „и правом получить

степень магистра“. იგი სტუდენტობის დროს ნაყოფიერად მუშაობდა. მისი სამეცნიერო ნაშრომი პირველად მოსკოვში დაიბეჭდა – „Государственные сановники при вселенских соборах“.

სასულიერო აკადემიაში თ. ჟორდანიას სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ცნობილი ისტორიკოსი ვ. ო. კლუჩევსკი (1841-1911 წწ.). თედო, როგორც ნიჭიერი სტუდენტი, მისი განსაკუთრებული მზრუნველობით სარგებლობდა. ხელმძღვანელმა მას მოსკოვში დარჩენა და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება შესთავაზა, რაზეც მან უარი განაცხადა და სამშობლოში დაბრუნდა. კლუჩევსკი თედოს შესახებ ამბობდა: იგი დაუოკებლად ილტვოდა სამშობლოსაკენ. კლუჩევსკიმ ცნობილი ისტორიკოსის, სოლოვიოვისადმი მიძღვნილ სიტყვაში მეცნიერის ცხოვრებისეული კრედო შემდეგი სიტყვებით გამოხატა: მთავარი ბიოგრაფიული ფაქტები წიგნები, მნიშვნელოვანი მოვლენა – აზრები. ამ აზრით იცხოვრა თვითონ და, როგორც ჩანს, ასეთივე სულისკვეთებით აღზარდა სტუდენტები, რადგან თედო ჟორდანია, მიუხედავად მძიმე ცხოვრებისეული პირობებისა, თავისი საქმის თავდადებული მუშაკი იყო. ავადმყოფი მეცნიერი 1913 წელს შვილს – გიორგის სწერს: „ერთი თვეა რაც მოუსვენრად ვმუშაობ ისტორიაზე და უკეთ გავხდი — შრომა მარგებს. ეგებ ჩემი ავადმყოფობა გააქროს ჩემმა ტრფიალობამ ქართული ისტორიისადმი. ეგებ მის გამოც ავად ვარ, რომ გული მტკივა უსაქმურობით, რომ გარემოებამ გამომაკლო საისტორიო შრომიდან, რომელიც ჩემი სფეროა, ჩემი სტიქია, ჩემი სულთქმა“.

თ. ჟორდანია, წმინდა სინოდის განკარგულებით, 1879 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, ხოლო 1880 წელს ამავე სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. ამ თანამდებობაზე დასანიშნად თბილისის გუბერნიის სამღვდელოების კრებაზე კენჭისყრა ჩატარდა. კრებას ესწრებოდა 14 მღვდელი. წარმოდგენილი იყო ექვსი კანდიდატი. თ. ჟორდანიამ 12 ხმა მიიღო და გაიმარჯვა. გაზეთი „დროება“ სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს და იმედს გამოთქვამდა, რომ ახლად არჩეული ზედამხედველი ამ „შავბედითი“ სასწავლებლის მდგომარეობას უკეთესობისაკენ წარმართავდა. საზოგადოების მხრიდან თ. ჟორდანიას კანდიდატურას მხარი დაუჭირეს იონა მეუ-

ნარგიამ და ნიკო ნიკოლაძემ. თ. ჟორდანიამ მოლოდინი გაამართლა. 1882 წელს მას საქართველოს ეგზარქოსმა, პავლემ, პროექტის შედგენა დაავალა — „Об измененни постановки учебного дела в духовних училищах Грузинского экзархата“.

თ. ჟორდანია, ბუნებრივია, როგორც „ჩინოვნიკი“, შეზღუდული იქნებოდა თავის ქმედებაში და მაინც ეგზარქოსის დავალება კარგად გამოიყენა ქართული ინტერესების სასარგებლოდ. მან შეადგინა პროექტი, რომლის საფუძველზე ყველა სასულიერო სასწავლებელში დაარსდა ქართული ენის კათედრა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და მშობლიური ენა და ლიტერატურა შტატგარეშე დისციპლინებად ითვლებოდა, კათედრის გახსნით კი მათი სწავლების მნიშვნელობა გაიზარდა; მაგრამ ამის გამო 1893 წელს თ. ჟორდანია ზედამხედველის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მისი თხოვნის საფუძველზე თბილისის სასულიერი სემინარიის რიგით მასწავლებლად გადაიყვანეს, სადაც ეკლესიის ისტორიის ზოგად კურსსა და რუსეთის ეკლესიის ისტორიას კითხულობდა. ამავე წელს იგი დაქორწინდა გადამდგარი პოლკოვნიკის, თავად დავით ტარსაიძის ასულ ელენეზე. მოწმედ იონა მეუნარგია ესწრებოდა.

სემინარიაში საქართველოს ისტორია და ქართული ეკლესიის ისტორია არ იკითხებოდა, ამიტომ თედო ჟორდანიამ გადაწვიტა ეკლესიის ისტორიის ზოგადი კურსის პროგრამებში საქართველოს ისტორიის საკითხების ჩართვა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მის პირად არქივში შემონახული გეგმები, სადაც შეტანილია საკითხები; 1. ქრისტიანობის მიღება მეფე მირიანის დროს, ნინოს ცხოვრება; 2. ქართული ანბანის შექმნის ისტორია; 3. ახალი აღთქმის ქართული თარგმანი; 4. კათალიკოს ანტონ I-ის მოღვაწეობა და სხვ. თ. ჟორდანია ამით არ დაკმაყოფილდა. მან დაიწყო ბრძოლა სემინარიაში ქართული ენისა და ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრის შესაქმნელად. თავდაპირველად შემოაღებინა ქართულ ენაში შვიდი გაკვეთილი სახელმწიფო ხარჯით და სავალდებულო საგნად აქცია, შემდეგ გაკვეთილები 11-მდე გააზრდევინა, ხოლო 11 გაკვეთილის საფუძველზე, კათედრის გახსნა მოითხოვა. 1885 წელს ასეთი კათედრა მართლაც დაარსდა, რომლის ხელმძღვანელიც თვითონვე გახდა.

ამის შემდეგ ქართული ენის მასწავლებელს თანასწორი უფლებები მიენიჭა და სრული ჯამაგირი დაენიშნა. მან სემინარიაში მუშაობის დროს დაასრულა „ქართული ენის გრამატიკა“. თ. ჟორდანიას მეცადინეობით მთავრობამ დაადგინა, კავკასიის ოლქის ყველა საშუალო სასწავლებელში ეხელმძღვანელათ ამ წიგნით. ქართული გრამატიკის შედგენას სხვა დადებითი მხარეც გააჩნდა. რუსი მოხელეების მიერ მშობლიურ ენაზე სწავლების შეზღუდვის ერთ-ერთი საბაბი ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების სიმწირე იყო.

თ. ჟორდანია სემინარიაში ასწავლიდა შემდგომში ცნობილ მოღვაწეებს: არქიმანდრიტ ლეონიდეს, დავით და ანტონ ეპისკოპოსებს, ნოე ჟორდანიას, თედო სახოკიას, იპოლიტე ვართაგავას, სერგი გორგაძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილს და სხვ. თ. ჟორდანიას შესახებ მისი ნამოწაფარი ი. ვართაგავა წერს: „მან თავისი მოსწავლეების ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. გული ერთბაშად გადაუშალა მოსწავლეებს, თავისი კეთილი გრძნობა დაანახა, მოსწავლეები ადვილად დარწმუნდნენ, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა მასწავლებელიც კარგი კაცი იყვეს, კარგი მეგობარი და კარგი აღმზრდელი...“

თ. ჟორდანია მხოლოდ ლექციების კითხვით არ იფარგლებოდა. როგორც აღვნიშნეთ, იგი აქტიურად თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“, „ეგრის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს ისტორიულ თემებზე. ქვეყნის ისტორიის შესწავლაში ხედავდა ახალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ეს კი იმდროინდელი ახალგაზრდობისათვის დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა, ქვეყანაში არსებული კოლონიური რეჟიმის გამო.

თ. ჟორდანია ერთნაირი გატაცებით წერს დავით აღმაშენებელსა და თევდორე მღვდელზე, ერეკლე II-ზე, დათუკი ქვეპირიშვილზე, ცოტნე დადიანზე; ერთნაირი რუდუნებით გადმოსცემს იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელთაც ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარეს და შესწირეს სიცოცხლე. თ. ჟორდანია არ არის ფანტაზიას აყოლილი მწერალი და ზუსტად აღწერს იმ ისტორიულ ფაქტებს, რომლებსაც ფლობს ამა თუ იმ საკითხის გადმოცემისას. თ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი მშობლიური ნიადაგია. მის ნაღვაწს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებს სამშობლოს წარსული

ისტორიის, თავისი ხალხის ტრადიციების ცოდნა. მისთვის უცხოა პარტიულობა. მისი ყველაზე მაღალი იდეალი სამშობლოს ინტერესებია, რომლის დასაცავად საკუთარი პროგრამა გააჩნია. იგი წერს: „როდესაც ჩვენს თვალწინ საშინელი ტრაგედია სწარმოებს, ჩვენი ეროვნება იღუპება, მიწა-წყალი ჩვენს მტრებს მიაქვთ და საქართველოს უკეთესი ტერიტორია სხვა სჯულის ხელში გადადის, როდესაც ჩვენს ენას და კულტურას ათასნაირი მახე დაუგეს, ამასაც რომ არ ჯერდებიან და ისტორიულ უფლებასაც გვართმევენ რა დროს პარტიობაა... და დას-დასად დაშლა. ჩვენს ერს მხოლოდ გაერთიანება იხსნის...“

თ. ჟორდანია ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული კულტურის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ უპირველეს პირობად ზნე-ჩვეულებების დაცვა-გაფრთხილებას მიიჩნევს და ამბობს: „ერის ზნე-ჩვეულებების დაკარგვა ნიშანია ერის დადგომისა გადაგვარების გზაზე“.

თ. ჟორდანია წინააღმდეგი იყო უცხოურიდან საქართველოს სინამდვილისათვის შეუფერებელი საზოგადოებრივი მოვლენების მექანიკურად გადმოტანა — შემოღებისა. მისი აზრით, „რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო იმ დროს ყველაფერი, რასაც რუსეთის სახელი ერქვა, საქართველოში მოდათ იყო შემოღებული და პატივისცემით მიღებული მაშინდელ საზოგადოებაში. ამის გამო რუსთაველის მაღალ კულტურამ, სამწუხაროდ, რამდენადმე ადგილი დაუთმო „სალდათების დაბალ კულტურას“.

თ. ჟორდანია დიდ როლს ანიჭებდა კრიტიკას. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იმდროინდელი სამწერლობო კრიტიკა ჩამორჩენილი იყო. ი. ჭავჭავაძემ საგანგებო წერილი გამოაქვეყნა სათაურით - „რა მიზეზია რომ კრიტიკა არ გვაქვს?“. თ. ჟორდანია უმალ დაინტერესდა ამ საკითხით. იგი წერდა; „იცით რა არის კრიტიკა? კრიტიკა მწერლობისათვის იგივე მარილია, ურომლისოდაც თვით უტკბილესი საზრდო უმწარესად გვეჩვენება... ვაი იმ მწერლობას, რომელსაც ეს გონიერების აღვირი არ მართავს, რომელსაც ჭკუის მათრახი არ მოხვედრია“.

თ. ჟორდანია 1880 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად აირჩიეს, 1886 წელს – ამავე

საზოგადოების საკატალოგო კომისიის წევრად. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ ფონდის შევსება-გამდიდრებაში.

1888 წლის 15 ივლისს საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი გაიხსნა, რომლის გამგედ თ. ჟორდანია დანიშნეს, რადგან მის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მუზეუმის უშუალო დანიშნულება იყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების მოძიება, შეკრება, შენახვა და შესწავლა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი თ. ჟორდანიასაც ედო. იგი, როგორც ეპარქიული სასწავლო საბჭოს წევრი (1889 წ.), სკოლების შემოწმების მიზნით ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამ საშუალებას იყენებდა, რათა შეეგროვებინა მრავალგვარი ისტორიული საბუთი. მკვლევარი განუმარტავდა ხალხს მათ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში და დახმარებას სთხოვდა. ამ გზით მრავალი საბუთი შეაგროვა. მაგ. მარტო 1901 წელს მუზეუმს 100-ზე მეტი ხელნაწერი გადასცა, რომელთა შორის ერთი პალიმფსესტი იყო. ამის გარდა, იგი იწერდა ლაპიდარულ, ჭედურ და ფრესკულ წარწერებს, ეძებდა მივიწყებულ და უცნობ ეკლესიებს, აღწერდა მათ. ამის დამადასტურებელია შეგროვებული მასალის შესახებ იმდროინდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები. თ. ჟორდანიას პირად არქივში ინახება უბის წიგნაკები, რომლებშიც აღწერილია მისი „არქეოლოგიური მოგზაურობანი“ ქართლში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა და კახეთში. უბის წიგნაკებში შეტანილია ხელნაწერები, ხელნაწერების ქრონიკალური მინაწერები, გენიალოგიური ცნობები, გუჯრები, ეკლესიების სიძველეთა აღწერილობები, საფლავის ქვების წარწერები და სხვ. ჩამოთვლილი მასალა მას შესწავლილი აქვს ეკლესია-მონატრებში, ოჯახებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და თბილისის საეკლესიო მუზეუმის საცავებში.

სწორედ ამგვარმა სამუშაომ დაუდო საფუძველი იმ დიდი და შრომატევადი საქმის შესრულებას, რასაც „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ (სამ წიგნად) გამოცემა ჰქვია. აღნიშნული შრომა დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქართულ ისტორიოგრაფიას. „ქრონიკების“ I წიგნი (1892

წ., ხელმეორე გამოცემა 2004 წ.) მოიცავს ისტორიულ მასალას — უძველესი დროიდან 1213 წლამდე, II წიგნი (1894 წ.) — 1211 წლიდან 1699 წლამდე, ხოლო III წიგნი (1967 წ.) — 1700 წლიდან XIX ს-ნის 60-იან წლებამდე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ: მრავალი ეჭვი და შეურაცხმყოფელი აზრი გამოითქვა „ქრონიკების“ მიმართ, რომლის მნშივნელობა დღეს საქართველოს ისტორიის კვლევაში საყოველთაოდ აღიარებულია. თ. ჟორდანიას განსაკუთრებით ებრძოდა გაზ. „კვალი“, „მესამე დასის“ ლიდერის, გ. წერეთლის რედაქტორობით. თითქმის ყველა მის ნაშრომს უარყოფითად აფასებდა. თ. ჟორდანიას დამცველი და შემფასებელი ილიას „ივერია“ იყო. „იყო კაცი, რომელსაც ესმოდა თედო ჟორდანიას გულისძგერა, იცოდა მისი ფასი და მნიშვნელობა. ეს იყო ბრძენი, ყველაფრის გამგები ილია ჭავჭავაძე; იგი ბოლომდე თანმიმდევრულად იცავდა და უჭერდა მხარს მას“ (სოლ. ცაიშვილი).

„ქრონიკები“ ავტორის სიცოცხლეში ორ ტომად იქნა გამოცემული რომლის განხორციელებაშიც მკველევარს ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ დიდი თანადგომა გაუწია, რადგან ამ წიგნის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესწავლის საქმეში, იმთავითვე სწორად შეაფასა. ქრონიკების გამოსაცემად საჭირო იყო ფული. თ. ჟორდანია „ივერიის“ ფურცლებიდან საზოგადოებას სთავაზობდა შეეკვეთათ, წინასწარი თანხის გადახდით მათთვის სასურველი რაოდენობის წიგნი და ამგვარად უზრუნველეყოთ „ქრონიკების“ გამოცემა. მკვლევარი ჰონორარზე უარს ამბობდა.

„ივერია“ ინტენსიურად აშუქებდა და მკითხველს განუმარტავდა თ. ჟორდანიას მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობას. „ივერიის“ ამგვარმა პოზიციამ საზოგადოებაში „ქრონიკებისადმი“ დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში მიდიოდა წერილები. ხალხი აგზავნიდა ფულს წიგნების დასაბეჭდად. თუ რამდენად ფართო იყო „ქრონიკებზე“ მოთხოვნა, კარგად ჩანს, თ. ჟორდანიას ერთი განცხადების ფრაგმენტიდან: „ვალად ვრაცხ უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც წინდა — წინვე დაიკვეთეს ჩვენი წიგნი და ვუგზავნი თითო ცალს“. შემდეგ ჩამოთვლილია ქალაქები: ვლადიკავკაზი, ახალქალაქი, ყვირილა, ოზურგეთი, ახალბაიზეთი,

თელავი, ბაქო, დაბა ოჩამჩირე, სოხუმი, ახალსენაკი, მოსკოვი და იმ პირთა გვარები, სადაც იქნა დაგზავნილი აღნიშნული შრომა.

საზოგადეობას მაგალითი თავად ილია ჭავჭავაძემ მისცა. „ივერია“ იუწყებოდა, „ჩვენის გაზეთის რედაქტორმა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ გადმოგვცა ჩვენ 6 მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას წიგნის დასაკვეთად“.

ასე რომ, თ. ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ძალისხმევისა და საზოგადოების თანადგომის შედეგად მოახერხა „ქრონიკების“ გამოცემა.

გაზ. „კვალი“ ამ შრომას საკმაოდ აგრესიულად შეხვდა. „კვალელებმა“ ჯერ კიდევ დაუბეჭდავი „ქრონიკები“ და „ივერიის“ განცხადებები, „მოლა-მასრადინის“ ერთ არაკს შეადარეს, ხალხს რომ მოატყუა, სარუხანა კარგ ფლავს აკეთებს და უფასოდ იძლევაო. „კვალი“ წერდა: „ივერიამ შეჰკივლა: თ. ჟორდანიას თორმეტის წლის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს და დაუმზადებია ისეთი ისტორიული საჭმელი, რომ ჭამით ვერ გაძღები, სული და გული გაგინათდებაო და შიგ სარკესავით დაინახავთ ჩვენი ხალხის წარსულს, აწ-მდგომს და მომავალსო. ამ საოცარი საჭმლის დასაკვეთად მსურველი უნდა გამოეშუროს ჩვენს რედაქციისკენ და მოარბენინოს სამ-სამი მანეთიო. ფხიზელმა ადამიანებმა უპასუხეს: თქვენი თავიც მოგიტყუებიათო... ცუნდრუკებმა კი დაუჯერეს.. აყვა ხალხი ფეხის ხმას... ბოლოს გაწყრა ღმერთი და დაიძრა თვითონ ის... ვინ? დაიძრა ბურჯი, უდინჯესი, მიაბოტა რედაქციაში და გამოაცხადა თავის საკუთარს გაზეთში. „ჩვენ გაზეთის „ივერიის“ რედაქტორმა მივიღეთ „ივერიის“ რედაქტორისაგანვე ორკეცი შესაწირავი ჟორდანიას საისტორიო ფლავის ორ კერძის „დასაკვეთადო“. მარცხენა ჯიბიდან ამოიღო ექვსი მანეთი და ჩაიდო მარჯვენა ჯიბეში... ელიან ახლა დამკვეთები ჟორდანის ფლავსა... მაგრამ უიმედოდ“.

„კვალისა“და „ივერიის“ ფურცლებზე თ. ჟორდანიასა და გ. წერეთელს შორის მიმდინარეობდა პოლემიკა „ქრონიკებში“ აღძრული საქართველოს ისტორიის საკითხების ირგვლივ. ჩვენ არ შევუდგებით მსჯელობას, თუ ამ პაექრობაში ვინ უფრო არგუმენტირებულად იცავდა თავის მოსაზრებებს, რადგან ფაქტი უდავოა: „ქრონიკები“

გამოცემიდან ერთი საუკუნის შემდეგაც მკვლევართათვის სამაგიდო წიგნად რჩება.

ვფიქრობთ, მოყვანილი მცირედი მასალიდანაც კარგად ჩანს: „ქრონიკებისადმი“ ამგვარი დამოკიდებულება, ილია ჭავჭავაძის „ივერიისადმი“ გალაშქრების სურვილითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

მუზეუმში მუშაობის პერიოდში თ. ჟორდანიამ აქ არსებული ხელნაწერები შეისწავლა, ქრონოლოგიურად დაალაგა და აღწერა. მოგვიანებით, 1902 წელს გამოაქვეყნა „საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა“ ორ ტომად, რომელშიც 800-მდე ხელნაწერია შეტანილი.

თ. ჟორდანიამ პოპულარიზაციის მიზნით რუსულად (ქართული ტექტის თანხლებით) კომენტარებით ცალკე წიგნებად გამოსცა ქართული საბუთები: „Завешание Давида Возабнавителя~ (1895), «К материалам по истории Грузии XI-XII вв. », «Пять Грузинских истиорическсских хроник», «Хроника Абхазских царей» (1902).

თ. ჟორდანია 1889 წელს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილოდოვეს. საერთოდ, თ. ჟორდანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1882 წელს მისი სასწავლო პროექტის საფუძველზე ყველა სასულიერო სასწავლებელში შეიქმნა ქართული ენის კათედრა. 1885 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მან დააარსა ქართული ენისა და ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა. იგი 1894 წელს დაინიშნა კომისიის წევრად, რომელსაც საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის უნდა შეემუშავებინა სასწავლო პროგრამები. თ. ჟორდანიამ შეადგინა სასწავლო გეგმა, რომელშიც ქართულ ენას თითოეულ განყოფილებაში დათმობილი ჰქონდა 12 გაკვეთილი, რუსულ ენას — 6. მისი მონდომებით სინოდმა აღნიშნული გეგმა დაამტკიცა. 1896 წელს თ. ჟორდანია დანიშნეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ.

1902 წელს შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სამრევლო სკოლები კატეგორიებად დაიყო. პირველი კატეგორიის სკოლებში ქართული ენის გაკვეთილებს 18 სთ. დაეთმო,

ხოლო მეორე კატეგორიაში არაქართული სკოლები შევიდა და შესაბამისად, ქართულ ენას არ ასწავლიდნენ. ფოთის საბჭოს მიერ მთავრობისადმი გაგზავნილ სიებში სამეგრელოს რეგიონი მეორე კატეგორიაში აღმოჩნდა. ამ ფაქტს წინ აღუდგა გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭო და სამეგრელოს მთელი მოსახლეობა. საეპარქიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე თ. ჟორდანია პირადად შევიდა თხოვნით ეგზარქოსთან. სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის დაცვის საკითხს მიეძღვნა ამ რეგიონის სამღვდელოების კრება. საერთო ძალისხმევის შედეგად სამეგრელოს სკოლები ქართლ-კახეთ-იმერეთის სკოლების სიაში ჩარიცხეს, ასე რომ, იქ შეინარჩუნეს ქართული ენის სწავლება.

თ. ჟორდანია დიდ მზრუნველობას იჩენდა განსაკუთრებულ სიღარიბეში მყოფი მოსწავლეების მიმართ. იგი მატერიალური თანადგომისათვის თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა საზოგადოებას, რათა მათთვის სასწავლო ნივთები და წიგნები შეეძინა. თავად უცხოეთში მცხოვრებ სტუდენტებს შეძლებისდაგვარად უსასყიდლოდ უგზავნიდა ქართულ წიგნებს. იმდროინდელ პრესაში მრავალი წერილია დაბეჭდილი, სადაც სტუდენტები და ორგანიზაციები უშურველი დახმარებისათვის მას მადლობას უხდიან. იგი რუსეთში მყოფ სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობაში ეხმარებოდა. მის პირად არქივში ინახება პეტერბურგიდან და კიევიდან გამოგზავნილი წერილები დახმარების თხოვნით საკანდიდატო დისერტაციის დამუშავებაში. შემდგომში ცნობილი მეცნიერი კ. კეკელიძე თ. ჟორდანიას წერს: „უაღრეს მადლობას გიძღვნით, რომ ჩემი თხოვნა უყურადღებოდ არ დასტოვეთ და შესაფერი რჩევა-პასუხი მიბოძეთ... თქვენი მეორეჯერ შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ ჩვენში არ მეგულება სხვა ვინმე, რომელიც ჩვენ საეკლესიო ხელთ-ნაწერებს ისე იცნობდეს, როგორც თქვენ...“

თ. ჟორდანია, აგრეთვე, თანამშრომლობდა რუსეთში მოღვაწე მეცნიერებთან: მ. საბინინთან, ნ. მართან, მ. ბროსეესთან, ეპ. კ. საძაგლიშვილთან. მათთვის საჭირო ქართულ მასალას აგროვებდა და უზგავნიდა. იგი დიდი პატივისცემით იყო განმსაჭვალული ამ ცნობილი მეცნიერების მიმართ, რომელთაც საქართველოს ისტორიის კვლევასა და პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრათ.

თ. ჟორდანია ქართულ სასულიერო წრეებში დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამის საუკეთესო მაგალითია შემდეგი ფაქტი: ქართულ სასულიერო საზოგადოებას სურვილი ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის საეკლესიო აკადემიაში დაარსებულიყო ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა. თ. ჟორდანიას პირად ფონდში ინახება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის — ალექსანდრეს, იმერეთის ეპიკოპოსის — ბესარიონის, გურიის ეპისკოპოსის — ლეონიდეს და ალავერდის ეპისკოპოსის - კირიონის[1] 1900 წლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი საქართველოს ეგზარქოსის – ფლავიანეს სახელზე. ისინი ქართული ეკლესიის დამსახურების საფუძველზე ითხოვენ, შუამდგომლობა აღიძრას უწმინდესი სინოდის წინაშე, რათა დაარსდეს ქართული ეკლესიის ისტორიის კათედრა. ბარათში წერია: „კათედრის ხელმძღვანელად მიგვაჩნია დავნიშნოთ... ღვთისმეტყველების კანდიდატი თ. ჟორდანია, რომელმაც მრავალი, საკმაოდ ფასეული კვლევები ჩაატარა საქართველოს საეკლესიო ისტორიაში. ასე რომ, ახალ ამპლუაში იგი აუცილებლად აღმოჩნდება შესაფერ ადგილზე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მუშაობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს“. კათედრის გახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაც კარგად ჩანს აღნიშნული ბარათიდან: „კათედრის გახსნა აუცილებელია, რადგან უკვე დიდი ხანია მიდის დამუშავება სამხრეთ-დასავლეთის საეკლესიო ისტორიის შესწავლისა (სლავები, ბულგარელები,. სერბები და სხვ.), ქართულს კი, რომელსაც ამხელა როლი ეკუთვნის მართლმადიდებელ რწმენაში, არავითარი ადგილი არა აქვს გამოყოფილი“. იმხანად ეს საქმე ვერ გადაწყდა.

თ. ჟორდანია 1904 წელს წმინდა სინოდის ბრძანებით იმერეთის ეპისკოპოსის სამრევლო სკოლების ზედამხედველად გადაიყვანეს. 1905 წელს დაინიშნა კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დაევალა საეგზარქოსოს სკოლების გარდაქმნისათვის ახალი პროექტის შემუშავება. თ. ჟორდანიამ წარადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც იმერეთის სამრევლო სკოლებში მშობლიური ენა სრული პროგრამით ისწავლებოდა. სვანეთის სკოლებში აღადგენეს ქართული ენის სწავლება (გააუქმეს 1903 წელს).

[1] ეპისკ. ლეონიდე – კათოლიკოს – პატრიარქი 1918-1921 წ.წ.-ში, ეპისკ. კირიონი – კათოლიკოს-პატრიარქი 1917-1918 წ.წ-ში.

საინტერესოა, როგორ აფასებს ერთ-ერთი სკოლის წინამძღვარი, მღვდელი ბ. ვაშაძე თედო ჟორდანიას მოღვაწეობას ამ თანადებობაზე: „იმერეთში განსვენებულს თავისი მადლიანი და ბრძნული სიტყვით და მოქმედებით მრავალი ნაყოფიერი თესლი უთესია ქრისტეს ყანაში“; ხოლო ოზურგეთის მკვიდრი პ. წულაძე იქაური საზოგადოების სახელით წერს: „თევდორეს სამრევლო სკოლების მეთვალყურეობის დროს გურიაში გაიხსნა სამრევლო სკოლები და ისე გამრავლდნენ, რომ დღეს გურიაში წერა-კითხვის უცოდინარი აღარავინ რჩება“.

1911 წელს თ. ჟორდანია იმერეთის საეპარქიო სკოლების ზედამხედველის თანამდებობიდან ავადმყოფობის მიზეზით გადადგა. მას ეგზარქოსმა პიტირიმ ეპისკოპოსობა შესთავაზა, რაზეც უარი განაცხადა. იგი დასახლდა ქ. გორში, შემდეგ კი სოფ. კასპში. მისი სურვილი იყო მთელი დრო სამეცნიერო მოღვაწეობისთვის დაეთმო. მართლაც, დიდი თავდადებით შეუდგა მუშაობას. დაიწყო შრომის – „მატიანეების კრიტიკული გარჩევა“ - გამოსაცემად მომზადება, სურდა დაეწერა გამოკვლევა XIV-XVI საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ და სხვა. სამწუხაროდ, დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. იგი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა 1916 წელს.

თედო ჟორდანია დაკრძალეს დიდუბის პანთეონში ქართველი საზოგადოების ხარჯით. გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ხალხი აუარებელი დაესწრო გასვენებას. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია და მისი გალავანი ვერ იტევდა განსვენებულის პატივსაცემად მოსულებს და ერთი ნაწილი საზოგადოების გალავნის გარეთ ქუჩაში იდგა... ანდერძის აგების შემდეგ ეკლესიიდან კუბო გამოასვენეს განსვენებულის ნამოწაფართ და ხელითვე წაასვენეს ძველ სასულერო სემინარიასთან, აქაც პანაშვიდი გადაიხადეს. სამგლოვიარო პროცესია გოლოვინის პროსპექტზე ვრცლად გაიშალა და გაემართა პირდაპირ დიდუბისაკენ“.

როგორც უკვე აღინიშნა, თედო ჟორდანიას სამეცნიერო მემკვიდრობა მრავალფეროვანია. მისი, როგორც ისტორიკოსის სამეცნიერო კვლევის მეთოდები საინტერესოა. თ. ჟორდანიას წყაროთმცოდნეობითი კვლევა (ძეგლის სანდოობის, ცნობების სიუხვისა და

მნიშვნელობის, გამოყენებული წყაროებისა და თარიღის დადგენა) მჭიდრო კავშირშია მის არქეოგრაფიულ მიღვაწეობასთან (ხელნაწერების დასახელება, ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების რაოდენობის აღწერა და სხვ.), ეს უკანასკნელი – მკვლევრის მიერ ძეგლების მოძიება-გამომზეურებასთან. ვფიქრობთ, სწორედ ამ მიმართულებით უნდა მოხდეს თ. ჟორდანიას მემკვიდრეობის წარმოჩენა და შეფასება.

თ. ჟორდანიას საკუთარი შეხედულებები გააჩნია ძეგლის გამოსაცემად მომზადების თაობაზე. იგი ამ სამუშაოში გამოარჩევს ორი ტიპის „მოკლე კატალოგის“ და „სამეცნიერო კატალოგის“ შედგენას. პირველში გულისხმობს ისეთ გამოცემას, რომელშიც ჩატარებულია ძეგლის მხოლოდ გარეგანი, ანუ ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების აღწერილობა. ამ კატეგორიის ნაშრომად მას მიაჩნია თავისი „Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства~ (1902 წ.), სადაც გადმოცემულია ხელნაწერების აღწერილობა და მოკლე შინაარსები; ხოლო მეორე ტიპის გამოცემას მრავალ მოთხოვნას უყენებს, მათ შორის; – „სამეცნეირო კატალოგმა უსათუოდ უნდა განმარტოს არქეოლოგიური და უმეტესად სამეცნიერო ღირსება ხელნაწერისა. ერთიც და მეორეც მართლაც, რომ მოითხოვს მცოდნე კაცს მაინც, თუ არ სრულს მეცნიერს, რადგან უთარიღოდ ხელნაწერების სიძველე გამოირჩევა წვრილის ხასიათით და შეჩვეული კაცი უნდა; ხშირად თარიღის სიყალბის გამოჩენაც მხოლოდ მცოდნე კაცს შეუძლია. ხოლო კერძოდ სამეცნიერო მნიშვნელობა ხელნაწერისა უნდა დაფასდეს მისი შინაარსის ღირსებით“...

მკვლევარი წყაროს გამოცემის დროს ცდილობს არ დაამახინჯოს ტექსტი, მასში ცვლილებები არ შეიტანოს და შეინარჩუნოს პირვანდელი სახე. ხოლო თავის კრიტიკულ შენიშვნებს, განმარტებებს და დასკვნებს ათავსებს ცალკე, სქოლიოში, რაც მიუთითებს როგორც პუბლიკატორის ვალდებულებებზე მკითხველის წინაშე.

თ. ჟორდანიამ დააყენა საკითხი აგიოგრაფიული თხზულებების საისტორიო წყაროდ გამოყენებისა, ეს კი თავისთავად გულისხმობდა გარკვევას, თუ რამდენად სიზუსტით იყო ამ თხზულებებში აღწერილი და გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. ამის დასა-

დგენად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მათი დათარიღება, ხელნაწერის უძველესი რედაქციის გარკვევა, ავტორის ვინაობის დადგენა. მართალია, თ. ჟორდანიას არ შეუსწავლია ქართული აგიოგრაფიის განვითარების ეტაპები, მაგრამ აგიოგრაფიული ძეგლების მრავალი ნიმუში განიხილა და საინტერესო ცნობები მოგვაწოდა მათ შესახებ; ეცადა დაედგინა წმ. შუშანიკის, აბიბოს ნეკრესელის, ევსტათი მცხეთელის, აბო თბილელის „ცხოვრების“ შექმნის თარიღები, მათი ავტორების ვინაობა; შეკრიბა და აღწერა საინტერესო ცნობები ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, არსენ ტარიჭისძის და სხვათა ბიოგრაფიებიდან; ყურადღება მიაქცია ქართველ ჰიმნოგრაფებს. საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საგალობელთა კრებულის ირგვლივ და მრავალი სხვა. მოგვაწოდა ცნობები „ბიბლიის“ ქართული თარგმანისა და ბეჭდვის ისტორიის შესახებ. საერთოდ მას მიაჩნდა, რომ ქართულად საღმრთო წიგნების თარგმნა დაიწყეს V საუკუნეში.

თ. ჟორდანია მატიანეებს შორის გამოარჩევს ორი სახის ძეგლს. პირველი, რომელიც თანამედროვის მიერ არის დაწერილი. ავტორები ყოველდღიურად, ყოველთვიურად ან ყოველწლიურად აღწერენ მოვლენებს და მიუთითებენ თარიღს. ასეთი მატიანე შედგება ფრაგმენტებისაგან. ეს ფრაგმენტები შეიცავენ მნიშვნელოვან მოვლენებს და ერთმანეთს მხოლოდ ქრონოლოგიურად უკავშირდებიან. მისი ყველაზე დიდი ღირსება ქრონოლოგიის სიუხვეა. მეორე სახის ძეგლი არის თხრობითი. იწერება აღსაწერი ამბიდან გარკვეული დროის შემდეგ, სადაც გაანალიზებულია მომხდარი მოვლენები და მოთხორბილია წარსული ცხოვრების სრული სურათი. ასეთი ძეგლები თარიღებით მწირია.

მკვლევარი XV ს. ისტორიულ ძეგლს, რომელიც დაასათაურა სახელწოდებით – „ძეგლი ერისთავთა“, აძლევს „საგვარეულო ისტორიის“ განმარტებას. საგვარეულო ისტორიად თვლის, აგრეთვე, „ჯაყელთა მატიანეს“, რომელსაც „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი XIV საუკუნის ანონიმი მწერლის (ჩვენთვის ცნობილია ჟამთაღმწერლის სახელით) თხზულებაში გამოყოფს.

იგი ყურადღებას ამახვილებს თხზულების ჟანრობრივ ხასიათზეც, მაგ. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შესახებ თხ-

ზულებებს, („ქართლის ცხოვრება“) „ხოტბის“ ჟანრში შესრულებულად მიიჩნევს; ახასიათებს მემატიანეების წერის მანერას, აჩვენებს მათ დამოკიდებულებას აღსაწერი მოვლენების მიმართ, რითაც ცდილობს აჩვენოს მატიანის ავტორის მსოფლმხედველობა.

თ. ჟორდანიას წყაროების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი შეხედულებები სისტემაში მოყვანილი არა აქვს. ისინი გაფანტულია მის შრომებში და წყაროებზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების შედეგად არის მიღებული. ჩვენ ეს შეხედულებები საგანგებოდ მოვიძიეთ და მთლიანობაში წარმოვადგინეთ, რადგან თვალნათლივ დავინახოთ მისი წყაროთმცოდნეობითი მუშაობა. არ შეიძლება მოკლედ მაინც არ განვიხილოთ თ. ჟორდანიას მიერ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში გაწეული შრომა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ივ. ჯავახიშვილამდე მხოლოდ მას აქვს შესწავლილი ამ მნიშვნელოვანი ძეგლის სტრუქტურა.

თ. ჟორდანიას ნაშრომი „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის კრიტიკული გარჩევა, რომელიც მოდის თამარ მეფის მოღვაწეობის ჩათვლით, დაიბეჭდა მის მიერ 1892 წელს გამოცემულ კრებულში „ქრონიკები“. მეორე ნაწილის გარჩევის დაბეჭდვას (XIII-XIV სს.) აპირებდა „ქრონიკების“ მეორე წიგნში (გამ. 1897 წ.), მაგრამ, როგორც თვითონ წერდა, სიდიდის გამო ვერ ჩაურთო და მესამე წიგნისთვის შემოინახა. სამწუხაროდ, იგი ისე გარდაიცვალა, რომ ამ უკანასკნელის გამოცემა ვერ მოახერხა. მესამე წიგნი გამოიცა 1967 წელს, სადაც შეტანილ იქნა ეს დაუბეჭდავი ნაშრომი.

თ. ჟორდანია უძველესი დროიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე ისტორიას ორ ნაწილად ყოფს: ქართველთა წარმომავლობიდან არჩილ მეფის წამებამდე და აქედან მოყოლებული - თამარ მეფის გარდაცვალებამდე. პირველი ნაწილის დაბოლოება — წიგნი ესე ქართველთა ვახტანგისამდე აღეწერებოდა, ... ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისაგან ვიდრე აქამომდე, აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმა“, მკვლევრისთვის იმ აზრის დამადასტურებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი იწერებოდა ჟამითი-ჟამად ე. ი. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქრონიკით მოვლენათა თანამედროვის მიერ. იგი „ქართლის ცხოვრებას“ თამარის მეფობის ჩათვლით ცხრა საისტორიო თხზულებად ჰყოფს, ხოლო ვახტანგ გორგასლამდე პე-

რიოდში სამ დამოუკიდებელ მატიანეს გამოარჩევს. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაჩნდა შემდეგი შეხედულება: აშკარაა, სრულიად უმიზეზოდ იყო აქამდე უგულვებელუყოფილი „ქართლის ცხოვრების“ ანდერძ-მინაწერი (იგი, როგორც ჩანს, თ. ჟორდანიას შეხედულებას არ იცნობს — ქ. ნ.), რომელიც გვაუწყებს რომ: წიგნი ესე ქართველთა ცხოვრების ვიდრე ვახტანგამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად; მართლაც, როგორც დავრწმუნდით: „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ გორგასლამდელი ნაწილი შედგებოდა ცალკეული ქრონიკებისა და „ცხოვრებისაგან“, რომლებიც უეჭველია, სხვადასხვა დროს დაიწერა, სხვადასხვა ავტორთა მიერ — წერს მ. სანაძე (2001 წ.)

თ. ჟორდანია შემდეგ ახდენს ცხრა მატიანის ტექსტის კრიტიკულ შესწავლას და საყურადღებო დასკვნებამდე მიდის. მაგ. მისი აზრით, მეორე მატიანე მოიცავს ალექსანდრე მაკედონელის, აზოსა და ფარნავაზის მეფობის ისტორიას და თვლის, რომ მეფეთა ცხოვრება, რომელიც მირიანის მეფობამდე მოდის, აღწერილია თანამედროვეთაგან. მ. სანაძის აზრით, აღნიშნულ მონაკვეთს „ქართლის ცხოვრებაში“ საფუძვლად უდევს თანამედროვეთა მიერ დაწერილი ქრონიკები. თ. ჟორდანიას აზრით, მეფე მირიანის განდიდება ქრისტიანმა მწერლებმა მოინდომეს, ამ მიზეზით მოკლე მატიანეს ცნობა მირიანის ლევის შვილობაზე (მისი ფარნავაზ-არშაკუნიანობა) ამოიღეს და ვრცლად დაწერეს მირიანის ხოსროიანობის ამბავი. მკვლევრის ეს მოსაზრება ლ. ჯანაშიადან (1973 წ.) გამომდინარე უკვე გავრცელებულ შეხედულებად ითვლება.

თ. ჟორდანიასათვის „ქართლის ცხოვრების“ მეოთხე მატიანე არის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელიც აღწერილია მიქაელ მთავარეპისკოპოსის განკვეთის შემდეგ, ვახტანგის თანამედროვის მიერ. მართალია, მატიანეში არის ფრაზები, წერს იგი, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ამ თხზულების, როგორც V საუკუნის კუთვნილებას, მაგრამ ისინი მოგვიანო ხანაშია ჩამატებული. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობაა — რამეთუ მაშინ იყო პაჭანიგნი.. და წარვიდეს პაჭანიგნი დასავლეთ კერძსა... ეს ცნობა თხზულებაში ალბათ იმ პირს შეუტანია, რომელიც საქართველოს ისტორიას კარგად იცნობს და „ქართლის ცხოვრების“ შედგენაში მონაწილეობა

მიუღია. იგი ან ჯუანშერია (VIII ს.), ან არსენი (XI ს.), მაგრამ დროის ზუსტი დადგენა რთულდება, რადგან არ ვიცით პაჭანიგების გადასახლების დრო. ივ. ჯავიხიშვილი სწორედ ზემოთ მოყვანილ ფრაზას – პაჭანიგების შესახებ იყენებს დასამტკიცებლად იმისა, რომ ამ თხზულების ავტორი (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ჯუანშერი) XI საუკუნის მოღვაწეა, რადგან პაჭანიგების გადასახლება დნესტრ-სპირეთში ამ დროისათვის უნდა მომხადარიყო.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი, — რომ ის ძირითადი პლასტი, რომელიც ვახტანგის მოღვაწეობას ეხება... V ს-ში შექმნილი ნაწარმოებიდან მომდინარეობს. ამ ნაწარმოების სახით, ვფიქრობთ, ჩვენ ხელთაა V ს-ში ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ დაწერილი „ცხოვრების“ გადაკეთებული ვერსია — წერს ვ. გოილაძე (1991 წ.) ხოლო გ. ანჩაბაძის (1987 წ.), მ. სანაძის (1991 წ.) აზრით, ზემოთ მოყვანილი ფრაზა პაჭანიგების შესახებ XI ს-ის რედაქციის შედეგია. თ. ჟორდანია ვახტანგის ცხოვრებისა და დაჩიდან არჩილამდე პერიოდს სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისზე დგას ე. ხოშტარია-ბროსე (1996წ.)

ისტორიოგრაფიაში თ. ჟორდანიამ პირველად დასვა საკითხი იმის თაბაზე, თუ რა ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ბიბლიოგრაფიულ მინაწერებში დასახელებულ ჯუანშერს და რა – ლეონტი მროველს. პირველი მან მიიჩნია VI-VIII ს. ისტორიის ავტორად, მეორე კი „უძველესი საეკლესიო ისტორიის“ გადამწერად. ლეონტი მროველის, როგორც ისტორიკოსის შემოქმედებითი აქტივობის საკითხი, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, რაც არსებითად განპირობებულია მის სახელთან დაკავშირებული თხზულებების ტექსტის ჩამოყალიბებაში, წყაროების როლის სხვადასხვაგვარი გააზრებით. მკვლევართა ერთი ნაწილისათვის (ვ. გოილაძე, შ. ბადრიძე...) ლეონტი მროველი გადამწერი, რედაქტორი ან რედაქტორ-გადამკეთებლია.

თ. ჟორდანიამ ტექსტობრივი შედარების საფუძველზე ისტორიოგრაფიაში პირველად დასვა საკითხი, მისთვის მეშვიდე მატიანის, ხოლო ივ. ჯავახიშვილის მიხედვით – „მატიანე ქართლისა“ და „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთას“ მსგავსების შესახებ. ეს

უკანასკნელი მან მეშვიდე მატიანის წყაროდ მიიჩნია, თვალსაზრისი „მატიანე ქართლისა“-ს ავტორის მიერ, სუმბატ დავითის ძის წყაროდ გამოყენების შესახებ, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში წამოაყენა გ. გელაშვილმა (1960 წ.). გაიზიარეს მ. ლორთქიფანიძემ, მ წულაიამ.

ძალიან ბევრი საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული თ. ჟორდანიას დავითის, თამარისა და შემდგომი პერიოდის მემატიანეების შესახებ, რომელთა უმეტესი ნაწილი დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია. ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. ქ. ნადირაძე), რადგან ვფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული მასალიდანაც კარგად ჩანს, რომ თ. ჟორდანიას ნააზრევი შექმნის დროიდან ერთი საუკუნის შემდეგაც სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალობას არ კარგავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამოკვლევის ავტორს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლო „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში, მომდევნო თაობებს ძეგლისადმი მისეული მიდგომა რომ გაეთვალისწინებინათ.

თ. ჟორდანიას გამოკვლევის შესწავლის შედეგად „ქართლის ცხოვრების“ შესახებ შეიძლება ითქვას: ისტორიკოსმა საგანგებო ადგილი დაუთმო „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი მოვლენების შესწავლას, გამოიყენა სხვადასხვა წყარო აქ აღნიშნული ფაქტების დასაზუსტებლად, ეცადა თითოეული მატიანის დათარიღებას და სანდოობის წარმოჩენას, იზრუნა მატიანეთა ჟანრობრივი ხასიათის განსაზღვრასა და მათი ავტორების ვინაობის დადგენაზე, იმსჯელა მატიანეების კრებულში შეტანის დროის შესახებ და შეეცადა, დაედგინა კრებულის შედგენის დრო. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება დავასკვნათ: თ. ჟორდანია, როგორც წყაროთმცოდნე, არ კმაყოფილდება ძეგლის გარეგანი კრიტიკით. იგი იყენებს მეთოდებს, რომლებიც საშუალებას აძლევს, ჩაატაროს წყაროს შინაგანი, ანუ ანალიზური კრიტიკა.

ამრიგად, თ. ჟორდანიას მოღვაწეობის პერიოდში, როდესაც შემუშავებული არ იყო წერილობითი წყაროების მეცნიერული ანალიზის მეთოდიკა, ძეგლის შესწავლისათვის ამგვარი ხერხების გამოყენება უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

თ. ჟორდანიამ ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის საკმაოდ სერიოზული შრომა გასწია. შექმნა როგორც წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ასევე საყურადღებო ნაშრომები ავტოკეფალიისა და აფხაზთა კათოლიკოსების შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს ჯრუჭის, მღვიმევის, კაცხის, მარტვილის, შიომღვიმის მონასტრების, გელათის, ხონის, ქვათახევის, ცაიშის ეკლესიების ბიბლიოთეკებისა და სიძველეთა საცავების, სიწმინდეების აღწერილობები. ბევრი სიგელ-გუჯარი, სახარება, გულანი და სხვა ხელნაწერი მის მიერ არის შესწავლილი და დათარიღებული.

მეცნიერმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ქართლის გაქრისტიანების, ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობისა და ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ, რომლებიც თავმოყრილია ნაშრომში: „Краткія историческія сведенія об автокефалии Грузинской церкви“ (1905).

თ. ჟორდანია თვლის, რომ ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად განპირობებული იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციითაც. ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართულ ისტორიულ წყაროებში არსებული ცნობებისა და მსოფლიო ისტორიაში დადგენილი ფაქტების ურთიერთშეჯერებით მკვლევარმა მეფისა და ხალხის მოქცევა ქრისტეს სჯულზე განსაზღვრა 323 წლით, ხოლო სამღვდელოების ჩამოსვლა იმპერიიდან საეკლესიო მმართველობის ჩამოსაყალიბებლად – 326 წლით. ეს თარიღები ინარჩუნებენ არსებობის უფლებას, რადგან ისტორიოგრაფიაში მათ დღემდე ჰყავს მხარდამჭერები.

თ. ჟორდანიამ წყაროთა ანალიზის საფუძველზე აჩვენა, რომ დღიდან დაარსებისა, ქართული ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს და შემდეგ ამ უკანასკნელისაგან მიიღო ავტოკეფალია. ამ თვალსაზრისს დღეს ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა უმრავლესობაც იზიარებს.

თ. ჟორდანია ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით არსებული წყაროების განხილვის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ქართლის ეკლესიამ V საუკუნეში (488 წ.) მოიპოვა არასრული ავტოკეფალია, ხოლო VIII საუკუნეში სრული დამოუკდიებლობა, ნომინალური ვალდებულებების შენარჩუნებით IX საუკუნემდე, ანტიო-

ქიის საპატრიარქოს მიმართ. ასეთივეა ისტორიკოსთა გარკვეული ჯგუფის (ევ. ნიკოლაძე, ს. გორგაძე, ეპისკოპოსი ზოსიმე და სხვ.) დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

თ. ჟორდანია მ. ბროსეს შემდეგ იყო პირველი, რომელმაც ცალკე ნაშრომი მიუძღვნა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს საკითხს, რომელიც 1893 წელს წიგნად გამოსცა, სტავროპოლში, სათაურით – „Абхазскіе Каталикосы“. თემა დღესაც მნიშვნელოვანია, როგორც მეცნიერული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

გამოკვლევაში გადმოცემულია აფხაზთა საკათოლიკოსოს წარმოქმნის მოკლე ისტორია, შედგენილია XIII-XVIII ს.ს. აფხაზეთის კათოლიკოსების ქრონოლოგიური რიგი, მოკლე ანოტაციებით. ნაშრომში წარმოდგენილი ქრონოლოგიური რიგი, მართალია, ძირითადად ემთხვევა მ. ბროსეს კათოლიკოსთა სიას, მაგრამ აქ თავმოყრილი და გაანალიზებულია ახალი მონაცემები (ძირითადად წიგნის მინაწერები), რის საფუძველზეც მკვლევარი კათოლიკოსთა ზეობის წლების დაზუსტებას ახდენს. მან მოძიებული საბუთების მიხედვით დაადგინა სამი მანამდე უცნობი კათოლიკოსის სახელი და მოღვაწეობის პერიოდი, ესენი არიან სვიმონი (XI-XII ს. მიჯნა), ნიკოლოზი (XIII ს. 80-იანი წლები) და ეფვთიმე (XVII-XVIII მიჯნა).

განვიხილეთ რა თედო ჟორდანიას მიერ შესწავლილი საკითხების ისტორიოგრაფია პერსპექტივაში, მივედით დასკვნამდე: მეცნიერი საეკლესიო ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან შესასწავლად ეკლესიის ისტორიის ისეთი საკითხები აირჩია, რომლებიც თანამედროვე ისტორიოგრაფიისათვისაც ფრიად აქტუალურია. ამ საკითხების ირგვლივ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულ დასკვნებს უფრო მეტად ეხმიანება, ვიდრე თ. ჟორდანიას შემდგომი პერიოდის ისტორიკოსთა ნააზრევს, რაც მისი კვლევის მეთოდების სისწორესა და მეცნიერულ ალღოზე მიუთითებს.

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში თ. ჟორდანია, შეიძლება ითქვას, იყო პირველი ისტორიკოსი, ვინც დაინტერესდა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების და შემოქმედების შესწავლით, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულ-

ტურისა და ეროვნული აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. მისი მიზანია წარმოაჩინოს, თუ რა მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში უხდებოდათ მათ მოღვაწეობა და მაინც, როგორი თავდადებით იღწვოდნენ საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მკვლევარი თვლის, რომ პიროვნების პორტრეტის სრულად წარმოდგენისთვის აუცილებელია იმ ეპოქის პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამდენად, ის თავის ნაშრომებში დავით გურამიშვილის, იოსებ სამებელისა და ანტონ პირველის შესახებ გვევლინება როგორც XVIII საუკუნის პოლიტიკური ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი. რადგან მისი „პერსონაჟების" უმეტესობამ ცხოვრების გარკვეული ნაწილი ემიგრაციაში გაატარა, თ. ჟორდანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიის შესწავლას. მის ნაშრომებში ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობლებთან და რუსეთთან ურთიერთობები, წამოყენებულია არაერთი საინტერესო დებულება.

თ. ჟორდანია თავისი თაობის ისტორიკოსებს შორის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური კავშირი (XVIII ს.) რუსეთთან უარყოფითად შეაფასა და მიიჩნია, რომ რუსეთის პოლიტიკამ საქართველოს მომავალზე დამღუპველი ზეგავლენა იქონია.

თ. ჟორდანიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეისწავლა დავით გურამიშვილის, იოსებ სამებელის, ანტონ I კათალიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა [„დავით გურამიშვილი და მისი დრო", მთვარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII საუკუნეში", „Антонии I, каталикос Грузии и архиепископ Владимирскии и Яропольский", (ანტონ I, საქართველოს კათოლიკოსი და მთავარეპისკოპოსი ვლადიმირისა და იეროპოლისა")] მის მიერ გამოტანილი დასკვნები ხშირ შემთხვევაში დღესაც გაზიარებულია, მაგრამ მათ, როგორც ჟორდანიასეულმა შეხედულებებმა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი ვერ დაიმკვიდრეს. იგი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც დააყენა საკითხი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

თ. ჟორდანიას მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: იგი, როგორც ისტორიკოსი – არა მხოლოდ აღწერს, მოგვითხრობს ისტორიას, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით ერკვევა მოვლენებში, მათ შორის ეძებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ახდენს მის ხელთ არსებული წყაროების გაანალიზებით ფაქტების დაზუსტებას და იმდროინდელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეკონსტრუირებას. ყველაფერი ეს მას XIX საუკუნის ახალი თაობის იმ ისტორიკოსთა რიგში აყენებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ისტორიის, როგორც მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას.

თემა VIII

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა (1863-1953)

ექვთიმე თაყაიშვილი — წყاროთმცოდნე და არქეოგრაფი, არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების, ეპიგრაფიკის, ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის მკვლევარი. მისი სამეცნიერო ინტერესები მრავალმხრივია, როგორც ყველა იმდროინდელი მკვლევრისა, რომელიც XIX ს-ის მე-2 ნახევარში მოღვაწეობდა.

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს ოზურგეთის მაზრის სოფ. ლიხაურში. იგი 7 წლის ასაკში ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც გაიცნო შემდგომში ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი, რომელთანაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდი მეგობრობა აკავშირებდა. ექვთიმემ 1883 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსტეტში სასწავლებლად გაემგზავრა, სადაც ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა. 1887 წელს უნივერსიტეტი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაამთავრა და საქართველოში დაბრუნდა. 1887-1894 წლებში იგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა ბეძრნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. როცა სათავადაზნაურო სკოლის დირექტორი პ. ჭიჭინაძე ვლადიკავკაზში გადავიდა, თავადაზნაურობის კრებამ დირექტორის თანამდებობაზე ექვთიმე დაასახელა. მან თანხმობა, მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში განაცხადა. იგი ითხოვდა: სკოლისათვის ყოველ წელს თითო კლასის მომატებას, რათა სრულ გიმნაზიად გადაქცეულიყო; პედაგოგიურ საკითხებში თავადაზნაურობის ჩაურევლობას, მასწავლებელთა ხელფასის სახელმწიფო გიმნაზიის მასწავლებლის ხელფასთან გათანაბრებას, სკოლის სამეურნეო საქმეების სრულ წესრიგში მოყვანასა და ბუღალტერის აყვანას. მისი პირობები მიიღეს. ექვთიმე სასწავლებელს ხელმძღვანელობდა 1894-1905 წლებში. მან საუკეთესო პედაგოგები მიიყვანა სასწავ-

ლებელში და სწავლება მოაწესრიგა. „სათავადაზნაურო კი ერქვა, მაგრამ გლეხთა და სხვათა შვილებსაც ხშირად ვიღებდით, თუკი ვარგოდნენ... ბევრს სწავლა მოწყურებულს, ნიჭიერსა და კარგი მომავლის მქონე, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდას შევუწყვეთ ხელი საშუალო სწავლის მიღებაში, „წილად მხვდა სასწავლებლის რვაკლასიან გიმნაზიად გადაკეთება“ — წერდა ექ. თაყაიშვილი. ექვთიმე 1895 წელს ილია ჭავჭავაძის ჩარევით დაქორწინდა ილიას გიმნაზიის მეგობრის, თბილისელი იურისტის — ივანე პოლტორაცკის ასულ ნინოზე, რომელიც მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი გახდა. ილია ექვთიმემ ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის დროს გაიცნო და მას შემდეგ ილიას იგი მხედველობის არედან არ დაუკარგავს.

ექვთიმე სტუდენტობიდანვე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამიტომაც, ჯერ კიდევ სტუდენტი, იაკობ გოგებაშვილის წინადადებით, 1889 წელს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის წევრად. აგრეთვე: საქართველოს მუზეუმის კომიტეტის (1889 წ. 13 თებერვალი), ქართული დრამატული საზოგადოების (1889 წ.), ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობის სარევიზიო კომისის (1892 წ.), კავკასიის სტუდენტთა გამგეობის (1892 წ.), პეტერბურგისა (1894 წ.) და მოსკოვის (1905 წ.) რუსული არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (1901 წ.), რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების თბილისის განყოფილების (1908 წ.), ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების (1922 წ.), სააზიო საზოგადოების (1925 წ.) და სხვა საზოგადოებათა წევრად იქნა არჩეული.

ექვთიმე თაყაიშვილი თავად არის დამაარსებელი: ჟურნალ „მოამბის“ (1894-1905 წ.), „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრის“ (1900 წ.), რომლის მიზანიც იყო მშობლიური ისტორიისა თუ ლიტერატურის მასალების შეგროვება, შესწავლა და პოპულარიზაცია; და, რაც მნიშვნელოვანია, იგი არის „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამაარსებელი და უცვლელი თავმჯდომარე 1907-1921 წლებში. დიდია მისი ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი თავიდანვე აირჩიეს „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოე-

ბის“ კომისიის წევრად. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მას დოქტორის ხარისხი მიანიჭა. 1920 წლისთვის ექვთიმე უნივერსიტეტში კითხულობდა შემდეგ სალექციო კურსებს: 1. საქართველოს სიძველეების შესავალი – ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანა ზოგადად და, კერძოდ საქართველოში; 2. ეპიგრაფიკა; 3. ეკლესია-მონასტრების ისტორია. აგრეთვე, განაგებდა არქეოლოგიის კათედრას.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ, განკარგულება გასცა მთელი სამუზეუმო ქონება ყუთებში ჩაეწყოთ და უცხოეთში გაეტანათ. სამუზეუმო განძის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნა. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა მეუღლესთან — ნინო პოლტორაცკაიასთან ერთად დატოვა სამშობლო და საქართველოს ძვირფას საგანძურს მცველად გაჰყვა. განძის პატრონად ფორმალურად მენშევიკური მთავრობა ითვლებოდა. „განძი აუწერელი ფასეულობისაგან შედგებოდა. აქ იყო თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის ნივთები, ძვირფასი ხელნაწერები, სურათები ეროვნული გალერეადან, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, რუსული ეკლესიების ქონება, სახაზინო ქონება, ბორჯომის სასახლის ქონება (მდიდარი ბიბლიოთეკებით) და სხვა მრავალი...

საფრანგეთის მთავრობის სრულუფლებიანმა მინისტრმა და უზენაესმა კომისარმა ამიერკავკასიაში აბელ შევალიემ საქართველოს განძეულობა ფრანგულ კრეისერ „ერნეს რენანზე“ მოათავსებინა და, ამასთან, იმდენი მოახერხა, რომ ეს კრეისერი დანიშნულ დროზე ადრე გავიდა და ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე ნინო... მას ჩამორჩნენ. ექვთიმე დაქირავებული კატარღით დაედევნა ფრანგულ კრეისერს, რომელიც კონსტანტინოპოლისაკენ მიემართებოდა. კონსტანტინოპოლში განძეულობა სამგზავრო გემ „ბიენ ჰოაზე“ გადაიტანეს და 20 მარტს მარსელისაკენ გაემართნენ. ორმოცდარვა დღის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, 1921 წლის 10 აპრილს მარსელში ჩასულან. მას შემდეგ, რაც განძი მარსელის

ბანკს ჩააბარა, ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ პარიზში ჩავიდა და ერთხანს იქ ცხოვრობდა, შემდეგ კი ლევილში გადავიდა...

საფრანგეთში საქართველოს განძის ჩატანის ამბავი ფართოდ გახმაურდა და მისი შეძენის ბევრი მსურველიც გამოჩნდა. ნიუ-იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ ხელში ჩაეგ-დოთ განძის თუნდაც მცირე ნაწილი. ფრანგი ისტორიკოსი მილე ნივთების ფოტოგრაფიულად გადაღების ნებართვას ითხოვდა. ექვ-თიმე თაყაიშვილი... კატეგორიულ უარს ეუბნებოდა ყველას, ვინც კი განძთან დაკავშირებით რაიმეს ითხოვდა. ხედავდა რა უდიდეს ინტერესს განძისადმი, ექვთიმეს აწუხებდა მისი მომავალი ბედი. მას შეუჩივლია 1928 წელს პარიზში ჩასული აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანისათვის: „მოახერხეთ როგორმე, ეს სიძველეები დაუბრუნდეს საქართველოს. ეს რომ ასე არ მოხდეს, ჩემი მეორე სიკვდილი იქნებაო“.

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი მცდელობა დასჭირდა იმისათვის, რომ სასამართლოს წესით უარეყო გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ნიკოლოზ დადიანის ასულის — სალომე ობოლენსკაიას საჩივარი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან გატანილ განძეულობაზე“ [ობოლენსკაიას დამარცხების მთავარი საბუთი იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 დეკემბრის დეკრეტი თავად ნიკოლოზ მინ-გრელსკის, ქონების პატრონის თანხმობით გასახელმწიფოებრიობის შესახებ — ქ. ნ.], (რ. მეტრეველი, წგნ. „დიდნი საქმენი“, გვ. 460-61). მართალია, სალომე ობოლენსკაიამ სარჩელი წააგო, მაგრამ სასამართლომ დადგენილება გამოიტანა: რადგან ამ განძის მეპა-ტრონე საქართველოს მენშევიკური მთავრობა აღარ არსებობს, გან-ძი გადაეცეს პ. დოჟონს, რომელსაც „აბარია მეფის რუსეთის ქონება საფრანგეთში“. თან ეს ქონება სურდათ, რომ ლუვრის საკუთრება გამხდარიყო. მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც მეო-რე მსოფლიო ომის დროს გერმანელები საფრანგეთში შევიდნენ. საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში ნაცისტები ექ. თაყაიშვილთან მივიდნენ სიძველეების ჩამოსართმევად. ამისთვის შეიქმნა კომის-ია, სადაც ზურაბ ავალიშვილიც (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, ისტო-

რიკოსი. 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში) შეიყვანეს. მან სიცოცხლის რისკის ფასად დაწერა დასკვნა, რომ ეს სიძველეები მატერიალური და მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა, რამაც გადაარჩინა საქართველოს ისტორიული კულტურის დიდი საგანძური.

განძმა 25 წელი დაჰყო საფრანგეთში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის წარმატებებმა გახადა შესაძლებელი განძის დაბრუნება. 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ალ. ბოგომოლოვს, რომელსაც შემწეობა სთხოვა და თან მოხსენება გადასცა გენერალ დე გოლის სახელზე. განძის საბოლოოდ საქართველოში დაბრუნება ი. სტალინისა და საფრანგეთის მთავრობის მეთაურის დე გოლის მოსკოვში შეხვედრამ (1944 წლის 2-10 დეკემბერი) გადაწყვიტა. დე გოლის განკარგულებით განძეულობა საქართველოში უკლებლივ დაბრუნდა.

1945 წლის 5 აპრილს საფრანგეთიდან ორი ამერიკული თვითმფრინავით განძთან ერთად გამოფრინდა ექ. თაყაიშვილი, რომელსაც თან ახლდნენ: ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, საბჭოთა საქართველოს ცეკას მდივანი პეტრე შარია და საგანგებოდ განძთა მცველები პ. მელაძე და თ. შავდია. შემოვლითი გზით ისინი თბილისში 11 აპრილს ჩამოფრინდნენ. როცა თავისი ქვეყნის დიდმა პატრიოტმა სამშობლო მიწაზე ფეხი დაადგა აკაკის ლექსი წაუკითხავს: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...“ და შალვა ამირანაშვილისთვის მიუმართავს: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე“.

ექ. თაყაიშვილი 1945 წლის 10 მაისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს, ხოლო 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად მან ამავე წელს უნივერსიტეტში საჯარო მოხსენება წაიკითხა: „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“.

ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს. შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე მის ცხედარს მხოლოდ ორმოცამდე კაცისაგან შემდგარი პროცესია მიჰყვებოდა. იგი დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში, ხოლო შემდეგ გადაასვენეს მთაწმინდაზე. საქართველოს

ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა — „წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის“ სახელით.

ექვთიმე თაყაიშვილმა საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს, 1890 წლისთვის უკვე გარკვეული აქვს თავისი სამუშაო პროგრამა, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი თავისი ადგილი საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

„სამი ისტორიული ხრონიკის“, რომელიც მოიცავს „ქართლის მოქცევას“, სუმბატის ქრონიკას და „მესხური დავითნის“ მატიანეს, ერთ-ერთ წინასიტყვაობაში 1890 წელს თაყაიშვილი აღნიშნავდა: „ასეთი ხრონიკების გამოქვეყნება, მათი შედარება სხვა ხრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან, სხვადასხვა მანუსკრიპტების სისტემაში მოყვანა და მათი ისტორიული ცნობების განმარტება, გუჯრების შეგროვება და გამოქვეყნება, სხვადასხვა ისტორიული წარწერების გარჩევა, აგრეთვე განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახალ მასალას გვაძლევს თითოეული ამგვარი წყარო და საზოგადოდ ასეთი მასალების შეძლებისამებრ კრიტიკულად შესწავლა — აი, რა მიგვაჩნია ჩვენ, ჯერ ხანად მაინც, ყველაზე უსაჭიროესად ჩვენი ისტორიისათვის. ჩვენი ისტორიოგრაფიის ახლანდელი მდგომარეობა ასეთ შრომას თხოულობს ჩვენგან“. როდესაც მეცნიერი თავის განვლილ გზას აფასებდა, იგი წერდა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა გაწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპისთვისაც... იმ ხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოებანებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ ამ პერიოდში იმ რწმენით, რომ როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“. ვფიქრობთ, ამ ამონარიდებიდან კარგად ჩანს ექ. თაყაიშვილის სამეცნიერო მიზნები, რომელიც მან პირნათლად შეასრულა.

ექ. თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ XIX ს-ნის 80-იანი წლებისათვის უკვე არსებულმა ისტორიულმა მასალებმა საუკეთესო ასახვა ჰპოვა დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“, ხოლო კვლევის ახალ საფეხურზე ასაყვანად საჭირო იყო ახალი წყაროების კრიტიკული შესწავლა და გამოქვეყნება.

საინტერესოა, როგორ ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის მასალების დაჯგუფება ექ. თაყაიშვილს, რადგან აქედან გამომდინარე კარგად ჩანს მისი, როგორც ისტორიკოსის დამოკიდებულება შესასწავლი საგნისადმი.

მეცნიერმა საქართველოს ისტორიის მასალები შემდეგ ჯგუფებად წარმოადგინა: 1. წერილობითი წყაროები — საისტორიო და სიტყვაკაზმული მწერლობა, სამართლის ძეგლები, ქრონიკები, კვინკლოსები, მინაწერები, სიგელ-გუჯრები, მოსახლეობის აღწერის დავთრები; წარწერები: მაგარ მასალაზე, ხატებზე, ფრესკებზე, საფლავის ქვებზე; ონომასტიკა და ტოპონიმიკა; 2. ნივთიერი კულტურის ძეგლები: ძველი ნაქალაქარები, ნასოფლარები, ციხეები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები, იარაღები; სამოსი, სამკაული, ფული და სხვ. 3. ეთნოგრაფიული მასალა; 4. ხალხური სიტყვიერება: ლეგენდები, ზღაპრები, ლექსები და სხვ.

ექ. თაყაიშვილი თავად, მართალია, ძირითადად, წერილობითი წყაროებისა და ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლა-გამოცემაზე მუშაობდა, მაგრამ სხვა ჯგუფთა მასალების თავმოყრა-გამოცემაშიც იღებდა მონაწილეობას. ექ. თაყაიშვილი, როგორც თვითონ მიუთითებდა, მისი, როგორც მკვლევრის, ნააზრევი მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ უმთავრესად შესავალსა და კომენტარებში მჟღავნდებოდა. მკვლევარი, ძირითადად, შუა საუკუნეების ქრონოლოგიისა და ცალკეულ გვართა გენეალოგიის საკითხებს ეხებოდა, რადგან იგი ირკვევდა წყაროს შესწავლასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაგრამ მხოლოდ იმ დოზით, რაც აუცილებელია ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისათვის. მის ნააზრევში კარგად ჩანს კვლევის ობიექტები: „ქართლის ცხოვრების“ წყაროები, ქართული განა-

თლების ცენტრები, ბაგრატიონთა გენეალოგია-ქრონოლოგია, აფხაზთა (დასავლეთ საქართველო) მეფეები, პოლიტიკური ისტორიის ესა თუ ის საკითხი, სამოხელეო წყობა და სამართალი, ქალაქური ყოფის ცალკეული საკითხები და სხვ.

ექვთიმე თაყაიშვილის „შრომათა ბიბლიოგრაფია“ შეიცავს 278 დასახელებას. მის მიერ გაწეული კოლოსალური შრომა საუკეთესოდ ვლინდება „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისადმი დამოკიდებულებაში.

ექ. თაყაიშვილს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში. იგი თავდადებით აგრძელებდა ადრე ცნობილი ვარიანტების კვლევას, მათი შინაარსის, გადამწერელთა ხელის, მინაწერების, თარიღების ან დასათარიღებელი არაპირდაპირი მონაცემების, კითხვა-სხვაობათა ანალიზს, არსებითად პირველად იკვლევდა მარიამისეულ ვარიანტს სხვა ვარიანტებთან თუ ნუსხებთან ანალიზური შედარების საფუძველზე. მან მარიამისეული ვარიანტის გარდა, არაერთი „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი აღწერა და აღწერითი სახით დაბეჭდა თავისი კაპიტალური ორტომეულის „აღწერაში“: ბარათაშვილისეული, დადიანისეული, თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული, ჯანაშვილისეული (სახელები, როგორც ცნობილია, ვარიანტებს დარქმეული აქვთ პიროვნების კუთვნილების მიხედვით). გარდა ამისა, აღწერითი თვალსაზრისით იგი გზადაგზა სწავლობდა ახლად აღმოჩენილ მასალებს.

როგორც ცნობილია, იმდროისათვის ხელნაწერზე უშუალო მუშაობა, მათი შესწავლა-პუბლიკაცია მჭიდრო კავშირშია სათანადო ძეგლების გამოვლინებასთან სიძველეთსაცავებში. ექ. თაყაიშვილმა მრავალ ფასდაუდებელ ხელნაწერს მიაკვლია და გამოაქვეყნა: „აფხაზეთის ისტორია ბაგრატისა“. ტექსტი გამოქვეყნდა ვრცელი გამოკვლევის დართვით. გამოკვლევაში გარკვეულია, რომ ბაგრატი არის ბაგრატ III (975-1014) და ძეგლი არის „აქტი, მანიფესტი“. ისტორიოგრაფიული ხასიათის ძეგლთაგან ექვთიმეს მიერ არის დაბეჭდილი „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“. აქ მკვლევარს მოცემული აქვს ქართული წელთაღრიცხვის საკითხების ახლებურად გაშუქების მცდელობაც. ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა მისი რედაქტორობითა და გამოკვლევებით გამოცემული ქრონი-

კები, კვინკლოსების ისტორიული მინაწერები; გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის საჭირო მასალებს წარმოადგენს ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული სტატისტიკური ცნობები. განსაკუთრებულად ყურადღების ღირსია მის მიერ გამოცემული „საქართველოს სიძველენი“ — სამ ტომად. ნაშრომში შეტანილია საქართველოს მეფეების, გამგებლების, დედოფლების, მთავრების, ბატონიშვილების, კათოლიკოს-პატრიარქების, ეპისკოპოსებისაქ და სხვა წარჩინებულ პირთა წყალობის წიგნები, საგვარეულო და სასისხლო სიგელები, გუჯრები, შეწირულობის წიგნები, არზები, ბრძანებები და განკარგულებები, მედიატორთა განჩინებანი, განქორწინების ოქმები, ისტორიულ პირთა წერილები, გენეალოგიური ცნობები და მრავალი სხვა.

ექ. თაყაიშვილის სანიმუშოდ შესრულებულ პუბლიკაციათა შორის ფასდაუდებელია „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მეფის მიერ დაწესებულ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონთა კრებულს. აღნიშნული ძეგლი მნიშვნელოვანია საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად. მეცნიერმა მის მიერვე აღმოჩენილი ძეგლი დაათარიღა „სინქრონიკული მეთოდის მომარჯვებით“, შიგ მოხსენებულ ისტორიულ პირთა ვინაობის დაზუსტებით მან გამოიკვლია ძეგლის დაწერის ადგილიც (გელათი) და მრავალი სხვ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ექ. თაყაიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. საკმარისია დავასახელოთ რუსულად თარგმნილი მისივე „სამი ისტორიული ხრონიკა“.

ვ. დუნდუა ექ. თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი მოღვაწეობის შესახებ მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავს: „ვეცნობით რა ჩვენ მიერ ასახული მიმართულებით თაყაიშვილის შემოქმედებას, მისი დიდი სამეცნიერო გამოცდილების, მრავალმხრივი მეთოდიკური თუ „მეთოდოლოგიური“ დაკვირვებების ხასიათს, მის უამრავ სპეციალურ შენიშვნებს, მითითებებს, ვასკვნით, რომ მართალია, მას არ უკისრია — ერთი რამე სათანადო დანიშნულების სახელმძღვანელო შეედგინა, არ უცდია — დაეწერა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, მის თანამედროვე რუსეთის საისტორიო მეც-

ნიერების სფეროში, შემაჯამებელი „მეთოდოლოგია“, მაგრამ მის შემოქმედებას უთუოდ კარგად უდგება ის დახასიათება, რომელიც თავის დროზე პრესნიაკოვმა მისცა ცნობილ წყაროთმცოდნეს ლაპო-დანილევსკის შემდეგი სიტყვებით: რომ ეს მეცნიერი იბრძოდა სრულყოფილი მეცნიერების მაღალი იდეალით აღძრული. არა იმდენად კონკრეტული საისტორიო კვლევის გზით, რამდენადაც მეცნიერების საფუძვლების და მისი მეთოდოლიგიისა და წყაროთა კრიტიკაში მისამართი — ტექნიკის შესწავლის გზით“.

... ექვთიმე თაყაიშვილის შრომებში უხვადაა მოცემული წყაროთმცოდნეობითი ინტერესის შემცველი მასალა, კრიტიკულად ათვისებული, რომელიც უთუოდ წარმოადგენს კარგ საფუძვლებს მეთოდიკური და მეთოდოლოგიური სპეციალური სახელმძღვანელო კურსის შესაქმნელად“. ექვთიმე თაყაიშვილის მრავალხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეპიგრაფიკას. მას კარგად ესმოდა ეპიგრაფიკული ძეგლების (წარწერების) სამეცნიერო მნიშვნელობა. იცოდა, რომ „ზოგჯერ ერთ სიტყვაძვირ წარწერას უფრო მეტი შეუძლია გვითხრას ხალხის, ქვეყნის წარსულის შესახებ, ვიდრე სხვა რომელიმე ნარატიული წყაროს ათეულმა ფოლიანტებმა“. ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენა-შეკრებისა და შესწავლა-გამოქვეყნების საქმე საქართველოში „არავის დაუყენებია ისე ფართე და ნამდვილად მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც ეს მან გააკეთა. ვერც შესწავლილ ძეგლთა რაოდენობით და ვერც შესწავლის მეთოდოლოგიური ხერხების სისრულით წინა თაობის მკველევართაგან ვერავინ შეედრება მას“.

საინტერესოა ის მეთოდი, რომლითაც მეცნიერი ეპიგრაფიკულ ძეგლებს იკვლევდა. წარწერას ის არასოდეს ცალკე არ განიხილავდა, არამედ ყოველთვის იმ ძეგლებთან ერთად სწავლობდა, რომელზედაც ამოკვეთილი იყო ან რომელშიც ის საუკუნეების მანძილზე ინახებოდა. მისი აზრით, წარწერა და ძეგლი ერთმანეთის წარმოშობის მაუწყებელი იყვნენ. ამდენად ძეგლი განსაზღვრავდა არა მხოლოდ წარწერის ადგილსამყოფელს, არამედ მისი ისტორიის წყაროსაც წარმოადგენდა. ზოგჯერ ძეგლის მეშვეობით ვლინდებოდა წარწერის თარიღი, მისი მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიაში. სწორედ ამიტომ მკვლევარი წარწერის შესწავლას იმ არქიტექტურული ძეგ-

ლის შესწავლით იწყებდა, რომელზედაც იგი იყო ამოკვეთილი. ამ-დენად ექვთიმე თაყაიშვილმა მრავალი არქიტექტურული ძეგლის აღწერილობაც დაგვიტოვა. იგი წარწერებს დაეძებდა არა მხოლოდ მონუმენტურ ძეგლებზე, არამედ ყველაფერზე, „რაზეც ქართველი კაცის კალმისა თუ ანდამატის ფრჩხილის ნაკვალკევი აღმოჩნდე-ბოდა“. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მას წაუკითხავი არ დაუტოვე-ბია კავკასიის მუზეუმში სხვადასხვა დროს შემოსულ სიძველეთა წარწერებიც: მაგ. ოპიზის ბარელიეფი, ფოცხოვიდან და ხუნძახიდან ჩამოტანილი ქვები და სხვ. როგორც კ. გრიგოლია წერს: „ექ. თა-ყაიშვილმა ჩააყენა ისტორიული მეცნიერების სამსახურში ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა მაქსიმალური რაოდენობა. თუ მანამდე ამ ძვირფას და უტყუარ მასალას ქართველ ისტორიკოსთაგან ცოტა თუ ვინმე იყენებდა, მისი წყალობით იგი ხელიდან მოუცილებელ წყაროდ იქცა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის“.

ეს მასალები ექ. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს შემდეგ გა-მოცემებში: „არქეოლოგიური ექსპედიცია რაჭა-ლეჩხუმში“ (1910), „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (2 წიგნად), „არქეოლო-გიური ექპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, „კახ-ეთში მოგზაურობა არქეოლგიურის მიზნით“ და სხვა.

ისტორიოგრაფიაში მაღალი შეფასება მიეცა ექ. თაყაიშვილის მოღვაწეობას ისტორიულ-გეოგრაფიაში. დ. მუსხელიშვილის შეხედ-ულებით: ექ. თაყაიშვილის განკარგულებაში იყო მთელი ის მასალა, რომელიც საჭიროა ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის აღსადგენად. (მატერიალური ძეგლები, ტოპონომიკა, ეპიგრაფიკა, ისტორიული წყაროები). ექ. თაყაიშვილის კვლევას ახასიათებს თითქმის ყველა ის ელემენტი, რომელიც აუცილებელია ამ დარგში წარმატების მის-აღწევად: გეოგრაფიული პუნქტების იდენტიფიკაცია, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაკვირვება, სამეურნეო და კულტურული ასპექტის გათვალისწინება, მოსახლეობის მიგრაციის მხედველობაში მიღება და, რაც მთავარია, მას ჰქონდა ის დიდი უპირატესობა, რასაც წარ-მოადგენს: პრაქტიკული ძიების გამოცდილება. თუმცა, ამ დარგის, თანამედროვე მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მისი კვლევები ბევრ ნაკლს შეიცავს.

ექ. თაყაიშვილის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ქართული სამართლის საკითხების კვლევა, რაც კარგად ჩანს მის ნაშრომში „ხელმწიფის კარის გარიგების“ შესახებ. იგი პირველი მეცნიერია, რომელმაც დიდი მასშტაბის შრომა ჩაატარა ქართული იურიდიული ტერმინების გარკვევა-დადგენის საქმეში. მაგ. მან გამოიყენა ტერმინები: განჩინების წიგნი, მიბარების წიგნი, წყალობის წიგნი, პიროობის წიგნი და სხვ.

ექ. თაყაიშვილი ნ. მარის შემდეგ არის პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც დაიწყო არქეოლოგიური გათხრების წარმოება. 1894 წელს მან პირველად გათხარა სოფ. ვორნაკში და აღმოაჩინა ბრინჯაოს ხანის სამარხები. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის „ახალგორის განძის“ შეგროვებასა და დაცვაში. მან 1912 წელს იმოგზაურა ბორჯომის ხეობაში, შეისწავლა ბანისხევის მტკვართან შესართავის მიდამოების სიძველეები, იქვე გათხარა რამდენიმე საფლავი და იპოვა „იშვიათი ბრინჯაოს ნივთები“.

ეთნოგრაფიას ექ. თაყაიშვილი თვლიდა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საქართველოს ისტორიის მესამე წყაროდ. მას მიაჩდა, რომ უნდა აღიწეროს „ეთნოგრაფიული მონაცემები: დაბადებასთან, ქორწინებასთან, მოსავლის მოყვანასთან, გარდაცვალებასა და დატირებასთან თუ ადამიანის ცხოვრების სხვა მხარეებთან დაკავშირებული რიტუალები და ქცევის წესები, დღეობა-დღესასწაულები, საადათო სამართლის ნორმები“ და ა. შ. ეთნოგრაფიული მასალის შესწავლას იგი ითხოვდა წერილობითი წყაროების გათვალისწინებითაც. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ეგიდით მან საინგილოში მიავლინა მოსე ჯანაშვილი, რომელმაც შედეგად დაწერა ეთნოგრაფიული ნაშრომი „საინგილო“, ვაჟა-ფშაველა მიავლინა ფშავში, რის შედეგადაც მივიღეთ „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, ხოლო ნიკო ჩიმაკაძეს აღაწერინა სვანეთი.

ექ. თაყაიშვილმა მიზნად დაისახა ნუმიზმატური მასალის მოგროვება. იგი წერდა: „თავმიზნად დავისახეთ ქართლისა და საქართველოში მოჭრილი ფულების კოლექციების შედგენა“. მკვლევარი, ძირითადად, ზრუნავდა სამშობლოში ნაპოვნი ყოველი უცხოური მონეტის მოძიებას. 1917 წელს, საეთნოგრაფიო საზოგადოების 10 წლისთავზე იგი წერდა: „ჩვენი ქართული ფულების კოლექცია ახლა

ერთი უკეთესთაგანია ცნობილთა შორის“. მან ი. სონღულაშვილთან ერთად შეადგინა — „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების რუსულ-ქართული ფულების კოლექცია“. მან ერთმა პირველთაგანმა აღნიშნა, რომ საქართველოში „ფულის აღსანიშნავად ზოგად ტერმინად იხმარებოდა — საფასე“. ექვთიმეს შეუდგენია, აგრეთვე, „მედლებისა და ბრელოკების სია“, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექ. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის უძველესი 1646 წლისაა.

ექ. თაყაიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში ვკითხულობთ: ექ. თაყაიშვილის დამსახურება ქართველი ხალხისა და ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე შეუძლებელია რაღაც საზომით შეფასდეს... წყაროების ასე გულმოდგინედ და მარჯვედ გამოვლენა, მათი მნიშვნელობის მეცნიერული შეფასება, მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოცემა მხოლოდ ისეთ მკვლევარს შეეძლო, რომელსაც ისტორიკოსის საფუძვლიანი მომზადება გააჩნდა და შეიარაღებული იყო ქართველმცოდნეობითი დარგების — ლინგვისტიკის, არქეოლოლოგიის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, ფოლკლორისტიკის მონაცემთა ღრმა ცოდნით. სწორედ ასეთ მკვლევარ-ისტორიკოსად, ფართო მასშტაბის ქართველოლოგად წარმოგვიდგება ჩვენ აკადემიკოსი ექ. თაყაიშვილი, რომლის ნაღვაწით ქართველი ერი მუდამ მადლიერი, ხოლო ქართული მეცნიერება მუდამ დავალებული იქნება.

თემა IX

ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი ნარკვევში „მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელიც 1904 წელს დაისტამბა, წერს: „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო. მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, უეჭველია, იმავე დროს ქართულ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.

მაგრამ საქართველოს ისტორიის პირუთვნელი, მეცნიერული ცოდნა მარტო ქართველებისათვის კი არ არის საჭირო, სხვა ერთა წარმომადგენლებისთვისაც: რა ჩამომავლობისაც უნდა გახლდეთ მეცნიერი, გერმანელი იქნება იგი, თუ ფრანგი, რუსი, თუ ქართველი, ყველანი ერთნაირად, თუ ისინი მართლა მეცნიერებას ემსახურებიან დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოს წარსული საფუძვლიანად და პირუთვნელად იყოს შესწავლილი, იმიტომ, რომ თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაეს მიზანს...

... ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა წარუდგინოს თავის სამშობლოს წარსული, თანამედროვეებსაც და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის... აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში

დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...

... მეცნიერი ისტორიკოსები მოვალენი არიან უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზედაც დამყარებულია ჩვეულებრივი წარმოდგენა წარსულ ცხოვრებაზე. ცხადია, ვიდრე ამგვარი პირველ დაწყებითი მასალათა განხილვა გათავებული არ იქნება, მანამდისინ შეუძლებელია საქართველოს სამეცნიერო ისტორია დაიწეროს... რაც უფრო მეტი დრო გაივლის, უფრო უკეთესად შემუშავებული და განხილული იქნება ქართული მწერლობა და სამოქალაქო ისტორია...

მარტო ისტორიაში კი არა, მეცნიერების ყველა დარგში საჭიროა კრიტიკულმა მიმართულებამ ჩვენში იჩინოს თავი...“

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოყვანილი ამონარიდიდან კარგად ჩანს მეცნიერის კრედო, ის ფასეულობები, რომელზედაც დგას მისი სამეცნიერო მემკვდირეობა და ის ქართველოლოგიური სკოლა, რომლის ჩამოყალიბებისათვის ივ. ჯავახიშვილმა უზარმაზარი შრომა გასწია. მისი მეცნიერული მოღვაწეობა, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, არის წარმატებული ბრძოლა სიახლის დასამკვდირებლად, როგორც მეცნიერებაში, ასევე იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თამამად შეიძლება ითქვას: ივ. ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით იწყება სრულიად ახალი ეპოქა, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლის დადასტურებაცაა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ასევე ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, რასაც საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობამ.

ვფიქრობთ, აღსანიშნავია ერთიც: დიდი გარჯის შედეგად, XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველოლოგებმა ხელი შეუწყვეს მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას, რამაც, თავის მხრივ, მეცნიერების ახალ ეტაპზე აყვანის შესაძლებლობა მისცა მომავალ თაობას, რომლის სახესაც წარმოადგენს სწორედ ივ. ჯავახიშვილი.

XX საუკუნეში ისტორიული კვლევის პალიტრა მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა. გაფართოვდა თემატიკა, გაღრმავდა შემეცნების მეთოდები, გახშირდა ეკონომიკური და სოციალური ის-

ტორიით დაინტერესება. „მსოფლიო ისტორიამ“, რომელსაც XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ევროცენტრიზმი ახასიათებდა, უნივერსალიზმი შეიძინა. ახლა უკვე მისი ინტერესის სფეროს დედამიწის ყველა კონტინენტი შეიცავდა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციებმა, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციების საშუალებებმა, ისტორიულ ცოდნას ფართო მასშტაბი შესძინა. შედეგად, ისტორიული მეცნიერება დიფერენცირებული გახდა და კვლევის ახალი ობიექტები შეიძინა. მაგალითად, იდეის განვითარების, კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების ისტორიები. მათ შორის, განსაკუთრებით დასავლეთში უდიდესი ყურადღება მიექცა ისტორიული მეცნიერების ისტორიის შესწავლას.

XX საუკუნის ისტორიული მეცნიერების განსაკუთრებულ მიღწევად ითვლება საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის ტენდენცია. შეიქმნა საინტერესო და მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ცალკეული კულტურების, ერების, მოვლენებისა და პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ XX საუკუნის ისტორიული მეცნიერების ისტორიისა და განვითარების შესწავლა, ახალი სალექციო კურსის პრეროგატივას წარმოადგენს.

ჩვენი სალექციო კურსი მთავრდება თემით: „ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი“, რადგან თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს მოვლენა მხოლოდ XX საუკუნის კუთვნილება არ გახლავთ, რასაც ვფიქრობთ, ჩვენ მიერ განვლილი მასალა კარგად ადასტურებს. თუმცა სწორედ ახალი კურსის განსაკუთრებული შესწავლის საგნად უნდა იქცეს ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილი.

ივ. ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია.

ივ. ჯავახიშვილმა შექმნა ფუძემდებლური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომელიც ოთხ წიგნად დაიბეჭდა: 1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII ს.ს.); 2. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმიზმა-

ტიკა – მეტროლოგია; 3. ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია; 4. ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა. ამ ნაშრომით მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ისტორიული მეცნიერების რიგ სპეციალობასა თუ დამხმარე დარგს: წყაროთმცოდნეობას, დიპლომატიკას, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიას, პალეოგრაფიას... ივ. ჯავახიშვილმა დაწერა ფუნდამენტური შრომა – „ქართველი ერის ისტორია“ ხუთ წიგნად. მან საგანგებოდ გამოიკვლია საქართველოს ეკონომიკური ისტორია, რომელიც გამოვიდა სამ წიგნად. დიდი ამაგი დასდო ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას, რომელიც წარმოადგინა მონოგრაფიით „ქართული სამართლის ისტორია“. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ისტორიის შესწავლა შეუძლებელია, თუ შესაბამისი პერიოდის გეოგრაფია არ იქნა გამოკვლეული. მისი ნაშრომი ისტორიულ-გეოგრაფიაში – „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ – ფუნდამენტური გამოკვლევაა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მის მიერ შედგენილი და გამოცემული საქართველოს რუკა. ესაა ერთიანი საქართველო, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე“. ნიშანდობლივია, რომ რუკაზე საქართველოს ყველა სოფელია დატანილი. ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისტორიის ფილოსოფიის საკითხების შესწავლას. მან ასეთი განსაზღვრება მისცა ისტორიის ფილოსოფიას: „დარგი, რომელიც ეგრეთწოდებულ საისტორიო კანონებს, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებასა და სხვა კიდევ მრავალ ძირითად კითხვებს იკვლევს“. მან ქართველ მკვლევართაგან პირველმა განიხილა და გაანალიზა ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთი სფერო – ფორმალური ისტორიის ფილოსოფია; წყაროების კრიტიკული შესწავლით აჩვენა, როდის და როგორ შეიძლება ისტორია გახდეს მეცნიერება, იყოს ობიექტური შემეცნების ფორმა. ივ. ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო ძველი სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლას, დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების დამუშავებას, ქართული მუსიკის ისტორიის სისტემური კვლევაც ივ. ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

1976 წელს აღინიშნა 100 წელი ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით იმდროინდელი მთავრობის გადაწვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის აკადემიური მომზადება. დაისტამბა 1979-1998 წლებში.

ივ. ჯავახიშვილი მჭიდროდ თანამშრომლობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, 1922-1927 წლებში თავმჯდომარეობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, აქტიური მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის წესდების ჩამოყალიბებაში. მისი აზრით, კონსერვატორია უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, მუსიკალური შემოქმედებისა და კვლევა-ძიების კერა, მეორე მხრივ, საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თბილისში არსებული „კავკასიის მუზეუმი“ საქართველოს მუზეუმად გადაკეთდა. მუზეუმი თანდათან გაფართოვდა – მას შეუერთდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის ქონება. შედეგად საქართველოს მუზეუმი მთელ ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. 1931 წელს ივ. ჯავახიშვილი მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. მისი დაბეჯითებული და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფილება, რომლის გამგეც 1936-1940 წლებში თავადვე იყო. მან შეადგინა მუზეუმის მუშაობის გარდაქმნის პროექტი, რომელშიც სამუზეუმო მეცნიერ-მუშაკთა მომზადებასაც დიდი ადგილი დაუთმო. მაგრამ ყველაზე დიდი ძალისხმევა და მონდომება ივ. ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას მოახმარა.

ქართული უნივერსიტეტი: უნივერსიტეტის დაარსება, როგორც უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების, რომელიც ამზადებს კადრებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგებში, ქართველი ხალხის დიდი ხნის სურვილი იყო. XIX საუკუნის მანძილზე ქართველი მოწინავე ინტელიგენცია არ წყვეტდა ბრძოლას ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. 1871 წელს თბილისში უნდა

ჩამოსულიყო რუსეთის იმპერატორი – ალექსანდრე II. გადაწყდა იმპერატორისათვის ეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა. მოულოდნელად ეს თხოვნა კადეტთა კორპუსის გახნის მოთხოვნით შეიცვალა. ამ ფაქტს მოწინავე ქართველი საზოგადოების დიდი აღშფოთება მოჰყვა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი ისევ დიდი სიმძაფრით დაისვა. ამ საქმის მოთავე იყო იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი – ივ. ჯავახიშვილი. მის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება. ამ იდეის განხორციელებას რეალური საფუძველი შესძინა 1914 წელს მეფის მთავრობის მიერ იძულებით მიღებულმა კანონმა – რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. მიუხედავად ამისა, მთავრობა ქართველ პატრიოტებს ისევ დიდ წინააღმდეგობას უწევდა. 1917 წლის რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ისევ გააჩინა იმედი. ივ. ჯავახიშვილმა პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე, თავის ბინაში შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვ. ამ შეკრებაზე გადაწყდა, რომ მოქმედება ორი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო. ჯერ ერთი, უნდა გაშლილიყო სახალხო მოძრაობა საუნივერსიტეტო იდეისათვის საქართველოში, მეორე კი, ცენტრში, პეტერბურგში, რათა ნებართვა აეღოთ ეროვნული უმაღლესი სკოლის გახსნისათვის. შემდეგი შეკრება ჩატარდა პეტერბურგის კინოთეატრ „ელიტში“, სადაც კრებას ფართო საზოგადოება დაესწრო. კრება მიჰყავდა ზ. ავალიშვილს, ხოლო მოხსენება წაიკითხა ივ. ჯავახიშვილმა. მოხსენებაში დეტალურად იქნა გადმოცემული უნივერსიტეტის დაარსების გზები. საზოგადოება ერთსულოვანი იყო.

1917 წლის გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი ჩამოდის თბილისში და იწყებს საორგანიზაციო საქმიანობას. დაიბეჭდა მოსაწვევი ბარათი, სადაც ეწერა, რომ 1917 წლის 12 მაისს მოწვეულია კრება, რომლის საგანია ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. სხდომა შედგება თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. მოსაწვევი გაეგზავნა ყველა ქართულ სამეცნიერო საზოგა-

დო-პოლიტიკურ, კულტურულ და საკრედიტო დაწესებულებას, ასევე პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს. სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, ხოლო მდივნად – ილია ზურაბაშვილი. ივ. ჯავახიშვილი გამოვიდა მოხსენებით – „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“, რომელიც შემდეგ გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა.

მოხსენაბაში ნათქვამია: „ჩვენი ხალხი მეზობელ დაწინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებს – ბერძენ-ბიზანტიელებს, სპარსელებსა და არაბებს – განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლო მოღვაწეობით კვალდაკვალ მისდევდა. იყო დრო მეთორმეტე საუკუნეში, მაგ. როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ მხრივ უმაღლეს ხარისხს მიაღწიეს... ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერი განვითარებისა და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო სამწერლობო და საკულტო წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო, დროზე შეეთვისებინა კიდეც... თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართული მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“... მას ამისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნდა სწორედ უნივერსიტეტის დაარსება. „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება“.

კრებაზე ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ერთი ნაწილი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას უჭერდა მხარს, გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი. თავდაპირველად გაიხსნებოდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. ივ. ჯავახიშვილის წინადადებით შეიქმნა კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ექ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ი. ლორქიფანიძე, გ. ჟურული), რომელსაც დაევალა საჭირო სახსრების

მოძიება-შეგროვება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ასევე შეიქმნა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება. 17 მაისს ასეთივე კრება გაიმართა ქუთაისში, კრებას ესწრებოდნენ ცნობილი მოღვაწეები: ი. ოცხელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ბაქრაძე, მ. თაქთაქიშვილი, მ. ფაღავა, ი. ქუთათელაძე, ი. ჩიქოვანი და სხვები. აირჩიეს კომიტეტი თერთმეტი კაცის შემადგენლობით, რომელსაც თბილისში არჩეულ კომიტეტთან ერთად უნდა გაეტარებინა სხვადასხვა ღონისძიება.

სამწუხაროდ, ამ ფაქტით გარეგნულად აღფრთოვანებული საზოგადოების ერთი ნაწილი, რეალურად განზე გადგა და საქმისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. შედეგად საორგანიზაციო კომისიის სხდომები, წევრთა გამოუცხადებლობის გამო იშლებოდა.

ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით 1917 წლის 3 ივნისს მაინც შედგა საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრნენ: კ, აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ჟურული, გ. აბაშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი. მსჯელობა, ძირითადად, ეხებოდა თანხების მოზიდვის გზებს. კოტე აფხაზის აზრით, კარგი იქნებოდა საჯარო მომგებიანი ლატარიის გამართვა, ან ქართველთა შორის „უწყებულ გადასახადის გაწერვა შემოსავალის კვალობაზედ“, ან კოოპერატორებისაგან დახმარების მიღება.

ივანე ჯავახიშვილი მთელი კატეგორიულობით ითხოვდა: „ამ საქმის დახანება მეტი არ შეიძლება, საჭიროა გამორკვეული იქნეს საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალი წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინადვე დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტებში და მხოლოდ ეროვნული იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ. ქართველ პროფესორთა კონტიგენტი სრულ საშუალებას გვაძლევს ამთავითვე ორი ფაკულტეტი დავაარსოთ, სიბრძნისმეტყველებისა და საბუნებისმეტყველო, ოღონდ ნივთიერი სახსარი იყოს“ (ამონაწერი სხდომის ოქმიდან).

გადაწყდა, ივ. ჯავახიშვილს მოემზადებინა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების პროექტი“, რომელიც უნდა წარედგინათ მთავრობაში დასამტკიცებლად.

1917 წლის 15 ივნისს საორგანიზაციო კომისიამ უკვე განიხილა წესდების პროექტი. ივ. ჯავახიშვილის წინადადებით უნივერსიტეტის სახელწოდებიდან ამოიღეს სიტყვა თავისუფალი, რადგან ეს სიტყვა მისი თქმით „კერძობით ხასიათს აძლევდა ამ დაწესებულებას“. 22 ივნისს შედგა მორიგი სხდომა, რომელზეც ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა საბოლოო რედაქცია უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდების პროექტისა და თვით უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. 3 აგვისტოს მოწვეულ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად მიიღო აღნიშნული პროექტი და გადაეგზავნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს, დასამტკიცებლად. საზოგადოების წესდება დაამტკიცეს, მაგრამ იქიდან ამოიღეს უფლების მიღების მოთხოვნა საჯარო ლატარიის მოწყობის შესახებ, რადგან ეს მხოლოდ უმაღლესი მთავრობის უფლებად ითვლებოდა. რაც შეეხება ძირითად დებულებას, იგი უნდა გადაგზავნილიყო პეტერბურგის სახალხო განათლების სამინისტროში. ამ უკანასკნელის პასუხს ივ. ჯავახიშვილი არ დაელოდა და დაიწყო გამალებული მუშაობა დამხმარე საზოგადოების პოპულარიზაციისათვის.

1917 წლის 20 ოქტომბერს უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების საორგანიზაციო კრებამ გადაწვეტილება მიიღო გამოექვეყნებინა პრესაში – შემუშავებული წესდება, უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი და ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. პრესის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ იდეის ყველაზე საშიში მტერი, სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის ურწმუნოება აღმოჩნდა. ისინი თვლიდნენ, რომ ეროვნული უნივერსიტეტი ვერ შეძლებდა მეცნიერების „ამეტყველებას“ ქართულ ენაზე, ვერ გაუძლებდა მსოფლიოს უნივერსიტეტების კონკურენციას და პროვინციული უნივერსტეტის გახსნას, სჯობდა საერთოდ უარი ეთქვათ ამ იდეაზე. ქართველი ინტელიგენციის ეს ნიჰილიზმი ობიექტიურად იმ ძალას უკავშირდებოდა, რომელმაც დაინახა რა ქართული უნივერსიტეტის გახსნის „საშიშროება“, ჯერ ვარშავის უნივერსიტეტის

გადმოტანას აპირებდა თბილისში, შემდეგ კი ტარტუს უნივერსიტეტის ან პოლიტიკური ინსტიტუტის გახსნას.

ქართველი ინტელიგენციის მებრძოლი ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდა კონსტანტინე გამსახურდია. იგი პრესაში ამ საკითხის შესახებ ხშირად ბეჭდავდა წერილებს. მწერალი წერდა: „თაობათა მთელი რიგის მუყაითი შრომაა საჭირო ჩვენ წინაპართაგან ნაანდერძევ კულტურულ საუნჯის მეცნიერულად შესასწავლად“; და, რომ ამისათვის სრულიად არასაკმარისია რომელიმე სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრების შექმნა. საჭიროა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი, ამიტომ დროა „რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაბნეულმა ქართველმა პროფესორებმა ეხლავე იზრუნონ ამაზე“. „საჭიროა მამულის მომავლისათვის მზრუნველმა ხელმა დააჩქაროს გაწამებული ერის დიდი ხნით ნაზრახი გულისნადების სისრულეში მოყვანა“. კ. გამსახურდიას მიერ „შთაგონებით დაწერილი ეს წერილები ყველაზე დროულ, საჭირო, გაბედულ და სასარგებლო მხარდაჭერას წარმოადგენდა. მეტად დიდი იყო მათი ზემოქმედებითი ძალა“. ქართულ პრესაში უნივერსიტეტის მხარდასაჭერად მრავალი წერილის ბეჭდვა დაიწყეს, რაც ხალხში საუნივერსიტეტო იდეის მხარდაჭერას აღვიძებდა. ივანე ჯავახიშვილმა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მთელი აქცენტი გადაიტანა ეროვნული უნივერსიტეტის იდეის ხალხში პროპაგანდაზე. ამას ხელმძღვანელობდა „უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება“. 1917 წლის 3 ოქტომბერს თბილისში შედგა ამ საზოგადოების პირველი კრება; კრების მსვლელობიდან კარგად ჩანს:

როცა არსებობს ნება და ხალხის მხარდაჭერა, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა შეიძლება მიზნის მისაღწევად. თუმცა ერთი კია, აუცილებელია ხალხის ნდობის მოპოვება. ეს კი ივ. ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა თავიანთი დიდი თავდადების შედეგად ნამდვილად შეძლეს.

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე მოვიყვან ამ კრების შესახებ ამონარიდს ს. ჯორბენაძის წიგნიდან – „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“ (1987, გვ, 200-206): „სხდომას დაესწრო დამფუძნებელი კრების მონაწილეთა უმთავრესი ნაწილი, 20 პირი, სახ-

ელდობრ: ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ყაზბეგი, კ. კეკელიძე, მაღალაშვილი, ვ. ყიფიანი,. ფ. გოგიჩაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, გ. ქურდიანი, ლ. ბოცვაძე, სეით იაშვილი, ი. ბ. ლორთქიფანიძე, პ. მელიქიშვილი, კ. მაყაშვილი, ი. იმედაშვილი, ა. შანიძე გრ. ვეშაპიძე, ა. წერეთელი, დ. სულიაშვილი და ილ. ზურაბიშვილი, ორმოცამდე ქალი და კაცი, რომელთაც უკვე საზოგადოების წევრობის ფულიც შემოიტანეს...

კრება საღამოს 9 საათზე გახსნა ივანე ჯავახიშვილმა. თავმჯდომარედ დასახელდა ექ. თაყაიშვილი, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი – პეტრე მელიქიშვილი.

ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მნიშვნელობასა და იმ საქმიანობაზე, რაც გაკეთებულია უნივერსიტეტის გახნისათვის. თავისი სიტყვის დასრულებისას მან აუწყა დამსწრეთ წესდებისა და მთავარ დებულებათა დამტკიცების საქმის ვითარება. ივ. ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო საკითხს ეროვნული უნივერსიტეტის უპირატესობისა კავკასიის საერთო უნივერსიტეტთან შედარებით და მრავლის მოსაზრებით დაადასტურა თავისი აზრი ამ უპირატესობის შესახებ. „მოხსენება საზოგადოებამ დიდი ტაშისკვრით მიიღო“. თავმჯდომარის თანხმობით მოხსენების დროს დარბაზში შემოდის ამერიკელი პროფესორი როსი, რომელიც სალამს უძღვნის საზოგადოების პირველ კრებას და ითხოვს დასწრების ნებას. კრება ტაშისკვრით და ფეხზე ადგომით ესალმება სტუმარს. მოხსენების მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ კრება შეწყვიტა და მიმართა დარბაზს: „ვისაც სურვილი გაქვთ წევრობისა, გთხოვთ ახლავე ჩაეწეროთ და გადასახადი შემოიტანოთ“.

ბევრი გახდა ამ დღეს საზოგადობის წევრი, კრება განახლდა. წაიკითხეს სია ახლადჩაწერილი პირებისა. ამ სიაში იყვნენ შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ნიკო ლომოური, თამარ ჯავახიშვილი,... (სულ 94 ხელმოწერა). ... ქუთაისის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელმა მექი ფაღავამ განაცხადა, რომ ხსენებულ კომისიასაც ჰყავს ჩაწერილი წევრები...

8 ოქტომბერს გაგრძელდა საზოგადოების საერთო კრების სხდომა პროფ. პ. მელიქიშვილის საპატიო თავმჯდომარეობითა და ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. მას ორასამდე დამფუძნებელი და დამხმარე წევრი და მრავალი გარეშე პირი დაესწრო. კრებამ ბევრი ახალი წევრი მიიღო, აირჩია გამგეობის წევრები და წევრობის კანდიდატები, საკონტროლო საბჭო და საფინანსო კომისია, ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება სამოქმედო გეგმის შესახებ.

მოხსენების პირველი ნაწილი ეხებოდა უნივერსიტეტის არსებობისათვის საჭირო სახსრებს, მეორე ნაწილი შეეხო უნივერსიტეტის სასწავლო საქმის დაყენების საკითხს... გრ. დიასამიძის წინადადებით კრებამ მადლობა გამოუცხადა ივანე ჯავახიშვილს, როგორც ამ საქმის თაოსნობისათვის, აგრეთვე, დაუღალავი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის... სხდომის მსვლელობის დროს დარბაზში შემოვიდა ყარამან კიკნაველიძე და ივანე ჯავახიშვილს კონვერტი გადასცა, რის შემდეგ იგი კრებიდან წავიდა.

კონვერტში აღმოჩნდა ასი თუმანი ფული და შემდეგი შინაარსის წერილი:

„მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება. ნება მიბოძეთ მე, როგორც ჩვენი ერის წინმსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა ერთდროულ დახმარებად მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის გასაძლიერებლად. იმედია, თქვენის ჩვეულებრივი მუყაითობით ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს დედაქალაქ თბილისში. დავშვრები მარადის თქვენი პატივისმცემელი ყარამან სოლომონის ძე კიკნაველიძე. ღვინობისთვის 8, 1917 წ“.

უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების მისამართით დაიწყო დენა ფულად თანხებმა შემოწირულობათა სახით.

გამოგზავნილ ფულად თანხას თითქმის ყოველთვის ახლდა სიყვარულითა და რწმენით სავსე წერილები.., ერთ-ერთი პირველია

1917 წლის 2 ოქტომბერს ბაქოდან გამოგზავნილი ამანათი – შემდეგი წარწერით: „მე, ექიმი რაჟდენ ივანეს ძე ნანეიშვილი და ჩემი ცოლი ნატალია ზაქროს ასული ნანეიშვილი გაახლებთ ხუთ თუმანს და გთხოვთ ჩაგვრიცხოთ ორივე ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ წევრად. როცა საქმე განხორციელების გზას დაადგება, ვალად ვიდებთ, ბევრად, მეტი ვაგზავნოთ, არანაკლებ 20-30 თუმნისა წელიწადში“.

4 ოქტომბერს ე. ა. ჭოღოშვილი, ერევნის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი, აგზავნის 25 მანეთს შემდეგი წარწერით: „დიდად პატივცემულო ბატონო ექვთიმე! (თაყაიშვილი – ქ.ნ.) გიგზავნით 25 მანეთს და გთხოვთ ჩამწეროთ ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა წევრად“.

27 ოქტომბერს ქიმიის ინჟინერი, დოქტორი მ. ს. ბექია ბაქოდან აგზავნის ამანათს: „მოწყალეო ხელმწიფევ! გიგზავნით ოცდახუთ მანეთს და გთხოვთ ჩაგვრიცხოთ წევრთა სიაში ქართული უნივერსიტეტისა...“

სვიმონ აბაშიძე 15 ნოემებრს საჩხერედან, სოფელ სავანედან იწერებოდა: „არ შეიძლება არ გაახაროს ყველა შეგნებული ქართველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ. ქართული უნივერსიტეტი ტფილისში... რანაირ პერსპექტივას გვიქადის. დიდი სიხარულით გაახლებთ ხუთ თუმანს... გთხოვთ მიმიღოთ დამფუძნებელ წევრად“.

ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ჭილაძე ქართული უნივერსიტეტის გამგეობას აცნობებდა, რომ გიორგი სიმონის ძე სვანიძემ, შესწირა საქართველოს უნივერსიტეტს 4 ათასი მანეთი, რომლის თანხა შეტანილია ბანკში უნივერსიტეტის სახელზე მიმდინარე ანგარიშით.

საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ამგვარი ამანათები, უნივერსიტეტის შექმნამ უდიდესი სიხარული გამოიწვია სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველებშიც. 1917 წლის 17 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ეცნობა ა. ი. თოიძის წერილს: სადგურ მანჯურიაში ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამართულ საღამოს შემოსავალი დარჩა 6870 მანეთი და ამ ფულს იგი შეიტანს ხარბინის რუსულ-აზიურ ბანკში...

ტაშკენტის ქართველთა საზოგადოება გზავნის 100 მანეთს.

შეგროვილ თანხებს შორის ერთი მანეთიც არ ყოფილა იმ სახსრებიდან, რაც შემოწირულობის სახით წლობით გროვდებოდა კავკასიის უნივერსიტეტის (პოლიტექნიკურის) გასახსნელად.

უნივერსიტეტის მოახლოებული გახსნა მარტო ქართველობაში როდი იწვევდა სიხარულსა და სიამაყეს. ჩვენი ყველა მოკეთე ხარობდა ქართული ეროვნული უნივერსიტეტის შექმნით... დიდმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანინმა უნივერსიტეტს შემოწირა 100 მანეთი ოქროთი. იგი წერდა: „მხოლოდ მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც აცალკევებს ხალხებს, და მხოლოდ მათ შეუძლიათ, შექმნან მომავალი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი...“

1917 წლის 7 ნოემბერს მოსკოვიდან შიო ქუჩუკაშვილის ხელით მ. ნ. გენკინი გზავნის 500 მანეთს უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის. უნივერსიტეტის ფონდისათვის ქუთაისელ ებრაელთა შორის შეგროვდა 200 მანეთი...

უნივერსიტეტის ფონდის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქართული საზოგადოებები... განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული კოპერატივების როლი ფულადი სახსრების შეგროვებაში. ბევრ მათგანს მარტო ერთდროული შენატანები კი არ შემოჰქონდა, არამედ განსაზღვრული დონის ზემოთ მიღებული მოგების სისტემატურ გადარიცხვას ჰპირდებოდნენ...

„გაუმარჯოს ქართულ უნივერსიტეტს!“ დეპეშას ხელს აწერდა გამგეობის თავმჯდომარე – იასონ გაბელაია. დეპეშა იუწყებოდა, რომ ქართული გიმნაზიის კორპორაცია ქართული უნივერსიტეტისთვის გიმნაზიის შენობისა (თსუ-ს დღევანდელი I კორპუსი) და ნავთის საბადოს ნაკვეთების მომგებიანი ბილეთების გადაცემას აპირებდა. ეს დიდი პატრიოტული საქმე იყო. საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა საღამოები, რომელთა შემოსავალი უნივერსიტეტის ფონდში ირიცხებოდა. ფულადი შემოწირულობა იგზავნებოდა სოფლებიდან. მაგ. სოფელ ნორიოს საზოგადოებამ უნივერსიტეტს 25 მანეთი გამოუგზავნა“.

საქართველოს სახელმწიფო არქივში, საუნივერსიტეტო ფონდში ინახება სიები, სადაც გლეხები, რომლებიც საკუთარი გვარის გასწვრივ ჯვარს სვამენ, უნივერსიტეტს სწირავენ შეძლებისდაგვარად:

ერთ, ორ ან სამ კაპიკს. აქედანაც კარგად ჩანს, რომ უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ხალხისთვის ეროვნული ღირსების საქმედ იქცა.

1917 წლის 9 ოქტომბერს, უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ თავის პირველ გაერთიანებულ კრებაზე დაადგინა: მიენდოთ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორის – პეტრე მელიქიშვილისთვის, პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტის – ივანე ჯავახიშვილისა და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტის ანდრია რაზმაძისთვის ქართული უნივერსიტეტის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა.

უფრო ადრე, 1917 წლის 3 აგვისტოს, უნივერსიტეტის დებულება, რომელიც გადაიგზავნა პეტერბურგში, განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად არ დაამტკიცეს. დროებით მთავრობასათან დაახლოებული ქართველი მენშევიკები განზე გადგნენ, არც დროებითი მთავრობის მეთაურის – კერენსკის ქართველი მეგობრების გავლენამ გაჭრა. სამინისტრომ დოკუმენტი გადაუგზავნა უმაღლესი სკოლების რეფორმების კომისიას. კომისიის სხდომებზე ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ მოხსენებით გამოდიოდა ნიკო მარი. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ახალმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, კავკასიაში რამდენიმე უნივერსიტეტის დაარსებისა. თუმცა ქართული უნივერსიტეტი პირველი უმაღლესი სკოლაა, რომელიც ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალმა დაპყრობილმა ხალხმა თვითონვე შექმნა.

1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე გადაწყდა დაარსებულიყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი სამი განყოფილებით: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგიკა), სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო.

1917 წლის დეკემბერში დაამტკიცეს უნივერსიტეტის ძირითადი დებულება – დეკემბრის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების თაობაზე. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. ამ ისტორიულ

სხდომას ესწრებოდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ექ. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე. თავმჯდომარე – პ. მელიქიშვილი, მდივანი ა. შანიძე. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა. ამ სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორობა ბუნებრივია, სთხოვეს ივანე ჯავახიშვილს. ივანე ჯავახიშვილმა შემოთავაზებაზე უარი განაცხადა და მან რექტორად პეტრე მელიქიშვილი დაასახელა, რომელიც, როგორც თვითონ ბატონი ივანე აღნიშნავდა: „დიდად ცნობილი მეცნიერია როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“. უნივერსიტეტის რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივ. ჯავახიშვილი, ხოლო პროფესორთა საბჭოს მდივნად – იოსებ ყიფშიძე. ივანე ჯავახიშვილის წინადადებით უნივერსიტეტის გახსნის დროდ მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღე, 26 იანვარი დასახელდა – მეფის, რომელმაც დაარსა გელათის აკადემია. ბუნებრივია, ამ ფაქტს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები ივ. ჯავახიშვილმა იკისრა. ამის შესახებ მოსე ჯანაშვილი წერდა: „ივ. ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი – გუთნისდედობა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის გამგეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ“.

1918 წლის 26 იანვარს, წყნეთის ქუჩის 40 ნომერში მდებარე გიმნაზიის შენობაში, გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი – ქართული უნივერსიტეტი. ამ ჭეშმარიტად ეროვნულ ზეიმს უამრავი ხალხი დაესწრო. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა უნივერსიტეტის საზოგადოების თავმჯდომარემ – აკაკი ჩხენკელმა. უნივერსიტეტის რექტორმა – პეტრე მელიქიშვილმა თავის სიტყვაში თქვა: „ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს შეისწავლონ ჩვენი სამშობლო – საქართველო და კავკასია“. იოსებ ყიფშიძემ წაიკითხა

მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის შესახებ. ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს მიესალმნენ სხვადასხვა (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, პოლონური და სხვ.). კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები. მოვიდა მოსალოცი დეპეშები. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა – კირიონ II-მ ამ დღეს საგანგებო პარაკლისი გადაიხადა.

ზეიმის დასასრულს ივ. ჯავახიშვილს უნდა წაეკითხა ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა. მან პირველი ლექცია – „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში“ 1918 წლის 30 იანვარს წაიკითხა.

გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი იყო. მას 7 პროფესორი (პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ანდ. ბენაშვილი, კორნ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი) , 5 პროფესორის მოადგილე (ანდ. რაზმაძე, სვ. ავალიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე), 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი (ექ. თაყაიშვილი, იუს. აბულაძე) და 4 ლექტორი (ელ. ორბელიანისა – ფრანგული ენა, არტ. ლაისტი, ილ. ყიფშიძე – გერმანული ენა, ვ. ღამბაშიძე – ინგლისური ენა) ჰყავდა.

ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტით ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალურ ცხოვრებაში ახალი ეპოქა.

უნივერსიტეტის პირველ რექტორს – პეტრე მელიქიშვილს უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა, მაგრამ იგი მაღალი მეცნიერული ღირსებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. მთელი თავისი სარექტორო მოღვაწეობის მანძილზე პ. მელიქიშვილი ემყარებოდა პრინციპს, რომ რექტორი უნივერსიტეტის თანასწორ პროფესორთა შორის პირველია. იგი რექტორის მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებდა. 1919 წლის 11 ოქტომბერს ექ. თაყაიშვილის გადმოცემით, პ. მელიქიშვილმა ერთ-ერთ პროფესორთან მომხდარი სიტყვიერი ინცინდენტის გამო რექტორობიდან გადადგომა ითხოვა. 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა. დადგა საკითხი ახალი რექტორის არჩევისა. ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც ორი თვის მან-

ძილზე რექტორის მოვალეობას ასრულებდა, წერილობით მიმართა პროფესორთა საბჭოს, სადაც უარს ამბობდა რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. უფრო მეტიც, სამეცნიერი მუშაობისთვის დარჩენილი დროის სიმცირისა და დაღლილობის მიზეზით ითხოვდა დეკანის თანამდებობის დატოვებას. პროფესორთა საბჭომ, არ გაითვალისწინა მისი თხოვნა და იგი 1919 წლის 24 დეკემბერს აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. ივ. ჯავახიშვილის რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა და საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარ სახელს იმკვიდრებდა.

ბევრი სირთულე შეხვდა ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტში მოღვაწეობისას, რაც უპირველეს ყოვლისა იმ ვითარებით იყო გამოწვეული, რომელიც შეიქმნა ბოლშევიკურ საქართველოში.

საბჭოთა სისტემა რამდენიმე ნიშნით ხასიათდებოდა. ამ ნიშანთა ნაწილობრივი ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის ამ სისტემის არსს: კოსმოპოლიტიზმი თავისი ყველაზე უარყოფითი კუთხით, მებრძოლი ათეიზმი, ოპოზიციური აზრის დევნა და ოპოზიციური ძალის ფიზიკური განადგურება, პოპულიზმი და დემაგოგია, არარუსი ერების ასიმილაცია, პოლიტიკური ლიდერის გაღმერთება, კერძო საკუთრების სრული მოსპობა და სხვ. ბუნებრივია, ასეთი იდეოლოგიის მატარებელი საბჭოთა წყობილების მომხრე, უნივერსიტეტის პროფესურის აბსოლუტური უმრავლესობა, რექტორით სათავეში, ვერ იქნებოდა. ივანე ჯავახიშვილი თავისი სამეცნიერო მემკვიდრეობითაც მიუღებელი შეიქნა არსებული რეჟიმისათვის. მათი მიზანი იყო „ახალი ადამიანის“ შექმნა, რომლის სააზროვნო სისტემა დამყარებული იქნებოდა კოსმოპოლიტიმზე, დემაგოგიასა და ძალმომრეობაზე. ერთი სიტყვით, ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი მოღვაწე აღმოჩნდა.

1925 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა უნივერსიტეტის ავტონომიის გაუქმება, რასაც ივ. ჯავახიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია. ამ მოტივით იგი 1926 წელს რექტორობიდან გადააყენეს და სრულიად ჩამოაშორეს სასწავლო პროცესს. მის მაგივრად რექტორად დანიშნეს თევდორე ღლონტი, თავის დროზე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ხოლო 1924 წლიდან კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი.

მისი რექტორად დანიშვნის მიზანი იყო, უნივერსიტეტში იმ ტრადიციების მოშლა, რომელიც მისმა დამაარსებლებმა დაამკვიდრეს და იმ გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა „ახალი ადამიანის“ აღზრდას.

იმდროინდელი რეჟიმისათვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. უფრო შორს წავიდნენ: მათ ივ. ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი, მისი კოლეგების, მოწაფეებისა თუ ასპირანტთა ხელით უნდა გაენადგურებინათ, რადგან იგი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა. უშიშროების სამსახურის უფროსის – ლავრენტი ბერიას ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში წერია: „Професор Джавахишвили Буквально боготворится – это настаящий кумир студенчества“

1930 წლის 13 დეკემბერს პედაგოგიურ ინსტიტუტში დაინიშნა სხდომა, რომელიც ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ დისკუსიები უნდა გამართულიყო. თავად მეცნიერი სხდომას არ დასწრებია. მთავარი „მბრალმდებელი“ იყო ინსტიტუტის რექტორი ივანე ვაშაყმაძე. მისი მოხსენებიდან ამონარიდი ასეთია: „თუ გადავავლებთ ჩვენ თვალს კულტურულ ფრონტს, განსაკუთრებით კი მეცნიერებას, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ ქონია ადგილი, არა თუ კვლევა-ძიებას, არამედ პროგრესულ-მეცნიერულ ძალებსაც არ აძლევდნენ საშუალებას აქ ჩამოსვლისა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ მეცნიერთა მიერ ნ. მარის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება და თითქმის ბოიკოტის გამოცხადებაც კი. მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი (ივ. ჯავახიშვილი იმ მოსაზრებით, რომ დაემტკიცებინა სომხეთ-საქართველოს ომის სამართლიანობა, წიგნსაც წერს: „საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები“). მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალისტური სულის განმტკიცებას – დევნილი იყო“. ვაშაყმაძემ თავისი მოხსენებით ფაქტობრივად გაწირა არა მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი, არამედ გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ: ვაშაყმაძე საუბრობს იმ ნიკო მარზე, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა თავის ნარკვევში „მამულიშვილობა და მეცნიერება“, როგორც ღირსეულმა

მოწაფემ სახელოვანი მეცნიერი თავგამოდებით დაიცვა, როდესაც მას ქართული საზოგადოების სახელით, არცთუ უსაფუძვლოდ იაკობ გოგებაშვილი დაუპირისპირდა, იმ ნიკო მარზე, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და მაინც ივ. ჯავახიშვილს მასთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის „შეფასებისთვის“ გამართული დისკუსიები მიმდინარეობდა 1930 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პედაგოგიურ ინსტიტუტში, მთელი დეკემბერის მანძილზე, ხოლო 1936 წლის მარტ-აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს მასალები გამოქვეყნებულია წიგნში – „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“ (გამოსაცემად მოამზადეს მ. ვაჩნაძემ, ვ. გურულმა, თბ. 2004), რომელიც თითქმის 500 გვერდს მოიცავს. ჩვენ მხოლოდ ორ მცირე ამონარიდს მოვიტანთ. პირველი – რომელიც აჩვენებს, როგორ დაუნდობლად გაიწირა დიდი მეცნიერი და მეორე – საკუთარი თავის გადარჩენის ფონზე, მცდელობა მისი დაცვისა, რაც მაინც მიგვაჩნია, რომ იმ ტოტალური ძალმომრეობის შედეგია, რასაც ბოლშევიკები თესავდნენ: თუცმა პირველ შემთხვევაში სხვის უბედურებაზე ხელის მოთბობის სურვილიც გამოსჭვივის.

პირველი: „ყალიჩავა: რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშვინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის, დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ივანე ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები“.

მეორე:

„სიმონ ჯანაშია: მე უნდა განვაცხადო, რომ ივ. ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით მხოლოდ,

რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის“.

1930 წელს უნივერსიტეტი საერთოდ გააუქმეს, მის ბაზაზე ოთხი ინსტიტუტი აღმოცენდა, ხოლო 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისევ აღადგინეს. 1938 წელს უნივერსიტეტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი სესია ივანე ჯავახიშვილს, როგორც უნივერსიტეტის დამაარსებელს საგანგებოდ მიესალმა. 1940 წლის 18 ნოემბერს ორშაბათს, საღამოს, ლექციის კითხვის დროს, თემაზე „ქართული ფილოსოფია და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ივანე ჯვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.

შინაარსი

დისციპლინის მიზნები და ამოცანები.....3

კურსის ძირითადი თემები და სარეკომენდაციო
ლიტერატურა 8

თემა I
ისტორიის მეთოდოლოგიის პრობლემების გენეზისი და
„ქართლის ცხოვრება“, როგორც შუასაუკუნოვანი
მატიანეების ტიპური ნიმუში..... 15

თემა II
ქართული კულტურისა და განათლების კერები
შუასაუკუნეების საქართველოში.....41

თემა III
ქართული ისტორიული აზრის განვითარება XVII-XVIII
საუკუნეებში 58

თემა IV
**ისტორიული აზრის განვითარება XIX საუკუნეში და
ქართველოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს
ფარგლებს გარეთ.....77**

თემა V
**საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოძრაობა საქართველოში
(XIX ს-ის მე-2 ნახევარი –XX ს-ის დასაწყისი)..... 102**

თემა VI
**ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები –
XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოში 122**

თემა VII
ისტორიკოსი თედო ჟორდანია (1853-1916) **146**

თემა VIII
ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა
(1863-1953) 169

თემა IX
ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი..... 182

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge